



N32 (583)

11/VIII-17/VIII-2011

ფასი 1 ლარი

**ჩვენი ჩრედი**

**მინილ ჯავახიშვილი**

**შვიდგომეული**

**ტომი III**

შეგიძლიათ შეიძინოთ

„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად

6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ

**მინილ ჯავახიშვილი**

**ტომი IV**

**მაკა შალიკაშვილი**

**ღანით ღადის**

**„ის ბიჭი გოგოდ**

**მერ აღვიქვამდა...“**

**„მე საქართველოს**

**„ლუბიმჩიკი“ ვარ“**

**„ჩვენი კახელი მამა**

**ყველაფერს გაგებთ აქიღება“**

**„კალიაბი**

**აღარ იცოვებინან“**

**„სოფო სვამლის**

**მთაზე ავიყვანეთ“**

**ნიკა სომასურიძის**

**მსოფლიო**

**კინორეჟორი**

**„ოთხმა ქართველმა იმ**

**სამშობროში მოიკლა თავი,**

**სადან ლენინი სსოვრობა“**

**წინამძღვარი,**

**როველის აკლესიის**

**„გაქრობისთვის“**

**წვერით ათრინავს**



**SOS** რა საფრთხეს  
გვიქადის მხარების  
შემოსება

**„კალიაბი  
აღარ იცოვებინან“**



**„სოფო სვამლის  
მთაზე ავიყვანეთ“**

**ნიკა სომასურიძის  
მსოფლიო  
კინორეჟორი**



**წინამძღვარი,  
როველის აკლესიის  
„გაქრობისთვის“  
წვერით ათრინავს**

**„ოთხმა ქართველმა იმ  
სამშობროში მოიკლა თავი,  
სადან ლენინი სსოვრობა“**



**მოდის ტენდენციები – საქმიანი ძალგაბრუნებისთვის**

# გსოლოდ სსა ჯგუფთან ერთად

ქ. თბილისის მერიის  
კატრონაჟით

თბილისი ბანკი  
TBC BANK დაფინანსებით



ჩაბარება  
2012 წლის დეკემბერი

მშენებლის კომპანიის  
ონლაინ კონსტრუქცი

## გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:  
თბილისი,  
გუდასუბის 7

238 44 33  
577 777 077  
579 770 026

[www.saba-jgupi.ge](http://www.saba-jgupi.ge)

### აპიხებთ ჰემონტს?

ზოგი პლეხი გთავაზობთ შიდა  
და გახე კაჩების ყველაზე დიდ  
აჩრევანს საქაითველოში

- ❖ ბუნებრივი გხანტისა და მახმახილოს ფილებს;
- ❖ ების საფეხუხებს;
- ❖ კეხამიკელ ნანახმსა და დამინიხებელ იატაკს

მის: აკ. ნეხეთის გამზ. 115ა  
აკ. ნეხეთის გამზ. 117  
ტელ: 577 200 700; 577 200 500;  
235 80 00; 235 80 08



დაინკეთ ჰემონტი  
ჩვენთან კითად!

[www.ZODI.ge](http://www.ZODI.ge)



გთავაზობთ ნებისმიერი დიზაინის  
ბუნებრივი გხანტის და მახმახილოს  
ნაკეთობების დამზადებას



# ბიბლუსი



**1 აგვისტოდან**  
**„ბიბლუსის“**  
**ყველა მაღაზიანი**

**დიდი**  
**საზაფხულო**  
**ფასდაკლება**  
**50% -მდე**

## მისამართები:

თბილისი:

აღმაშენებლის № 121

იოსებძის № 49

ბახტრიონის № 12

რობაქიძის № 7

რუსთაველის № 40/1

თბილისი სენტრალი, ვსარტული

გლდანი ა მ/კ, I კვ № 50

ოზურგეთი: ფაკრილის პარკი

რუსთავი: მებოგრობის № 12

სამცრედია: სააკაძის № 6

სენაკი: რუსთაველის № 239

ფოთი: ფარავაზ მეფის № 15

ბათუმი: მემედ აბაშიძის № 62

ბოლნისი: სულხან-საბას №106

ზესტაფონი: აღმაშენებლის №187

საჩხერა: თავისუფლების 1 № 17

ქუთაისი: ლ.ნუსუბიძის № 1

თამარ მეფის № 34

ზუგდიდი: რუსთაველის № 87

საშური: ქოსტავას ძეგლზე არსებულ სვეტრი  
რუსთაველის №69

*ქალაქიდან გადისარ?  
გაყოფიე წიგნები!  
წაიკითხე, გაერთე,  
უკეთესად იქნები!*

**წიგნები**  
**1 ლარიდან!**

**ტელ: 2 307-402**  
**www.biblusi.ge**

შანი  
2  
ლარი

ევრინალი მხოლოდ ქალებისთვის

# ...და ქალი № 8

აგვისტო

ბაშოლის თვის ღანაწყისი

## ჰეროლონაბი

- ინტიმური მიზიდულობის  
საიდუმლო

## ლაბაბი ბარლი

ვარჯიშები, რჩევები

აგვისტოს ნომერთან ერთად

„ქალი და ქალაქი“ ავტონუსვან



ქრისტიანული დღევანდები  
- ნუ ჩაიშხამები  
შეგებულვებს!

ნომრის თემა:

დასისვენებელი, მადონამ... მოცემხადეთ სექსუალური სიძინისთვის


## ქრისტიანი „ისტორიანი“

## წარმოგიღებათ! ტომი VI



ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი, სრული ვერსია 8 ტომად

შავსაფლავიანი საგაფთოთა სახეურის მთავარი ამოღებულნი მონაწივეთაჲთ



კონსტანტინე  
ბაშხანურდია

დავით  
კოპაშენებერი

ტომი 6

„ისტორიანი“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შექვლებთ შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ტომი (ნიგნის ფასი 3 ლარი) უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ ნიგნის მაღაზიებში

CD 1 ფიქრები

CD 2 ფაზვი და ფაზაქლები

CD 3 38 ლექსი

CD 4 პროზა

CD 5 ალხდა ქეთელაური  
გობოთურ და აფინს

CD 6 გვალის - მჭამელი

CD 7 სტუმარ - მახინძელი

სტუდია „ხან“ და  
ბობი ხარაბაძე  
წარმოგიღებათ:

ვაჟა-ფშაველა  
150 წელი



მხოლოდ „ბიბლუსის“  
წიგნის მაღაზიათა  
ქსელში

www.biblusi.ge  
ტელ: 2 307 402

ფასი:  
29 ლარი

## ქვეყანა



### „შესაძლოა, მთელი მწვანე საფარიც გაანადგურონ“

„კალიების ასეთი შემოსევა გლობალური დათბობის შედეგია — ე.ი. ზამთარში აღარ იხოცებიან და გაზაფხულსა და ზაფხულში უკვე მასობრივად მრავლდებიან“.

10

## სახე



### პაემანი „პროფილაქტიკაში“

„პირადი ცხოვრების ყველაზე დიდი „შემოქმედება“ ჩემი შვილებია და სხვა ყველაფერი ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩემთვის“.

22



## ცხოვრება

### „დათოს რობელიმ ნახაგს შეველაპით“



„16 წლის ასაკში ოპერაცია გაუკეთეს. როგორც საავადმყოფოდან ხმა გამოვიდა, ოპერაციის დროს, ექიმებს მის სხეულში საკეცი მაკრატელი ჩარჩათ. მერე სისხლი მოენამლა“.

36

№32 (583)  
11 - 17 აპრილი, 2011 წ.  
ფასი 1 ლარი



- **მინიატიურები** 5  
მუხატვერდიდან ბათუმამდე ანუ ოეეე, ჯაპააან!
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **თარიღი** 8  
დაკარგული მეომრები და შინმოუსვლელის მოლოდინის იმედით მცხოვრები დედა
- **საფრთხე** 10  
„შესაძლოა, მთელი მწვანე საფარიც გაანადგურონ“
- **რეპორტაჟი** 12  
ზაფხულია, ცხელა, ცხელა... ანუ დასვენება „აკვაპარკულად“
- **რესონანსი** 14  
მოუსვენარი კაცის მუდმივი „ინტერაქტივი“
- **აკრანს ვილა** 18  
ნიკა ხომასურიძის მსოფლიო კინორეკორდი
- **გემოვნება** 20  
რატომ დადის მაკა შალიკაშილი დანით
- **პირადი ცხოვრება** 22  
პაემანი „პროფილაქტიკაში“ და სიურპრიზი თვითმფრინავის ტრაპთან
- **ფესტივალი** 24  
კარგი ფესტივალის კეთება ძვირი ჯდება



## მზა გენილები

### ყველაზე დიდი უსინდისობა



„ახალგაჯნობილმა ბიჭმა, მეორე ნახვაზე მოტყუებით ნამიყვანა, ოჯახი უნდა გაგაცნო, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ მესამე სართულზე რკინის კარი გარედან ჩავვიკეტეს და იქ დამტოვეს“.

64

■ <b>ბანდები</b>	<b>26</b>
აქციები უშუქობასთან დაკავშირებით, ეზოში შემწვარი კარტოფილი და კალათბურთელი სამორი ბალდე...	
■ <b>კვალი</b>	<b>28</b>
„დათოს რომელიმე ნახატს შეველევი“	
■ <b>თაობა</b>	<b>31</b>
„ბედნიერია, როცა მღერის... ჰოდა, იმღეროს!“	
■ <b>პროფესია</b>	<b>33</b>
„ჰგონია, რადგან გახდილი ვცეკვავ, არც „სხვა რამეზე“ ვიტყვი უარს“	
■ <b>პრობლემა</b>	<b>34</b>
როგორ დავიცვათ თავი ოჯახური ძალადობისგან	
■ <b>ნამდვილი ამბავი</b>	<b>36</b>
ქალმა ქურდი დაიჭირა	
■ <b>თინეიჯერული პონტები</b>	<b>37</b>
დანუნებულები ანუ როცა წყვილის ცხოვრებაში ოჯახი ერევა	
■ <b>ოსტატი</b>	<b>40</b>
მოუსვენარი „დედა ფუტკარი“ და პატარა გოგონას ორიგინალური ნახატი	
■ <b>ბაქარი</b>	<b>42</b>
„იყავით მარილი ამა სოფლისა“	
■ <b>ერულიტი</b>	<b>44</b>
როგორი მესხიერება აქვს სალომე გოგიაშვილს	
■ <b>საკითხავი ქალაქისათვის</b>	<b>46</b>
■ <b>ანტიდეპრესანტი</b>	<b>48</b>
■ <b>ჯანმრთელობა</b>	<b>48</b>
■ <b>მოზაიკა</b>	<b>51</b>
■ <b>წვეთი პოეზია</b>	<b>52</b>
■ <b>რჩეული</b>	<b>53</b>
კონსტანტინე გამსახურდია. როგორ ვწერ?	
■ <b>ქართული ღებავები</b>	<b>56</b>
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (გაგრძელება)	
■ <b>რომანი</b>	<b>60</b>
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)	
■ <b>გზავნილები</b>	<b>64</b>
■ <b>ქართული სპორტის ლეგენდები</b>	<b>74</b>
■ <b>გასართობი</b>	<b>78</b>
■ <b>ასტროლოგია</b>	<b>80</b>
■ <b>სქანვორდი</b>	<b>81</b>

## საყვარო



## მოდა საქმიანი ქალაქისთვის

ცუდ ტონად ითვლება შიშველი ფეხების გამოჩენა, ხმამაღალი, ემოციური საუბარი, უხეში მანერები... დაბალი ხარისხის, პლასტმასის, მყვირალა ფერის ბიჟუტერიის ტარება.

**46**

## ბიბლუსი



## როგორ ვწერ?

„ვწუხვარ: მწერლობა პროფესიად რომ გადამეცა. ერთადერთ კარიერაზე ვოცნებობდი მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე, ეს იყო სამხედრო. 1918-1819 წლებში უნივერსიტეტი მინდოდა, დამეგდო და, პრუსიის გენშტაბის აკადემია მინდოდა დამესრულებინა, მაგრამ...“

**53**

## ბაიმ-აუტი



## გოგონა-საქმიანი „ბედნიერი საჭმელის ბავშვი“

...12 წლის იყო, როცა მამა დაუხვრიტეს, დედა — 10 წლით გადაასახლეს. მერე აიძულებდნენ, საქვეყნოდ ეძახა, — ბედნიერი ბავშვობა მაქვსო!.. უდღემამოდ გაიზარდა, მათი ლოცვა-კურთხევის გარეშე გათხოვდა და ცხოვრებაშიც ბევრი რამ დაკარგა.

**74**

საზომბალომბარივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
 გამოცემის კვირაში ერთხელ, სუთუბაბათოვი  
 ბაზამ „კვირის პალიტრის“ დამატება  
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე  
 მენეჯერი: მათე კბილაძე  
 დიზაინი: ანა უთურგაძე  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,  
 რეზო თხილიშვილი  
 მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49  
 ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge  
 რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.



# მუხათგვერდიდან ბათუმამდე ახუ ოეეე, ჯაჰაჰაჰაჰა

**შესავლის ნაცვლად** „მგლობნის მგლობნი არ დაილევიაო“ — ნათქვამია და აჰა! თვით მიზასა და თვით ვანოს საუბარსაც მოუსმინეს და ჩაინერეს!

მიშა როა, თორე, საინტერესო არაფერი — რაღაც სისულელეს ბუჭუტურობენ, უფრო საინტერესო მერაბიშვილისა და მისი ხელქვეითების საუბრებია, კიდევ უფრო საინტერესო კი — მერაბიშვილისა და ადგილობრივი დიალოგი, სადაც შსს-ს შეფი პროკურორ-თუხუცესს ჯერ ინფორმაციას აწვდის რომელიღაც „კაი პონტზე“, სადაც თურმე ისეთი კერძებია, რომ გასუქება თუ არ გინდა, არ უნდა მიხვიდე, რადგან თავს მაინც ვერ შეიკავებ; ბოლოს კი ეუბნება, — ნავედი ახლა, ბოკერეას უნდა ვაგინოო!

სამწუხაროდ, მერაბიშვილისა და ბოკერეას „საუბრის“ ჩანაწერი აღარ გამოქვეყნებულა, ეტყობა „ლაივში“, ტელევიზონის გარეშე აგინა...

ახლა კი ერთი მოულოდნელი რამ მინდა გითხრათ: იმის მიუხედავად, რომ ძალიან უსამართლო ადამიანი უნდა იყო, მე რომ ამ ხელისუფლების სიყვარული დამაბრალო (იხ. წინა, წინის წინა, იმის წინა, „კიდომ“ იმის წინა, „ევო, ევო, ევო ატეც“... მოკლედ, სხვა „პროვოკაციები“), ახლა მაინც უნდა ვთქვა: მერე რა?! ჰო, აი, ეს ჩანაწერები, მერე რა?!

საუბრობენ, მართალია, დიდჩინოსნები — მაგრამ მაინც მეგობრები, რომ რუსეთის აგენტობა ცუდია და რა კარგია, რომ ეს აგენტები „გავსკვანჩით“ და ქვეყანას საფრთხე ავაცლიეთო... სხვა საქმეა, იყვნენ თუ არა ესენი აგენტები, მაგრამ ვანოს, ამ ჩანაწერებიდან გამომდინარე, ხომ სჯერა? აი, ბოკერეას, ეტყობა, არ სჯეროდა, იმიტომაც წავიდა ვანო და აგინა (ყოველ შემთხვევაში, აპირებდა)...

პირადად მე, ის უფრო მაინტერესებს და დიდი ინტერესით მოვისმენდი, რა ილაპარაკა ბურჯანაძემ დღეს სასამართლოში დაკითხვაზე და რატომ არ დაუსვეს მას არც ერთი კითხვა მოსამართლემ და პროკურორმა — ორი საათი მხოლოდ „ფევილოგენსა“ და მისი ადვოკატის დიალოგს რომ უსმენდნენ.


კიდევ ის მაინტერესებს, შალიკო ნათელაშვილმა რომ „გააჟღერა“ ცხრა პოლიტიკური ორგანიზაციის განცხადება სააკაშვილის იმპინჩენტის მოთხოვნით, იმ ცხრა პარტიის ჩამონათვალში ლევან გაჩეჩილაძე პერსონალურად რატომ არის მოხსენიებული?!

კიდევ ის მაინტერესებს, ყველა პარტია რომ „ისვენებს“, ნათელაშვილს რატომ არ ასვენებს გამჩენი, არ სცხელა მაგას?!

„სცხელა“-ში ნამდვილ სიცხეს ვგულისხმობ, თორემ მაგათ რომ „სცხელათ“, სიცხე ისეთი უნდა...

ვაჰ, სიცხეზე გამახსენდა: მიშამ რომ თქვა ადრე და საქმიანაც რომ დაამტკიცა, — საქართველოში შესაძლებელია დილას თხილამურებით ისრიალო თოვლზე, ნაშუადღევს კი ზღვაში იჭყუმპალო და გაირუჯოო, ახლა უფრო შორს წავიდა: რვა აგვისტოს, დღის პირველ ნახევარში მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე „გულწრფელ“ ცრემლს ღვრიდა (არ დამინყოთ ახლა, „გულწრფელი“ ბრჭყალებში რატომ ჩასვი, ყველაფერზე შაყირი არ შეიძლებაო — ჩემი საქმისა მე ვიცი), მოსალამოებულზე კი, ამ ჩემი დასაბრმავებელი თვლებით ვნახე, როგორ „თუხთუხებდა“ ბათუმში, ერთი ძალიან ცნობილი მსატვრის კუთვნილ, ძალიან კარგ კაფეში... (ეგეც თქვენ, — „გულწრფელი ცრემლი“...)

მოკლედ, უბერავს ბიჭი რა... არადა, მართლა რომ ერთი ნაბიჯით უსწრებს ზოგადსაკაცობრიო პროგრესს?! აგერ, ამ დღეებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ იაპონელებმა „სათადარიგო დედაქალაქის“ აშენება გადაწყვიტეს და ეს მათი „ნოუ-ჰაუ“ გახლავთო! ოეეე, ჯაჰაჰაჰაჰა! „ნოუ-ჰაუ“ არა, „ისა“! დაგაგვიანდათ — მიშა-უფროსმა რახანია გადაწყვიტა, ქუთაისში უკრას თავი დედაქალაქს... რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იაპონელებს მინისძვრისა ეშინიათ, აქ კი, ზოგი თბილისის რუსებისთვის ჩაბარებას წინასწარმეტყველებს, ზოგი კი — მთელი ამიერსაქართველოს სომხებისთვის „დაბრუნებას“; მთავარი ის არის, რომ იაპონელებს დავახსნარით და ამაშიც პირველები ვართ!



**P.S.** ისე, ამ ქართველებს ყველაფერი დღესვე გვინდა, ყველაფერში გჭკარობთ... არადა, ეგრე არ არი, ძმაო — აი, 50 წლის წინანდელი ჩანაწერი გამოქვეყნდა ამერიკაში, სადაც პრეზიდენტ კენედის ცოლყოფილი, ჟაკ-ლინი, ისეთ რამეებს ამბობს, თმა ყალფზე დაგიდგება: მისი ქმრის მკვლელობის შემკვეთის ვინაობას რომ თავი დავანებოთ, ეს, ის და კიდევ ისიც, ჩემი საყვარლები იყვნენო! მოკლედ, ბოზი ვარო, რა! გადაირვეი კაცი! აი, ამას ჰქვია ალიარება, თორემ „ზილით“ 300 „ბოვიკი“ უნდა შემოგვეყვანაო, მაგას ვინც „ჭამს“, იმას მიართვით...

ეეჰ, ჩემი ძვლები აღარ იქნება თორემ, ერთი ნეტავ ის მომასმენინა, თუნდაც 50 წლის შემდეგ — ვანო რომ ბოკერეას აგინებს...

პროვოკატორი



# ქვეყანა

## ჩინელებმა ნავთის სპა დაიწყეს



ჩინელი მამაკაცი ირწმუნება, რომ ყოველთვიურად 3-3,5 ლიტრ ნავთს სვამს. როგორც გაირკვა, ჩენ დეგუნმა 42 წლის განმავლობაში 1,5 ტონა ნავთი დალია. მოხუცი ჩალით გადახურულ სახლში ცხოვრობს და თავის მხარეში — შუიჯიანგში საკმაოდ ცნობილი, ბამბუკის ოსტატია. ჩენმა სანვაის სასმლად გამოყენება მას შემდეგ დაიწყო, რაც უეცრად ხველება აუტყდა და გულმკერდში ტკივილი იგრძნო. ნავთის დაღევა მას უხუცესმა მეგობრებმა ურჩიეს. როგორც

თავად ამბობს, პირველი ჭიქის მიღების შემდეგ შეუძლოდ იგრძნო თავი და დასაძინებლად დაწვა; როცა გაიღვიძა, გამომჯობინებული იყო. ჰოდა, მას შემდეგ ნავთს ყოველდღე სვამს. ■

## პუტინს ჯაქსონის მომავალი ელის?!

რუსი ბლოგერები ამბობენ, რომ ვლადიმირ პუტინს ველარ ცნობენ — მის გარეგნულ ცვალილებებზე ონლაინ-დისკუსია სელიგერში პრემიერის ვიზიტისას გადაღებული ფოტოს ირგვლივ გაიმართა. დაკვირვებულმა ბლოგერებმა პუტინის „ახალი ფორმის თვალის ჭრილი“ აღმოაჩინეს. „ბოტოქსი — აი, რაშია



## ინდონეზიაში რელსაზე წოლით მკურნალობა

ინდონეზიის ქალაქ რავა ბუაიას მკვიდრთ სჯერათ, რომ რკინიგზის რელსებში გამავალი დენი მათ სხვადასხვა დაავადებისგან განკურნებაში დაეხმარება. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი ამბობს, ძაბვა მას დიაბეტთან და მაღალ არტერიულ წნევასთან ბრძოლაში ეხმარება. არატრადიციული მედიცინის მიმდევარმა ქალბატონმა რელსებზე დაწოლით მკურნალობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიტყო, რომ მისი ნაინსულტარი მეზობელი თვითმკვლელობის მიზნით რელსებზე დაწოლილა; დენის დარტყმას კი გამოუჯანსაღებია. მიუხედავად იმისა, რომ ინდონეზიის მთავრობამ რკინიგზაზე დაწოლისთვის 1.800 დოლარის ოდენობის ჯარიმა ან 3-თვიანი პატიმრობა დაანესა, რავა ბუაიას რკინიგზის სადგური მუდამ მძიმე ავადმყოფებითაა გავსებული. ■



საქმე! მალე ჯექსონივით, ხელსახოცი თ სახის დაფარვა მოუნევეს; — წერს ერთ-ერთი ბლოგერი. „ვინ არის ეს მამაკაცი? ეს კითხვა საკუთარ თავს ფოტოს დაწახვისთანავე დავუსვი, მაგრამ მისი იდენტიფიცირება შეუძლებელია. არ ვიცნობ ამ კაცს. დამიბრუნეთ პრემიერი ისეთი, როგორც წინათ იყო, მისი კოსმეტოლოგი კი ჩამოახრჩვეთ“, — ასეთია კიდევ ერთი ბლოგერის კომენტარი. ბლოგერებს არც ოპოზიციურად განწყობილი მწერალი ედუარდ ლიმონოვი ჩამორჩა. „პუტინი სელიგერში — უცნაური სახეა; საინტერესოა, რამ შეცვალა: შიშმა, მღელვარებამ თუ ალკოჰოლის ბოროტად მოხმარებამ? წყალში ჩაძირულს ჰგავსო, — ასე იტყოდნენ მოხუცები. მას მართლაც პრობლემები აქვს, არაჯანსაღად და დაბნეულად გამოიყურება“, — წერს ლიმონოვი. ■





### ტუტანჰამონი კავკასიელი ყოფილა...

გერმანელი გენეტიკოსები ამბობენ, რომ თანამედროვე ევროპელები ეგვიპტელი ფარაონების მემკვიდრეები არიან, თავად ფარაონების წინაპარი კი — კავკასიელია. „ის შეიძლება ყოფილიყო ქართველი, ოსი, დაღესტნელი ან ჩეჩენი“, — ვარაუდობს გენეალოგიური კვლევითი ცენტრის მეცნიერი რომან შოლცი და ამ სენსაციურ აღმოჩენას უახლესი სამეცნიერო ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემებით ასაბუთებს. ციურისის კვლევითი ცენტრის ბიოლოგებმა ტუტანჰამონის დნმ-ის ნიმუშები თანამედროვე ევროპელებისა და ეგვიპტელების გენეტიკურ კოდს შეადარეს. გაირკვა, რომ ბრიტანეთში, ესპანეთსა და საფრანგეთში ფარაონის უცვლელ გენეტიკურ კოდს მოსახლეობის 60-70% ატარებს, ეგვიპტეში კი — მხოლოდ 1%. „თანამედროვე ეგვიპტელებს ყოფილ ძველამოსილ მმართველებთან საერთო არაფერი აქვთ. ვფიქრობ, ეგვიპტელი მმართველებისა და ევროპელების საერთო წინაპარი 9500 წლის წინ კავკასიაში ცხოვრობდა. 7000 წლის წინ კი მისი შთამომავლები ევროპაში დასახლდნენ, მათმა ნაწილმა ეგვიპტემდე მიაღწია და მმართველ კასტად ჩამოყალიბდა“, — ამბობს რომან შოლცი. მეცნიერებმა გენეტიკური ინფორმაციის საფუძველზე ტუტანჰამონის სავარაუდო პორტრეტიც შექმნეს, რომელსაც ნამდვილი კავკასიური სახე აქვს.

## 30 წუთი მიწაში...

კალიფორნიელი მეთიუ მაინა 30 წუთის განმავლობაში მიწის ქვეშ იმყოფებოდა. 17 წლის მეთიუ ნიუპორტის პლაჟზე ისვენებდა და ქვიშის გვირაბს აშენებდა. მოზარდი კონსტრუქციის აშენებით ისე გაერთო, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ აღმოჩნდა მიწის სიღრმეში. მეთიუს დასახმარებლად ტურისტები მიცვივდნენ, 30-მდე ადამიანი ქვიშის ამოთხრას შეუდგა. ბოლოს შემთხვევის ადგილზე მაშველებიც გამოჩნდნენ. ახალგაზრდამ გონება დაკარგა, მაგრამ მალევე მოასულიერეს.



## შვედეთის პრემიერის ვაჟი მიმტანია

შვედეთის პრემიერ-მინისტრის, ფრედრიკ რაინფელდტის 18 წლის ვაჟმა — გუსტავმა „მაკდონალდსში“ მიმტანად დაიწყო მუშაობა და ამის შესახებ საზოგადოებას სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ საშუალებით აცნობა. „მაკდონალდსში“ მოვეწყვე, ძალიან კმაყოფილი ვარ!“ — წერს გუსტავი. რესტორნის პრესსამსახურის წარმომადგენლებმა ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს. კომენტარს ჯერჯერობით არც პრემიერი და მისი ოჯახის წევრები აკეთებენ.



რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები



## თალიზი

თმის გალანერგვის კლინიკა

თაშაშაძის ქ. 27 ტელ: 214-15-15  
www.talizi.ge



# დაკარგული მეომრები და შინგოუსკლელის მოლოდინის იმედით მსხროვრები დადა

2008 წლის აგვისტოს ომიდან უკვე 3 წელი გავიდა. ოფიციალური მონაცემებით, რუსულ ინტერვენციას საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი, 14 პოლიციელი ემსხვერპლა; უგზო-უკვლოდ დაკარგულად 8 სამხედრო მოსამსახურე მიიჩნევა (6 კაპიტანი, ერთი სერჟანტი და ერთი ლეიტენანტი). დაღუპულთა შორის არიან ჟურნალისტებიც. თითქმის 150 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

## სათუნა გახტურია

აგვისტოს ომის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროცესში, კავკასიის საკითხებში ექსპერტი მამუკა არეშიძე ჩაერთო, რომელმაც რამდენიმე შეხვედრა გამართა რუსეთის საზოგადოებრივი პალატისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

### გაზუპა არაშოქა:

— ვფიქრობ, რომ დაკარგული ჯარისკაცების რაოდენობა რვას აღემატება. ჩემი აზრით, სულ ცოტა თერთმეტი ჯარისკაცი მაინც არის გაუჩინარებული. რუსულ მხარეს რამდენჯერმე შევხვედი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში ამ საკითხზე გარკვეული უთანხმოება იყო. მათ ჩვენი დახმარების სურვილი არ ჰქონდათ. ჩვენ მხოლოდ ზვიად კოპალაძის მოძებნა შევძელით. თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ მისი ადგილსამყოფელი ოფიციალური თბილისისთვისაც ცნობილი იყო — უბრალოდ, გარკვეული მოსაზრებით არ ამზუერებდ-



ნენ: ის ცხინვალის ციხეში იჯდა... მისი პოვნის შემდეგ დავრწმუნდი, რომ რუსეთთან მუშაობა არაპერსპექტიული იყო. სოფელ ერედვში ორი სამარხის არსებობის თაობაზეც გვექონდა ინფორმაცია. ჩვენი მონაცემებით, ერთ-ერთში 2 გვამი უნდა ყოფილიყო, მეორეში — 5. ეს ინფორმაცია შსს-ს შესაბამის სტრუქტურას შევატყობინეთ — სხვას ველარაფერს გავაკეთებდით. გავარკვეით ისიც, რომ ვლადიკავკაზში, მიტოვებული ქარხნის ტერიტორიაზე, დაკეტილ ციხეში ჩვენი ბიჭები უნდა

ყოფილიყვნენ. მაგრამ როდესაც იქ ჩვენი წარმომადგენლები მივიდნენ, ციხე უკვე გაუქმებული დახვდათ. ასევე გვექონდა ინფორმაცია, რომ გროზნოში, ერთ-ერთ სოფელში იყვნენ ტყვეები, მაგრამ ვერც იქ მივაგენით კონკრეტულ ადამიანებს. იმის გამო, რომ მშობლებს არ ჰქონოდათ ჩემი იმედი, ოფიციალურად შევწყვიტე ძიება.

მამუკა არეშიძის თქმით, დაკარგულების ძიების პროცესში ყველაზე რთული — მშობლებთან ურთიერთობა იყო, რომლებიც შვილების სიკვდილს არ იჯერებდნენ და მათი ცოცხლად პოვნის იმედს არ კარგავდნენ.

მართლაც ყველა დედისთვის ძალზე ძნელია იმის დაჯერება, რომ დამახინჯებული გვამი, რომელსაც მისი შვილის დე-ენ-ემი აღმოაჩნდა, ის ჯან-ღონითა და სიცოცხლით სავსე ვაჟუცაცია, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინ ასე ამაყობდა... ამ ავბედითმა ომმა ხომ საუკეთესო, რჩეული ბიჭები შეინირა...

ნათელა ნატროშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც დღემდე იმ იმედით ცოცხლობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ლეესო ეზოს კარს შემოაღებს, ხმამაღლა დაიძახებს — დედიო! — და მშობელს ღონიერ მკერდში ჩაიკრავს. როგორც ალექსის თანამებრძოლები ამბობენ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, სოფელ დუბავაია როშაში სამ ჯარისკაცთან ერთად დაზვერვაზე წასულა, უკან დაბრუნებული კი აღარავის უნახავს...

ალექსი 1978 წელს რუსთაველი დაბადებულია. მშვიდი, განონასწორებული ყმაწვილი და ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე ყოფილა. მეექვსე კლასში სწავლობდა, როდესაც ოჯახი საცხოვრებლად გურჯაანის რაიონში, სოფელ ვაჩნაძიანში გადასულა. სოფლის სკოლაშიც უსახელებია თავი, ყველა საგანს კარგად სწავლობდა. განსაკუთრებით, საქართველოს ისტორია უყვარდა. იარაღიც აინტერესებდა. თანატოლები იხსენებენ, — ბავშვობაში „ომობა-



ვფიქრობ, რომ დაკარგული ჯარისკაცების რაოდენობა რვას აღემატება



თანამებროლებთან ერთად

ნას“ რომ ვთამაშობდით, ისეთ იარაღს იგონებდა, გვაოცებდაო. ლირსეული, შრომისმოყვარე, სამართლიანი და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი იყო. ახლა ის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანია. როგორც დედამისი — ქალბატონი ნათელა ამბობს, ოჯახი ძალიან უყვარდა, მშობლებსა და დედამამიშვილებზე გამუდმებით ზრუნავდა, მაგრამ უპირველესი მისთვის მაინც საქართველო იყო. ერთხელ დედას თავისი მეომარი შვილისთვის დარდიანად უთქვამს, — ვნერვიულობ, ჯარში რომ ხარო. ლექსოს კი ასეთი პასუხი გაუცია, — ხერხეულიძეების დედამ ცხრა შვილი შესწირა სამშობლოს და თუ საჭირო გახდა, შენ ერთი როგორ ვერ უნდა გაიმეტო?! მალევე ახდა მისი საბედისწერო სიტყვები. სამშობლოსთვის თავდადებულმა, გულანთებულმა ლექსომაც უყოყმანოდ, დაუმაღლებლად მიიტანა თავი მის სამსხვერპლოზე.

დედას ძალიან უჭირს 29 წლის ვაჟიშვილზე წარსულში საუბარი, მაგრამ თავს ძალას ატანს...

**ნათელა ნატროშვილი:**

— ძალიან ჭკვიანი და დამჯერი ბავშვი იყო. პატარაობიდანვე ბევრს კითხულობდა, ყველაფერი აინტერესებდა. ჩემი მამამთილი და მამაჩემი სამამულო ომის მონაწილეები იყვნენ; ძალიან უყვარდა მათი ნაამბობის მოსმენა. სულ პატარა ბიჭი იყო, გვერდით რომ მიუჯდებოდა, ხან ერთს, ხან — მეორეს და ეტყოდა, — აბა, პაპი, ფრონტის ამბებს მომიყევიო... სხვისი დაცვისა და ზრუნვის სურვილიც ბავშვობიდანვე ჰქონდა. სხვათა შორის, თავიდან უნდოდა, ექიმი, ქირურგი გამოსულიყო. საშუალო სკოლას რომ ამთავრებდა, იმ პერიოდში ქვეყანაში მეტისმეტად რთული მდგომარე-

ობა იყო. ხალხს ძალიან უჭირდა; ჩვენს ახლობლებს შორის, ბევრი საოპერაციო იყო, მაგრამ უსახსრობის გამო ექიმთან მისვლასაც კი ვერ ახერხებდა. ერთხელ ლექსომ თქვა, — ქირურგი გავხდები და ყველა ღარიბ ადამიანს ოპერაციას უფასოდ გავუკეთებო... სამედიცინოზე პირველივე წელს რომ ვერ ჩაირიცხა, მერე გადაწყვეტილება შეცვალა და ისტორიისა და სამართლის ფაკულტეტზე ჩააბარა. შემდეგ კი სამხედრო აკადემიაში ერთწლიანი კურსი გაიარა. აკადემია რომ დაამთავრა, იმ წელს თელავის კომანდოს ბატალიონი შეიქმნა და იქ დაინიშნა სამსახური; ოცმეთაურად დაინიშნეს. ცხინვალშიც ოთხი ზამთარი გაატარა სამშვიდობო მისიით. სამსახურის გამო შინ ხშირად ვერ მოდიოდა, მაგრამ ოჯახის წევრებს ყოველთვის გვეხმარებოდა. ბოლოს მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა. ომამდე 10 დღით ადრე ასმეთაურად დაინიშნა. აგვისტოს ბოლოს კაპიტანიც უნდა გამხდარიყო.

— თქვენი შვილი ბოლოს როდის ნახეთ?

— ომამდე ერთი კვირით ადრე ვნახე. პაპამისი დაიღუპა და სოფელში ამის გამო ჩამოვიდა.

— ომის შესახებ ხომ არაფერი უთქვამს?

— არაფერი. ყოველთვის ცდილობდა, ჩემთვის ისეთი არაფერი ეთქვა, რაც გულს მატკუნდა. მამამისს უფრო ელაპარაკებოდა. თუმცა ომის შესახებ არც მისთვის უთქვამს რამე. სულ გვეხვეწებოდა, — თავს გაუფრთხილდით, ძალიან მჭირდებით, თქვენი არაფერი მინდა, ოღონდ ცოცხლები მყავდეთო. 6 აგვისტოს ტელეფონით მელაპარაკა. თურმე მაშინ უკვე ცხინვალში ყოფილა, მაგრამ არ მითხრა. ტელეფონზე თანხის ჩარიცხვა მთხოვა. ძალიან გამიკვირდა — ასეთი რამ ადრე არასდროს უთხოვია. ყოველთვის აქეთ გვეხ-

მარებოდა. ვკითხე, — ამ შაბათ-კვირას ხომ ჩამოხვალ-მეთქი? მიპასუხა, — კი, დედა, აუცილებლად ჩამოვალ. ჩემმა უმცროსმა ბიჭმა იცოდა, რომ ლექსო ცხინვალში, ომში იყო. თურმე ჩემს ძმასაც ხშირად ელაპარაკებოდა. გახარებულს დაურეკავს მისთვის, ცხინვალი ავიღეთო... ახლა ჩემი ნუგეში მხოლოდ ის არის, რომ ჩემი ლექსოს ძმაცაცები სულ მის ვაჟეცობაზე ლაპარაკობენ. ამბობენ, რომ სამაგალითო ჯარისკაცი იყო.


— როგორ მოხდა, რომ ასეთი ტრაგედიის შემდეგ თქვენმა მეორე ვაჟიშვილმაც არმიაში სამსახური დაიწყო?

— ჩემი უმცროსი ბიჭი ომის



6 აგვისტოს ტელეფონით მელაპარაკა. თურმე მაშინ უკვე ცხინვალში ყოფილა,

დაწყებამდე ეხვეწებოდა თავის ძმას, — ჯარში მეც წამიყვანე, შენ გვერდით თავს უფრო მშვიდად ვგრძნობო. ლექსო მხოლოდ ფიზიკურად კი არა, სულიერადაც ძლიერი ბიჭი იყო. გარშემო მყოფებს მისი



**რადიო თავისუფლება**

**უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!**

**რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!**

**ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.**

**radiotavisupleba.ge**



ყოველთვის ეიმედებოდათ. თავის ძმას განსაკუთრებულად ჰქონდა მისი იმედი. მეც მიხაროდა, ძმებს ერთად ყოფნა რომ უნდოდათ. ვფიქრობდი, ერთად ყველა პრობლემას დაძლევენ. ლექსოს დახმარებით, ბესომ 2007 წლისთვის ყველა საბუთი გააკეთა და დღე-დღეზე ელოდებოდა ჯარში წასვლას, მაგრამ მერე ავარიისში მოყვა და გემები შეეცვალა. ძლივს გადამირჩა ცოცხალი. ახლა ჯარში თავისი ძმა აღარ ეგულება, მაგრამ გული მაინც იქით მიუწევს, ამბობს, რომ ძმის სისხლი აქვს ასაღები...

— ლექსოს სამომავლო გეგმების შესახებ თუ იცოდით რამე?

— კი, ოჯახზე, შვილებზე, ტყუპ ბიჭზე ოცნებობდა... რუსთაველი ერთი გოგონა გაუცნია და ძალიან მოსწონებია. მეზობლისთვის უთქვამს, — ჯერ ერაყში მინდა წასვლა; იქიდან რომ დავბრუნდები, აუცილებლად დავოჯახდები, შეიძლება, წასვლამდე დავინიშნო კიდეცო.

— იმ გოგონას ხომ არ დაჰკავშირებხართ?

— ძალიან მინდოდა იმ გოგონას ნახვა, ვისთან ერთადაც ჩემი შვილი ოჯახის შექმნას აპირებდა, მაგრამ ვერ გაგებდე, მომერიდა... არ მინდოდა, ჩემი ტკივილი სხვისი შვილისთვისაც მომეხვია თავს. ისე კი დარწმუნებული ვარ, ის გოგონა ძალიან კარგი ადამიანი იქნება — სხვაგვარად ლექსოს არ მოეწონებოდა. სულ მიკვირს, ნეტავ ლექსოს დამკარგავი დედა ცოცხალი როგორ ვარ, მაგრამ ალბათ ის მაძლებიანებს, რომ ჩემი ბიჭის სიკვდილის ამბავს ბოლომდე ვერ ვიჯერებ. მართალია, საფლავზე დავდივარ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ შეიძლება, ჩემი შვილი იქ არც წევს... მე ცხედარი არ მინახავს და რა ვიცი, რომ ის მართლა ლექსოა?! დე-ენ-ემის ანალიზი კი გააკეთეს, მაგრამ იქნებ შეცდნენ, ამქვეყნად ხომ ყველაფერი ხდება!

*P.S. ამქვეყნად მართლაც ყველაფერი ხდება... სწორედ ამის იმედი ასულდგმულებს შინმოუსვლელთა დედეებს. ღმერთმა გამძლეობა მისცეს ამ მამაც და კეთილშობილ ქალბატონებს! მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას საკუთარი შვილები ცოცხლები ჰგონიათ, დაღუპულებს მთელი გულით დასტირიათ; ამბობენ, რომ ვინც უნდა იყოს მიცვალებული, თუნდაც სხვისი შვილი, ის სამშობლოსთვისაა თავშენიარული და დედის ალალ ცრემლს დაუყვედრებლად იმსახურებს.*

# „შესაძლოა, მთელი მხვანა საფარის გაანადგურონ“

„ეს არც ანომალიაა და არც აბაჯლიზმების მომასწავლებელი“

ტემპერატურის მომატება და ქვეწარმავლებისა თუ მწერების მომრავლება მსოფლიოს ახალი საფრთხის წინაშე აყენებს. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსი ზურა ლატარია ამბობს, განსაკუთრებულად ცხელი დღეები, უზვეულოდ დიდი ზომის კალიები და აგრესიული ქვეწარმავლები არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის სერიოზულ პრობლემად იქცა. ახალი საფრთხეების გამომწვევ მიზეზებსა და მოსალოდნელ შედეგებზე ზურაბ ლატარიასა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბიოკონტროლის კვლევითი ცენტრის დირექტორს ბიორგი ჯაპოშვილს ვესაუბრე.

## ხათუნა ბახტურიძე

— რა გახდა კალიების მომრავლების უმთავრესი მიზეზი? ზურაბ ლატარია:

— კალიების მომრავლება, საქართველოს გარდა, აზერბაიჯანში, რუსეთში, სომხეთში, ავღანეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთსა და კიდეც სხვა მრავალ ქვეყანაში შეინიშნება. მათი ასეთი შემოსევა გლობალური დათბობის შედეგია — ე.ი. ზამთარში აღარ იხოცებიან და გაზაფხულსა და ზაფხულში უკვე მასობრივად მრავლდებიან. სხვათა შორის, კალიებთან ერთად, სხვა მწერებიც მასობრივად მომრავლდა.

— კონკრეტულად რომელი?

— სიმინდის ფარვანა, მდელოს ხვატარი, ამერიკული პეპელა...

— ქვეწარმავლების მომრავლებაც გლობალური დათბობის შედეგია?

— დიახ. თუ გლობალური დათბობას რალაცას არ დავუპირისპირებთ, მწერებისა და ქვეწარმავლების მომრავლებასთან ერთად შესაძლოა, სხვა პრობლემების წინაშეც დავდგეთ. დღეს მთელი მსოფლიოს მეცნიერები გვალვის გამძლე სამეურნეო კულტურების გამოყვანაზე მუშაობენ.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ძლიერმა სიცხემ, მწერებისა და ქვეწარმავლების მასობრივმა მომრავლებამ ბუნებრივი კატაკლიზმები გამოიწვიოს?

— 2-3 წელიწადში — არა, მაგრამ 10, 20 წლის შემდეგ შესაძლოა, ეკოსისტემაში გარკვეული ცვლილებები მართლაც მოხდეს...

— რა ცვლილებებს გულისხმობთ?

— თუ მწერების წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ღონისძიებებს არ განვახორციელებთ, შესაძლოა, მარტო სასურსათო სამეურნეო კულტურები კი არა, მთლიანად მწვანე საფარიც გაანადგურონ.

— მწერებთან ბრძოლის რა საშუალებები არსებობს და რა ღონისძიება ტარდება ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში?

— მსოფლიოში მწერებთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალება არსებობს, როგორც ქიმიური, ისე ბიოლოგიური. საქართველოში ჩვენ ყოველ წელს ვინიშნავთ კალიების მიერ დაზიანებულ კერებს და ქი-



აგრესიული ქვეწარმავლები არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის სერიოზულ პრობლემად იქცა



კალიების მომრავლებას, სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად, კლიმატური პირობებიც იწვევს

მიურად ვამუშავებთ. მთელი ფართობის დამუშავებას აზრი არა აქვს. ძირითადად, მინდვრებსა და დაუსახლებელ ადგილებს ვწამლავთ. წელს 2 ათასი ჰექტარი მიწა დავამუშავეთ.

— ყველაზე ძლიერი კერები სად იყო?

— ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. სამეგრელოს, გურიას, აჭარასა და იმერეთის გარკვეულ ნაწილს ამერიკული პეპელა შეესია. ამ რაიონებში 8 ათასი ჰექტარის დამუშავება მოგვიხდა.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ბიორგი ჯაგოშვილს. მისი თქმით, კალიების მომრავლება 7, 10 ან 50 წელიწადში ერთხელ — ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს არც ანომალიაა და არც ბუნებრივი კატაკლიზმების მომასწავებელი.

— ბატონო გიორგი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ განსაკუთრებული სიცხე და მწერებისა და ქვეწარმავლების მომრავლება, უბრალოდ, დამთხვევაა?

— არა, დამთხვევა ნამდვილად არ არის. კალიების მომრავლებას, სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად, კლიმატური პირობებიც იწვევს. სხვა გარემო ფაქტორებში ვგულისხმობ კალიების ბუნებრივი მტრების შემცირებას. ადვილი შესაძლებელია, მომავალი წლიდან ამ მწერების ბუნებრივი მტრები, რომელთა საკვებ ბაზასაც კალიები წარმოადგენენ, ისევ მომრავლდნენ, რაც კალიების რაოდენობას თავისთავად შეამცირებს.

— კალია ადამიანის ჯანმრთელობისთვის რამდენად სახიფათოა?

— კალია ადამიანისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. მე თუ მკითხავთ, მათ სანინაალმდეგოდ ქიმიური ნივთიერებე-

ბით შენამვლა უფრო სახიფათოა.

— რას გულისხმობთ?

— იმას ვგულისხმობ, რომ ის ქიმიური შენაერთი, რომლითაც კალიებს წამლავენ, ადამიანის ჯანმრთელობისთვისაც მავნებელია და — სასარგებლო მწერებისთვისაც.

— ბატონო გიორგი, ბოლო დროს მოსახლეობა უჩვეულო ფორმის მწერების მომრავლებაზე ალაპარაკდა. მაინც რითი შეიძლება იყოს გამონეული ახალი მწერების გამოჩენა?

— ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა. კალიების მომრავლების გამო ადამიანები უფრო მგრძობიარენი გახდნენ და ცოცხალ ორგანიზმებს უფრო მეტად უკვირდებიან. მათ ჰგონიათ, რომ ბუნებაში ახლა გამოჩნდა ესა თუ ის მწერი, სინამდვილეში ისინი ადრეც არსებობდნენ, უბრალოდ, აქამდე ყურადღებას არ ვაქცევდით.

— იმ ფაქტს რითი ახსნით, რომ ხოჭოები, რომლებიც დინოზაურებზე გამძლენიც კი იყვნენ, ბოლო დროს სადღაც გაუჩინარდნენ?

— მეცნიერები ამბობენ, რომ ამის მიზეზი — მაღალსიშირიანი მობილური კავშირგაბმულობის გავრცელებაა. ისე კი, ვის სჭირდება ხოჭოები?... ძალიანაც კარგი, თუ გაუჩინარდნენ.

ქ. ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი

გაბთი 200355  
ჯეოსელი 700555  
ბილაინი 700555

### გთხოვთ დარეკოთ

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი

გაბთი 200320  
ჯეოსელი 700305  
ბილაინი 700333



# ზაფხულია, სხელა, სხელა... ანუ დასვენება „აკვაპარკულად“



დედაქალაქში დარჩენილთათვის, სიცხესთან „ბრძოლის“ ერთ-ერთი საშუალება, ბუნებრივი წყალსაცავების სტუმრობის გარდა, „აკვაპარკში“ დასვენებაა: სუფთა აუზი და წყალი, მუსიკა, კვების ობიექტები, ატრაქციონები — რა გინდა, სულო და გულო!.. შაბათს, როცა გასართობად მოვიცალე, მეც იქით გავეშურე. როგორც „აკვაპარკის“ პიარ-მენეჯერმა თავი სოსელიამ მითხრა, უქმეებზე ფასდაკლების აქცია ჯერჯერობით არ მოქმედებს, ამიტომაც კვირის განმავლობაში გაცილებით მეტი ადამიანი სტუმრობს და ხშირად შეზღონებისა და ქოლგების დეფიციტია. წელს რამდენიმე ატრაქციონს სარემონტო სამუშაო ჩაუტარდა და თითქმის ყველა მაშველი შეიცვალა. — აი, ხომ ხედავთ, რა სიმპათიური ბიჭები გვყავსო! — კმაყოფილებით აღნიშნა თავი. პიარ-მენეჯერმა ისიც მითხრა, რომ უკუნედებზე საქართველოში ჩამოსული ტურისტების სიჭარბე შეინიშნება. ამაში რამდენიმე წუთში დავწმუნდი: გარშემო ძირითადად თურქი, აზერბაიჯანელი და ირანელი სტუმრები მიმოდიოდნენ, მათი შემხედვარე მაშველები კი დიდ გასაჭირში იმყოფებოდნენ, რადგან საკომუნიკაციო პრობლემების წინაშე დგებიან.

## ელენე ბასილიძე

### ზურა სორგუაშვილი, მასველი:

— აქ თავიდან დასასვენებლად მოვდიოდი ხოლმე. ერთ დღესაც მუშაობა შემომთავაზეს და უარი არ მითქვამს. აუცილებელი პირობა იყო — ცურვის ცოდნა და შენი მითითების სისწორეში ადამიანის დარწმუნების უნარი. აქ ხშირად, ცოტა არ იყოს, უცნაური დამსვენებლები მოდიან და იძულებული ვართ, ექსტრემალური და ასე ვთქვათ, საშიში აზრები შევაცვლევინოთ, რადგან შესაძლოა, წყალში არასწორად დამშვების შემთხვევაში რაიმე დაიზიანოს.

### ჭირვეულ დამსვენებლებზე რას მეტყვი?

— კარგს არაფერს (იციან). არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ვერაფერს შეასმენ. ასე არ შეიძლება, ეს არ ქნათ-თქო, რომ ვუბნებით, მაინც ისე იქცევიან, როგორც უნდათ. იმ შემთხვევაში, თუ არ დაგვიჯერებენ და სიტუაცია გართულდება, უფლება გვაქვს, ტერიტორია დავატოვებინოთ, მაგრამ ასეთი ზომისთვის ჯერჯერობით არ მიმიმართავს. უცხო ენები არ ვიცი და როცა ატრაქციონზე სასრიალოდ უცხოელები მოდიან, საკმაოდ დიდ შარში ვხვდები. ხელებით, ფეხებითა და მიმიკით ვცდილობ, რამე გავაგებინო. ხშირად ხდება, რომ მათ ნათქვამზე თავის მტვრევა დიდხანს მიწევს. უცხოელებს რას ვერჩი — ხშირად ქართველებთანაც მიჭირს ურთიერ-

თობა. დღეს დილის 10 საათზე რამდენიმე დამსვენებელი შემოვიდა, რომელთაც სულ კუდში დევნა სჭირდებოდა, რომ რაიმე არასწორად რომ არ გააკეთონ და თავი არ დაიზავონ. მაგრამ ჩემი სამსახური მაინც ძალიან მიყვარს, ვერთობი და ადამიანებსაც ვხმარები...

### როგორ ერთობი?

— მეც ვსრიალებ ატრაქციონებზე, როცა შედარებით ცოტა ხალხია, აუზში ვბანაობ...

### დამსვენებელ გოგონებს არ ეპრანჭები?


— მე — არა; თუ თავად გამოიჩინენ ინიციატივას, ეგ სხვა საქმეა... სამუშაო საათებში გოგონებისთვის ნამდვილად არ გვცალია. ხანდახან გასაბერი კამერის რიგში იმდენი ხალხი დგას, გული შეგიწუხდება და გოგონები ხშირად იმიტომაც ცდილობენ დაგვიახლოვდნენ, რომ მაშველებს ურიგოდ შეგვიძლია კამერის აღება: მოდიან და გვთხოვენ, — იქნებ კამერა „დაგვითრიოთო“?! სანაცვლოდ კი ტელეფონის ნომერს გვიტოვებენ (იციან). დილის საათებში დამსვენებლები ატრაქციონზე სასრიალოდ რომ მოდიან, — წყალი ცივია-თქო? — ვკითხვებით ხოლმე. ისინიც აკანკალებულეები გვპასუხობენ — კიო. — მოდი, ჩართულ „ვიპტილინკს“ გაგატან და შენი ჭირიმე, ჩააგდე წყალში-მეთქი, — სერიოზული გამომეტყველებით ვთხოვ. ამ დროს მათი სახეები რომ დაგანახვან (იციან)... როცა სასრიალოდ პირველად მოდიან და შეშინებ-

ულეები კითხულობენ, — დავიმტვრევითო? — ჩვენც ცეცხლზე ნავთს ვუსხამთ, მაგრამ მალევე ხვდებიან, რომ ვეხუმრებით. ერთ-ერთი დახურული ატრაქციონი, რომელსაც მილის ფორმა აქვს, შუადღისთვის ძალიან ხურდება. ჰოდა, დამსვენებლებს ვუბნებოდით ხოლმე, — თუ ძალიან ცხელია, გათბობას გამოვართვევინებთ-თქო; მერე თვითონვე გვთხოვდნენ, მოდი, რა, გათბობა გამორთეთო (იციან).

### მამა მიძახე, დამსვენებელი:

— აქ კვირაში ერთხელ მაინც მოვდივართ. სიტუაცია მომწონს, სისუფთავეა და შაბათ-კვირას ნამდვილი სამოთხეა, რადგან ბევრი ხალხი

არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ვერაფერს შეასმენ





შარშან ვაკის საცურაო აუზზე დავდიოდი და ვერანდაზე „ვზაგრაობდი“

არ დადის. სიმართლე გითხრათ, თბილისური დასვენება არც ისე ცუდია, შეიძლება საზღვაო კურორტზე დასვენებასაც კი სჯობდეს.

მართალია, პარკში ცოტა ხალხი იყო, მაგრამ მათ შორის ორი ცნობილი ადამიანი — ზალიკო ბერგერი და ანრი ჯოხაძეც შევნიშნე.

**ზალიკო ბერგერი:**

— ვგიჟდები „აკვაპარკულ“ დასვენებაზე. აქ ყოველ წელს მოვდივარ. შარშან ვაკის საცურაო აუზზე დავდიოდი და ვერანდაზე „ვზაგრაობდი“, წელს კი გასართობად ეს ადგილი ვარჩიე. სექტემბერში იტალიაში მივდივარ, მერე შეიძლება, გერმანიაშიც წავიდე... მანამდე კი მინდა

ბათუმში წასვლა, მაგრამ ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია. ვზივარ თბილისში და „აკვაპარკის“ წყლით ვგრილდები. გუშინ ერთ-ერთ „ფართიზე“ ვიყავი და ჩემი თავის მე თვითონაც გამკვირვებია — დღეს აქ მოსვლა როგორ შეუძელი?! — მაგრამ

როცა გცხელა (იცინის)...

— **ქალაქიდან გასვლას ვერ ახერხებ?**


**ანრი ჯოხაძე:**

— ვერ კი არა, არ ვახერხებ. მე მთელი ზაფხულის განმავლობაში ქალაქიდან არ გავედივარ. ახლაც დიდი სიამოვნებით ვმუშაობ... დღეს ძლივს მოვიცალე და პირველად მოვედი აუზზე, თორემ აქამდე სახლის პირობებში ვგრილდებოდი. საკუთარი სახლი მაქვს, ეზოში შადრევნიდან წყლის ჭავლს მოვუშვებ და „მანვიმს“. მიხარია, რომ ბევრი ხალხი არ არის დღეს, ალბათ ისე ცხელა, აქამდეც ვერ მოაღწიეს. მე აქვე ახლოს ვცხოვრობ. მთელი დღეა, მანვისა და

შადრევნის მეტი არაფერი მიმიღია.

— **დეტაზე ხარ?**

— არა. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვერაფერს ვჭამ, და სხვათა შორის, 4 კილო უკვე დავიკელი. ახლა ბატონმა ფეფემ („აკვაპარკის“ მეპატრონეს გულისხმობს. — ავტ.) მოსაწვევები მაჩუქა და ხშირად მოვალ აქ. მე ხომ საქართველოს „ლუბიმიკი“ ვარ!..



მე ხომ საქართველოს „ლუბიმიკი“ ვარ!.. (ანრი ლისვილითან ერთად)

11-დან - 18 აპრილამდე

**„ჩემი ჩრეული“**

ძარბაზი კლასიკოსების ჩრეული ტომეულები.

ყოველ სუთშაბათს შურნალ „გზასთან“ ერთად.

მაგარი ბარეკანით

**№3 მიხეილ ჯავახიშვილი**

**შვიდტომეული**

უკვე გამოცემული ტომები (ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, გალაკტიონ ტაბიკის ხუთტომეული, მიხეილ ჯავახიშვილის I, II ტომი) შავიპილიან შვიდტომეულ ტომებს გადასცემენ!

ფიგურის ფასი: **5 ლარი**  
 ჟურნალთან ერთად: **6 ლარი**

შეიძლება მიხეილ ჯავახიშვილი ტომი №4



ცურვა არ ვიცი, მაგრამ მუხლამდე წყალში მობანავე პატარებს საკმაოდ კარგად ვმეთვალყურეობ

ერთ-ერთ ატრაქციონზე ასული კი საკმაოდ უცნაურ სიტუაციას შექმნის... არი: მამულის ტანისამოსი გამოიყენებოდა, — ხომ იცი, რომ ძალიან მემშინია და ჩემთან ერთად ჩამოსრიალდი ატრაქციონიდანო... კანკალკანკალით ჩაჯდა გასაბერ ლეიბში და ნივილ-კივილით დაეშვა ძირს. რა თქმა უნდა, დავეინტერესდი მშიშარა მამუვლით და მის კომპლუქსს ვწვივე.

მთი, ვაჟილი:

— მე პატარების ატრაქციონზე ვმუშაობ. ცურვა არ ვიცი, მაგრამ მუხლამდე წყალში მობანავე პატარებს საკმაოდ კარგად ვმეთვალყურეობ. ხშირად მშობლები ბავშვებს გვიტოვებენ და თვითონ სხვა აუზში ბანაობენ. მე და მარი კი პატარებს ვპატრონობთ. დახრჩობა არ ეშუქრებათ, მაგრამ ერთმანეთს ეჯახებიან ხოლმე და მსხვილმსხვილი კოპები აზით თავზე.

მარი, ვაჟილი:


— ვფიქრობ, ჩვენი საქმე უფრო საპასუხისმგებლოა, რადგან პატარებთან გვაქვს საქმე. ძალიან საყვარელი დამსვენებლები გვსტუმრობენ და მათთან ერთად, ჩვენც კარგად ვერთობით. ზოგი ზურგზე გვაზის და ისე დავასეირნებთ, ზოგიც ჩვენთან ერთად გასრიალებას ითხოვს... ამოუნურავი ენერჯის პატრონები არიან და სხვათა შორის, მამუვლი გოგოები ძალიან მოსწონთ.

მთი:

— საოცრად კონტაქტურები არიან. მოდიან, „სასწაულ“ კითხვებს გვისვამენ... რაც მთავარია, აქედან წასვლა აღარ უნდათ. უფრო გვიანობამდე რატომ არ მუშაობთო? — გვსაყვედურობენ ხოლმე. ამას წინათ, ერთი პატარა მოვიდა და, — შეყვარებული რატომ არ გყავსო? — მკითხა. — არავის მოვწონვარ-მეთქი, — ვუპასუხე.. მამუვლი ბიჭები მოათვალეირა და, — ახლა წავალ, აი, ის ბიჭი შეგეფ-

ერება და ვეტყვი, საღამოს სადმე დაგპატიჟოსო, — შემომთავაზა (იციინარ). **პირველი პატივგადაცემილი, მამუვლების უფროსი:**

— უკვე მეორე წელია, აქ ვმუშაობ. შარშან რიგითი მამუვლი ვიყავი, წელს დამანიწურეს და უფრო მეტი პასუხისმგებლობა დამინვა. ჩვენს სამუშაოზე ყურადღებას თუ მოადუნებ, შესაძლოა, ყველაფერი სავალალო შედეგით დასრულდეს და ვცდილობთ, 100 თვალი და ამდენივე ყური „გამოვიბათ“. ხშირად ექსტრემალი ადამიანები ცუდ დღეში გვაგადატენ. ჩვენი გაფრთხილების მიუხედავად, თუ ისე დასრიალდნენ, როგორც სურთ, თავს იზიანებენ. უფლის წყალობით, სერიოზულად არავინ დაშავებულა. აუზში თავით ჩახტომა აკრძალულია, მაგრამ მაინც რისკავენ. ხშირად იმდენი ხალხი გვსტუმრობს, აუზში ჩასასვლელად რიგის დაკავებაა საჭირო. მამუვლებს ერთი კეთილი „ტერმინატორი“ გვყავს, რომელიც ტანით ძალიან დიდია და ურჩ დამსვენებლებთან ურთიერთობას შედარებით იოლად აგვარებს. ხანდახან ძალიან სახალისო კითხვებით მოგვმართავენ. ერთ-ერთ კომპლუქსზე დასასრიალებლად ამოსულმა ახალგაზრდებმა ატრაქციონს უყურეს, უყურეს, მოგვიბრუნდნენ და გვკითხეს: — სასრიალოზე წყალი მოძრაობსო?.. დამსვენებლების ყველაზე საყვარელი კითხვაა: — ატრაქციონი საშიშია? ამას წინათ, ერთ-ერთ მამუვლს თინეიჯერებისთვის უთქვამს, — წყალში საკმაოდ ბევრი ჟანგბადიაო. ცოტა ხანში ეს ახალგაზრდები მეორე მამუვლთან მივიდნენ და, — რატომ გვატყუებთ? ჟანგბადი არ ყოფილა, წყალში ვერ ვსუნთქავთო! — უთქვამთ. ისიც გაეხუმრა, — ცოტა ხანი მოიცადეთ, ჟანგბადს დავამატებთ და მერე თავისუფლად ისუნთქებთო (იციინის). მამუვლებს ყოველდღე იმდენნაირ ადამიანთან გვიწევს ურთიერთობა, უკვე აღარაფერი გვაკვირვებს.



აუზში თავით ჩახტომა აკრძალულია მაგრამ მაინც რისკავენ

ლალი პაპასკირი

თინათინი ვალთაძე

— ჩემი წინაპრის სისხლი არ მძლევს უფლებას, ჩუმად ვიყო. იარაღის ხელში აღება და ბრძოლა არ შემიძლია და, როგორც შემიძლია, ისე „ვიბრძვი“... თუმცა მოდი, ცოტა უკან დავიხევე და თანმიმდევრულად მოგიყვებით ჩემი წინაპრების გენეალოგიას. ვფიქრობ, მათ მიერ განვლილი გზა პირდაპირი პასუხი იქნება კითხვაზე, თუ რატომ ვარ ასეთი აქტიური. ბალათურიების გვარი XII საუკუნიდან იღებს სათავეს. ჩემი წინაპარი ნოქალაქევი ყოფილა დასახლებული, რომელიც იმ დროს ბიზანტიის ერთ-ერთ საკვანძო ადგილად ითვლებოდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ჩემი დიდი ბაბუის დედა დაქვრივებულია. ერთი შვილი დარჩა, მაგრამ ასაკით პატარა ყოფილა და აბაშაში, ქოიავას გვარის კაცზე გაათხოვეს. ცხადია, მან ჩემი დიდი ბაბუა, ქაუჩი ბალათურიაც თან წაიყვანა. ქოიავები ხელმოკლე ოჯახად მიიჩნეოდნენ, რადგან მინა არ ჰქონიათ... ქაუჩი ბალათურია დადიანების ყმად ითვლებოდა. როცა დადიანები გორდში მიდიოდნენ დასასვენებლად, გზად ბანძაში ჩერდებოდნენ და მათ პატივსაცემად „ჯვარობა“ იმართებოდა. ერთ-ერთი ასეთი „ჯვარობის“ დროს ქაუჩის გამბედაობა გამოუჩენია, ლეწა დადიანს ეახლა თურმე და უთხრა, — შენი ყმა ვარ, მაგრამ ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, უმინოდ დავრჩიო... სამეგრელოს მთავარს გაბედული ყმანვილი ძალზე მოსწონებია და სოფლის აზნაურის, თოფურთისთვის უთქვამს, — ამ კაცს მინის ნაკვეთი მიეცითო... ქაუჩის შვილიშვილი, ისიდორე ბალათურია, ბაბუაჩემი იყო და აბაშის სოფელ სეფიეთში, იქ, სადაც სამეგრელოს მთავრის წყალობით დამკვიდრდა, XVI საუკუნეში აგებული, წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა ეკლესიების დანგრევის შესახებ ხმა ისიდორე ბაბუას ყურამდევ მიალწია, მან თანასოფლელებთან ერთად, აზნაური თოფურთის მიერ ნაბოძები ტყე ერთ ლამეში გაჩენა, მოჭრილი ხეების მორები ეკლესიას შემოუღებდა და ზედ მინა მოაყარა, — ერთი სიტყვით, ეკლესია ერთ ლამეში „გააქრეს“. მეორე დღეს, მის დასანგრევად ბოლშევიკი, ვინმე ცანავა მისულა, მაგრამ იმ ადგილას უზარმაზარი ბორცვი დახვდნო. ცანავა მიმხვდარა, ეს საქმე ისიდორე ბაბუას ნამოქმედარი რომ იყო, და ეკლესიის მოხუცი წინამძღვარი წვერით უთრევიდა, მერე მეზობელ სოფელ ლეხან-





# მოუსვენარი კაცის მუღვივი „ინტერაქტივი“

„ჩემი წინაპრის გზა გავყავით პასუხს აითხოვა — რატომ ვარ ასეთი აქტიური“

აღბათ ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ჩვენი საზოგადოება პოლიტიზებულია. მაგრამ ამის მიზეზებზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ, რადგან ამჟღავნად მინდა გავაცნოთ ძალზე საინტერესო პიროვნება, რომელიც მასმედიაში აქტიურობის ნიშნით ავირჩიე და არც შევმცდარვარ: ბატონი თენგიზ ბალათურია, რომლის სმაც რადიო „პალიტრის“ მსმენელს, ფაქტობრივად, ყოველდღე ესმის, გამორჩეული წინაპრების შთამომავალი და თავადაც ძალზე საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანი აღმოჩნდა — რომ აღარაფერი ვთქვათ იდეებზე, რომელსაც ამა თუ იმ გადაცემაში სატელეფონო ჩართვისას მსმენელს უზიარებს...

დრაოში ნაუყვანია და დაბმულს აყურებინა თურმე, თუ როგორ ანგრევდა ეკლესიას... წლების შემდეგ, ბაბუა აკანკალებული ხმით მიყვებოდა, — როცა ურწმუნოებმა ტაძრის ზარი ჩამოაგდეს, შუაზე გაიპო და მისი სმა დღემდე ყურებში მიდგასო... მოსალამოებულზე, ურწმუნო ცნავე დანგრეული ეკლესიის გარშემო ანთებული ჩირაღდნით ხელში დარბოდა და მიყვიროდა, — ისიდორე, აბა, სად არის შენი ღმერთი, რატომ არაფერს მიშავებსო?! ბაბუას უპასუხია, — გაგიჟებულხარ, შე საცოდავო, და მეტი რაღა უნდა დაგიშავოსო?!. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება: წლების შემდეგ, მისი შვილიშვილი ჩემთან

მუშაობდა და მე მოვნათლე... გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველო რწმენისკენ შემობრუნდა, ის ეკლესია მე და IV სამშობიარო სახლის დირექტორმა აღუქსანდრე ლაბარტყავამ აღვადგინეთ.

— ძლიან დაზარებული იქნებოდა. — დიახ, მაგრამ მკვიდრად ნაგები იყო, გადარჩა და ახლა საკმაოდ დიდი მრევლიც ჰყავს... ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო, ვინაიდან ჩემი წინაპრები ორივე მხრიდან, სასულიერო პირები იყვნენ. ბებიჩემის მამა სოფელ ნოსირის ეკლესიაში მსახურობდა, ცნობილი ფსიქიატრის, ავლიბ ზურაბაშვილის მამა შეცვალა. რაც შეეხება დედას — ის გრიგოლ (ნოე) მიქელაძის

ქალიშვილი გახლდათ; ნოე ბაბუა სვანეთის აჯანყებაში მონაწილეობდა და 1937 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— დახვრიტეს?

— რამდენიმე ვერსია არსებობს: ერთ-ერთის თანახმად, ნოქალაქევი წაიყვანეს და დახვრიტეს; მეორე ვერსიით, ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ ვერც იქ მივაკვლიეთ. იმასაც ამბობდნენ, რომ დანარჩენ პატიმრებთან ერთად შორაპანში ჩაიყვანეს და ვაგონებშივე შეყრილებთან ერთად დახვრიტესო. ის ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეგობრობდა; რამდენჯერმე მასაც ჰყავს მოხსენიებული... კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მინდა მოგიყვეთ: ბაბუაჩემის დისშვილი გრიგოლ თოფურიძე ვენის საკონსულო აკადემიაში სწავლობდა. ეს სასწავლებელი ვენის კონვენციის ფარგლებში დაარსდა და ელჩებსა და კონსულებს აშაადებდა, რომლებიც შემდგომ მთელ მსოფლიოში უნდა განაწილებულიყვნენ. გრიგოლ თოფურიძე დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნებასა და დიპლომატიურ სამსახურში მოლ-

**ყოველ პარასკევს, ყურწნა „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად, დიდდი ქართველებს ბიოგრაფიების თითო წიგნი!**

**მაღე გამოვა:**

- 16 სულხან-საბა ორბელიანი
- 17 დავით სარაჯიშვილი
- 18 აჯაკი წერეთელი
- 19 დიმიტრი უზანაძე
- 20 ქაქუცა ჩოლოყაშვილი
- 21 ნატო ვაჩნაძე
- 22 მეფე ერეკლე II
- 23 პეტრე მელიქიშვილი

და სხვა დიდი ქართველები

**გრიგოლ ხანძთალი**

**შედევი**

**გამოქანილი აღამიანების ბიოგრაფია**  
წიგნების სერია ბავშვებისთვის

**ბიოგრაფიული წიგნები**  
15  
12-დან 19 აგვისტომდე  
წიგნის ფასი: 2.50 (ყურწნატან ერთად 3.50)

**სულხან-საბა ორბელიანი**  
16

ვაჰვი გამოქული ბიოგრაფიები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14 გვიქლიათ გვიქინოთ წიგნის გალაზიგაში



ჩემი წინაპრებიდან მოყოლებული სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ქართველი ვარ

ვანობას აპირებდა, მაგრამ ვერ შეძლო. ის გერმანიაში, ნოე რამიშვილის თანამოაზრეებთან ერთად იმყოფებოდა... მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ კი მათ სამშობლოში დაბრუნების იმედი საბოლოოდ გადაეწურათ და 4-მა იმედგაცრუებულმა ქართველმა ჟენევაში, სასტუმროში — „ფროპა პალას“ — თავი მოიკლა. მე ვიყავი ამ სასტუმროში და ვნახე ის ისტორიული ნომერი, რომელიც V სართულზეა განთავსებული და რომლის კარზეც მომხდარის შესახებ წარწერაცაა გაკეთებული... ადმინისტრაციაში ისიც მაცნობეს, რომ ტრაგედიამდე რამდენიმე წლით ადრე იმავე სასტუმროს სართულზე ლენინი ცხოვრობდა...

საერთოდ, ჩემს გვარს რეპრესიები მუდმივად თან სდევდა. მამაჩემი აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილე იყო. როცა გააფხაზების პირველი ტალღა წამოვიდა, მამამ თანამდებობა დატოვა და ჯერ ფოთში გადავიდა, 1955 წელს კი თბილისში დასახლდა.

**— რატომ? გააფხაზებას აიძულებდნენ?**

— დიას. საზოგადოების დაბალი ფენისთვის ეს ნებაყოფლობითი იყო, მაგრამ მაღალი თანამდებობის პირებისგან ეროვნების შეცვლას კატეგორიულად მოითხოვდნენ. მამას გააფხაზების სანაცვლოდ, განათლების მინისტრის პოსტი შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა, რის გამოც სდევნიდნენ... იცით, პირადად მე, რუსი ხალხის მიმართ არანაირი აგრესია არა მაქვს, მაგრამ ჩემს წინაპრებში არ დარჩენილა შტო და თაობა, რუსული რეჟიმის მსხვერპლი რომ არ გამხდარიყო...

**— რაც შეეხება თქვენ მიერ განვილი გზას.**

— „გეპი“ (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი. — ავტ.) დავამთავრე, შემდეგ კი მოსკოვში ასპირანტურაში ჩავაბარე. ყველა პროფესიული საფეხური გავიარე, მოგვიანებით კი — 1983 წელს მოსკოვში,

„იუმას“ (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ავტომატიკური მომარაგების) მმართველი გახვდი. ეს მაშინ დაახლოებით მინისტრის პოსტს უტოლდებოდა. თავიდან შრომის წიგნაში პარტიის გრაფა გამოჩნათ, მაგრამ მალევე ცეკვაში დამიბარეს და ირონიულად მკითხეს, — კომუნისტურ პარტიას თქვენი დასაწესი რა სჭირსო?... მაშინ ცეკვაში მშენებლობის საქმეს მანჯგალაძე

კურირებდა და მას მოეწყვიე, რატომაც ვამბობდი უარს პარტიაში შესვლაზე. გაელიმა და მირჩია, — შენი წარსულის შესახებ ჩემ გარდა არავის მოუყევ, თორემ უმუშევარი დარჩებიო... როცა საქართველოში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო, ამ მოძრაობაში აქტიურად ჩავები. ვერაზე ვცხოვრობდი. ჩემ მეზობლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად გამსახურდია ცხოვრობდა, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობდი. მამაჩემი და ბატონი კონსტანტინე კი წარმოშობით ერთი რაიონიდან იყვნენ და ისინიც მეგობრობდნენ... 1991 წელს

ვმონაწილეობდი ყაზბეგში გამართულ შეხვედრაში რუსეთის დელეგაციასთან, რომელსაც ბორის ელცინი ხელმძღვანელობდა. გადამწყვეტი ფიგურა არ ვიყავი, მაგრამ ენერგეტიკის სფეროს ვკურირებდი, თუმცა კონკრეტულად ეს საკითხი არ განხილულა. ჩვენ სრული პაკეტი გვექონდა, სადაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრიორიტეტული საკითხები იყო ჩამოთვლილი;

აკანკალეული სმით მიყვებოდა, — როცა ურწმუნობა გაძრის ბარი ჩამოაგდეს შუაზე გაიპო და მისი სხა დღემდე ყურებში მდღავსო.



მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება გახლდათ. ელცინს 26 სომეხი მრჩეველი ჰყავდა და იქიდან რომ გამოვბრუნდით, ზვიად გამსახურდიამ ჩაილაპარაკა, — ვიცე, რომ ისინი ამ მოლაპარაკებას ჩაშლიანო, — და მისი პროგნოზი გამართლდა: დამოუკიდებლობის აღიარების გარდა, რუსეთს არც ერთი პირობა არ შეუსრულებია...

არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, ძალზე ბევრ სომეხს ვიცნობ და ვმეგობრობ, მაგრამ სომეხ ერს ქართველების უპირატესობის კომპლექსი ყოველთვის ჰქონდა. ეს რეალობაა. საქართველო ელიზბურთი კულტურისა და ბიზანტიის ნაწილია. ჩვენ სხვა ფსიქოლოგიის მატარებელი ერი ვართ. ქართველის შინაგანი „ანატომია“ სხვანაირად არის მოწყობილი. მსოფლიო აღიარებს, რომ პირველად მინა გეორგიასა და დამიშუავედა და ამას ისტორიულად წყაროები ადასტურებს... როცა რადიო „პალიტრიკის“ ეთერში ტელეფონით ვერთვები და ჩემს აზრს გამოვთქვამ, ყველა გადაცემაში ვამბობ, რომ ქართველ ერს სხვისი მისაბაძი არაფერი სჭირს. ამის გამო, თქვენს კოლეგას, შალვა რამიშვილს რამდენიმეჯერ უხეშადაც ველაპარაკე. ის ყველაფერს გააიარებს ცდილობს და უნდა, ისე წარმოაჩინოს, რომ თითქოს ქართველებს განვითარება გვაკლია. რა სჭირს საქართველოს „შავ-თეთრი“ ამერიკის შესანატრი?! ჯერ კიდევ ფარნავაზის მეფობის დროს დამკვიდრდა, რომ ქვეყნის მმართველი და პატრიარქი აუცილებლად ქართველები უნდა იყვნენ. ვინმემ მანახვოს სომხეთში სხვა ეროვნების თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც საკვანძო თანამდებობაზე მუშაობს!.. მაშ, ჩვენ რატომ გვასწავლიან, მართლმადიდებლობასთან სხვა რელიგიების გაიგივება ჰუმანურიანო?..

— **ბატონო თქვენს ვცეც რომ ბაღმონანც გქონდათ ურთიერთობა.**

— სერგოს აფხაზეთიდან ვიცნობ. ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. სტუდენტობის დროს სპორტსაც მივდედი. სერგო კალათბურთელი იყო, მე — ნიჩბოსანი, მაგრამ სპორტულ შეკრებებზე ერთად დავდიოდით და ვმეგობრობდით. ამასთან, „ბალაფშის“ და „ბალათურისა“ ერთი და იგივე ფუძე



ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეგობრობდა; რამდენჯერმე მასაც ჰყავს მოსხენიებული...



აქვს: „ფში“ — აფხაზურად შვილს ნიშნავს, უბრალოდ, მერე განიცადა ტრანსფორმაცია. ამიტომ მიგვაჩნდა, რომ მოგვარეები ვიყავით... როცა მოსკოვში პირად საქმეზე ჩასვლა მიწვედა, მას ხშირად ვხვდებოდი. 90-იან წლებში ქართველებსა და აფხაზებს შორის მომხდარს განიცდიდა, რასაც მეგობრებთან

ეგადაცემებში ვრეკავ და ვამბობ იმას, რაც მანუხებს, რაც მიმაჩნია, რომ ჩემი ქვეყნისთვის საზიანოა: საქართველო არის შეთქმულების მსხვერპლი. ვის აძლევს ხელს ქართველი ერისთვის რწმენის წართმევა და ვის ინტერესებში შედის, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად დაქუცმაცდეს? ცხადია, იმას,

თლმადიდებელი სახელმწიფოსთვის კატასტროფის ტოლფასია. ასეთი ქვეყანა საქართველოს ვერ დაეხმარება, ტყუილად აქვთ ქართველ პოლიტიკურ ლიდერებს ამის იმედი. მასთან ურთიერთობის მოგვარება აუცილებელია საქართველოსთვის, მაგრამ — არა სახელმწიფო ინტერესების დათმობის ხარჯზე... საქმე ის არის, რომ სააკაშვილიც საქართველოს მტერია, ის დღემდე გაურკვეველი სახელმწიფოს მარიონეტია, მაგრამ საქმე ის არის, რომ როცა ხელისუფლება შეცდომებს უშვებს, მას „დარაჯად“ უდგას ოპოზიცია. ჩვენ კი ამაშიც არ გაგვიმართლა — ასეთი პოლიტიკური ძალა არ გვყავს. ქვეყანაში ოპოზიცია არ არსებობს და ამის მიზეზს ახლავ მოგახსენებთ: რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ხელისუფლებამ 4-მილიარდნახევრიანი ვალი აიღო; ამას მოსახლეობისგან ამოღებული გადასახადები დაემატა; საერთო ჯამში, ამ თანხის ნაწილს ოპოზიციას უნაწილებენ, დანარჩენს კი ჯიბეში იდებენ. ეს ყველაფერი მანუხებს და ვერ ვეგუები. ამიტომაც, ყველა მიტინგს ვესწრები. ეს ჩემი შინაგანი მოთხოვნაა. ბოლო დროს ჯანმრთელობამ მიმტყუნა, მაგრამ სანამ შემიძლია, ჩემი ხალხის გვერდით ვარ. აპოლიტიკური შვილები მყავს და ჩემი აქტიურობის გამო, ხშირად მსაყვედურობენ, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ... ქართველი კაცის გენის მჯერა და ვიცი, რომ ერთ დღეს, დაუღალავი მშვიდობიანი ბრძოლის შედეგად, ყველაფერი შეიცვლება. ■

### სამოგზაო დაბრუნების იმედი საოლოდ გადაწერათ და 4-მა იმედგაცრეხებულმა ქართველმა ჟინეზებში, სასტამროში – „პროკვა პალას“ – თავი მოიხალა...

არ მალავდა, მაგრამ დიდი პოლიტიკა სხვანაირად მოქცევას აიძულებდა.

— არ ეტყობოდა, რომ ასე ფიქრობდა.

— ასე იყო... მან ბრწყინვალედ იცოდა ქართული და მეგრული. აფსუა აფხაზების, სეპარატისტების მიმართ „არაერთგვაროვანი“ დამოკიდებულება ჰქონდა. ამ და სხვა მიზეზების გამო მოკლეს რუსეთში. მე ბევრი რამ ვიცი მისი გარდაცვალების შესახებ. სიკვდილამდე თურქეთში გაიკეთა ანალიზები და სასიკვდილო არაფერი სჭირდა; თირკმელთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. შემდეგ მოსკოვში დაიბარეს და იქიდან ფილტვების ანთების დიაგნოზით დაბრუნდა. მერე ისევ მოუწია მოსკოვში წასვლამ და მალევე გარდაიცვალა... ამდენი წლის განმავლობაში ის მუდმივად ეწინააღმდეგებოდა აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკას: მისი ძალისხმევით, აფხაზეთის ქონების რუსებისთვის ოფიციალურად გადაფორმება ჩაიშალა; 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსულ ჯარს ენგურის ხიდიდან სამეგრელოში შემოსვლის ნება არ დართო, რის გამოც ბევრჯერ გააკრიტიკეს მართალია, ბოლო 6 წლის განმავლობაში ურთიერთობა არ გვეონია, მაგრამ მასზე ბევრი რამ ვიცოდი.

მე, ჩემი წინაპრიდან მოყოლებული, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ქართველი ვარ. ერთ-ერთი რიგითი ქართველი ვარ, ვისზედაც საქართველო დგას. რადგან სხვა საშუალება არა მაქვს, რათა ხალხს ჩემი აზრი გაუზიარო, რადიო და ტელ-

ვინც ყველაზე კარგად და ახლოს იცის ქართველი ერის სუსტი წერტილები. ამით ყველაზე მეტად რუსეთმა იხიერა... როგორც გითხარით, რუსეთში ვსწავლობდი და კარგად ვიცნობ ამ ხალხის „ანატომიას“, მის წარსულსა და კულტურას. მათ მცირე ერების კი არა, საკუთარი თავის პატრონობა არ შეუძლიათ, ახლა კი — მით უმეტეს: რუსეთში ძალზე ბევრი პრობლემაა. შალვა რამიშვილის გადაცემაში ვთქვი, რუსეთის ოფიციალური მონაცემებით, იქ 90 მილიონი რუსი ცხოვრობს-მეთქი, მაგრამ მალევე გამოქვეყნდა დამოუკიდებელი ექსპერტების მონაცემები, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მოსახლეობა სულ 131 მილიონს შეადგენს და რუსი მათ შორის, სულ 70 მილიონამდეა. გარდა ამისა, ახალგაზრდა თაობაში მუსლიმანები ჭარბობენ, რაც მარ-

## წიგნების სერია

„ახალი ქართული ლიბერატურა“

ჟურნალ „ლიბერატურულ პალიტრასთან“ ერთად

ყოველთვე

ერთი თანამედროვე ავტორი

ავტობიოგრაფიულ ნაშრომთან ერთად

ჩვენ 4 - დავით ქართველი  
„იყო სტამბო, იყო ფიქს“

წიგნის ფასი 3 ლარი, (ჟურნალთან ერთად 5 ლარი)

უპირატესო გამოცემა: დავით ტყეშელაშვილი, თამარი ფხაკაძე, რატი ავალოშვილი შიშინიანი წიგნის მაღაზიაში



# სახე

## ნიკა ხომასურიძის მსოფლიო კინორეჟორი და... ლონარდო დი კაპრიო — „ჯინსების თაობაზე“

ხშირად ჩამოდის საქართველოში და არც დროს კარგავს უქმად: ლოს-ანჯელესის კინოსკოლადამთავრებულმა თბილისელმა ბიჭმა ჰოლივუდში კინოსტუდია „ნიკოლოზფილმში“ შექმნა და იქ მუშაობის პარალელურად, სამშობლოში ცდილობს კინობიზნესის განვითარებას. რომ გავიცანი, „დიდგორი“ მხოლოდ პროექტი იყო, მალე კი ფილმად აქცია და სახელიც ძალიან გაითქვა. რეჟისორი ნიკა ხომასურიძე თვეზე მეტია, საქართველოშია და კვლავ ქართულ პროექტზე მუშაობს.

### ირმა ხარშილაძე

— მალე დავასრულებ „ნიკოლოზფილმის“ პირველ პროდუქციას — „დავინწყებული მეფე“. 105-ნუთიანი ფილმი 2010 წლის 29 ოქტომბერს ერთი უწყვეტი კადრით გადავიღეთ. ეს მსოფლიო რეკორდია კინოს ისტორიაში. აქამდე უწყვეტი კადრით გადაღებული ყველაზე გრძელი ფილმი რუსი რეჟისორის, ალექსანდრე სოკუროვის 90-ნუთიანი „კიდობანი“ გახლდათ. ასე რომ, ჩვენი ფილმის გამოსვლა დიდ რეზონანსს გამოიწვევს. ფილმი „ვეფხისტყაოსნის“ კოდებზეა აგებული და მთავარი გმირების დროში მოგზაუ-

რობას ასახავს. გაყიდვების უკვე ოთხი სააგენტო (2 ამერიკული, ბრიტანული და გერმანული) დაინტერესდა ფილმით. ასე რომ, ნახავენ და მის გაყიდვებზე იზრუნებენ.

— ალბათ, უწყვეტკადრიანი ფილმზე მუშაობა სპეციფიკურია — მას რომ მონტაჟი არ სჭირდება?

— რაც გადავიღეთ შეუჩერებლად, ის რჩება. მხოლოდ ვასუფთავეთ ფილმს — გადაღებისას დაშვებულ შეცდომებს ვასწორებთ, ვახმოვანებთ, მუსიკალურად ვა-



გადაღებისას დაშვებულ შეცდომებს ვასწორებთ

ფორმებთ და სპეციფიკურობით ვალამაზებთ.

— კმაყოფილი ხარ? ვინ მონაწილეობს შენს ფილმში?

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ძალიან კმაყოფილი ვარ. მთავარ როლებში არიან: სალომე ფალავა, დათო ქაცარავა, ბადრი კაკაბაძე, გიორგი მეგრელიშვილი, ლაშა ონიანი და სხვები. მოკლედ, შემსრულებლები სულ ქართველები არიან. დიზაინსა და კამერის ჯგუფი ლოს-ანჯელესიდან ჩამოვიყვანე, კოსტიუმებზე კი საგანგებოდ ფილისთვის ბუდაპეშტიდან ჩამოსულმა თამარ ბარნოვმა იმუშავა. რასაკვირველია, აქაური, ქართული ჯგუფიც მონაწილეობდა გადაღებაში.

— სად გადაიღეთ?

— დავინწყეთ ორთაჭალაში, სასტუმრო „ტიფლისში“, შემდეგი კადრები 11 კილომეტრის მანძილზე — მანქანების დევნა და სროლებია. შემდეგი 14 ეპიზოდი დილომ-



ფილმი „ვეფხისტყაოსნის“ კოდებზეა აგებული



ამ გადაღებამ დიდი გამოცდილება შეგვძინა თითოეულს



**ნებული ვარ, კლიბიცი ულამაზესი გამოვიდოდა.**

— ორი კლიბი გადავიღეთ ხვამლზე — ფილმისთვის სოფოსი და მსახიობ გიორგი ცაავას საქართველოზე სიმღერის კლიპის კადრების ნაწილი. საქართველოში კიდევ ერთი, ამჯერად მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადავიღეთ — „საქმე ნომერი 0011“. ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი

ში, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პაველიონშია აწყობილი და სწორედ იქ მოგზაურობენ დროში ფილმის გმირები. ამ გადაღებამ დიდი გამოცდილება შეგვძინა თითოეულს და რაც მთავარია, რაც ჩავიფიქრეთ, შედეგიც სწორედ ისეთი მივიღეთ. რასაკვირველია, ყოველთვის უკეთესს ესწრაფვი, მაგრამ ჩანაფიქრი მაინც შევასრულეთ. სხვათა შორის, დაუსრულებელი ვერსია კანის ფესტივალზე წავიღეთ და ფესტივალის სტუმრებს — დაახლოებით 100-120 ადამიანს ვუჩვენეთ. ბევრის მოსაზრება მოვისმინეთ, შენიშვნებიც ჰქონდათ და მოგვიწოდეს კიდევ. საერთოდ, ძალიან ინტერესდებიან ისტორიული თემატიკით და რადგან ჩვენი ფილმიც ამ ყანრის იყო, ყველას დადებითი განწყობილება შეექმნა. გაისად კანის ფესტივალის სერიოზულ „დალაშქვრას“ ვაპირებთ, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს „გაცნობა“. ფილმის ამბები 11 ნოემბერს ხდება და ძალიან გვინდა, თბილისური პრემიერაც სწორედ 2011 წლის 11 ნოემბერს მოეწყოს. მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს ჩვენს კინოთეატრებთან და ვნახოთ, რა გადანწყდება.

**— მუსიკალურ გამფორმებელზე არაფერი გითქვამს.**

— ძალიან მოუხდა ფილმს ჭაბუკა ამირანაშვილის მუსიკა, საუნდტრეკს კი სოფო ხალვაში ასრულებს. რამდენიმე დღის წინ გადავიღეთ კიდევ ლექსებში, ხვამლის მთაზე.

**— რას ამბობ?! ხვამლი ულამაზესია, იქ წლების წინ ექსპედიციაში ვარ ნამყოფი. ულამაზესი ადგილებია და დარწმუნ**

გერსამიამ მომცა სცენარი, რომელიც რეალურ ამბავს — მწერალ ლუიჯი პირანდელოს ცხოვრების ერთ ეპიზოდს ეფუძნება: მწერალი ახალი წიგნის უკეთ დასაწერად, ციხის უფროსთან შეთანხმებით, სიკვდილმისჯილთა საკანში ჯდება... დანარჩენს მაყურებელი ჩვენს ნახევარსაათიან ფილმში იხილავს. აქაც ჭაბუკას მუსიკა გამოვიყენეთ.

**— მოკლედ, ნაყოფიერად მუშაობს საქართველოში. ლოს-ანჯელესში რა ამბებია?**

— მწერალ დათო ტურაშვილისგან მოვიპოვეთ „ჯინსების თაობის“ გადაღების უფლება. სცენარი უკვე მზადაა და სულ მალე პოლივუდის დიდ მსახიობებთან და გადამღებ ჯგუფთან დავიწყებთ მოლაპარაკებებს. სავარაუდოდ, ოქტომბრისთვის გვინდა გადაღებების დაწყება. ვნახოთ, ვის როდის ეცლება და როგორ შევთანხმდებით.

**— არ გამიზულ, რომელ მსახიობებს სთავაზობ ფილმზე მუშაობას?**

— კი, გეტყვი. თითოეულ როლთან დავკავშირებით რამდენიმე მსახიობზე ვფიქრობთ. მაგალითად, გეგა კობახიძის რო-

ლზე ჯომ ჰარტენცს, ჯემს ფრანკოსა და ლეონარდო დი კაპრიოს განვიხილავთ. ფილმი პროფესიონალებთან ერთად უნდა გადავიღოთ და რასაკვირველია — ამერიკაში, რადგან აქ ძალიან ძვირი დაგვიჯდება იმ ხალხის ჩამოყვანა. ისე კი, ერთკვირიან გადაღებას აქაც დავნიშნავ და რალაც ეტაპზე აქედანაც წავიყვან ქართველების ჯგუფს.

**— როგორც ვატივობ, უკვე მყარად დგახარ ფეხზე ლოს-ანჯელესში და ძალიან მიხარია.**

— იქ რამდენიმე ფილმზე ვიმუშავე და არა მარტო — ჩემსაზე. სხვისი ფილმების პროდიუსერიც ვიყავი და რეჟისორის ასისტენტიც. ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი და ყველა სტუდიასთან ვურთიერთობ. ასე რომ, ჩემი სტუდია „ნიკოლოზფილმში“ უკვე ოფიციალურად არსებობს, საკმაოდ მყარად „დგას“ და ნებისმიერი პროექტის გაკეთება შეგვიძლია მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში. მოკლედ, ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვისდენტოცნებას (ილიმის).

*მოგწონს ნიკუა პოხნოძე? ნიკუა პოხნოძე უბიჯან!*

**შურნალ „რეზინგთან“ ერთად**

*წაიკითხოე წიგნები - წაიკითხე უკნები!*

**15 - აპრილით ვიღი №30**  
**მთხრობაელი - ელვაზა რამაზი**


**ფასი ... 2 ლარი!!!**

22 აპრილით  
ტომი №31 - რეზინგთან

უკვე გამოცემული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში.



# რატომ დადის მაკა შალიკაშვილი დანით და რა შესვალა უნდა მის სხოვრებაში



მარჯვნივ ჟონიშვილი

— მაკა, როგორი ბავშვი იყავი?  
 — როგორც ყველა ბავშვი, მეც კარგი და საყვარელი ვიყავი. ცოტა რომ ნამოვიზარდე, პრანჭვა დავინწყე, ტანსაცმელს დღეში რამდენჯერმე ვიცვლიდი, სულ სარკის წინ ვტრიალებდი, ვლაპარაკობდი, მიმიკებს ვხვნიდი. დედას რამდენიმე კარგი ფეხსაცმელი ჰქონდა, რომლის ჩაცმა ძალიან გვიყვარდა მე და ჩემს დას.



„სურათების გადაღება და კამერის წინ პოზირება ძალიან მიყვარს. სახლში უამრავი ფირი დაგროვდა. მათი დაბეჭდვა სულ მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ. „ფეისბუქი“ ძალიან მომწონს იმ გაგებით, რომ იქ დადებული სურათები აღარ გეკარგება. როგორც ყველა ოჯახს, საოჯახო ალბომი მეც მაქვს. როცა დრო მაქვს, ჩაფუჯდები ხოლმე და ვათვალიერებ. იმ სასიამოვნო წუთებს ვიხსენებ, რომელიც მათზეა აღბეჭდილი“, — მითხრა მსახიობმა მაკა შალიკაშვილმა.


ასევე ვიცვამდით დედის საქონრინო კაბას. თავზე ფატას დავიმაგრებდით და მამაჩემის ძველ მანქანაში ვსხდებოდით, რომელიც ეზოში იდგა და არ მუშაობდა. კონცერტებს, სპექტაკლებს ვაწყობდი. მოკლედ, აქტიური და მოუსვენარი გოგო ვიყავი.

— სერიოზული გაპრანჭვა რა ასაკში დაინწყე?

— პატარა ასაკში, მაგრამ ბიჭების გამო ნამდვილად არ ვიპრანჭვობდი. შინაგანად კი ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ქალი ვიყავი. ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ ხშირად მიყვარდა ცალმხრივად და გაცნობიერებულიც მქონდა, რომ ეს სიყვარული არ შეიძლებოდა ყოფილიყო ორმხრივი, რადგან ჩემი გარეგნობა და შინაგანი ხასიათი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. დავდიოდი შავი პერანგით, „ლევისის“ შარვლით, ხელში დანით და ვინც ძალიან მიყვარდა, ის ბიჭი გოგოდ ვერ აღმიქვამდა. მისთვის ვიყავი მხოლოდ მეგობარი — ძმაცადა, რომელსაც „ჯოკერს“ ეთამაშებოდა და რომელსაც მოუყვებდა, როგორ უყვარს სხვა გოგო.

— ასეთი სიტუაციის შემდეგაც არ გაგჩენია სურვილი, ჩაცმის სტილი შეგეცვალა?

— არა, ამის სურვილი არ გამჩენია. ასეთი ვიყავი და მორჩა! ახლა არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს და



ასეთი ვიყავი და მორჩა



ბედნიერი ქალი ვარ.

— სტუდენტობის პერიოდში როგორ გამოიყურებოდით?


— სურათი, სადაც ბებიასთან ერთად ვარ, სტუდენტობის დროსაა გადაღებული. აქ მსუქანი ვარ. ბებია ძალიან მიყვარდა, ის ჩვენი ოჯახის ბურჯი იყო. სხვათა შორის, როდესაც თბილისში ჩამოვედი და თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, მასსოვს, მანანა ბერიკაშვილმა მითხრა: გამოცდაზე კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უნდა ჩაიცვაო. მართლაც, ჩავიცვი გრძელი კაბა, მაგრამ თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი, ფეხსაცმელზე კი ქუსლი მომტყდა.

— ძირითადად, თავისუფალი სტილის ტანსაცმელს იცვამ?

— დიახ. ყოველდღიურ ცხოვრება-



ბებია ძალიან მიყვარდა, ის ჩვენი ოჯახის ბურჯი იყო



ში კლასიკურ სამოსს ვერ ავიტან. ში-გადამიგ, რა თქმა უნდა, კლასიკურსაც ვიცვამ და როგორც მეუბნებიან, ძალიან მიხდება. საერთოდ, სხვადასხვანაირი შემოქმედა ვიყო. დანით ახლაც დავდივარ, რომლითაც ხან ჯინსს ვხვებ, ხან მაისურს ვაჭერი იარლიყს, ხან კი ბიჭებისთვის კიტრი და პომიდორი მაქვს დასაჭრელი (იცინის).

**— თმა რა ასაკში შეიღებე?**

— თმა 14 წლის ასაკში შევიღებე. ნაწილი თეთრად მექონდა, ნაწილი — შავად. ამჟამად ბუნებრივი ფერის თმა მაქვს და ახლო მომავალში შელევას არ ვაპირებ.

**— აქსესუარები თუ გიყვარს?**

— სამკაულები ადრე უფრო მიყვარდა, თუმცა მათი გაკეთება და ტარება ახლაც მომწონს. 6 წლის ვიყავი, ბებიამ ყურები რომ გამიხვრიტა და საყურეც მაჩუქა, ხოლო 16 წლის რომ გავხდი, უკვე ცხრა საყურე მეკეთა. როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ სისულელე იყო და შევიხორციე. ახლა ჩემი ყოფილი დედამთილის მეგობრის ნაჩუქარი, ოქროს პატარა საყურე მიკეთია, რომელიც ძალიან მომწონს.



მაიასა და გოგას სიყვარულსაც იქ ჩაეყარა საფუძველი

**— მაკიაჟი პირველად როდის გაიკეთე?**

— ბავშვობაში მამიდაშვილი გამწარებული მყავდა, რადგან მის კოსმეტიკას ვემტერებოდი — წავისვამდი ნითელ პომადას, შავ ფანქარს და ასე დავდიოდი; სახლში მისვლისას კი ვიშორებდი, რადგან მამაჩემს არ მოსწონდა. სერიოზული მაკიაჟი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას გავიკეთე. ყოველდღიურად მაკიაჟს არ ვიკეთებ. სამაგიეროდ, მიყვარს შინდისფერი, მშრალი პომადა და მას ყოველთვის ვისვამ სოლმე.

**— სად ირუჯები სოლმე?**

— ზამთარში სოლარიუმში დავდივარ, ზაფხულში კი ბუნებრივ „ზაგარს“ ვანიჭებ უპირატესობას. ზოლიაქოს მიხედვით მზე ჩემი პლანეტაა. ძალიან მიყვარს სითბო, მზე და ამიტომაც დიდი სიამოვნებით წავიდიოდი იქ, სადაც სულ მზეა.

**— წარბების კორექცია გაკეთებული გაქვს?**

— ძალიან სქელი, დიდი წარბები მექონდა. ამიტომ მათი კორექცია ჩემთვის აუცილებელი იყო.

**— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?**

— ხშირად დავდივარ, რადგან მომწონს იქაური გარემო. ნებისმიერი ქალი ყოველთვის მოწესრიგებული უნდა იყოს, თმა კი ისეთი რამეა, ქალს სულ წესრიგში უნდა ჰქონდეს. ამიტომაც ხშირად ვსტუმრობ სალონს. იქ ყოფნისას დიდ სიამოვნებას ვიღებ.

**— პლასტიკურ ოპერაციაზე რა აზრის ხარ?**

— თუ ადამიანს სურს, იყოს უფრო ლამაზი და ამაში მას ოპერაცია დაეხმარება, უნდა გაიკეთოს. ერთი პერიოდი მინდოდა, მკურდი გამედიდებინა, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე და ახლა ბედნიერი ვარ, რომ არ გა-



ფილმი „მიდიოდა მატარებელი“ მთელი ჩემი ცხოვრებაა



ვიკეთე — დიდმკურდინი მაკა შალიკაშვილი ვერც კი წარმომიდგენია.

**— ამ სურათში შეილთან ერთად ხარ?**

— თინათო ახლა 4 წლისაა და დედას საერთოდ არ ჰგავს. ძალიან მოწესრიგებული და კარგი ბავშვია. მისმა დაბადებამ ყველაფერი საუკეთესო შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. გარეგნულადაც კი უფრო კარგი გავხდი, ვიდრე ვიყავი. არ მოსწონს, როცა ვერთობი, ბიჭებს ველაპარაკები. როცა ჩვენთან ერთად მამამისია, მაშინ ჩუმი ვიქნები, ხმას არ იღებ, ლაპარაკის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ როცა სხვას ველაპარაკებ, ხან ნაყინს მთხოვს, ხან — სახლში წაყვანას.

**— ამ ზაფხულს დასასვენებლად არ მიდიხარ?**

— თინათინის დაბადების შემდეგ ზღვაზე არ ვყოფილვარ. არ მიყვარს ბავშვთან ერთად ზღვაზე წასვლა. წელს ვაპირებ, ბათუმში დავისვენო. სანამ შეილები გვეყოლებოდა, მე და „დობო“ (მსახიობი მაია დობორჯგინიძე) კოტორაანთკარში ხშირად დავდიოდით, იქ ბევრი კარგი დღე გვაქვს გატარებული. აუზიც გვექონდა, ვირუჯებოდით და ვერთობოდით. სხვათა შორის, მაიასა და გოგას სიყვარულსაც იქ ჩაეყარა საფუძველი.

**— ეს სურათი ფილმზე მუშაობის დროსაა გადაღებული, სომ?**

— ფილმი „მიდიოდა მატარებელი“ მთელი ჩემი ცხოვრებაა, როგორც მსახიობისთვის და როგორც ადამიანისთვის. მაღლობა ღმერთს, რომ ამ არაჩვეულებრივ ხალხთან მუშაობა მხვდა წილად. ■





# პაემანი „პროფილაქტიკაში“ და სიურპრიზი თვითფრინავის ტრაპთან

რუსთაველის თეატრის ნამყვან მსახიობს, ბესო ზანზურს უკვე 3 მეუღლე ჰყავდა და მიუხედავად ამდენი იმედგაცრუებისა, ოჯახურ ცხოვრებაზე გული მაინც არ გაუტეხია და დაქორწინებაზე კვლავ ფიქრობს. როცა ინტერვიუსთვის დავუკავშირდი, გონიოში აღმოჩნდა. ასე რომ, პირადად შეხვედრა ვერ მოვახერხე, მაგრამ გულახდილი ინტერვიუ მაინც ჩავეწერე.

## ელენე ბასილიძე

— ბესო, როგორ ისვენებ?

— ახლა გონიოში ვარ და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. აქედან თურქეთში ვაპირებ წასვლას და იმედი მაქვს, სამუშაო სეზონს დასვენებული, აღდგენილი ძალებით დავუბრუნდები.

— ჩვენი ინტერვიუს თემა პირადი ცხოვრებაა. თუ გახსოვს, პირველად როდის შეგიყვარდა?

— რაც თავი მახსოვს, სულ შეყვარებული ვარ — ჩემი ცხოვრება ამ გრძნობის გარეშე წარმოუდგენელია. ხშირად იხსენებენ, რომ პირველი სიყვარული ბალში ან სკოლაში ეწვიათ. 15 წლის ვიყავი, პირველად რომ შემიყვარდა და ის გოგონა ცოლად მოვიყვანე. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა...

— დღეს ახალგაზრდები არ ჩქარობენ ოჯახის შექმნას, შენ კი უკვე სამეჯერ მოასწარი დაქორწინება...

— ამას ევროპულ ტენდენციას ეძახიან, მაგრამ მე სიდებილის ტენდენციას დავარქმევდი. გვიან დაოჯახება ევროპელობას სულაც არ ნიშნავს. ეს ჩემთვის დიდი გოიმობაა. როცა მინდა, როგორც მინდა და სადაც მინდა, ისე მოვიწყობ ცხოვრებას. ხშირად უთქვამთ, იმ გოგომ ხომ იცოდა, რომ 5 ცოლი ჰყავდა, რატომღა გაჰყვაო?! მდგომარეობა, რომელსაც სიყვარული ჰქვია, არანაირ კანონს არ ემორჩილება და ფიქრის საშუალებას არ გაძლევს. სიმართლე რომ გითხრა, არავის ევითება ჩემი ცხოვრება და არც არავის გასარჩევია, როდის და რას გავაკეთებ. თუ მინდა, 100 ცოლს მოვიყვან და თუ მინდა — 200-ს. ასე რომ, ჭორიკანა ადამიანებს ვურჩევ, საკუთარ საქმეს მიხედონ. ერთ დღეს შესაძლოა, ჭორის მსხვერპლად თავად იქცნენ. ბოლო დროს შევნიშნე, რომ ქართველი „ვაჟაკები“ უფრო მაქილიკებენ. არა მგონია, ეს კაცური საქციელი იყოს. ამას წინათ, ვილაცა ინტერვიუში მე მომმართავდა, — ყოჩაღ შენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალთან ურთიერთობა არ შეგიძლიაო. იმ ადამიანს არავინ ჰკითხავს, მე ვისთან რა შემიძლია. სიმართლე

გითხრა, ჩემი პირადი ცხოვრების აფიშირება დიდად არც მიყვარს...

— თუმცა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში უარი არ გითქვამს, შენს პირად ცხოვრებაზე გესაუბრა...

— მართალია. გადაცემას ინტრიგა სჭირდება და შესაძლოა, რალაც ფაქტები ზედმეტად გავაზვიადო ან ცოტა ვითამაშო... მსგავსი შოუები ხომ სწორედ იმ ხალხზეა გათვლილი, რომელზეც წელან ვსაუბრობდი. ნორმალური, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი კი იოლად მისვდება, რომ ეს შოუა და ბევრ რამეს ვაზვიადებ.

— ხომ არ გიფიქრია, რომ მსგავს შოუებში მონაწილეობით საკუთარ თავს ერთგვარი ანტირეკლამაც გაუკეთებ?

— სიმართლე გითხრა, ჩემი მიზანი არც რეკლამისა და არც ანტირეკლამის გაკეთება არ ყოფილა. ჩემი პირადი ცხოვრების ყველაზე დიდი „შემოქმედება“ ჩემი შვილებია (ბესოს 2 შვილი — 10 და 2 წლის ვაჟები ჰყავს, — ავტ.) და სხვა ყველაფერი ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— სუსტი სქესის წარმომადგენლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორ ახერხებ მანდილოსნების გულის მოგებას?

— საკუთარი თავით ტყობა არ

მახასიათებს. მიყვარს ქალი, ვიცი ქალის ფასი და საყვარელი ადამიანის გულისთვის ყველაფრის გაკეთება შემეძლია. არასოდეს ვთამაშობ გრძნობებზე და ვიცი, როგორ უნდა გავაბედნიერო საყვარელი ადამიანი.

— ანუ შენი ყველა მეუღლე შენ გვერდით თავს ბედნიერად გრძნობდა?


— უი, არ ვიცი, ეს მათ უნდა ჰკითხო... ალბათ — კი.

— ბესო, 3-ჯერ ოჯახის დანგრევა არც ისე იოლია. ამ ყველაფრის გადატანა ალბათ ძალიან გაგიჭირდა...

— მართალია, მაგრამ საზოგადოება მხოლოდ იმას ხედავს, რაც უნდა, რომ დაინახოს: 3 ცოლი ჰყავდა?! — ე.ი. ძალიან ცუდი ადამიანი ყოფილაო! შეუძლიათ, ჩემზე ყველანაირი საზიზღრობა ილაპარაკონ. ოჯახის დანგრევა დიდი სტრესია, მაგრამ როცა ხვდები, რომ ეს გარდაუვალია, დროთა განმავლობაში საკუთარ თავს ატუებ, რომ ადრე თუ გვიან, ეს მოხდება. სამივე შემთხვევაში მეუღლეებმა თავად მიიღეს ჩემი მიტოვების გადაწყვეტილება. ჩემთან სამივე მართალია — მე ვარ დამნაშავე... მიუხედავად 3 დანგრეული ოჯახისა, დაოჯახების არ მემინია და საერთოდაც, ბესო ზანზურს რაც მოეხსიანთება, ყოველთვის იმას აკეთებს. ვერავინ ვერასდროს მომთხოვს პასუხს, ესა თუ ის რატომ ჩაიდინეო?! შემეძლია, ჩემს საქციელზე პასუხი ვაგო.

— ნელა აღნიშნე, რომ არასოდეს თამაშობ ქალებთან...

— სცენაზე ვთამაშობ, გრძნობებზე — არასოდეს. უბრალოდ, ვცდილობ, გავეპრანჭო და თავი სასურველ ქალად ვაგრძნობინო. არ მინახავს ადამიანი, რომელიც არ თამაშობდეს. ნებისმიერ ადამიანს თავისი როლი აქვს მორგებული, მაგრამ თამაშსაც გააჩნია. როცა სასურველ ადამიანს ეპრანჭები და ცდილობ მოხიბლო, ეს, მგონი, მისაღებია ურთიერთობაში. რაც მთავარია, პირდაპირი ადამიანი ვარ და ვფიქრობ, ქალებს ეს მოსწონთ. რაც შეეხება მანდილოსნების მოხიბვლის მეთოდებს, ამ საიდუმლოს არავის ვუშხვლ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ წიგნების კითხვა ყველა ადამიანს დაეხმარება სანინალმდგეო სქესის გულის მოგებაში; სოციალურ ქსელში 24 საათის განმავლობაში ჩეთაობა



შემიძლია, ჩემს საქციელზე პასუხი ვაგო





არაფერს მისცემს. შეიძლება, მთელი დღის განმავლობაში სოციალურ ქსელში ვიყო, მაგრამ გვერდით ყოველთვის მაქვს წიგნი, რომელსაც ვკითხულობ. სამწუხაროა, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს გემოვნება ლალატობთ და ვნებადაკარგულები არიან ქალების მიმართ. ქართველი ქალი ბევრს მხოლოდ კოჭებამდე კაბით წარმოუდგენია. ასე ნამდვილად არ არის.

**— წარმატებულად მიიწვევ შენს პირად ცხოვრებას?**

— იცი რა, არ შეიძლება, რომ უკმაყოფილო ვიყო, თუნდაც შვილების გამო. 2 ვაჟი მებრძება და ბედნიერი მამა ვარ. გარდა ამისა, მაქვს წარმატებული კარიერა, მყავს უმაგრესი ოჯახის წევრები, არაჩვეულებრივი მეგობრები... მიუხედავად ბევრი ტკივილისა, არა მაქვს უფლება, საკუთარ თავს წარუმატებლობა დავწამო.

**— როგორ ფიქრობ, კარგად გესმის ქალის ფსიქოლოგია?**

— აუჰ, ეს რა კითხვა დამისვია? არ მეგულება მამაკაცი, რომელიც ქალის ფსიქოლოგიას ზედმიწევნით იცნობს. ქალი ზუსტად იმიტომამა მიმზიდველი, რომ ვერასოდეს გაიგებ, რა უნდა, რა სჭირდება, ვინაა და როგორია...

**— ქალის მოსახიზლავად „საქმენი საგმირონი“ თუ ჩაგიდენია?**

— კი, რამდენიც გინდა... აბსოლუტურად ყველაფერი გამიკეთებია, რაც ოდესმე გაგიგონიათ ან სადმე გინახავთ. შეყვარებული ბესო ზანგური გადადებულია იმ ადამიანისათვის, რომელიც უყვარს — მის გარდა არავინ და არაფერი მახსოვს და მისთვის ყველაფერს ვაკეთებ. რაც მთავარია, როცა მიყვარს, ძალიან ერთგული ვარ. ერთხელ რამდენიმე კვირა ვგეგმავდი ერთ სიურპრიზს, რომელმაც ჩემი საყვარელი ადამიანი ძალიან გაახარა. თურქეთში მიფრინავდა და ერთმანეთთან დამშვიდობება ძალიან გაგვიჭირდა. მოკლედ, სანამ ის თურქეთში ჩაფრინდებოდა, იქ მე ჩავასწარი და ტრაპთან დავხვდი. სხვათა შორის, მსგავსი რამ ადრე კოტე მახარაძემ ჩაიდინა.

**— მერე ის გოგონა შენი მეუღლე გახდა?**

— არა, ის გოგონა რიგით შეყვარებულად დარჩა.

**— ინტერვიუს დაწყებამდე მითხარი, პირად ცხოვრებაში სიახლეები მაქვს...**

— კი, მართალია. ამას წინათ, ნანუკას შოუში ჩემს შეყვარებულზე რაღაც რომ მოვიგონე, მგონი, ყველამ დაიჯერა. სანამ ჩემი ჩანერის დრო დადგებოდა, 4-5 საათი შოუს

დაგმდნენ და წინასწარ „ანყობდნენ“ ყველაფერს. „ჩანყობილი“ შოუ არ მინახავს და გადავწყვიტე, მეც მომეწყო პატარა შოუ: ვთქვი, 2 შეყვარებული მყავს-მეთქი. უცებ მოვიგონე სახელი, რომელიც ერთ-ერთი პიესიდან მახსოვდა და მარია ედუარდა დუარდუა-მეთქი, ვთქვი (იცი-ნის). რა რეაქციები მოჰყვა ჩემს ნათქვამს, არ იცი... მართალია, იქ ვისუმრე, მაგრამ დღეს მართლაც ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან გვერდით საყვარელი ადამიანი მყავს.

**— ოჯახის შექმნასაც აპირებ?**

— კი, რა თქმა უნდა! სანამ გოგონა არ მეყოლება, არ გაჭერდები (იღიმის). მარიამობას ვარ დაბადებული და ძალიან მინდა, მყავდეს გოგონა, რომელსაც მარიამს დავარქმევ. იმედი მაქვს, მარიამის დედობას აუცილებლად დამიხსურებს ვინმე.

**— მიდი, შენს საყვარელ ადამიანზეც მომიყვი. როგორ გაიცანი?**

— ძალიან უცნაურ სიტუაციაში გავიცანი ერთმანეთი: ნასვამი ვმართავდი საქეს და მის მანქანას უკნიდან დავეჯახე. გადმოვიდა, დამაკვირდა და, — შენ ბესო ხარ, ზანგურიო?! — კი-მეთქი, ვუპასუხე. — აბა, შენგან სხვას რას უნდა ელოდეს ადამიანიო?! მაგრად გამლანძლა, გამათახა, მინასთან გამასწორა და ბოლოს მითხრა, — მიდი, მიდი, შენს ურთიერთობებს მისუდე, ეს იმის ბრალია, სულ ქალებზე რომ ფიქრობო.

სიმართლე გითხრა, სულ არ ვუსმენდი მის ლანძღვა-გინებას: როგორც კი მანქანიდან გადმოვიდა, ისე მომეწონა, — ეს გოგო ჩემი გახდება-მეთქი, — გავიფიქრე. ჩვენი პირველი პაემანი „პროფილაქტიკაში“ შედგა. რამდენიმე საათი ლოდინი მოგვისდა და ყავის დასალევად კაფეში შევედით. მერე იყო მესიჯი, მესიჯს სოციალურ ქსელზე დამატება მოჰყვა, მერე — „სკაიპში“... ბევრი საერთო თვისება გვექონა, ნაკითხი აღმოჩნდა... ასე მოვიდა სიყვარული. დღეს ძალიან ბევრ ადამიანს აკლია სიყვარული, დადიან დაბლვერილი სახეებით... რა ხდება, ნუში აღარავის გულში აღარ ყვავის?! გაიმართეთ, ხალხო, და შეიყვარეთ! „ამოქოქეთ“ გრძნობები! ამაზე მა-

გარი ცხოვრების სტიმული არ მეგულება!

**— როგორც ვხვდები, შენსა და შენს რჩეულს შორის ძალიან სწრაფად განვითარდა მოვლენები, არა?**

— კი. ვერ ვიტან გაჭიანურებულ ურთიერთობას. თუ მოგწონს და მოსწონხარ, არ არის საჭირო საკუთარი



მინდა, თეატრის ფენომენი რასაც ჰქვია, ძირისძირობამდე შევიგრძნო

თავისა და ერთმანეთის მოტყუება. ეს საშინელებაა.

**— ბესო, სანინალმდეგო სექსში, პირველ რიგში, რას აქცევ ყურადღებას?**

— რა თქმა უნდა, გარეგნობას, მაგრამ ჩამოყალიბებული გემოვნება არა მაქვს — ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მაღალი, გამხდარი და ქერა ქალები მომწონს. ქალს გარეგნობასთან ერთად, ინტელექტიც უნდა ჰქონდეს. უნიგურ ქალთან ურთიერთობას ვერ გავაბამ.

**— რაც შეეხება შენს კარიერას — რა სიახლეებს უნდა ველოდით?**

— სულ მალე რუსთაველის თეატრის სცენაზე არაჩვეულებრივი სპექტაკლი დაიდგება, რომელზე საუბრის უფლებაც ჯერჯერობით არ მაქვს, მაგრამ მის შესახებ საზოგადოება მალე შეიტყობს. რაც შეეხება ჩემს კინოკარიერას, ქართულ კინოში მონაწილეობისგან რიგი მიზეზების გამო თავს ვიკავებ, ასევე — რეკლამებშიც... ჯერ მინდა, თეატრის ფენომენი რასაც ჰქვია, ძირისძირობამდე შევიგრძნო; ამასთან ერთად, ახალი გატაცებაც აღმოვაჩინე: დიდი სიამოვნებით ვთამაშობ აირსოფტს. სპეციალური სამხედრო ტანისამოსი უკვე შევიძინე, ახლა იარაღის შეძენას ვაპირებ.

**— წარმატებულს ვასურვ!**

— დიდი მადლობა!



# კარგი ფესტივალის კეთება ძვირი ჯდება



სადაც ჩავედით, ყველგან დიდი ემოციებით შეგვხვდნენ

**ზუზა: „ქართულ სიმღერას ნობით ვერ ისწავლი“**

ძნელია განსაზღვრო, რა უფრო პოპულარულია — ტელე-შოუები თუ ცოცხალი ღონისძიებები. ფაქტია, რომ თბილისსა თუ მის გარეთ გამართულ კონცერტ-აქციებს, რომლებიც ხშირად კრიტიკის საგანი ხდება, ძალიან ბევრი დამსწრე ჰყავს, ბილეთის ფასისა და კონცერტის ხარისხის მიუხედავად.

დღეში გავალვივით ინტერესი საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და ტრადიციების მიმართ. სწორედ ამიტომ დაარსდა „არტ-გენი“, რომელიც იწყება პერმანენტული ექსპედიციებითა და რეგიონული ფესტივალებით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში; დასკვნითი ნაწილი კი ყოველთვის თბილისში იმართება, სადაც თავს იყრის ამ ექსპედიციების შედეგად მოპოვებული სხვადასხვა დარგის ტრადიციული კულტურა.

— როგორი იყო წელს ფესტივალის მარშრუტი?

— ძალიან საინტერესო გახლდათ. სადაც ჩავედით, ყველგან დიდი ემოციებით შეგვხვდნენ. ფესტივალი მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში გაიხსნა, რომელიც შემთხვევით არ აგვირჩევია. როცა ქვეყანას ნიკო ფიროსმანის რანგის მხატვარი ჰყავს და მისი სახლ-მუზეუმიც აქვს, ის აუცილებლად უნდა „ცოცხლობდეს“. ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ მუზეუმს საფესტივალო ინფრასტრუქტურის მონაცემებში დავხმარებოდით და მარანი აღვადგინეთ, სადაც ოქტომბერში ფიროსმანის სახელობის ღვინო დაინიშნება. მოგეხსენებათ, წელიწადის ამ დროს დიდი დღესასწაული — ფიროსმანობა აღინიშნება, რომელიც სწორედ მირზაანში იმართება. „არტ-გენის“ იქ ჩატანით ხალხს კიდევ ერთხელ შევახსენეთ ამ დღესასწაულის არსებობის შესახებ.

— ღვინო ახსენეთ... წელს რომელი ღვინო წარმოადგინა „არტ-გენმა“?

— მილდიანების წითელი ღვინო, რომელიც საქართველოში ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენს ფესტივალზე დაგემოვნდა. რაც შეეხება ჩამოსასხმელს, სამი სახის ღვინო გვეყონდა: ევროპულად და კახურად დაყენებული, აგრეთვე — საფერავი; დანარჩენი კი ბოთლის ღვინოები იყო, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

— თქვენ რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

— შავი ღვინო სადილზე მისაყოლებლად კარგია, მაგრამ საქეიფოდ — არა. როცა სუფრასთან რამდენიმე საათი გინეჭს ყოფნა, თეთრი ღვინო უნდა მიირთვა, თუმცა გადამტებული არც ერთი არ ვარგა. მთავარია, კარგად მოილხინო: იმლერო, იხუმრო და დრო ატარო.

— როგორ ადგენთ ფესტივალის სამოქმედო რუკას?

— სპონსორების რაოდენობის მიხედვით. რაც მეტი სამუალება გვაქვს, მით ხშირია გასვლა რეგიონებში. წელს მხოლოდ სამდღიანი ვოიაჟით შემოვიფარგლეთ. კარგი ფესტივალის გაკეთება ძვირი ჯდება, მაგრამ ზოგიერთი ერთჯერადი ღონისძიება უფრო ძვირია, ვიდრე მთლიანად ფესტივალი.

— თუმცა „არტ-გენში“ ძვირად ღირებული ანსამბლებიც მონაწილეობენ...

— დიახ, მაგრამ ისინი ჩვენი მეგობრები არიან დაარსების დღიდან

## ნატა კოზიძე

ივლისის მინურულს, თბილისში დარჩენილთათვის (ასეთი კი მრავლად აღმოჩნდა) ეთნოგრაფიული მუზეუმი ერთგვარ თავშესაფარად იქცა, სადაც ყოველდღე, დილიდან გვიან ღამემდე არ წყდებოდა ხალხის ნაკადი. ტრადიციულ ფესტივალს — „არტ-გენი“, მუზეუმმა მერვედ უმასპინძლა და შეიძლება ითქვას, საკმაოდ წარმატებულადაც. რეგიონებიდან დაბრუნებულმა „არტგენელებმა“ რამდენიმე დღე დაისვენეს და ფინიშისთვის მზადებას შეუდგნენ. დასკვნითი დღის პროგრამა ასეთი იყო: ქართული რენვისა და ეთნოგრაფიის გამოფენები — დილით; შემდეგ — სტუმრები (ფოლკლორული ანსამბლები) ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან და თანამედროვე ჯგუფები: „აუტსაიდერი“, „ზუმბალენდი“, „პპ-ა“, „ინსაითი“... საღამოობით. დღის მეორე ნახევარში ფესტივალზე დასწრების მსურველთა რაოდენობა განსაკუთრებით იზრდებოდა. პიკს დახურვის დღეს მიაღწია, როცა „ფაზისის“, „ლაზიკის“, „კოლხი ბიჭების“ შემდეგ სცენაზე „სუბიშვილები“ გამოჩნდნენ...

## ზაზა კორინთელი (ზუზა):

— ჩვენი მთავარი მიზანი ძველი ტრადიციების აღდგენა და მათი პოპულარიზაციაა. გესურს, ახალგაზრ-





და ძალზე უმნიშვნელო ჰონორარს იღებენ.

**— მირზაანიდან ფოთში გაემგზავრეთ?**

— ჯერ რუსთავს ვწვიეთ, სადაც თეატრის წინ სკვერი გამოგვიყვეს. ის სკვერი დაასუფთავეს, გამართეს სცენა და სტუმრების მისაღებად მოემზადნენ. შემდეგ გავემართეთ ფოთში, სადაც მალ-თაყვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყეში დავბანავდით — მწვანე გარემო, ცოტა კოლო და კარგი საფესტივალო ამინდი... ფოთელები დაგვირდნენ, ამ ადგილს გაისად უკეთეს მდგომარეობაში დაგახვედრებთო. მთავარია, მაყურებელმა დიდი სიყვარულით მიგივლო. „არტ-გენს“ არ სჭირდება რეკლამა, მას თავისი საქმე გაკეთებული აქვს, მაგრამ ბევრი კიდევ გასაკეთებელია. ჩვენი დიდი სურვილია, შემდეგ წლებში ამ ფესტივალის ყველა მონაწილე დაშვებულ ფესტივალებზე გავგზავნოთ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პოლონეთი, უკრაინა და სხვა.

**— უცხოელები თვითონ გიკავშირდებიან?**

— პირადი ურთიერთობები დიდი ხანია არსებობს. მაგალითად, ავსტრიული ჯგუფის (რომელიც წელს მოისმინეთ) ერთი მონაწილე თბილისში ცხოვრობდა და შემდეგ შექმნა ჯგუფი „ჭაობის მეკობრეები“. ისინი თვითონ გამოგვემართნენ, გაიღეს გზის ხარჯი, ჩვენ კი კარგი მასპინძლობა აღვუთქვით. აგრეთვე გვესტუმრა საფრანგეთში მოღვაწე ქალთა ანსამბლი „სამშაბათი“, რომლის წევრები დიდი ხანი ემზადებოდნენ ქართველ მსმენელთან შესახვედრად. ფესტივალზე ისინი პროფესიონალ ლოტბარებსა და ოსტატებს დაუახლოვდნენ და ბევრი რამ ისწავლეს მათგან. ცოცხალი შესრულება სულ სხვაა, ქართულ სიმღერას მხოლოდ ნოტებითა და ჩანაწერებით ვერ ისწავლი.

**— უამრავი უცხოელი ესწრებოდა „არტ-გენს“; ტურიზმის განვითარებაც ხომ არაა თქვენი პრიორიტეტი?**

— მოდი, ორ ნაწილად გავყოთ ტურიზმი: შიდა და გარე. ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ტურიზმის ქვეყნის შიგნით განვითარება, რადგან ქართველების უმრავლესობას საკუთარი სამშობლო არა აქვს ნანახი. წლების წინ ჩვენი ფესტივალის დაარსების ერთ-ერთი მიზანი ესეც იყო; ამიტომ გავხადეთ ის „მოძრავი“. მოგესხენება, მოგზაურობისას მუდამ დაგვეყვებიან ტურისტები, როგორც უცხოელები, ისე — ქართველები. ერთ წელიწადს საქართველოს ყველაზე მაღალ წერტილში,

უშგულში ავედით, დაახლოებით ორასნი ვიყავით. ამდენივე ადამიანი იქ თავისი ნებით შემოგვიერთდა. მათ უმრავლესობას უშგული არასდროს ენახა და აღტაცებას ვერ მალავდნენ. ყველაზე კარგი კი ის იყო, რომ ჩვენი იქ ჩასვლით იქაურებს შემოსავალი გაუჩნდათ. ამ მხრივაც ძალიან მნიშვნელოვანია ფესტივალები, რადგან ისინი მთის შენარჩუნებაში გვეხმარებიან. სამწუხაროდ, მაღალმთიან რეგიონებში რამდენიმე ოჯახილა შემორჩა, ძირითადად — მოსუცები, რომლებიც საუკეთესო მასპინძლები არი-

ტურულ მონაპოვარს შეუქმნის საფრთხეს. ახალ თაობებს უნდა გადავცეთ წინაპართა ცოდნა. ექსპედიციებში თავადაც ვიღებ დიდ გამოცდილებას.

**— რეგიონებში ბევრ დროს ატარებთ?**

— წელიწადში რამდენიმე თვეს. ეს არის ძალზე ძვირფასი ურთიერთობები ჩემთვის, საიდანაც უამრავ რამეს ვსწავლობ: იქაურების ცხოვრებით ვცხოვრობ, რადგან ერთად ვართ თვეების განმავლობაში. ყველაზე მეტად გახარებული მაშინ ვარ, როცა დროს გამოვინახავ და თბილისიდან მივდი-



განმორებას ბევრი ცრემლიც ახლავს

ან. მათ ძალზე სათუთად უნდა მოვექცეთ. უცხოელები საქართველოში ეგზოტიკის სანახავად ჩამოდიან და არა — ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების, რომელიც სულაც არ აინტერესებთ. ვისაც ქვეყნის გაცნობა სურს, მერწმუნეთ, კომფორტს არ ეძებს, მას უბრალო ყოფის გაზიარება და გლეხთან, ოჯახში დარჩენა უნდა, რომ მისი საქმელი და ღვინო დააგემოვნოს. ამ ფაქტს ერთადერთი რამ უშლის ხელს — ჰიგიენური პირობების მოუწესრიგებლობა. საქართველოში სახლების ძირითადი ნაწილი ორსართულიანია, სადაც მეორე სართული ძირითადად უმოქმედოდაა. თუ სტუმარს მივიღებთ და ამ სართულებს ავამოქმედებთ, ქვეყანასაც ბევრი დამსვენებელი ეყოლება. ამ მხრივ ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს. მთავარია, სწორად მივუდგეთ საქმეს და უსაქმურობის პრობლემაც გადაიჭრება...

**— წლევიანელი ფესტივალის მთავარი პრიორიტეტი რა იყო?**

— განათლება, რადგან აშკარად ქრება მოსწავლისა და შეგირდის ინსტიტუტი, რაც მომავალში ჩვენს კულ-

ვარ. ამ ექსპედიციებზე უკვე 3 ფილმი გადავიღეთ. თუმცა განმორებას ბევრი ცრემლიც ახლავს და ფესტივალში მონაწილეთაგან ბევრი ცოცხალიც აღარ არის. რას ვიზამთ, ცხოვრება გრძელდება... მომავალში აუცილებლად გამოვასწორებ ჩემს დიდ შეცდომას და პირიქითა ხეფსურეთსა და თუშეთს ვწვევი, სადაც ასევე მრავლად შემორჩა ქართული ფოლკლორის მარგალიტი. ფესტივალი უპირველესად, საქართველოს გაძლიერებისა და გამთლიანების საქმეს ემსახურება. სამწუხაროდ, დრო არ მყოფნის, ეს ყველაფერი ქალაქებზე რომ გადავიტანო; სამაგიეროდ, მუდმივად ინერება მუსიკა... სწორედ ექსპედიციებში შეიქმნა „ზუმბალენდის“ ახალი, რიგით მეექვსე ალბომი, რომელიც ფესტივალზე წარუვადგინეთ მსმენელს, ახლა კი დიდი ტურნე გველის ევროპაში. ამჟამად ანსამბლში 6 მუსიკოსი ვართ: სოსო კაპანაძე (კლავიში), სანდრო ნიკოლაძე (ფლეიტა, ვოკალი), კაკი ჯაფარაძე (დასარტყამი), დავით ყვითელაშვილი (ბასი), სანდრო მაზიაშვილი (ვოკალი) და მე — თქვენი მონა-



# აქციაზე უზუქოხასთან დაკავშირებით, ეზოში შეხვედარი კარგოფილი და კალათხურთელი სამორი ბაღდე...

ანუ როგორ არ ავლიდა ნინი დედალამაზიშვილი მაცხრე ბლოკს აფეთქებას

**სამორი ბაღდე** და **ნინი დედალამაზიშვილი** ერთ უბანში გაიზარდნენ და ერთსა და იმავე ბაღსა და სკოლაში დადიოდნენ. ჩემს ხალისიან რესპონდენტებს იმდენი აქვთ ერთმანეთზე მოსაყოლი, ალბათ მათ ამბებს ჟურნალის ფურცლები ვერ დაიტევს. გარდა იმისა, რომ მეზობლობა და მეგობრობა აკავშირებთ, ორივე ერთნაირად არაპუნქტუალურია. როცა ჩემთან შესახვედრად მოდიოდნენ, სამორიმ ნინის არაპუნქტუალურობაში აჯობა, რამაც ნინიცა და მეც ძალიან გაგვაოცა. მხიარული და ლაღი რესპონდენტები ჩემს ხელში რომ დავიგულე, სამმა ნინის გადაულაპარაკა, — ღვედი შეიკარი, ახლა დიდი ამბავი დაინკუბაო, — რამაც საერთო მხიარულება გამოიწვია და როგორც იქნა, ინტერვიუ დავინწყეთ.



მიუხედავად იმისა, რომ დუხჭირი წლები გამოვიარეთ, ძალიან კარგად მახსენდება ის დრო

## ელენე ბასილიაძე

**ნინი:**  
— სამორი ჯერ კიდევ ბალიდან მახსოვს. ეზოშიც ერთად ვთამაშობდით... პატარაობისას კალათხურთს თამაშობდა. მთელი ჩემი ბავშვობა მასთანაა დაკავშირებული, მაგარი უბანი გვექონდა, ბავშვები ძალიან ვმეგობრობდით.

**სამორი:**  
— მე და გიგი, ნინის ძმა, ბაღში ერთ ჯგუფში ვსწავლობდით, ნინი ჩვენზე რამდენიმე წლით უმცროსია. თავდაპირველად გიგი გავიცანი. ის იმ დროიდან მახსოვს, როცა დამოუკიდებლად არაფრის კეთება არ შემიძლო.

**ნინი:**  
— იცი, სამორი, შენი და გიგის ბავშვობის ფოტო ჩვენს ბაღში, კედელზეა გამოკრული... ცოტა ხანში ალბათ მემორიალურ დაფასაც გამოჰკრავთ ხელს (*იციინიან*).

**სამორი:**  
— მას შემდეგ, რაც ბალი „დავამთავრე“, იქ აღარ ვყოფილვარ. უნდა შევიარო ერთი... ბავშვობის მოგონებებიდან მახსოვს, რომ მე — მეხუთე, ნინი კი მეორე სართულზე ცხოვრობდა და ეზოდან ვეძახდით ერთმანეთს, — ჩამოდი, ვითამაშოთო...

**ნინი:**  
— ის დრო ძალიან მომენატრა, ახლა ეზოდან არავინ მეძახის, მირეკავენ და — გადმოიხედო, — მეუბნებიან. მაშინ კი მთელი უბანი გადაძახილებით ივსებოდა. მახსოვს, ჩვენი

მშობლები რომ გადმოდგებოდნენ აივნებიდან და გვეძახდნენ, — ამოდით, საჭმელი ქამეთო...

**სამორი:**  
— დღეს ბავშვები ეზოში აღარ თამაშობენ. ყველა სახლში ზის და ან „სკაიპით“ ჩეთაობს, ან სოციალურ ქსელშია შესული.

**ნინი:**  
— მაშინ ჩაცმაზე სულაც არ ვფიქრობდი. ერთი „საცოდავი სპორტული“ მქონდა და ძალიან ბედნიერი ვიყავი. ისეთ ადგილებში დავფოფხავდით, არც ერთი შარვალი მთელი არ მქონდა. დღეს პატარებს რომ ვუსმენ, ყველა იმაზე ბჭობს, რა ჩაიცვას და როგორი ვარცხნილობა გაიკეთოს. ჩვენს დროს არც შუქი იყო, არც არანაირი გასართობი და ბავშვები დანაკლისს ერთმანეთით ვივსებდით. მიუხედავად იმისა, რომ დუხჭირი წლები გამოვიარეთ, ძალიან კარგად მახსენდება ის დრო.

**სამორი:**  
— მოკლედ, მეცხრე ბლოკს აფეთქებდას არ აცდიდა, ამას უკვე აქცია ჰქონდა მოწყობილი (*იციინიან*). ჩვენს მშობლებს ახსოვთ მწარედ ის წლები, თორემ ჩვენ როგორც კი შუქი ჩაქრებოდა, ეზოში გავრბოდით. ცეცხლს დავანთებდით და კარტოფილს ვწვავდით, კარდონის ყუთს გადავჭრიდით ხოლმე და ლუმელს ვაკეთებდით, გუდროს ვწვავდით... სამწუხაროდ, ახლა ეზოში გუდრონი აღარ ყრია... ნაძვებზე საქანელა გვექონდა

ჩამოკიდებული, ხუთთეთრინი შოკოლადები — „ჩინო“ იყიდებოდა...

— თუ გასწავთ, ბავშვობაში როგორ გამოიყურებოდით?

**ნინი:**  
— სამორი ძალიან გამორჩეული იყო. ყველა გოგოს მოსწონდა, მაგრამ არავინ ეუბნებოდა...

**სამორი:**  
— ჰო, მაშინ სხვა დრო იყო (*ხარხარებზე*).

**ნინი:**  
— ჩემი აივნიდან ძალიან კარგად ჩანდა ის სტადიონი, რომელზეც სამორი კალათხურთსა და ფეხბურთს თამაშობდა. როგორც კი სათამაშოდ გამოვიდოდა, გოგონები დავირაზმებოდით და მისი თამაშის საყურებლად გუნდურად მივდიოდით. მაშინ დრედები არ ჰქონდა, მოკლედ შეკრეჭილ თმას ატარებდა და „ჩიკაგო ბულზის“ წითელი მაისურის ჩაცმა უყვარდა ხშირად. გოგონები დარწმუნებულები ვიყავით, რომ ერთ დღეს „ენბიის“ ვარსკვლავი გახდებოდა.

**სამორი:**  
— არადა, ფეხბურთზე დავდიოდი და მიწოდდა, სპორტის ამ სახეობას გავყოლოდი... საკმაოდ სწრაფად დავრბოდი და როცა „დაჭერობანას“ ვთამაშობდით, ნინი სულ „დაჭერილი“ იყო; ამის გამო მუდამ დაცინოდ-



ნენ... ნინი ძალიან „ნაგლი ჟილკა“ იყო. მაგალითად, „წრეში ბურთს“ რომ ვთამაშობდით, ბურთი „იავნად“ რომ მოხვედროდა, — არა, არ მომხვედრიო! — გაიძახოდა. ბოლოს, ვუთმობდით, — კარგი, ჯანდაბას, არ მოგხვედრია-თქო! მახსოვს, დახუჭობანას თამაშისას, ერთი ძალიან მაგარი ადგილი შევარჩიე, ჭიშკარსა და ბუჩქს ვეფარებოდი და მანამ არ გამოვდიოდი, სანამ გამარჯვებულად არ გამომაცხადებდნენ. ყოფილა შემთხვევა, იმდენ ხანს ვმჯდარვარ იმ ადგილას, რომ ყველა სახლში წასულა. ცოცხალი თავით არ ვამხელდი ჩემს სამალავს. რაც მთავარია, არ გვვივდებოდა! დილის 9 საათზე რომ გავიდოდით სათამაშოდ, სანამ არ დაღამდებოდა და მშობლები აივნიდან არ დაგვიყვირებდნენ, მანამდე არ გვახსოვდა, რომ ჭამაც საჭირო იყო.

— ალბათ ერთმანეთის ნახვას ხშირად ვერ ახერხებთ დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო...

**სამორი:**

— ჰო, ხალხს ჰგონია, რომ დილომში ის აღარ ვცხოვრობ.

**ნინი:**

— ჰო, სამწუხაროდ, ასეა, მაგრამ სამორის ნახვა ყოველთვის მიხარია. მისი წარმატებებიც ძალიან მახარებს. კლუბში თუ სამორია „ემსი“, ე.ი. ის საღამო ძალიან მაგრად ჩაივლის.

**სამორი:**

— მეც მახარებს, როცა ჩემი ანებს ვხედავ და მათ წარმატებებსაც მთელი გულით ვიზიარებ.

— ბავშვობიდან მეგობრობთ, თანაც ერთმანეთს ძალიან ჰგაფხართ — ლაღები, მთარულეები და კონტაქტურები ხართ...

**ნინი:**

— იცი, ვერაფრით ვხვდები, საქართველოში რა უნდა გააკეთო ისეთი, რომ მერე თავში აგივარდეს. „ცხვირის ზემოთ აწევა“ რამ უნდა განაპირობოს?! ლალი, მხიარული და უშუალო — ასეთი უნდა იყოს ყველა.

**სამორი:**

— საქმე ისაა, რომ ეკრანს ერთი მაგარი თვისება აქვს: შესაძლოა, ცხოვრებაში რაიმეს მაღავდე, მაგრამ ეკრანზე ჭირს მისი დამალვა. ტელევიზიით უკეთ ჩანს, ვინ ვინაა. ჩვენი გულწრფელობა და სისადავე ოჯახის, აღზრდისა და გარემოს დამსახურებაა.

**ნინი:**

— გადაცემა „თავდაყირას“ შემოქმედებითი ჯგუფის ერთ-

ერთი წევრი ვიყავი და ყველა სტუმრის ბავშვებისადმი დამოკიდებულებას კარგად ვხედავდი. გადაცემაში მონაწილე ადამიანების უმრავლესობა მოსვლისთანავე საგრძობად შიშვენილოდა, მერე ჩაწერდა გადაცემას და მაშინვე ტოვებდა ტელევიზიას. სამორი რომ გვეწვია, ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჩაწერის შემდეგ არ დაიზარა, ყველა ბავშვს მოუსმინა, დაეკონტაქტა, თან ამას დიდი სიამოვნებით აკეთებდა. ხშირად აღვნიშნავ, — როცა ბავშვს მოსწონხარ, მინიმუმ 20 წელი მაინც იქნები პოპულარული-მეთქი.

**სამორი:**

— ალბათ იმაზე მაგარი არაფერია, როცა პატარები გგულშემატკივრობენ. ბავშვები ხომ გულწრფელნი და ალაღები არიან; არ აინტერესებთ, ვინ ხარ; სიმართლეს პირში გეუბნებიან... ამიტომაც მიყვარს ისინი ასე ძალიან. სხვათა შორის, „ბასტი-ბუბუს“ 20 წლისთავის აღსანიშნავად ნინიმ შემომთავაზა, საბავშვო სიმღერა ჩამეწერა და მართლაც, მე და ნანკამ „ჰეი, დიდილი დი“ ვიმღერეთ.

**ნინი:**

— თავიდან ტექსტს რომ დახედეს, ვერაფრით მიხვდნენ, ამ სიმღერიდან რა უნდა გამოსულიყო, მაგრამ მერე მართლაც კარგად გამოუვიდათ და

შეიძლება ითქვას, პატარების საყვარელი ჰიმნი ჩაწერეს.

**სამორი:**

— საქართველოში კარგ ტონად მიიჩნევა, რომ არავინ და არაფერი მოგწონდეს. ამასთან ერთად, ტაშის დაკვრა ჭირივით ეზარებათ. კრის ბოტსაც კი დაამადლეს აპლოდისმენტები. ეს ძალიან დიდი უკულტურობის ნიშანია. ამას წინათ, ჩემი მეგობრები ბათუმში მემის გრეის კონცერტზე იყვნენ და მომღერალმა სცენიდან ემი უაინჰაუსის გარდაცვალების შესახებ გამოაცხადა. სამწუხაროდ, მსმენელებმა ვერაფერი გაიგეს მისი ნათქვამიდან და ტაში დაუკრეს...

— მოდი, შევეშვათ ამ თემას და ერთმანეთი დამისახაითო...

**ნინი:**

— სამორი ძალიან ნიჭიერი და საყვარელია. მისი კარიერა ახლა ყალიბდება ხდება და მჯერა, რომ ბევრს მიაღწევს. მინდა, ბედნიერი იყოს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე თავის საქმიანობაშიც.

**სამორი:**

— ცოტაც და, იტყვის, მინდა, მარსზე გაფრინდე და იქ კოლონია ჩამოვაყალიბოო (*იციანის*)... ნინი, ისევე, როგორც გიგი, ჩემთვის ძალიან საყვარელი ადამიანია.

— სამორი, შენი ჯგუფის, „ფანკი სტეფის“ შესახებ რას მეტყვი? უახლოეს მომავალში კონცერტებს ხომ არ უნდა ველოდო?

— 30 ივლისს ბათუმში გვექონდა კონცერტი. სამომავლოდაც ვაპირებთ რამდენიმე სიმღერის ჩაწერას და კონცერტებში მონაწილეობას... მიუხედავად იმისა, რომ მე და ნინი სრულიად განსხვავებულ ჟანრში ვმღერით, ერთიმეორის მუსიკას ვიცნობთ. მივიჩნევ, რომ „მგზავრები“, ისევე და ისევე მათი ნევრებიდან გამომდინარე, ძალიან „კეთილ“ მუსიკას ქმნის.

**ნინი:**

— რაც შეეხება „მგზავრების“ სიახლეებს: გიგის ახალი ალბომი აქვს ჩაწერილი, რომლის პრეზენტაციაც ალბათ მალე მოეწყობა. ცოტა ხანში მუსიკალურად გავაფორმებთ ერთ-ერთ ფილმს და გვაქვს მიწვევა კივიდან, სადაც ჩვენმა კონცერტმა საკმაოდ წარმატებულად ჩაიარა და იქაური პროდიუსერები ჩვენი ძალიან დაინტერესდნენ. იმედია, „მგზავრებისა“ და „ფანკი სტეფის“ ცხოვრებაში მალე ბევრი რამ შეიცვლება.



სამორის ნახვა ყოველთვის მიხარია. მისი წარმატებებიც ძალიან მახარებს



# ცხოვრება

## „დათოს როლი იმე ნახავს უპელოვით“

გენიალური ქართველი მხატვრის ნამუშევრები ახასიათოვალ მდგომარეობაშია

მხატვარი — დათო კრანაშვილი თითქმის ბავშვი იყო, როცა გარდაიცვალა. მისი შემოქმედების ნახვის შემდეგ, გაოცებული დამთვალიერებლები აღნიშნავენ: რაც პიკასომ 80 წლის მანძილზე გააკეთა, ის დათომ 1 წელიწადში შეძლო. დათოს ნახატებს მისი ძმა — ბატონი გოგა ჰპატრონობს, თუმცა ნამუშევრები კატასტროფულ მდგომარეობაშია — საჭირო პირობებში ვერ ინახება...

ახალგაზრდა მხატვარს გალაკტიონ ტაბიძე განსაკუთრებულად უყვარდა. მის ლექსებს ვარსკვლავებითაც კი აფასებდა. პოეტის შემოქმედება ისე გაითავისა, რომ დათოს მიერ დახატულ „გალაკტიონს“ ვინც ნახულობს, ყველა ამბობს: ალბათ, გალაკტიონ ტაბიძე ასე არავის დაუხატავს...

### ეთო ყოვლანაყოილი

#### გოგა კრანაშვილი:

— დათომ გალაკტიონის მეორე პორტრეტზე შეასრულა, მაგრამ სურათი გადმოაბრუნა და მეორე მხარეს სხვა რალაც დახატა: მატერიალურად არ გვიღიზნება, სახატავი მასალის შოვნა იოლი არ იყო... ორწლიანხვედრის იყო, როცა ხატვა დაიწყო, მაგალითად — თევზი თევზს დაამსგავსა... თავის დღიურებში წერდა, — რა უნდა მოხდეს, რომ მხატვარი არ ან ვერ გამოვიდეთ. მერვე კლასში იყო, როცა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ჩააბარა. მეორე კურსი რომ „დახურა“, გარდაიცვალა. 1980 წლის ზაფხული იყო...

— რა იყო მისი გარდაცვალების რეალური მიზეზი?

— ბავშვობიდან გულის მანკზე მკურნალობდნენ, მაგრამ შემდეგ, თორმეტგოჯა ნანლაგზე ყრუ წყლული აღმოაჩნდა. 16 წლის ასაკში ოპერაცია გაუკეთეს. როგორც საავადმყოფოდან ხმა გამოვიდა, ოპერაციის დროს, ექიმებს მის სხეულში საკეცი მაკრატელი ჩაარჩათ. მერე სისხლი მოენამლა. ოპერაცია

მეორედ გაუკეთეს. უამრავი წამლის მიღების შედეგად, თირკმელი გაეთშა. 2 კვირის მერე გარდაიცვალა...

— გამოდის, რომ დათო ექიმების შეცდომას ემსხვერპლა? ეს ფაქტი გადამოწმდა?



დათო (მარცხნივ) დედასთან და ძმასთან ერთად. ბაკურიანი, 1979 წ.

— კი, უბრალოდ, მაშინ სხვა დრო იყო... სასამართლოში ვინმეს ჩვენება უნდა მიეცა. ექიმები ერთმანეთს იცავდნენ. ეს ამბავი ისე არ გახმაურებულა, რომ ვილაცისთვის პასუხი მოგვეთხოვა. დათოს დაღუპვით იმხელა შოკი მივიღეთ, ამისთვის არც გვეცალა... პანაშვიდზე ერთი ქალბატონი მოვიდა, რომელიც დათოს ნამუშევრებით ისე გაოცდა, რომ ამის შესახებ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორ ჯემალ ნინუას აცნობა. შემდეგ ბატონი ჯემალი გვესტუმრა, ყველაფერს ახლოს გაეცნო და ჩემი ძმის შემოქმედებაზე სტატია გამოაქვეყნა... დათოს ნამუშევრების პირველი გამოფენა თელეთში მოენყო, მერე — მოსკოვში და ა.შ. ახლაც რასაც უყურებთ, ეს კედლები დათოს მიერ ერთ დღეშია მოხატული. დედაჩემი სამსახურიდან რომ დაბრუნდა, გაუბრაზდა: — სხვა რამე დაგეხატაო (მუქი ნახატი იყო, ახლა ცოტათი ფერი შეიცვალა). მერე კი დედა იმ საყვედურს ნაწობდა... დათოს ყველაფერი ძველი და ხალხური მოსწონდა: კედლის ერთ მხარეს მეგრული სახლის სიტუაცია აღწერილი, მეორეზე — კახურის (დედა მეგრე იყო, მამა — კახელი). თითქმის ყველა მასალა გამოყენებული: ზეთი, აკვარელი, პასტელი... სხვათა შორის, კედლები რუსეთის ცნობილი ტელეგადაცემის წარმომადგენლებმა რომ ნახეს, ლამის გაგიჟდნენ, — სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა და ეს კედლები დაეტოვებინა, საკმარისი იქნებოდაო. ნამუშევარი ტექნიკურად მაღალ დონეზეა შეს-



რულებული: სველი ხელი რომ გაუსვა, ფერი არ გადასდის... ძალიან „სწრაფი ხელი“ ჰქონდა. დამჯდარს და ხატვაში ჩაფულულს ვერ ნახავდით. სიცოცხლით სავსე იყო. სულ ყურადღების ცენტრში ექცეოდა. პიანინოზე უკრავდა. მისი სიკვდილის შემდეგ გავიგეთ, რომ გიტარაზეც უკრავდა. მუსიკას ნერდა, ჯაზი იტაცებ-



გალაკტიონი

და... მისი სურათებიც დედაჩემის შენახულია, თორემ „გადასაყრელად“ ხატავდა — ვარჯიშობდა. მხოლოდ რამდენიმე სურათი მოსწონდა, მაგალითად, „წვიმიანი დღე“, რომელიც ჩარჩოში თავად ჩასვა.

— კედელი რა ასაკში მოხატა?

— 15-16 წლის იყო. 17-ის საავადმყოფოში გახდა, 4 დღეში კი გარდაიცვალა.

— პირველი სერიოზული ნამუშევარი როდის შექმნა?

— მშობლები ხელოვანი ადამიანები იყვნენ (დედა კონსერვატორიაში მუშაობდა, მამა მუსიკოსი და ყურნალისტი იყო), მაგრამ მხატვრობასთან ისეთი შეხება არ ჰქონიათ, რომ დათოს სურათებზე რამე ეთქვათ. ყურადღების ცენტრში ყოფნა თავად დათოსაც არ უყვარდა. ამბობდა, — 40 წლის ასაკში მკითხეთ, მხატვარი ვარ თუ არაო... 16 წლის ბიჭის ცხოვრებით ცხოვრობდა.

— მისი დღიურების მეშვეობით, მასზე კიდევ რა შეიტყვით?

— დღიურები მერე აღმოვაჩინეთ — ლაბადის ჯიბეში ჰქონდა. ნერდა საკუთარ

თავზე, სიყვარულზე (შეყვარებული ჰყავდა), სიკვდილზე, ცხოვრებაზე, რომელიც დაუგეგმავად მიდიოდა. ფიქრობდა, ყოველდღიურობა როგორ შეეცვალა. რაღაც მიზანი ჰქონდა... მხატვრობას სერიოზულად უყურებდა. კონსერვატორიაში შვიდწლელი დაამთავრა. მუსიკის მასწავლებლები ურჩევდნენ, რომ მუსიკას გაჰყოლოდა, ქართულის მასწავლებლები — ფილოლოგიას, მაგრამ მას მაინც მხატვრობა სურდა... სამხატვრო სასწავლებელში არ დადიოდა. წლის ბოლოს მივიდოდა და დახატავდა ხოლმე... ამის გამო სულ პრობლემები ექმნებოდა: მერე სასწავლებელში დედაჩემს იბარებდნენ, — დათოს გავრიცხავთო, მაგრამ ბოლოს ხუთიანებს უწერდნენ... „ნისლიანი დღე“ ნახევარ საათში დახატა. მასწავლებელი გაოცებული იყო... სოფელში ბიძაშვილთან ერთად დადიოდა, ხედებს ხატავდა. იქაურობა უყვარდა და მომავალში იქ შეუღლესთან ერთად ცხოვრებას აპირებდა.

— მისი საცოლე ვინ იყო?

— ნინო თოიძე. ერთმანეთი მანგლისში გაიცნეს. მერე მათი ურთიერთობა გაგრძელდა...

— თქვენი და დათოს ურთიერთობაზეც მოგვიყვით.

— მასზე 7 წლით უმცროსი ვიყავი. დათო აზარტული იყო: მაგიდის ჰოკეის ვთამაშობდით ხოლმე. ვერ იტანდა, როცა აგებდა... უნდოდა, ისეთი გავზრდილიყავი, როგორიც თავად სურდა.

— როგორი?

— არ ვიცი. იმ დრომდე ვერ მივედით, როცა ჩვენ შორის სერიოზული საუბარი შედგებოდა. რომ დავიბადე, მისთვის სამშობიაროში უკითხავთ: და გინდა თუ ძმაო? დათოს პასუხი ასეთი იყო: რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, ბურთს რომ გავუგორებ, გამომიგოროსო... ერთმანეთს ხშირადაც ვერ ვხვდებ-



ნიკოლოზ ბარათაშვილი



სველიანი მასხარა

ბოდით. რაც „ნიკოლაძეში“ ჩაირიცხა, ბებიასთან იყო ხოლმე: ბებია „ლალიძის წყლების“ ზემოთ სახლში ცხოვრობდა. მამინ ახალგაზრდების შეკრების ცენტრი რუსთაველზე იყო. თან, დათო დედაჩემის დარიგებებს გაუბრბოდა, ბებიასთან კი სულ ეფერებოდნენ. იქ პატარა სახელოსნო მოიწყო — შუშაბანდიანი აივანი ჰქონდათ... მე და დათოს მამაშვილური ურთიერთობა უფრო გვექონდა.

— მისი ნამუშევრების გამოფენა მის სიცოცხლეში თუ მოენყო?


— არა. მხოლოდ „ნიკოლაძეში“, პირველი სასწავლო წლის შემდეგ გამართულ შემაჯამებელ გამოფენაში მონაწილეობდა. მისმა „წვიმიანმა დღემ“ გაიმარჯვა.

— ძირითადად, რას ხატავდა?


— პორტრეტებს, ტაძრებს, ბუნებას, ცხოველებს, სოფელს... ფილოსოფიურად ხატავდა. მის ნამუშევრებს ყველა თავისებურად ხსნის. რამდენიმე სურათს მიაწერა, რაც დახატა, მაგალითად, „დაბადება“, „ევას შექმნა“, „ადამი და ევა“, „ოჯახი“...

— მუსიკასაც ქმნიდა, მაგრამ როგორც ვიცი, ბევრი ნოტებად არ დაუნერია.

— შეიძლება, ბევრი არც იყო. რამდენიმე ერთფურცლიანი ნოტები მინახავს. როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ჯაზი უყვარდა. ეს თემა მხატვრობაშიც აქვს...



სწორედ ის სახლი დახატა, როგორც ახლა სოფელში გვაქვს



— ნოტების ფურცლები ახლა სადაა?

— სადღაცაა შენახული. ჩემი ბავშვები რომ წამოიზარდნენ, ყველაფერს ხელს ჰკიდებდნენ. ალბათ, დედაჩემმა შეინახა. იქვე იქნება დათოს ვარსკვლავის შესახებ ცნობაც (1988 წელს, 17 წლის მხატვრის ფენომენური ნიჭის გამო, „სმიტსონის“ საერთაშორისო ასტრონომიულმა



ფიქრი არსებობაზე

ცენტრმა პლანეტას ნომრით — 3146 „დათო“ უწოდა)... მის ნამუშევრებს ვერ ვპატრონობთ. სურათები კატასტროფულ მდგომარეობაშია. რესტავრაცია სჭირდება. ზოგი ნამუშევარი საერთოდ გაქრა. ადრე ნახატების სახელმწიფო გალერეისთვის გადაცემაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ უარი გვითხრეს, რადგან საჭირო პირობები იქაც არ ჰქონდათ

— სურათების „პადვლებში“ დაყრას სჯობია, ისევ შინ შეინახოთ. მუზეუმის გაკეთება ნუკრიანში მინდა. იქ ჩემი ძმის სახელობის ქუჩაცაა. დათოს ნუკრიანში ცხოვრება უნდოდა. მაკეტიც ჰქონდა გაკეთებული — ეს სახლი როგორი უნდა ყოფილიყო. სწორედ ის სახლი დახატა, როგორც ახლა სოფელში გვაქვს.

— მისი ნახატის მიხედვით ააშენეთ?

— დიახ. თუ ფული გვენებოდა, 2-სართულიანი სახლი უნდა ყოფილიყო, თუ — არა, ერთიანი. ერთსართულიანი სახლი გვაქვს...

— ახალგაზრდა თაობას, ვინც დათოს არ იცნობდა, მისი ნამუშევრების ხილვის საშუალება რამდენად ხშირად აქვს? გამოფენები იმართება?


— არც ისე ხშირად. თუ იმართება, ისიც — შინაურულად. სილნალის მუზეუმში პიკასოს ნამუშევრები რომ ჩამოიხსნა, ერთ-ერთ კაცს, ვინც იქ მუშაობდა, დათო გაახსენდა (ჩვენს ოჯახს იცნობდა). ჩემი ძმის ნამუშევრები სილნალში ასე მოხვდა. ესეც სიმბოლურია: დათომ პიკასოს ნამუშევრები 15 წლის ასაკში ნახა. მამას უთხრა: მე მგავს, ასე ვხატავო. ამის გამო იკამათეს კიდევ. მიიჩნიეს, რომ დათო ამბიციური, თავდაჯერებული იყო... მერე მოსკოვში, ლენინგრადში დაინერა: რაც პიკასომ 80 წლის მანძილზე მოასწრო, ის დათომ 1 წელიწადში გააკეთაო. ახლა ამაში ბევრი დარწმუნდა — სილნალის მუზეუმის პერსონალი (რომელიც 5 თვის მანძილზე პიკასოს ნამუშევრებს უყურებდა) და დამთვალეირებლები.

— დათოს ნამუშევრები საზღვარგარეთაც ხომ არაა?

— ბულგარეთში საქართველოს კულტურის დღეები იმართებოდა. დათო იქ მოცეკვავეებთან ერთად წავიდა. თან, თავისი 20 ნამუშევარი წაიღო. არ ვიცი, იქ რა მოხდა, მაგრამ ნამუშევრებს უკან აღარ გვიბრუნებდნენ. ბოლოს ნანული შევარდნაძის დახმარებით დავიბრუნეთ.

— სამომავლოდ, დათოს შემოქმედებასთან დაკავშირებით რაიმეს ხომ არ გეგმავენ?

— მინდა, გამოფენა სამების ტაძრის „ახალგაზრდულ ცენტრში“ მოეწყოს და პატრიარქმა ნახოს... ნამუშევრების გადასარჩენად, დიდი შენობა საჭირო არაა; ისე ძვირი არ დაჯდება, რომ დათოს შემოქმედებამ ვერ გადაფაროს. ამისთვის თუნდაც 1 სურათის გაყიდვა საჭირო. დედაჩემის სიცოცხლეში ამაზე საუბარიც ზედმეტი იყო. მატერიალურად ძლიერები მაშინაც არ ვიყავით, მაგრამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სურათის გაყიდვა არც გვიფიქრია... ალბათ, დათოს რომე-



წვიმიანი დღე

ლიმე ნამუშევარს შეველევით, სხვების გადასარჩენად. დრო გადის, სხვა გამოსავალი კი არ ჩანს...

*P.S. ჩვენი ჟურნალის რედაქცია და „ჩემი რჩეულის“ სარედაქციო ჯგუფი მადლობას უხდის ბატონ გოგა კრანაშვილსა და მის ოჯახს გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეულის მე-5 ტომის გარეკანზე დათო კრანაშვილის ნახატის გამოყენების ნებართვისათვის.*





# „ბედნიერია, როცა გღერის... ჰოდა, იმღეროს!“

პროექტმა „ნიჭიერი“ არაერთი ნიჭიერი ადამიანი გამოავლინა, მათ შორის — ვანო ფიფია, რომელიც გამორჩეული, თავისთავადი და იშვიათი ხმის პატრონი აღმოჩნდა. ეს ის პატარა ვანოა, თავისი სიმღერით ფიურის ყველაზე ემოციური წევრი კი არაა, მთელი საქართველო რომ ააცრემლა. ვანიკო ღიმილით იხსენებს, — სოფო ნიჟარაძე და თიკა ფაცაცია ყველას ნამღერზე ტიროდნენო... არადა, ყველას ნამღერზე ნამდვილად არ უჭირიათ. მასსოვს, „კათარზისის“ მოხუცების, უსინათლო ნატო ვეფხვაძისა და კარდენახელი ვანოს შესრულებულ სიმღერებზე ვერ შეიკავებს ცრემლი.



## მარინა ბაპუნაშვილი

14 წლის ვანო ფიფია ცერებრული დამბლითაა დაავადებული, უჭირს მოძრაობა, ცოტა მეტყველებაც, სამაგიეროდ, ისე მღერის, მთელ სამყაროს შეგაყვარებს, სიკეთით აგავსებს და ამ ქვეყანაზე ხელჩაქნულს მოგაბრუნებს... თბილი და იშვიათი ხმა აქვს. ამას ისინიც აღიარებენ, ვინც მუსიკის სფეროში კარგა ხანია მოღვაწეობენ და ისინიც, ვინც ყველაფერს სკეპტიკურად, კრიტიკულად უყურებენ. ვანო მართლაც ხალხის წიაღიდან გამოსული ნიჭიერი მომღერალია...

როცა პატარა მომღერლის გვარი სცენიდან გაისმა და იქვე თქვეს, — კარდენახიდან არისო, ყველას გაუკვირდა — სად ფიფია და სად კარდენახიო? არადა, წარმოშობით ზუგდიდელია, დედა სვანი ჰყავს — ნანა ვიბლიანი, ისიც ზუგდიდში დაბადებულ-გაზრდილი; პატარა იყო ვანო, როცა მშობლები გაშორდნენ. დედა სამუშაოდ თბილისში წამოვიდა. აქ გაიცნო გიორგი აფრიაშვილი. შეუყვარდათ ერთმანეთი და კაცმა ცოლობა სთხოვა. ქალმა უკან დაიხია, — შეილი მყავს, ცერებრული

დამბლით დაავადებული, ჩვენს შეუღლებას შენი ოჯახი არ დათანხმდებაო.

გიორგიმ კი კახელი კაცის სიალაღობით მიუგო, — მიყვარხარ და ჩემს სურვილს ვერაფერს დაუდგება წინ; შენს შვილს კი ორივე ერთად გავზრდით, მოუვლით და მის ჯანმრთელობაზე ვიზრუნებთო, და ნანაც კარდენახში გადასახლდა. მალე გოგონაც შეეძინათ. ახლა ოთხივე — ნანა, გიორგი, ვანო და ქეთი — ერთად ცხოვრობენ, ლამაზი ოჯახი აქვთ თავისი სიხარულითა თუ დაბრკოლებებით. მთავარი კი ისაა, რომ ერთმანეთი ძალიან უყვართ...

ვანოს რომ სიმღერა პაპამ ასწავლა, ეს უკვე ყველამ იცის. პატარა მომღერალმა ამის შესახებ უკვე თქვა, მაგრამ ჩემთან საუბრისას დაწვრილებით გაიხსენა ადრეული წლები:

— დედაჩემის მამა — ნოდარ ვიბლიანი კარგი მომღერალი იყო. მისი ოჯახი მესტიიდან ზუგდიდში გადმოსახლდა. ბაბუა 17 წელი ხელმძღვანელობდა ფოლკლორულ ანსამბლ „ჩელას“. ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ მასსოვს, ასანამბლის წევრები ჩვენთან სახლში ხშირად

მოდოდნენ და ბაბუაც იქ უტარებდა რეპეტიციებს. მუხლებზე დამისვამდა ხოლმე, ჯერ თვითონ წაიმღერებდა, მერე მეტყვოდა, — აბა, გაიმეორეო და უხაროდა, როცა ზუსტად ვიმეორებდი. ბაბუა ისე მიყვარდა, სულ მის გვერდით ყოფნა მინდოდა. იგი 2004 წელს გარდაიცვალა. კარდენახიდანაც ხშირად დავყავდი დედას ზუგდიდში. ბაბუა ნოდარმა ბევრი ხალხური სიმღერა შემასწავლა, მაგრამ ყველაზე მეტად ეს სამი მიყვარს: „ხოხობის ყელივით“, „თუ ასე ტურფა იყავი“, „შენმა სურვილმა დამძლია“.

დღეს „ნიჭიერის“ გამარჯვებულს ყველგან თან დაჰყვება მამობილი, **ბობიტა (ბიორბი) აფრიაშვილი**:

— აბა, რა ვქნათ, ხომ უნდა შევუწყოთ ხელი, ბავშვი კარგად მღერის და... ისედაც დაჩაგრა ავადმყოფობამ. რადგან ბედმა გაუღიმა, რაკი ხალხმა მიიწონა და დათო კენჭიაშვილმაც ხელი მოჰკიდა მის მეცადინეობას, ნაყოლ-წამოყოლაზე უარს როგორ ვეტყვი, კაცო?! (უკვირს გოგიტას და ვანიკოს თავზე ხელს უსვამს. — ავტ.) გარეთ არ ეტყობა, შინ კი ისეთი ცელქია, ძლივს ვაჩერებთ ხოლმე. დედამისს ურჩევნია, საოჯახო საქმესა და ქეთის მიხედოს, მე კი „საგარეო საქმეთა მინისტრად“ დამინიშნა. ალაღი იყოს ვანოზე ჩემი შრომაც და ამაგიც. ძალიან მიყვარს, კარგი ბავშვია. იმედი მაქვს, ჩინებული მომღერალი დადგება. რაც შეეხება „ნიჭიერში“ მის მონაწილეობას, ეს საქმე კარდენახელმა ლელა ბედენაშვილმა ითავა. წლების წინ სწორედ მან შექმნა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი — „მზის სხივი“, რომლის ხელმძღვანელიც ლელა ვარაშვილია. ამ ორმა ადამიანმა ვანოს



იმედი მაქვს, ჩინებული მომღერალი დადგება



ყველანაირად ხელი შეუწყო, ლელიამ სიმღერაში ამეცადინა, ლელა კი ფინანსურად დაეხმარა. „ნიჭიერად-დე“ ჯერ „არტ-გენის“ გრანდიოზული კონცერტი იყო, რომელიც შარშანწინ თელავში ჩატარდა. ვანომ გაიმარჯვა და ზუმბამ ფანდურით დააჯილდოვა. მერე სახალხო პროექტის ჯერიც დადგა და ვანოს ცხოვრება უეცრად შეიცვალა. პირველი

ნა. უარზე ვიყავი. არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, — მისი შვილი არ არის და იმიტომაც მიიყვანა იქო; მაგრამ მერე დედამისმა გადაწყვიტა, რომ ვანოსთვის იმ სკოლა-ინტერნატში ჯობდა სწავლა. თუმცა იქ ლამე მაინც არ ვტოვებდით. ბიჭს მალე ისე შეუყვარდა იქაური მეგობრები, მასწავლებლები და გარემო, გვეხვეწებოდა, დამტოვეთო. ექვ-



ზუმბამ ფანდურით დააჯილდოვა

სკოლა რომ დახურეს. ახლა კარდენახის სკოლაში დადის. საკმაოდ კარგად სწავლობს, ნიჭიერია. საკმარისია, ერთხელ წაიკითხოს, რომ უკვე იცის გაკვეთილი, მაგრამ ამ ბოლო ხანს ზარმაცობს. ყველაფერს სიმღერა ურჩევნია... ერჩივნოს, რა ექნა?! მე და დედამისი, შეძლებისდაგვარად, ხელს შეეუწყობთ.

ტურის შემდეგ ლელა ბედენაშვილი იმედოვნებდა, რომ ვინმე გამოჩნდებოდა, ვინც ვანოს საფუძვლიანად მოამზადებდა ფინალისათვის. გამართლდა მისი იმედი. დათო კენჭიაშვილი გვესტუმრა (თბილისში ერთოთახიანი ბინა გვაქვს ნაქირავები) და გვითხრა, — ვანოს რეპეტიციებს ჩავუტარებო. გაგვიხარდა. დათო ხომ ძალიან კარგი მომღერალია. ვანოს გამარჯვებაში მან თავისი ბენდით დიდი წვლილი შეიტანა. ახლა ტურნე აქვთ დაგეგმილი საქართველოში. კონცერტების ნაწილი საქველმოქმედო იქნება, ნაწილიც — კომერციული. გვინდა, ვანოს ოპერაციის ფული მოვუგროვოთ. ის საკმაოდ ძვირი ჯდება. აქაურმა ექიმებმა გვირჩიეს, თურქეთში წავიყვანოთ და იქ ვაჩვენოთ სპეციალისტებს. ვნახოთ, ცდა ბედის მონახევრეა. ყველაფერს ვაკეთებ, რომ ვანოს მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუუმჯობესდეს. ეს ბავშვი ღვიძლი შვილივით მიყვარს. მერე რა, რომ ბიოლოგიური მამა არა ვარ, 3 წლიდან ჩემთან იზრდება, მასზე ამაგი მაქვს და მინდა, კარგი მომავალი შევუქმნა. თავიდან, როცა ვანო სასკოლო ასაკის გახდა, გურჯაანში ცერებრული დამბლით დაავადებულთა სკოლა იყო და იქ მირჩიეს მისი მიყვა-

ნა. უარზე ვიყავი. არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, — მისი შვილი არ არის და იმიტომაც მიიყვანა იქო; მაგრამ მერე დედამისმა გადაწყვიტა, რომ ვანოსთვის იმ სკოლა-ინტერნატში ჯობდა სწავლა. თუმცა იქ ლამე მაინც არ ვტოვებდით. ბიჭს მალე ისე შეუყვარდა იქაური მეგობრები, მასწავლებლები და გარემო, გვეხვეწებოდა, დამტოვეთო. ექვ-

სკოლა რომ დახურეს. ახლა კარდენახის სკოლაში დადის. საკმაოდ კარგად სწავლობს, ნიჭიერია. საკმარისია, ერთხელ წაიკითხოს, რომ უკვე იცის გაკვეთილი, მაგრამ ამ ბოლო ხანს ზარმაცობს. ყველაფერს სიმღერა ურჩევნია... ერჩივნოს, რა ექნა?! მე და დედამისი, შეძლებისდაგვარად, ხელს შეეუწყობთ.



ვანოს გამარჯვებაში მან თავისი ბენდით დიდი წვლილი შეიტანა (დათო კენჭიაშვილი)

ელენე ბასილიძე

ნინო ისკანდარაშვილი უკვე წელიწადზე მეტია, სტრიპტიზის მოცეკვავეა. ის შემთხვევით, ბათუმის ერთ-ერთ ბარში ვნახე და მასთან გასაუბრებაც ვცადე. აღმოჩნდა, რომ 23 წლის ნინო პროფესიით ეკონომისტია, თავდაპირველად ბარში მიმტანად დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი სტრიპტიზის ცეკვას მიჰყო ხელი.

— თბილისელი ვარ, დაახლოებით 8 წელია, მომსახურების სფეროში ვმუშაობ, ვიყავი ბარმენი, მიმტანი... ცეკვა ყოველთვის მიყვარდა, პლასტიკური ვიყავი, მაგრამ სტრიპტიზის ცეკვა არასოდეს მიფიქრია.

— როდის გადაწყვიტე, რომ ბაცეკვა?

— ყველაფერი სპონტანურად მოხდა. ჩემი შვილის ნათლია ერთ-ერთ ბარში ცეკვავედა და იმავე ბარში მიმტანად დავიწყე მუშაობა. მალე მეპატრონემ შემომთავაზა, სტრიპტიზს ხომ არ იცეკვებდიო და დავთანხმდი.

— ამისთვის შესაბამისი მოზადება თუ გაიარე?

— არა, თითოეული ილეთი დამოუკიდებლად ვისწავლე და კიდევ ვაგრძელებ სწავლას; ინტერნეტში ვუყურებ სტრიპტიზის მოცეკვავეებზე ვიდეომასალას და მერე ყველაფერს ჩემებურ ინტერპრეტაციას ვუკეთებ. ილეთებს სამუშაო პროცესშიც ვჭევი...

— იქნებ სცენაზე პირველად გასვლის ამზავიც გაიხსენო.

— ცეკვის იმდენად მეშინოდა, ფეხები მიკანკალებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეჩვიე და ახლა აღარ მიჭირს.

— შინ შვილი რამდენი წლისაა?

— მალე 5 წლის გახდება. უკვე დიდი ბიჭია. მეუღლეს დიდი ხანია გავშორდი. ბავშვი ჩემს მშობლებთანაა და ბათუმში ყოფნისას, ყველაზე მეტად მის გარემოში ყოფნა მიჭირს.

— სამუშაოდ ბათუმში რატომ ჩამოსვედი?

— მეგობარმა შემომთავაზა, რომ აქ ჩამოვსულიყავი და ერთ-ერთ კლუბში მეცეკვა. უკვე წელიწადი და 2 თვეა, ამ ქალაქში ვარ და სიმართლე გითხრათ, კმაყოფილი ვარ. აქ განსხვავებული მაყურებელია. თბილისში კი ჩემს ცეკვას სხვანაირად უყურებენ. ბევრს რატომაც ჰგონია, რომ რადგან გახდელი ვცეკვავე, არც „სხვა რამეზე“ ვიტყვი უარს, მაგრამ ასე არ არის. ბათუმში სტრიპტიზს ხელოვნებად აღიქვამენ...




# „ჰონია, რადგან გახდილი ვსაქვავ, არც „სხვა რამეზე“ ვიბყვი უარს“

— უცხოელები თუ აჭარლები?  
 — აჭარლებს ვგულისხმობ, აბა, უცხოელებმა ისედაც კარგად იციან, რომ ხელოვნებას ვემსახურები.

— ბათუმში მთელი წლის განმავლობაში მუშაობ?  
 — კი. მნიშვნელობა არა აქვს, ზამთარია თუ ზაფხული, ჩვენს კლუბში ყოველთვის ხალხმრავლობაა. ამ ქალაქში უკვე 4 სამუშაო ადგილი გამოვიცვალე. ამას წინათ, ერთ-ერთ კლუბში ვცეკვავდი, სადაც მეპატრონე ცოლ-ქმარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საბაბს არ ვაძლევდი, ცოლი ჩემზე მაინც ეჭვიანობდა. არადა, ყველგან, სადაც ვმუშაობდი, პერსონალთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. ამ კლუბში, სადაც ახლა ვმუშაობ, ძირითადად თურქები და ირანელები შემოდიან. ჩემს უცხოელ კლიენტებს, თავიდან ეგონათ, რომ ცეკვის გარდა, სხვა „მომსახურებასაც“ შევთავაზებდი, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ ჩემთან ვერაფერს გახდებოდნენ და ახლა თავი ღირსეულად უჭირავთ. იციან, რომ ვმუშაობ და ჩემი ოფლით ვშოულობ ფულს, მაგრამ დროდადრო შემოთავაზებები მაინც არის, — აბა, ჩემზე ვინ იტყვის უარს (იციან)!?

— პირად ცხოვრებაზე რას მეტყვი?  
 — არანაირი სურვილი არ მაქვს, გვერდით ვინმე მყავდეს, რადგან ჩემს სამუშაო გრაფიკს ვერც ერთი მამაკაცი ვერ აიტანს. ამასთან, ჩემი პროფესია ცოტა „პრეტენზიულიც“ არის. რომელ კაცს სურს, მისი შეყვარებული ან საცოლად შიშველი ცეკვავდეს?! ამიტომაც პირად ცხოვრებაზე უარს ვამბობ. მიუხედავად ამისა, თავყვანისმცემელთა სიმცირეს არ ვუჩივი, მათ შორის კლიენტებიც არიან. ხშირად მიწყობენ სიურპრიზებს, მაგრამ წინასწარ ვაფრთხილებ, რომ ამით ჩემს გულს ვერ მოიკებენ. ყოფილა შემთხვევა, ფუფუნულა სათამაშოები და ყვავილები მოუთმევიათ. იყო კლიენტი, რომელიც ცოლობას მთხოვდა, რა თქმა უნდა, მისი შემოთავაზება არასერიოზულად მივიღე და ვესუბრე, — ასე ვერ გამოგყვები, ჯერ ჩემს მშობლებს უნდა დაელაპარაკო-მეთქი. როგორც ჩანს, ჩემი სიტყვები სერიოზულად მიიღო და მეორე დღეს ბრილიანტისთვლიანი ბეჭდით მომადგა ბარში. საცეკვაო მოედანზე დაიჩოქა და



უცხოელებმა კარგად იციან, რომ ხელოვნებას ვემსახურები

ცოლობა მთხოვა (იციან)! სხვათა შორის, ხშირად მეუბნებიან, რომ კლუბში ჩემი გულისთვის მოდიან...

— რა არის ყველაზე რთული შენს პროფესიაში?  
 — გახდა ამდენი უცხო მამაკაცის წინაშე.. თავდაპირველად ამას ალკოჰოლური სასმლის მიღების გარეშე ვერ ვახერხებდი. სხვათა შორის, პირველად ცეკვა რომ დავინწყე, ფეხები სულ დაღურჯებული მქონდა, დროთა განმავლობაში კი იმდენად შეეჩვია ჩემი ორგანიზმი დატვირთვას, რომ აღარ მიჭირს. ახალ-ახალ ილეუებს ვსწავლობ და ვცდილობ, უკეთესი ვიყო.

— ალბათ ხშირადაა შემთხვევა, როცა სულაც არ გეცეკვება, მაგრამ იძულებული ხარ, სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულო, არა?  
 — კი, არის შემთხვევა, როცა ცეკვა სულაც არ მხვალისება, მაგრამ ასეთ დროს უფრო კარგად ვცეკვავ, ვიდრე სხვა დღეებში. როცა მოწყენილი ვცეკვავ, ჩემს ემოციებსა და ცუდ განწყობილებას ბოძს „გადავცემ“, რომელიც ჩემი ყველაზე კარგი მეგობარია. ამ დროს მთელი გულით ვირჯები და სიმართლე გითხრათ, ეს „თერაპია“ კარგ ხასიათზე მოსვლაში მეხმარება. მაშინ, როცა ცეკვას ვსწავლობდი, ერთმა ადამიანმა

მითხრა, თუ გინდა, ცეკვა კარგად ისწავლო, უნდა წარმოიდგინო, რომ ბოძი ცოცხალი ადამიანიაო. სხვათა შორის, მისი რჩევა გამომადგა.

— რამდენად სარფიანია შენი პროფესია?  
 — თვეში დაახლოებით 6-7 ათას ლარამდე ვიღებ ხელფასს, არის დღე, როცა 1.000-1.200 ლარი დამომიმუშავენია. ამას წინათ, ბარში ერთი ქართველი გოგო შემოვიდა და დიდი თანხა გადაიხადა იმას, რომ მხოლოდ მისთვის მეცეკვა. მომწონს, როცა ქალი ლამაზად ცეკვავს, კარგად გამოგდისო, — მითხრა. არსებობს ახირებული კლიენტების კატეგორიაც, ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება, რაც არ არის ადვილი. მას შემდეგ, რაც ცეკვა დავინწყე, 3 მამაკაცი მყავს ნაცემი.

— რატომ?  
 — როცა ვცეკვავ, ჩემი შეხება არ შეიძლება!..  
 — ნინო, სხეულზე არაერთი სვირინგი გაქვს. მათ რაზე დატვირთვა აქვს?  
 — სხეულზე 8 სვირინგი მაქვს, მაგრამ არა იმიტომ, რომ კლიენტებს ვასიამოვნო. 1-ელი სვირინგი 14 წლისამ გავიკეთე. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე დავამატე და ალბათ კიდევ მომიწევს სხეულის მოხსენება.

— საზღვარგარეთ საცეკვაოდ წასვლა არ გიცდია?  
 — არა, იყო შემოთავაზებები, რომ თურქეთში წავსულიყავი საცეკვაოდ, მაგრამ ჩვენს სფეროში თურქეთში საშიში სიტუაციაა. არავინ მოგცემს იმის გარანტიას, რომ ბორდელში არ მოხვდები. გარისკვად არ მიღირს, შვილი მყავს გასაზრდელი.

— მშობლებმა თუ იციან, რომ ცეკვავ?  
 — კი. დედაჩემი უკრაინელია, მამა — კახელი, ორივე გაგებით ეკიდება ჩემს სამუშაოს და დარწმუნებული არიან, რომ ცუდს არაფერს გავაკეთებ! სამომავლოდ დიდი სურვილი მაქვს, საკუთარი კლუბი მქონდეს, სადაც სრულიად განსხვავებული სიტუაცია იქნება, ვიდრე საქართველოში არსებულ ნებისმიერ კლუბში.



# როგორ დავისვამთ თავი ოჯახური ძალადობისგან

ოჯახში ძალადობა — ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. სიმწვავეს ისიც განაპირობებს, რომ ასეთი ფაქტები ფართო საზოგადოებისთვის ხშირად დაფარულია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მეზობლის სახლიდან გაუთავებლად წივილ-კივილისა და ცემა-ტყეპის ხმა ისმის, ადამიანები ცდილობენ, კონფლიქტში არ ჩაერიონ, რადგან მიიჩნევენ, რომ სხვისი ოჯახის საქმეში ჩარევა არ შეიძლება! არადა, ხშირად სიტუაცია ისე იძაბება, რომ კონფლიქტი უმიძიესი შედეგით, მკვლევლობითაც კი სრულდება...

## თავ სურსილავა


2006 წლიდან, საქართველოში მოქმედებს კანონი — „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ბოლო დროს მსხვერპლთა დასახმარებლად ცხელი ხაზის ნომრები სატელევიზიო რეკლამებში გაიშობინა და უკვე ბევრი მსხვერპლი ანდობს თავის პრობლემას ამ სამსახურს. თუ ადრე ჩუმად იყვნენ და ყველაფერზე ხელი ჩაქნეული ჰქონდათ, ახლა ცდილობენ, მოძალადეს თავი დააღწიონ. ძალადობის მსხვერპლთათვის თბილისსა და გორში სახელმწიფო თავშესაფრები არსებობს, ამ კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციებიც მუშაობენ და რამდენიმე თავშესაფარი მათაც აქვთ.

ამ პრობლემის ირგვლივ არსებულ კითხვებს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი მარი მესხი უპასუხებს:

— ოჯახური ძალადობის 5 ფორმა არსებობს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური და იძულება. თუ ამ ჩამონათვალსიდან რომელიმე ხორციელდება, ადამიანი ძალადობის მსხვერპლია.

— როგორ უნდა დაცვას ადამიანმა თავი მოძალადისგან?

— გააჩნია ძალადობის ხარისხსა და სისშირეს. თუ ის სისტემატურად ხორციელდება, მსხვერპლმა სამარ-



ბოლო დროს დახმარებისთვის იმდენი ადამიანი მოგვმართავს, რომ ხშირად, თავშესაფარში აღვილებიც არ გვეყოფნის...

დი — დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაცემაა. ამით მოძალადეს გარკვეული მოქმედებები ეკრძალება (მათ შორის, მსხვერპლთან გარკვეულ რადიუსზე მიახლოებაც). ბოლო დროს დახმარებისთვის იმდენი ადამიანი მოგვმართავს, რომ ხშირად, თავშესაფარში აღვილებიც არ გვეყოფნის... მჭიდროდ ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველთან. ჩვენი სისტემა დახვეწილია, რაც ხელს უწყობს იმაში, რომ მოქალაქე დაცული იყოს, ძალადობა დროულად აღიკვეთოს და მსხვერპლს რეაბილიტაციაში დავეხმაროთ. სწორედ

— თქვენი თავშესაფრიდან მსხვერპლი სად მიდის?

— კანონით, თავშესაფარში ყოფნის ვადა 3 თვემდეა, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა, 6-7 თვემდეც გაიზარდოს. ვცდილობთ, მსხვერპლს დასაქმებაში დავეხმაროთ და ამისათვის სხვადასხვა ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თავშესაფრიდან მსხვერპლი ისევ მოძალადესთან დაბრუნებულა?

— იყო რამდენიმე ასეთი შემთხვევა, მაგრამ მსხვერპლთან ურთიერთობას ჩვენი სოციალური მუშაკები აგრძელებენ, რადგან მას დაცვა სჭირდება. ისინი მოძალადესთანაც მუშაობენ. არის შემთხვევები, როცა მოძალადე ინანიებს თავის საქციელს და ოჯახში სიტუაცია მართლა გამოსწორებულა. როცა მსხვერპლი თავშესაფარშია, ორივეს აქვს დრო იფიქროს თავის საქციელზე და კარგად აწონ-დაწონოს ყველაფერი. ჩვენთან 4-შვილიანი დედაც მოსულა. როგორც წესი, მსხვერპლთა უმრავლესობას 2 შვილზე მეტი ჰყავს. თავშესაფარში 3-შვილიანი ქალბატონი ახლაც არის. არის შემთხვევები, როცა ოჯახში აღარ ბრუნდებიან, რადგან მოძალადესთან ურთიერთობას აღარ აქვს. ახალგაზრდა ქალი 15 წელი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა და წამებას უძლებდა. საბოლოოდ, იძულებული გახდა, იქიდან წამოსულიყო. მასზე მეუღლე სისტემატურად ახორციელებდა ფიზიკურ ძალადობას. კეთილშობილი ქალია. როცა ჩვენთან მოვიდა, თვითმუყასების უნარი ნულამდე ჰქონდა დასული. მაგრამ მერე ყველაფერი გადააფასა, დასაქმდა და დღეს თავს კარგად გრძნობს. ოჯახის დანგრევა არ არის კარგი, მაგრამ როცა ეს გარდაუვალია, ჯობია, ოჯახი დაინგრეს, რადგანაც აქ საქმე მხოლოდ ცოლ-ქმრის ურთიერთობას არ ეხება, ასეთ დროს ყველაზე მეტად შვილები ზარალდებიან. ამით სისხლის სამართლის დანაშაულსაც ავიცილებთ. დღეს ბევრი ქალი ოჯახის წევრის მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. თავდაცვის მომენტში შეიძლება, მსხვერპლმა ვერ მოზომოს და სხეულის ისეთი დაზიანება მიაყენოს მოძალადეს, რომ შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდეს.

ოჯახში კამათი იმის გამო ხდება, რომ შეუძლებელია, ოჯახის ყველა წევრი ერთნაირად აზროვნებდეს, მაგრამ ის ფიზიკურ ძალადობაში არ უნდა გადაიზარდოს!

თალღამცავეს უნდა მიმართოს ან ჩვენი ფონდის სერვისით ისარგებლოს. თუ მწვავე ფორმაა, მაშინ პოლიციის ჩარევა აუცილებელია. ასეთ დროს მოძალადის მოქმედების შესაჩერებლად, აუცილებელი მეთოდ-

ამ გზით უნდა ავიცილოთ მძიმე დანაშაულები. იცით, რომ გახშირდა ოჯახური კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება თუ თვითმკვლელობა...



— ის ქალბატონი 15 წელი ცემა-წამებას თუ იტანდა, რა იყო ბოლო წვეთი, რამაც ახალგაზრდა ქალს სახლიდან წამოსვლისკენ უბიძგა?

— მთელი ის პერიოდი იმის მოლოდინში იყო, რომ სიტუაცია შეიცვლებოდა. მეუღლე თითქმის ყოველდღე სცემდა, ასევე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენდა. ეუბნებოდა, რომ ქალი აღარავის სჭირდებოდა და დამოუკიდებლად ვერაფერს მიაღწევდა... ხშირად მსხვერპლი მართლა იჯერებს ამას და თვითშეფასების უნარი ეკარგება. მასაც სჯეროდა, რომ ამ კაცის იქით გზა არ ჰქონდა. ფსიქოლოგისა და ჩვენი თანამშრომლების დახმარებით, როგორც გითხარით, ის ქალბატონი მდგომარეობიდან გამოვიდა, მიხვდა, რომ ცხოვრება არ დამთავრებულა! ასევე

— გააჩნია, დათმობაში რას გულისხმობთ. ხშირად მოძალადე მსხვერპლს მონად აქცევს. უკრძალავს მუშაობას — გარე სამყაროსთან კონტაქტს, მშობლებთან არ უშვებს... დედა-შვილს შორისაც ხშირია კონ-

აქცს, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია. მათი ამბები გასაიდუმლოებულია და თავშესაფრის სხვა ბინადრებსაც არ უყვებით. თუ სურვილი აქვთ, თვითონ უყვებიან ერთმანეთს. ისინი ერთმანეთს გვერდში უდგანან,

**ბევრ მსხვერპლ ქალბატონს საზოგადოებრივი აზრის ეშინია; ფიქრობს, რომ გაკიცხავენ და ამიტომ, მეუღლისგან ძალადობას ითმენს — ოჯახს არ ანგრევს.**

ფლიქტი... იყო ასეთი შემთხვევა, როცა დედა იძულებული გახდა, ჩვენს თავშესაფარში მოსულიყო. არადა, მატერიალურად ის უზრუნველყოფდა შვილს. სოცმუშაკის ჩარევის შედეგად, სიტუაცია დარეგულირდა. დედაც მიხვდა, რომ შვილთან ურთიერთობაში რაღაც უნდა შეეცვალა და შვილიც იმავე აზრზე იყო. ისინი

ბავშვებს უტოვებენ ან ერთმანეთის პატარები ბალიდან გამოჰყავთ. იყო შემთხვევა, როცა თავშესაფარში მოძალადე მოვიდა და თვითმკვლელობა სცადა, ცოლის სახლში დაბრუნებას აპირებდა... ამიტომ ვცდილობთ, მათი ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებული დარჩეს. კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ: დები ერთ სახლში ცხოვრობდნენ; ყველაფერზე ჰქონდათ კონფლიქტი და გაუთავებლად ერთმანეთის მიმართ აგრესიას გამოხატავდნენ. სასამართლომ ორივეზე გასცა შემაკავებელი ორდერი. ეს იშვიათი შემთხვევაა, როცა ადამიანი მსხვერპლიც არის და მოძალადეც.

**დაუშვებელია ბავშვების ცემა. თავშესაფარში 5 წლის ბიჭი გყავდა, რომელიც ამბობდა, — რომ გავიზრდები, მამას აუცილებლად მოვკლავო და მკვლელობის მეთოდებზეც ნაფიქრი ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში ძალადობის გარემოში იმ ბავშვის დაბრუნება არ შეიძლებოდა...**

სცოდავს ის გარემოც, რომელშიც მსხვერპლი იმყოფება. ბევრი ამბობს, რომ სხვისი ოჯახის საქმეში ვერ ჩაერევა, რადგან ეს მისთვის კატეგორიულად მიუღებელია!..

ახლა ერთად არიან. მისი 18 წლის ბიჭის პრეტენზიებიც გასაგები იყო. — **მსხვერპლის სტატუსი მა-**

— **სექსუალურ ძალადობაზე რას გვეტყვი?**  
— ამ პრობლემათაც მოუმართავთ. ეს ყველა ქვეყანაში დაფარული პრობლემაა და ზუსტი სტატისტიკა არ

— **რაც შეეხება მსხვერპლის მოძალადესთან დაბრუნებას?**

— თუ ვიცით, რომ ოჯახში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ასე მარტივად არ დავაბრუნებთ. ჩვენი ერთი ბინადარი უკან დაბრუნდა, მაგრამ ეს პოლიციის თანხლებით მოხდა. სამართალდამცველთა გამოჩენამ მოძალადეზე გავლენა მოახდინა. როცა ის ხედავს, რომ მსხვერპლი მართო არ არის, ფიქრობს, მას პასუხი მოეთხოვება და უკან იხევს.



ვისაც სამსახური და საკუთარი შემოსავალი აქვს, ის უფრო ადვილად იღებს ოჯახიდან წამოსვლის გადაწყვეტილებას

— **მინც რა კატეგორიის ადამიანები ხდებიან მსხვერპლი?**

— ყველა კატეგორიის. საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებსაც მოუმართავთ. მართალია, თავშესაფრით არ უსარგებლიათ, მაგრამ ჩვენი სერვისით სარგებლობენ. ვისაც სამსახური და საკუთარი შემოსავალი აქვს, ის უფრო ადვილად იღებს ოჯახიდან წამოსვლის გადაწყვეტილებას. როცა ძალადობა იწყება, სანამ რთულ ფაზაში გადავა, ჯობია, დროულად მიმართონ შესაბამის სამსახურებს.

**როგორც წესი, რძალ-დედამთილის კონფლიქტი ცოლ-ქმრის ურთიერთობის დაძაბვას იწვევს. 2 თვის წინ ასეთი ფაქტი მოხდა: ახალგაზრდა ქალბატონმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ყველაფერი კი დედამთილთან დაწყებულ კონფლიქტს მოჰყვა.**

— **კონფლიქტის დროს ალბათ ჯობია, ერთმა მხარემ პოზიცია დათმოს, არა?**

**მაკაცისთვის თუ მიგინჭებიან?**  
— არიან ასეთი მამაკაცებიც, ძირითადად — ასაკოვნები და ისინი შვილებისგან განიცდიან ძალადობას. ყველა მსხვერპლს თავისი ტკივილი

არსებობს. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ოჯახის წევრებს შორის სექსუალური ძალადობაც ყოფილა. ასეთ დროს სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძვრას.





# დაწუნებულები ანუ როსა წყვილის ცხოვრებაში ოჯახი ერევა

ხშირად, ოჯახის წევრები შვილის არჩევანში უხეშად ერევიან და ვაჟს ან ქალიშვილს რჩეულს უწუნებენ — ზოგჯერ საფუძვლიანად, ზოგჯერ კი უმიზეზოდ. ბევრი ისეთი ადამიანი მინახავს, რომელიც მხოლოდ გვარის ან ჩაცმის სტილის გამო დაინუნეს, რაც ცხადია, არაა სასიამოვნო ამბავი, მაგრამ ამ მომავალ დედამთილ-მამამთილებსა თუ სიდედრ-სიმამრებს რას გაუგებს კაცი?... თემას: „გვარის გამო დაწუნებული სარძლო-სასიძოები“ ცხადია, გამოსმაურება მოჰყვა.

საბოლოოდ, თავისი გაიტანა — „ლოვეს“ დამაშორა.

— ალბათ, რაღაც მიზეზი ჰქონდა, არა?

— მიზეზი სასაცილოა: მისი ქალიშვილი ჩემს მოგვარეზე იყო დანიშნული, იმ ბიჭმა კი, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მიატოვა. ჰოდა, ჯავრი ჩემზე იყარეს... სადედამთილომ ჩემ შესახებ თავიდანვე იცოდა, მაგრამ ეტყობა ეგონა, რომ ჩემსა და მის ვაჟს შორის არასერიოზული ურთიერთობა გახლდათ და ამიტომაც იყო მშვიდად (ყოველ შემთხვევაში, ასე გვეგონა), მაგრამ როცა ვაჟმა უთხრა, — ცოლს ვირთავო (არადა, მე ჯერ არაფერი ვიცოდი), თურმე გადაირია, მერე კი მე დამირეკა და მითხრა: არ გაბედო და არ გამოჰყვე, არ მინდა, ჩემი შვილის ცოლი იყო, მეტიც — რძალი საერთოდ არ მინდა! გავოგნდი. თავიდან ვერ გავიგე, რა ხდებოდა, შემდეგ კი თავად „ლოვემ“ დამირეკა და ყველაფერი ამიხსნა. გაბრაზებულმა ვუთხარი, — ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. მთხოვა, ასე ნუ მომექცევიო, მაგრამ ვინაიდან მის ოჯახზე ნაწყენი ვიყავი, „ლოვესთან“ ურთიერთობის განწყვეტა მტიცივედ გადავწყვიტე. აბა, მათი დასაწუნი რა მჭირდა? თან — გვარის გამო რომ გკრავენ ხელს, ცოტა არ იყოს, გაუგებარი რამაა...

## ლიკა ქავიაძე

### „სადამთილოს აქტი დაჰგნო...“

ქალი, 32 წლის:

— სადედამთილო გვარს მიწუნებდა — ჩიქოვანის ქალი იყო და არ სურდა, მის ოჯახში გლეხის გოგო შეესულიყავი. მაგ საცოდავს კუდი ყავარზე კი ჰქონდა შემოდებული, მაგრამ ის კუდი ისე დავუწვი, რომ მერე მეხვეწებოდა: არიქა, ნუ დამლუბავ, ჩემს შვილს ცოლობაზე უარს ნუ ეტყვიო.

— ასეთი რა გააკეთეთ?

— მისი ძველი ამბები გამოეჩხრიკე და დავემუქრე: თუ ჰკვიანად არ იქნები, შენს ცხოვრებას ჯოჯოხეთად ვაქცევ-მეთქი. — რას მეუბნები? — რას და ისეთი ადამიანის დასაწუნი, რომელსაც ცხოვრებაში ერთი კაციც არ ჰყავს „გამაზული“, არაფერი მჭირს-მეთქი და ტელეფონი გავუთიშე. ქალი მირეკავდა, მე კი მის ზარს ჯიუტად არ ვპასუხობდი. მერე შინ მომადგა: ეს ყველაფერი საიდან მოიტანე, ახლავე უნდა მითხრაო. ვუპასუხე: ამაზე მთელი ქვეყანა ჭორაობს და თანაც, ამ ქვეყნად ვერაფერს დამალავ. მადლობა თქვით, თუ ჩემნი პატიოსანი წინაპრების შვილი თქვენს ოჯახში შემოსვლას ვიკადრებ-მეთქი... რაღაც პერიოდის შემდეგ, ამ ქალმა ხვეწნა დამიწყო: ჩემს შვილს ცოლობაზე უარს ნუ ეტყვი და ხელისგულზე გაცხოვრებო. მე კი ვეუბნებოდი, რომ მისი რძლობის სურვილი არ მქონდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, მის შვილს იცით, როგორ გავყევი ცოლად? დედამთილმა მომიტაცა და ჩემი თავი ვაჟს „მიაართვა“ — მშვიდობაში მოიხმარეო.

— საინტერესოა, როგორი რძალდედამთილობა გაქვთ?

— მართლაც, თავს მევლება და ცდილობს, არაფერი მანყენინოს. ეტყობა ეშინია, ძველი ცოდვები არ შევახსენო.

— ფეხი რომ აუცდეს და რაღაც ისე ვერ ან არ გააკეთოს, როგორც შენ გინდა, მის საიდუმლოს ყველას გაუშნელ?

— არა, ეგეთი გიჟიც არა ვარ, მაგრამ ჩემს „დედიკოს“ სიმართლის გამჟღავნების ისე ეშინია, რომ არა მგონია, ოდესმე მანყენინოს...

### „ჩემს მოგვარებაზე გაბრაზებულმა, ჯავრი ჩამოხა იყარეს“

მაცნობს:

— ყოფილი შეყვარებულის დედამ რატომღაც ამითვალწუნა და



სადამთილო გვარს მიწუნებდა — ჩიქოვანის ქალი იყო და არ სურდა, მის ოჯახში გლეხის გოგო შეესულიყავი

— და ისიც შეგეშვა?

— მალე საზღვარგარეთ წავიდა, მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იქიდან კი მალევე დამიკავშირდა, მაგრამ ერთხელ არეული ურთიერთობა ვეღარ ავანყვეთ. თან, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩვენ შორის რაღაც შეიცვალა და ასე უაზროდ დავშორდით ერთმანეთს... დიდი ხნის შემდეგ ვნახე. უკვე ბევრ რამეს ნანობდა, მაგრამ ამას რა აზრი აქვს? ჩვენ დავაშავეთ მამინ, როცა საკუთარი სიყვარულის დასაცავად არაფერი ვიღონეთ... ახლა მას საკუთარ ოჯახთან ურთიერთობა საერთოდ არა აქვს, სახლიდან წამოვიდა. ჰო, ცნობისათვის, უკვე ცოლ-შვილიც ჰყავს.



„საცოლა „პირიდან“ გამაგდებინას...“

მას-ტამარ:

— სომხური გვარი მაქვს, მაგრამ თავს მაინც ქართველად მივიჩნევ, რადგან აქ დავიბადე და გავიზარდე. თუმცა, გვარის გამო დამინუნა სასიდედრომ, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ საცოლე „პირიდან“ გამაგდებინა. მან მე და თიკოს თვალი მაშინ მოგვკრა, როცა ქუჩაში „ვზასაობდით“ და ისეთი ამბავი აგვიტენა, რომ შემინებულს, მას მერე არავისთვის მივოცნია.

— იქნებ, გვარის გამო კი არ დაგინუნა, არამედ იმიტომ გაგიბრაზდა, რომ მის შვილს სახალხოდ კოცნიდი?

— არა, კაცო, იცოდა, სომეხი რომ ვარ და სწორედ მაგას ყვიროდა, — ეგლა მაკლია, ჩემი შვილი სომეხმა კოცნოსო.

— ქართული გვარი რომ გქონდეს, ამის უფლებას მოგცემდა?

— ალბათ, კი... იმ ქალმა, თავისი ჭკუით, თიკოს დამაშორა, სამაგიეროდ გააცნო ვიღაც ჭკუათხელი ბიჭი, რომელსაც მშობლები კარნახობენ, როგორ უნდა მოიქცეს. ჰოდა, ჩემს „ლოვეს“ მასთან ერთად ყველგან უშვებენ და არც ის ადარდებთ, იმ ბიჭთან ერთად რას გააკეთებს...

— ეს ყველაფერი თავად თიკოსგან იცი?

— ჰო, ასეა! ჩვენ ჩუმად ვხვდებით ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ვიცით, ეს მის მშობლებს არ მოეწონებათ. უფრო მეტიც, უკვე ჯვარიც დავინერეთ; ჯვრისწერას ჩვენი უახლოესი მეგობრები ესწრებოდნენ და მალე გაპარვასაც ვაპირებთ.

— კი, მაგრამ ჯვარი როგორ დაინერეთ? მართლმადიდებელი ქრისტიანი ხარ?

— დიას, და ვერ ვხვდები, ამაში გასაკვირი რა არის? ჩემი მშობლებიც მართლმადიდებლები არიან, მხოლოდ ბებია-ბაბუა გახლავან გრიგორიანელები.

— შენს მშობლებს თუ მოსწონთ სარძლო?

— ისინი ჩემს პირად ცხოვრებაში უხეშად არასდროს ერევიან!

„მის მშობლებს შვილი „ფხეზაჟე ჰაილით“

ნელკა, 17 წლის:

— ჩემი ნათლია დაინუნეს გვარის გამო. მისი საქმროს ოჯახმა განაცხადა: ჩვენს რძალს თავადური გვარი უნდა ჰქონდესო. ვერ ვხვდ-

ბი, XXI საუკუნეში ამას რაღა მნიშვნელობა აქვს? სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს.

— მხოლოდ გვარის გამო დაინუნეს?

— დიას. მერწმუნეთ, ჩემს ნათლიას დასანუნი არაფერი ჰქონდა და შარი გვარის გამო მოსდეს. მგონი, იმ ბიჭის მშობლებს რძალი საერთოდ არ უნდოდათ.

— ასე რატომ გკონია?

— იმიტომ, რომ ქალიშვილსა და მის პატარებზე ზრუნავენ. იმ გოგოს ქმარი დაეღუპა და ეცოდებათ, ყველაფერში ხელს უწყობენ; ლაშა (ასე ჰქვია ჩემი ნათლიის შეყვარებულს) კი „ფეხებზე ჰკიდიათ“. არ აწყობთ, მათმა ვაჟმა ცოლი რომ შეირთოს.

— და მშობლების აზრი ლაშამაც გაითვალისწინა? შეყვარებული მიატოვა?

— თავიდან ურთიერთობა კი დაეძაბათ, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ მშობლების გამო სიყვარულის დაკარგვა არ ღირდა და ახლა გაპარვას აპრებენ. ლაშამ უკვე მუშაობა დაიწყო, საცხოვრებლად ბინაც შეარჩიეს (ცხადია, უნდა იქირაონ) და მომავლის გეგმებსაც აწყობენ. იმედია, ბიჭის მშობლები აზრზე მოვლენ და თვეების შემდეგ მაინც შეეგუებიან რძლის „საშინელ“ გვარს, თუ არა და, ვაჟს სამუდამოდ დაკარგავენ.

ამ თემით ვინმე famouse დაინტერესდა. მის ამ კითხვას უამრავი გამოხატულება მოჰყვა და ახლა რამდენიმე საინტერესო პასუხს შემოგთავაზებთ.

HYPERZET:

„ან შეყვარებული უნდა მოიშორო, ან ოჯახი, სხვა გზა არაა“.

STATO\_CHUU:

„რას ჰქვია, ოჯახს არ უნდა? ოჯახის წევრებს ვინ ეკითხება? მე თუ მიყვარს, იძულებულები არიან, აიტანონ“.

FAMOUSE:

„ოჯახს რაღაცას აიძულებ და ასე აინყობ ბედნიერებას? რთულია ეგრე... ალბათ, რაღაც კომპრომისამდე ერთად უნდა მიხვიდეთ“.

ქონკრეტული:

„მსგავსი პრობლემა მეც მქონდა — ჩემი შეყვარებულის ოჯახის წევრებს კი არა, მის მეგობრებსაც არ მოვწონდი. ჰოდა, ასეთი რამ ურთიერთობაზე აშკარად მოქმედებს და ჩვენც დავშორდით...“

ANDY\_KAUFMAN:

„რა უნდა ქნა და, უნდა მოიყვანო ცოლები: ერთი ოჯახისთვის, ერთი — სანათესავოსთვის, ერთი — მეზობლებისთვის და ერთიც შენთვის“.

ცუცაცუციაო:

„ეს საშინელება მეც გამოვცადე. ურთიერთობის შესანარჩუნებლად მთელი 2 წელი ვიბრძოდი, მაგრამ ბოლოს მაინც დავშორდი და დედაჩემი დღემდე მაგას მაცუვდის“.

„მან გარყვნილ ბოგოსთან, გასართობად დაიწყო სიარული“

იპა:

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. საქმე ისაა, რომ ერთ ბიჭს შევუყვარდი და მანაც თავი შემიყვარა. ის სოფელში გავიცანი. სკოლის პერიოდში თბილისში ვხვდებოდი, ზამთარში — სოფელში. ჩემს ბიძაშვილებსაც ელაპარაკა და უთხრა, — მიყვარსო, მაგრამ ერთხელ, როცა დაფურეკე, უხეშად მელაპარაკა. ამის გამო გავუბრაზდი და ვიჩხუბეთ. თითქოს, ასე სპეციალურად მოიქცა, რათა დამშორებოდა და სოფელში მცხოვრებ გარყვნილ გოგოსთან, გასართობად დაიწყო სიარული. იცოდა, რომ ამას ვერ ვაპატიებდი... ახლა, როცა ქუჩაში მხვდებ, გამუდმებით მიყურებს, მე კი ხმას არ ვცემ და სიმათლე გითხრათ, არც თვითონ იკლავს თავს მოსალმებით. იცით, ადრე იმ გოგოს თავადაც დაცხინოდა, ახლა კი ვერ ვხვდები, მისით ასე რამ მოხიბლა, რა დაემართა?.. მუდამ მასზე ვფიქრობ და ისევ ტკივილამდე მენატრება, მიყვარს. ის ჩემი პირველი შეყვარებულია, რომელთანაც 3-წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს და მასთან ასე უაზროდ დამორებას ვერ გადავიტან. დამეხმარეთ, რა“.

„ჩემი ბრძნობა სიზმარივით ქრება სოლემ“

უცნობი ბიჭი:

„2 წელი მიყვარდა გოგო, მაგრამ ამის თქმას ვერ ვუბედავდი. ის უბრალოდ, ხვდებოდა, მის მიმართ რასაც ვგრძნობდი. დიდხანს კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ მერე გული ძალიან მატკინა და მივხვდი, რომ გადამიყვარდა. მას შემდეგ სიზმრებში ვხვდავ. ზმანებაში ისევ ძალიან მიყვარს, მაგრამ გავიღვიძებ თუ არა, ეს გრძნობა სიზმარივით, სადღაც ქრება. თქვენი აზრით, ჩემი ასეთი „სიზმარ-სიყვარულობა“ რისი ბრალი უნდა იყოს?“

P.S. მამ ასე თუ იასა და უცნობი ბიჭი 18-ის წერლის ნაკითხვს შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.





# რა უნდა მოიმოქმედო მაშინ, როცა ოჯახი შეყვარებულს ბიძუნებს

THE13THFLOOR:

„ცალკე გადავიდოდი საცხოვრებლად“.

BeQeX:

„ოჯახს საქმის კურსში არ ვაყენებ მანამ, ვიდრე ურთიერთობა არ დასერიოზულდება. ამასთან, ისინი ჩემს არჩევანს ყოველთვის პატივს სცემენ. და საერთოდ, არ მესმის, ასეთ რაღაცებში ოჯახი უხეშად რატომ უნდა ჩაერიოს?“

ალაჰაბაზრა:

„მატერიალურ დამოუკიდებლობას უნდა მიაღწიო და მერე, მთელი ოჯახი შენ მიერ დანერგულ კანონებს დაემორჩილებას...“

სტრალიცია:

„დაცადე კაი ხანს და აქეთ შეგეხვეწებიან, ოღონდ ვინმე იპოვეო... მატერიალური დამოუკიდებლობა არაფერს შევლის და არც ცალკე ცხოვრება გამოსავალი — ყველგან მოგწვდებიან, არ დაგასვენებენ“.

ბაჩი:

„ბინას ვიქირავებდი, 1-ოთახიანს, იტალიურ ეზოში, საერთო საპირფარეშოთი, თვეში ასე, 150 ლარად. ჰოდა, ცოტა ხანში ჩემებს შეეცოდებოდი და ჩემს შეყვარებულსაც მიიღებდნენ... და ვაფშე, ეგ როგორ უნდა გამიბედოს და მითხრას მამამ ან დედამ?“

იასა:

„ეს „გროუზინული“ მარაზშია! აბა, ჩემებს ხმა ამოუღოთ და ჩემი არჩევანი არ მოსწონებოდათ... რას გეტყვით, იცნ? ყველა თავის წილ შეცდომას უშვებს და თავისი წილი მონაგრით ცხოვრობს, რაც დაიძახა და როგორც დაიძახა, იმას მიიღებს... მერე რა, რომ მშობლები არიან? კი, ბატონო, მომეცნ რჩევა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ცხვირი ზედმეტად არ უნდა ჩაყონ. მე ვარ დამოუკიდებელი ადამიანი, ვიცნობ საკუთარ თავს და 100 %-ით დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ მიერ გადადგმული ქსა თუ ის ნაბიჯი გამართლებული იქნება თუ მართლა გიყვარს, მისთვის იბრძოლე; გააკეთე ის, რაც სწორად მიგაჩნია. ხალხი ბევრია, შენ ერთი კი ყველას აზრზე ვერ გაივლი...“

შოკოლადკა:

„ღმერთმა გონება იმიტომ მოგცა, რომ თავად გადაწყვიტო, ვინ გინდა და ვინაა შენთვის უკეთესი. საბოლოო ჯამში, ასეთი ქორწინების შემდეგ ოჯახის წევრები ყველაფერს ეგუებიან, წყვილი კი ბედნიერად ცხოვრობს“.

FAMOUSE:

„ჰო, მაგრამ ხშირად, იმასაც ნანობენ — ნეტავ, რატომ არ დავუჯერე

მშობლებსო?“

LE ROI:

„ცვეტში“, ეგეთი რამის თქმას ვერ გამიბედავენ ვერც ოჯახში, ვერც სამეგობროში!

ALEX-ANDRE:

„ბინას ვიქირავებდი და ერთად ვიცხოვრებდით, თუ, რა თქმა უნდა, ამაში ფინანსები შემიწყობდა ხელს. თუ ფული არ მექნებოდა, მაშინ ცოტა ხანს ვალოდინებდი და როცა კარგ სამსახურს ვიშოვიდი, მერე შევირთავდი ისე, რომ მშობლებს აზრს ყურადღებას არ მივაქცევდი“.

BEQEX:

„ისე, ახლობლის მაგალითზე გეტყვით: ოჯახმა იმდენი უჩიჩინა, ეგ გოგო არ შეგეფერებო, ადგა და ცოლად მოიყვანა... შევიღე ჰყავთ უკვე. ბევრი მინახავს, მშობლებს გამოთავყვანებულობის გამო ოჯახი რომ დაენგრა, „ტაკ შტო“, ნურავის დაუგდებთ ყურს, მხოლოდ საკუთარ გულს ენდეთ“.

ოცაილა:

„ან საერთოდ, რატომ უნდა იყოს ნორმალურ ოჯახში ეგ საკითხი პრობლემატური? რას ჰქვია, არ უნდათ? მე ვირთავ ცოლს, ეგენი ხომ არა? მიყვარს, პატივს ვცემ და მინდა, მთელი ცხოვრება მასთან ერთად გავატარო, ჰოდა, ოჯახის წევრებმა ნება იბოძონ და პატივი სცენ ჩემს არჩევანს. არ მევახებია „დედიკოს ბიჭები“; სულ დედები რომ კარნახობენ — რა ჩაიცვან, რა მიირთვან, რა უნდა მოეწონოთ და რა — არა, ვინ მოიყვანონ ცოლად და საერთოდ, დედები რომ ცხოვრობენ შვილების მაგივრად. ადამიანი ხარ თუ დაპროგრამებული რობოტი? საკუთარი აზრი და პრინციპები არ უნდა გაგაჩნდეს? შენი რჩეულისადმი მშობლების ან მეგობრების დამოკიდებულების მიუხედავად, ოჯახი უნდა შეიქმნას...“

საკაშრა:

„თუ იმდენს „ქაჩავთ“, რომ დამოუკიდებლად იცხოვროთ, „დაიკიდე“, მაგრამ თუ ვერ „გაქაჩავთ“, მაშინ უნდა შეეშვა, რადგანაც მსგავსი ამბების 98% ცუდად მთავრდება“.

ლაზა:

„თუ კარგია, რატომ ინუნებენ? შარზე არიან თუ უკეთესი უნდათ? ბევრი დასუნებულნი სასიძო ან სარძლო იმარჯვებს და წლების თუ თვეების შემდეგ კიდევ ერთით იზრდება ოჯახსანგრეულთა სტატისტიკა“.

SCOTTISH:

„ცალკე ვიცხოვრებთ და მგონი, შვილი იშვილის გაჩენა გულს მოუღობობთ“.

M\_LASH:

„მივმართავ გოგონებს: თუ თქვენი შეყვარებული „რობლი“ ბიჭია და თქვენ გამო ოჯახთან პრობლემები აქვს, ჯობია, ახლავე ჩამოშორდეთ“.

UU </3:

„მოიყვანე ცოლად და ახალი ოჯახი გეყოლება“.

ნაბი:

„კაცი ხარ თუ ფლოსტი?... რას ჰქვია, დაინუნონ? ინუნებენ და ეგ მაგათი პრობლემა... უნდა იყო მატერიალურად დამოუკიდებელი, ცხოვრობდე ცალკე და არავინ არაფერს გეტყვის“.

ნოსპარატი:

„ჰმ, როგორ თუ არ უნდათ? ისინი უნდა იყვნენ მასთან თუ მე? ჯობია, მე დაფუშვა შეცდომა და ის ავირჩიო, ვიდრე ოჯახს დავეთანხმო და მერე მთელი ცხოვრება მათზე დაბოლმელი ვიყო“.

ნიწუცა 100%:

„ზუსტად ეს პრობლემა მანუხებს ამნუთას: დედაჩემი ყოველ წუთს მახსენებს, რომ ცხვირს ნავიშტვრევ, მაგრამ მე ასე არა მგონია. როგორ მოვიშორო თავიდან, არ ვიცი, არადა, ძალიან მიყვარს და დედაჩემის ახირების გამო, — რომ ჩემი რჩეული უვარგისია, ყოველ წ წუთში ერთხელ მიფუჭდება ხასიათი...“

ლატოლინუა:

„მე მყავდა შეყვარებული, რომელიც დედაჩემს მაინცდამაინც არ ესატყებოდა გულზე და არც ბიჭისიანებს მოვდიოდი თვალში. ერთწლიანი ურთიერთობის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა იმის გამო, რომ ბიჭმა ვერ დაიცვა პოზიციები (მატერიალური დამოუკიდებლობის მიუხედავად), თორემ მე ოჯახში ყველაფერი მოგვარებული მქონდა... ვფიქრობ, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, სხვას თავი შეაყვაროს, მაგრამ თუ მაინც „გაიჭედნენ“, გადადით ცალკე საცხოვრებლად და ეგაა. ოღონდ, ამ შემთხვევაში მატერიალური დამოუკიდებლობა აუცილებელია“.

NUT:

„ნუ, თუ მამიკოს „კისერზე ზიხარ“, მაშინ მისი აზრი უნდა გაითვალისწინო, თორემ დიდია შანსი, ქუჩაში აღმოჩნდე, მაგრამ თუ მატერიალურად დამოუკიდებელი ხარ, მაშინ შენ რაც გინდა, ის უნდა შენს ოჯახსაც, რადგან ეცოდინებათ, რომ თუ რაიმეს დაგიშლიან, დაიხურავ ქუდს და „დაახვევ“. ნუ, ძალაუფლების ამბავია, რა“.

*P.S. ამჯერად გთავაზობთ თემას: ჩემი საკურორტო რომანი. თუ თემასთან დაკავშირებული ამბის მოყოლის სურვილი გაგიჩნდებათ, დამომისივეთ ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მომწერეთ მეილზე: lika.qajaja@gmail.com.*



# სამყარო

## მოუსვენარი „დედა ფუტკარი“ და პატარა გოგონას ორიბინალური ნახატი

28 წლის თინი თევდორაძე ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სფეროში მუშაობდა. ის სამოსს თარგისა და ლამბის გარეშე კერავს. მის მიერ გაფორმებულ ორიბინალურ ტორტებს შესაქმელად ვერ იმეტებენ. თინის პარკეტის დაგებაც შეუძლია, რის გამოც, ამ ნაზ და მშვენიერ გოგონას ხუმრობით „ზაური“ მიმართავენ... ამ ცოტა ხნის წინ, თინი თევდორაძემ პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო, სადაც 300-მდე ნამუშევარი წარმოადგინა: ყელსაბამები, საყურეები, სამაჯურები, ვენეციური სტილის ნიღბები, „ნატურის ხეები“, სურათის ჩარჩოები, საფენბურთო კლუბების ემბლემები, თმის აქსესუარები, ბეჭდები, მისალოცი ბარათების ნიმუშები, საქორწილო კაბა, ჩოხა...



### „ცხოვრებაში რაც მაინტერესებდა, ყველაფერს ვსწავლობდი“

#### ათო ყორღანაშვილი

— თინ, ამ ყველაფრის შესაქმნელად რა დრო დაგჭირდა?

— 2 თვე. ყველა აღნიშნავს, რომ ეს რეკორდული დროა. ძალიან ბევრი ნამუშევარი გაიყიდა, რასაც სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. მერე გული დამწყდა: შემეძლო, უფრო დიდხანს მემუშავა, სექტემბრამდე მომეცადა და უფრო მეტი ნამუშევარი წარმომედგინა.

— ეს საქმე როგორ დაიწყო რა პროფესიის ხარ?

— ჩემს სანათესავოში ყველა ან ხელოვანია, ან — ექიმი. მე ჯერ ექიმობით დავიწყე — პედიატრი ვარ. კონკრეტულმა შემთხვევამ გადაამწყვეტინა, ჩემს პროფესიაზე ხელი ამეღო: თეორიულ სწავლებას დიდი სიამოვნებით მივყვებოდი, თეთრი ხალათი ჩემი ოცნება იყო, მაგრამ როცა ბავშვთა „სასწრაფოში“ დავინყე მუშაობა, მიხვდი, რომ ავადმყოფი ბავშვის ცქერა არ შემიძლო. კარგმა ექიმმა ამას ცივი გონებით უნდა შეხედოს, მე კი ასეთი ძლიერი ვერ

აღმოვჩნდი. როცა დავინახე, მამას გარდაცვლილი ბავშვი ხელში აყვანილი გამოჰყავდა, მიხვდი — პრაქტიკოსი ექიმი ვერასოდეს ვიქნებოდი...

— ვიდრე პედიატრობას აირჩევდი, ამ პროფესიის სირთულე ვერ გააცნობიერე?

— ალბათ, გაცნობიერებული მქონდა, მაგრამ სანამ ფაქტს არ შევეჩვიე, სათანადოდ ვერ აღვიქვი. ამ საქმეს ნელ-ნელა ჩამოვშორდი. მარკეტინგი შევისწავლე („სიეისი“ დავამთავრე), ვებდინამიკა ვარ, კოსმეტოლოგიც, მასაჟისტიც... ცხოვრებაში რაც მაინტერესებდა, ყველაფერს ვსწავლობდი. მაგალითად, ვებდინამის რაც შეეხება: ერთხელ სამსახურში (სატრანსპორტო კომპანიაში ვმუშაობდი) ამ საქმის მცოდნე დავგვჭირდა, მაგრამ ვინაიდან შესაბამისი კადრი ვერ ვიპოვეთ, ვებდინამიკა ვიწავლე. მარკეტინგი ბოლოს შევისწავლე. საკურსო ნამუშევარი სამკაულების თემაზე გავაკეთე — „დაბალი და საშუალოშემოსავლიანი მომხმარებლისთვის ხელმი-

სანვლომი სამკაულების წარმოება და რეალიზაცია“. იდეა ისე ჩამოვყალიბე, რომ თავად ლექტორებმა მითხორციელო. ამ იდეის განხორციელება ჩემი ბავშვობის დროინდელი სურვილია. უბრალოდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული... ცხოვრების ახალ-ახალ ეტაპებს შორის შუალედი არ მაქვს: როცა რაღაც მთავრდება, სხვა რაღაც იწყება. ზუსტად რამდენიმე თვის წინ უმუშევარი დავრჩი: ფარმაცევტული კომპანია, რომელშიც ვმუშაობდი, გაკოტრდა. უცებ ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო — სამკაულების კეთება დავიწყე.

— მანამდე სამკაულები არასოდეს გაგიკეთებია?

— ბავშვობაში „კეთილშობილ ქალთა პანსიონში“ დავდიოდი. ჩემთან ერთად, იქ მაშინდელი ნალები



საზოგადოების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ: ედუარდ შევარდნაძის შვილი — ლაშა, ირაკლი აბაშიძის სამივე შვილიშვილი, ხათუნა დონდუას ქალიშვილი — გვანცა... პატარები ვიყავით, მაგრამ ხელსაქმეს გვასწავლიდნენ, წიგნებს გვიკითხავდნენ... ალბათ, ხელსაქმით ჩემს გატაცებას მაშინ ჩაეყარა საფუძველი. სტუდენტობის პერიოდში ხელნაკეთი აქსესუარები აქტუალური არ იყო. სამედიცინო ინსტიტუტში ჩემი ნამუშევრები ძალიან მოსწონდათ. თავდაპირველად, სამკაულებს მეგობრებისთვის ვამზადებდი — თუ ვინმეს დაბადების დღე ჰქონდა, აუცილებლად ჩემ მიერ გაკეთებულ ნივთს ვჩუქნიდი. მერე შეკვეთის სურვილი გაუჩნდათ, პარალელურად კი ნამუშევრების მაღაზიებში ჩაბარებაც დავიწყე. მოკლედ, ფული ყოველთვის მქონდა. მშობლები ახლაც იხსენებენ, — ფულს სულ თინიკოსგან ვსესხულობდითო (იციან).

— რა მასალით მუშაობ?

— სამუშაოდ ნებისმიერ იმ მასალას ვიყენებ, რომელიც მომწონება, მაგრამ ძირითადად, ნახევრად ძვირფას ქვებს ვიყენებ. ჩემს მეგობარს ინდური მაღაზია აქვს და მას თვლებს ვაბარებ ხოლმე.

— სამკაულები როგორი შემოსავლის მქონე მომხმარებელზეა გათვლილი?

— ალბათ, საშუალოშემოსავლიანებზე. თავადაც მქონია შემთხვევა, როცა რაღაც მომწონებია, მაგრამ ფასის გამო, მისი ყიდვისგან თავი შემიკავებია. დღეს მატერიალური პრობლემა ბევრს აქვს. თუ ადამიანი სამკაულებში რაღაც თანხას ხარჯავს, ჩემი ნამუშევრის შეძენას ყველა ვარიანტში შეძლებს.

— აღწონს, გამოფენაზე ძალიან ბევრი ნამუშევარი გაიყიდაო. მუშაობისას მომხმარებლის გემოვნება გაითვალისწინებ?

— არა, ყველაფერი საკუთარი გემოვნებით ვაკეთებ. ახლა შეკვეთებზე ვმუშაობ: ვინც რაღაცის შეძენა ვერ მოახერხა, მირეკავს და მეუბნება, თუ როგორი სამკაული სურს. ძირითადად, ფერს მკარნახობენ, თორემ სამკაული თავიდან ბოლომდე არავის ალუწერია.

— ამ სეზონზე როგორი სამკაულებია მოდაში?

სამუშაოდ ნებისმიერ იმ მასალას ვიყენებ, რომელიც მომეწონება

— გამჭვირვალე და დიდი ზომის — ასეთი მოთხოვნები აქვთ.

— როგორც მითხარი, ახლა შენ მიერ შეკერილი სამოსი გაცვია...

— კი, და სხვათა შორის, ტანისამოსს სტუდენტობის დროსაც თავად ვიკერავდი; ჩემი ატმისფერი საქონილო კაბაც დამოუკიდებლად შექმენი და მგონი, კარგი გამოვიდა. ორსულობის პერიოდში საორსულო ტანსაცმლის დიზაინმა ძალიან გამიტაცა და ყველაფერს თავად ვიკერავდი, თან ვცდილობდი, სამოსში სახალისო შტრიხები შემეტანა. მაგალითად, შევიკერე შავი კომბინეზონი, რომელსაც გულმკერდსა და მუცელზე ყვითელი ზოლები ჰქონდა, რის გამოც, სამსახურში ყველა „დედა ფუტკარს“ მეძახდა. ერთხელ კურიოზიც გადამხდა: მ თვის ორსული მეგობარს „ბილიანის“ ოფისში გავყვები. ჩემი დანახვისას ხალხმა ბევრი იხალისა, მოდიოდნენ და სურათებს იღებდნენ — „ბილიანის“ აქცია ეგონათ (იციან)... ბებიამ ჩემი დღემდე ვერ იჯერებს, რომ თარგისა და ლამბის გარეშე ვმუშაობ. რაც მთავარია, კერვა, ქსოვა ძალიან მსიამოვნებს. ყოფილა შემთხვევა, როცა რაღაც არ მომწონებია (მაგალითად, მიფიქრია, რომ ჯობდა, ნამუშევარი შუაში ორნამენტით გამეფორმებინა), მოქსოვილი დამირღვევია და თავიდან მომიქსოვია. სხვათა შორის, პროფესიონალებს სამოსის გადაკეთება არ უყვართ. ალბათ, ჩემი არაპროფესიონალიზმი ამასიც მჟღავნდება — გადაკეთება უფრო მიყვარს.

— მაინც რა დრო გჭირდება სამოსის შესაკერად?

— ამას წინათ გადაცემაში — „გოგინას დილა“ ვიყავი მიწვეული. კაბა, რომელიც იქ მეცვა, წინა საღამოს შეკერე თავისი პიჯაკიანად: დედამთილმა მითხრა, — ლურჯი სამოსი ჩაიცვი, ეკრანზე კარგად გა-

მოჩნდებაო. ჰოდა, შინ ამ ფერის ქსოვილი მოვიძიე, რაც მქონდა, მივჭერ-მოვჭერი და კაბა გამოვიდა (იციან).

— შენთვის ჩანთებზე მუშაობაც იოლია?

— შეიძლება, სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს საქმეც მეიოლება და მეხალისება: მართკუთხედის ფორმის ქსოვილს ელვას, სახელურს მიაკერებ და ეგაა... შეიძლება, დღეში 3 ჩანთა შეკერო, ეს მუშაზეა დამოკიდებული.

— თინი, ფესსაცმელებსაც ხომ არ კერავ?

— ყოფილა შემთხვევა, ფესსაცმლის ძირი ამილია და გადამიკეთებია. მაგალითად, ჩვეულებრივი „შლოპანცი“ თვლებით, ქვებით გამიფორმებია, ზედ ტილოს გამაშები მიმიმაგრებია და ორიგინალური ჩექმა გამოსულა. როცა თვალს ალტაცებით გამოგაყოლებენ და გკითხავენ, — სად იყიდეო? — უკვე დიდი კომპლიმენტია (იღიმიან).

— ახლა შენს კულინარულ „თავადასავლებზეც“ გვიამბე.

— რასაც სიამოვნებით ვაკეთებ, ყველაფერი გამომდის. სამზარეულოში ექსპერიმენტების ჩატარება ძალიან მიყვარს. შეიძლება, სიამაყით ვთქვა, რომ ექსპერიმენტი ყოველთვის კარგად მთავრდება — მოწონებას იმსახურებს. ტორტების გაფორმება მიყვარს. ორიგინალურ, სასაცილო ტორტებს მეგობრებს ვჩუქნი, რაც დიდ აჟიოტაჟს იწვევს. დღეს ჩემი მულის დაბადების დღეა. გულში „სტადიონი“ (მეუღლე ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია) გამოვუცხვე. მინდოდა, სიურპრიზი მომეწყო, მაგრამ ვერ მოვითმინე და წუხელვე ვუჩვენე. შარშან „იტალიის დროშა“ გამოვუცხვე. ისე მოეწონა, არ გვაჭრევიანებდა... განსხვავებულ სფეროებში მუშაობა მიყვარს. რაღაცას დიდხანს რომ ვაკეთებ, მბეზრდება და ამიტომაც, აქეთ-იქით „დავხტუნაობ“. მიყვარს, როცა სხვას ვაკვირდები და რაღაცას ვსწავლობ. მაგალითად, დიდხანს ვაკვირდებოდი, თუ როგორ აგებდა ხელოსანი მეტლასს და რა კითხვებიც მიჩნდებოდა, „სხვათა შორის“ ვეკითხებდი. ერთ დღესაც, როცა მუშაობა დაასრულა და წავიდა, ცემენტი მოვზილე და 2 ფილა ჩუმიად დავაგე. ლამინირებული პარკეტის ფიცარიც დავაგებულნი მაქვს. სხვათა შო-





# „იყავით მარილი ამა სოფლის“

## შორენა მერაპილაძე

რის, სტუდენტობის დროს ჩემი ოთახი თავად გავარემონტე. მე და რატი დურგლიშვილს (რომელიც ჩემი ბავშვობის მეგობარია — ერთ ჯგუფში ვმღეროდით) ორიგინალური ავეჯის დიზაინის მოფიქრება გვიყვარდა. ზოგჯერ ისეთ აბსურდამდე მივდიოდით, რომ სიცილით ვიხოცებოდით. ავეჯის დიზაინისადმი სიყვარული



მეუღლეს „სტადიონი“ გამოგვიყვანა

დღემდე შემომრჩა. სახლში ყველანაირი ავეჯი ჩემი დიზაინით, ჩემი და ჩემი მეუღლის მიერაა შექმნილი.

— ამ ეტაპზე რით ხარ გატაცებული?

— რადგან სამკაულებზე დიდხანს ვიმუშავე, ახლა ჩემი ნახატების წინა პლანზე წამოწევა მინდა. ცნობისათვის, ელენე ახვლედიანის სამხატვრო სტუდია დავამთვრე. ბავშვობაში ბევრ კონკურსში ვმონაწილეობდი. მასსოვს, ჩემმა ნახატმა — „ლუარსაბი და დარეჯანი“ კონკურსში გაიმარჯვა. მაშინ 4 წლის ვიყავი. არ ვიცი, გულში საიდან ჩამყვა, რომ დარეჯანს ბავშვი არ უჩნდებოდა, ამიტომ მას მუცელზე პატარა მიკვასტე. მერე ჩემ შესახებ „კომუნისტში“ სტატია დაიბეჭდა... მოსწავლეობის პერიოდში სკოლის გაზეთის რედაქტორი ვიყავი, სტუდენტობისას — სამედიცინო გაზეთის. „სტუდენტურ დღეებში“ ვმონაწილეობდი: ვმღეროდი, ვცეკვავდი, სპექტაკლებში ვთამაშობდი... სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ ისეთი ეპიზოდური როლი შევასრულე, რომ მგონი, ჩემი პროფილი ეკრანზე წამით გამოჩნდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ერთდროულად, თეატრშიც ვითამაშე და სერიალშიც — ის სცენა თეატრში გადაიღეს (ილიმის)... წერაც ძალიან მიყვარს: ლექსებს, ჩანახატებს ვწერ. ახლა ლიტერატურულ კონკურსში — „ხვარამზე 2011“ ვმონაწილეობ. ალბათ, დაჯილდოება თიანეთში გაიმართება. მინდა, პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტს რაიმე სამკაული გადავცე...

მაცხოვრის ერთ-ერთი იგავი — „მარილი“ მოთხრობილი აქვთ მათე, ლუკა და მარკოზ მახარებლებს. მათეს სახარების თანახმად, როდესაც უფალი მთაზე ნეტარების მცნებებს წარმოთქვამს, თავის მონაფეებს მიმართავს: „თქვენ ხართ მარილი მინისა. თუ მარილს ძალა გამოეცალა, რილათი დამარილდეს? ის უკვე აღარაფრად გამოდგება, მხოლოდ გარეთ უნდა გადაყარო კაცთაგან გასათელადა“. ლუკას სახარების თანახმად, ერთხელაც, როდესაც მაცხოვართან დიდხალი ხალხი მივიდა, ის მიუბრუნდა მათ და მიმართა: „ვინც მოვა ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს... საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მონაფე. ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და ისე არ გამომყვება, ვერ გახდება ჩემი მონაფე... მარილი კარგია, მაგრამ თუ მარილს ძალა გამოეცლება, რილათი დამარილდეს? არც მინისთვის გამოდგება, არც ნაკელისთვის, ამიტომ შორს გადაყრიან. ვისაც ყურები აქვს მოსასმენად, ისმინოს!“ მარკოზის „სახარების“ თანახმად კი მაცხოვრის მიერ თქმული „მარილის“ იგავი მოჰყვება შემდეგ შეგონებას: „თუ შენი ხელი, ფეხი ან თვალი გაცდუნებს, მოიკვეთე, ან ამოითხარე იგი, რამეთუ უმჯობესია ცალი ფეხით, ხელით ან თვალით შეხვიდე სამოთხეში, ვიდრე ორივეთი ჯოჯოხეთში... ვინაიდან ყოველნი ცეცხლით დამარილდებიან და ყოველი მსხვერპლი მარილით დამარილდება. მარილი კარგია, მაგრამ თუ მარილი უმარილო გახდება, რილათი შეანელებთ მას? იქონიეთ თქვენში მარილი და მწიფდობიანად იყავით ერთმანეთში...“

### გვესაუბრება მამა დიმიტრი ჯანაშუღაშვილი:

— საღვთო საქმის კეთების, ღვთივსათნო ცხოვრების გარეშე ადამიანი ვერ გახდება „მარილი“ და „ნათელი“ ამა სოფლისა. როგორც იგავიდან ჩანს, უფალი პირდაპირ გვაღვალდებულებს — ვიყოთ მარილი და ნათელი ამა სოფლისა ანუ ჩვენი ღვთივსათნო ცხოვრებით და ამის სანაცვლოდ მოპოვებული მადლით

მისაბამ მაგალითად ვიქცეთ სხვებისთვის. მაცხოვარი, პირველ რიგში, თავის მონაფეებს მიმართავს, — თქვენ ხართ მარილი მინისაო — ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც პირველ რიგში გამოარჩია, რათა ემსახურათ უფლისთვის, ექადაგათ ღვთის სიტყვა და მიეთითებინათ ადამიანებისთვის ჭეშმარიტება, გასძლიოლდნენ ღვთისკენ სავალ გზაზე. მათ შემდგომ, ეს უპირველესად ღვთისმსახურთა მოვალეობაა. მხოლოდ მიითებთ და ქადაგებთ არ არის სავალ არის; თუ სასულიერო ყოველდღიურ ცხოვრების წესით, რასაც ქრისტიანობა ჰქვია, ვერ იქნება მარილი ანუ — ვერაფრის მიმითებელი ვერ იქნება სამწყოსისთვის, ადამიანებისთვის, რომელიც უფალმა მიაბარა.

მთავარი იმისათვის, რომ „მარილობა“ — ღვთივსათნო ცხოვრებით მიღებული მადლის სიტკობება შევინარჩუნოთ, საჭიროა ყოველდღიური მცდელობა, რათა არ ჩამოვრჩეთ ქრისტიანობას. ადამიანი, სასულიერო პირი იქნება თუ მრევლის წევრი, არასოდეს უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით, არ დაინყოს მიღწეულით ტკობა. ეს არის ქრისტიანისთვის ყველაზე მეტად საშიში, სწორედ ამ დროს კარგავს იგი იმ „მარილობას“, სულიერი ცხოვრების სიტკობის გემოს. ე.ი. ქრისტიანი ყოველდღიურად უნდა ეცადოს, თავისი თავი განაახლოს, ეშმაკის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვოს — ნელ-ნელა დაძლიოს ცოდვები და სიკეთე, მადლი ქმნას ამქვეყნად, რათა უფრო და უფრო დაუახლოვდეს უფალს.

ლუკას სახარების თანახმად, ვიდრე მაცხოვარი იგავს წარმოთქვამს, ბრძანებს: ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, ის ვერ გახდება ჩემი მონაფე. ღვთისგან ყველას გვეძლევა ჯვარი, რომელიც უნდა ვიტვირთოთო. ჩვენ ვიცით ვინ არის ღვთის წინააღმდეგომი — დაცემული ანგელოზი, რომელიც ყოველთვის ცდილობს გამოგვითმოს ცხოვრებისთვის წამოწყებული ბრძოლიდან, ღვთივსათნო ცხოვრებიდან; როდესაც ადამიანი წყვეტს ბრძოლას თავისი ვნებების, ცოდვების, უკეთური აზრების წინააღმდეგ, ბოროტი მამნივე ცდილობს ადამიანის დაპატრონებას. ბრძოლა შეიძლება შევ-



წყვიტოთ ულოცველობით, აღსარების ჩაუბარებლობით, უსინანულოებით, განკითხვით, განსაცდელის უამს სასონარკვეთილებით და სხვა ცოდვების გამო.

ზოგჯერ ადამიანს ეჩვენება, რომ მისი ჯვარი მძიმეა, ზედმეტი ტვირთის ზიდვა უხდება. უფალი არასოდეს გვიბოძებს ისეთ ჯვარს, რომლის ზიდვასაც ვერ შევძლებთ, თანაც — თავადვე გვეხმარება, შეგვეწევა მის ზიდვაში. ჩვენს ნებაზე მხოლოდ ის არის დამოკიდებული, ვისურვებთ თუ არა მის ტარებას, შევეცდებით თუ არა. დანარჩენს კი ყველაფერს გვაძლევს უფალი — შემწეობა იქნება, დროდადრო ამ ჯვრის შემსუბუქება თუ სხვა; მამა თავის შვილს არასოდეს მოჰკიდებს იმხელა ტვირთს, რომ ვერ ზიდოს და სადმე ხრამში გადაიჩეხოს. უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთის დამოკიდებულება ყველა ადამიანის მიმართ უნიკალურია და ამავე დროს — მამაშვილური. თითოეული ჩვენგანისთვის ღვთისგან ბოძებული ჯვარიც უნიკალურია და მამაშვილური სიყვარულით აღსავსე, იმისდა მიხედვით, ვის რა ესაჭიროება. ექიმი ზოგს — ვისაც პატარა ნაკანრი აქვს, მალამოს დაადებს, ზოგს ნემსებს უნიშნავს, ზოგს ოპერაციას უკეთებს, ზოგი კი შეიძლება, კურორტზე გაუშვას, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მას ის სწეული უფრო უყვარს, რომელიც კურორტზე გაგზავნა? ასევე გვეძლევა ღვთისგან ცხოვრებისეული ჯვარი — შეიძლება მწარე ნამლად მოგვეცეს განსაცდელი, მაგრამ იმისათვის, რომ წარწყმედას აგვარიდოს.

„ვინც მოვა ჩემთან და არ მოიძულეს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს... საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე“, — ამ სიტყვებით მაცხოვარი მოგვინოვებს, რომ უპირატესი ღვთის სიყვარულია, ადამიანს კი ყველაზე მეტად ღვთის სიყვარული ევალება. უფალი ყველა ადამიანს ქმნის საცხოვრებლად, მაგრამ შემდგომ იმას აქვს მნიშვნელობა, როგორ წარმართავს ადამიანი თავის ცხოვრებას, როგორი იქნება მისი სულიერი მდგომარეობა მომავალში. აქედან გამომდინარე, ადამიანსა და უფალს შორის უნდა არსებობდეს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა. ღმერთმა ყველაფერი მისცა ადამიანს; ედემით, მთელი თავისი მშვენიერებით, ადამიანისთვის შექნა. ადამიანი ყველაზე ბედნიერად სამოთხეში ყოფნის უამს გრძნობდა თავს, როდესაც ერთობაში იყო

ღმერთთან, უდიდეს სულიერ სიყვარულს განიცდიდა, სიხარულს გრძნობდა. როგორც მამები ბრძანებენ, ყველაზე ლამაზი და ბედნიერი წუთები მაშინ იყო, როდესაც ადამი და ღმერთი საუბრობდნენ... პირველქმნილმა ცოდვამ ადამიანი და ღმერთ



თი ერთმანეთს დაამორა, ადამიანი ეშმაკისა და სიკვდილის ტყვე შეიქმნა, თუმცა მაცხოვრის მიერ კაცობრიობის გამოხსნის შემდეგ, ადამიანს კვლავ მიეცა შესაძლებლობა, დაპბრუნებოდა უფალს. ამის შემდეგ ადამიანზე დამოკიდებული, მოისურვებს თუ არა ამას. ჩვენი ცხოვრება უფალთან შეწყვეტილი საუბრის, ერთობის აღდგენის მცდელობა უნდა იყოს. ამით მივიწვევთ ღვთის სიყვარულისკენ, საბოლოოდ კი ედემისეული ნეტარებისკენ. ამას უდიდესი ღვაწლი, შრომა, მარხვა, ღოცვა, სათნოებებში განმტკიცება სჭირდება. შეიძლება მთელი ცხოვრება ვერ შევძლოთ უფალთან სრულყოფილი ერთობის მიღწევა და იმ სულიერ სიმაღლეზე ასვლა, რომ ყველაზე მეტად უფალი გვიყვარდეს, მაგრამ მცდელობა და სწრაფვა არ უნდა დავაკლოთ. უფალი განუწყვეტელი სწრაფვისა და მცდელობის სანაცვლოდაც გვაცხოვრებს.

როდესაც ლუკას „სახარებაში“ მაცხოვარი იგავის თხრობას დაასრულებს, წარმოთქვამს: ვისაც ყურები აქვს სასმენად, ისმინოსო. უფალმა გვაუწყა, მოგვცა უამრავი სასწაული, მოგვცა სჯული, გაგვიჭრა გზა, რომელზეც უნდა ვიაროთ,

დაგვიწესა ეკლესია და დაგვიდგინა მოძღვრები, რომელთაც უნდა ვერწმუნოთ, აღსარება ჩავაბაროთ, მათი მეთვალყურეობის ქვეშ იყოს ჩვენი სული, ჩვენი სულიერი ცხოვრება; განგვამტკიცა წმინდანთა ცხოვრებით, მათი მაგალითით. რაც მთავარია, გვიხსნა და განგვამტკიცა საკუთარი ჯვარცმით და საკუთარი სისხლი და ხორცი მოგვცა იმისათვის, რომ ვეზიაროთ — ე.ი. რაც გასაკეთებელი იყო ჩვენთვის, გააკეთა. ხოლო მივეყვებით თუ არა ღვთის გზას, ეს თითოეული ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული.

მარკოზის სახარების თანახმად, ამ იგავს წინ უძღვის უფლის შეგონება — „თუ შენი ხელი, ფეხი ან თვალი გაცდუნებს, მოიკვეთე იგი, რამეთუ უმჯობესია ცალი ფეხით, ხელით, თვალით... შეხვიდე სამოთხეში, ვიდრე ორივეთი ჯოჯოხეთში“. ამით უფალი იმას კი არ გვეუბნება, ფიზიკურად დასახიჩრდითო, არამედ მიგვანიშნებს, — თუ ცოდვებისგან გვინდა თავის დაცვა, ამისთვის ნებისმიერი მიზანია გამართლებული — არა საკუთარი თავის გვემა, არამედ გარიდება იმისგან, რაც ყველაზე მეტად გვაცდუნებს. მაგალითად, თუ დალევა აცდუნებს კაცს, უმჯობესია არასოდეს დალიოს; თუ თავდაუჭერლობის ცოდვა სძლევს, სჯობს საერთოდ არ გამოჩნდეს საზოგადოებაში. ჩვენ მოაზროვნე არსებები ვართ და შეგვიძლია, თავი დავიჭიროთ — დავფიქრდეთ, რა არის ის, რითაც ყველაზე მეტად გვაცდუნებს ეშმაკი, დაგვაშორებს ღვთის გზას და მის დასამარცხებლად უნდა ვიბრძოლოთ. უმჯობესია ამის გამო ვიტანჯოთ მთელი ცხოვრება, ვიდრე წარწყმედეთ. როგორც მამები გვასწავლიან, ცოდვებს უნდა ვებრძოლოთ მუდმივი ფიქრით ჯოჯოხეთზე ანუ ადამიანის ცნობიერებაში უნდა შემოვიდეს აზრი ჯოჯოხეთის არსებობისა და რაობის შესახებ.

შემდგომ წარმოთქვამს იგავს და შეგვაგონებს: „იქონიეთ თქვენში მარილი და მშვიდობიანად იყავით ერთმანეთში“ — ე.ი. ისევ და ისევ მოგვინოვებს ღვთისგან, კეთილი საქმეების, სათნოებებისა და ღვთის მცნებების დაცვისკენ, რათა არ მოგვაკლდეს „მარილი“ — მადლი ღვთისა და საუკუნო, სამარადილი მშვიდობა. თუ უფალს დავშორდებით და მადლს დავკარგავთ, გემოგამოცლილი მარილის მსგავსად გამოუსადეგარნი ვიქნებით ღვთის წინაშე, სასუფეველში.



# როგორი მესიერება აქვს სალომე გოგიაშვილს

არანაირი თამაში არ უყვარს და ამას მარტივად ხსნის — არ სიამოვნებს, როცა დაძაბულია. წიგნებს ბავშვობაში უფრო ხშირად კითხულობდა, ახლა კი საამისოდ დროის გამონახვა უჭირს. წაკითხულ ნაწარმოებს ხელმეორედ არასდროს უბრუნდება. კლასიკა იზიდავს. იყო დრო, როცა „ტომ სოიერის თავგადასავალზე“ გიჟდებოდა. ერთი პერიოდი ბაირონის შემოქმედებამაც გაიტაცა. ბევრს აღარ გავაგრძელებ და სალომე გოგიაშვილთან ინტერვიუს წარმოგიდგენთ.

## „როცა შაყვარებული ვარ, ჩემთვის ყველაზე ახლობალი შექსპირია“

თამუნა კვინიკაძე

### პრაკაულის აგვირ

- პოეზია გიყვარს?
- რა თქმა უნდა, მაგრამ ქართულზე კარგად რუსულ პოეზიას ვიცნობ. თინეიჯერობის წლებში წიგნებიდან ლექსებსა და გამონათქვამებს ვინერდი ხოლმე. როცა შეყვარებული ვარ, ჩემთვის ყველაზე ახლობელი შექსპირია.
- კარგი მესიერება გაქვს?
- ცუდი, ძალიან ცუდი მესიერება მაქვს! ყველაზე მეტად სახელებსა და გვარებს ვერ ვიმახსოვრებ. ჰოდა, ერთხელ ამის გამო ექიმთანაც მივედი, მან კი პრეპარატი გამომინერა. სამაგიეროდ, ადვილად მამახსოვრდება ტელეფონის ნომრები. მხედველობითი მესიერება მაქვს.
- დასვენებას სად გეგმაგ?
- დასვენებას რამდენად მოვახერხებ, არ ვიცი. ახლახან ერთ-ერთ პროექტში მიმინვივს და თუ ამ წინადადებას დავთანხმდები, ზაფხულშიც მომიწევს მუშაობა. ვფიქრობ, დასასვენებლად 10 დღით მაინც, ზღვაზე წავალ.
- კითხვარზე გადავიდეთ.
- კარგი, დავიწყოთ.

— რომელმა ქართველმა მწერალმა დალია სული დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, რომელშიც მაშინ წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთი იყო განთავსებული?

- ასეთი კითხვები უნდა დამისვა? ვაიმე!!!
- ვერ მიპასუხებ?
- გთხოვ, კითხვა გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) არა, არ ვიცი.
- ვაჟა-ფშაველამ რომელ ქალაქშია იუნესკოს შტაბბინა?
- საფრანგეთში.
- ასეთი ქალაქ არსებობს?
- არა? ა! ქალაქს მეკითხები? პარიზშია.
- უძველესი ცივილიზაციისა და მაღალი კულტურის გამო, რომელი ხალხი უწოდებს საკუთარ ქვეყანას „სამყაროს ყვაფილს“?
- რომელიმე ძველი ქვეყანა იქნება, ზუსტად არ ვიცი.
- მაინც რომელზე ფიქრობ?
- ჩინეთზე.
- გამოიცანი. რა ჰქვია ინდიელის ფესაცმელს?
- მოკასინი.
- რა ენაზეა ყურანი დაწერილი?
- არ ვიცი.
- არაბულზე რა ჰქვია ბალერონისა და ბალერონის საზეიმო გამოსვლას?
- ანტრე.
- რომელ მთაზე არ არის ნებადართული ქალისთვის ფეხის დადგმა?
- ათონის მთაზე. ცოტა ხნის წინ ამ წმინდა ადგილზე ჩემი მოძღვარი მოსალოცად წავიდა. იქ ხომ არაერთი სასწა-



ული ხდება. მამაო მიყვებოდა: ღრუბელი ჩამოდის, რამდენიმე წუთს ჩერდება და იფანტება, სხეულზე კი ნამი გრჩებაო.

- რა ერქვა დავით აღმაშენებლის ყივჩაღ მეუღლეს?
- არ ვიცი.
- გურანდუჭტი „მამაკაცს უნდა შეეძლოს, ქალს დემონოზილოს, რომ შემდეგ მასზე ბატონობის უფლება მოიპოვოს“, — რომელი ფრანგი კლასიკოსია ამ გამონათქვამის ავტორი?
- მისი ნაწარმოებების დასახელება არ შეგიძლია?
- „კაცი, რომელიც იცინის“, „საბრალონი“ და ა.შ.
- ვიქტორ ჰიუგო ყოფილა.
- ეთანამები?
- რა თქმა უნდა! ურთიერთობაში დათმობა აუცილებელია; ზოგჯერ მოფერებით მეტის მიღწევა შეიძლება.
- ვინ იყო ბედისა და ილბლის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში?
- ფორტუნა.
- შესს ფორტუნაზე რას გვეტყვი?
- მწყალობს. ყოველ შემთხვევაში, ახლა კარგად ვარ. ჩემს ცხოვრებაშიც იყო პერიოდი, როცა „დაღმართზე“ ვეშვებოდი, მაგრამ წუწუნნი არ მიყვარს. რაც გაქვს, იმით უნდა იყო ბედნიერი.
- ის წარმოიშობა წვიმის წვეთებში სონათლის სხივების გარდატეხისა და დაშლის შედეგად რაზეა ლაპარაკი?
- ცისარტყელაზე.
- ქრისტიანული მსოფლმხედველობით, მაცხოვრის მიერ დაწესებულია 7 საიდუმლოება ქსენია: ნათლისცემა, მირონცეხვა, სინანული, ზიარება, მღვდლობა, ზეთის კურთხევა და—
- (ფიქრობს) ჯვრისწერა.
- ანუ ქორწინება. რა ჰქვია თანამდებობათა, ნოდებათა თანამდევრობას უდაბლესიდან უმაღლესისკენ?



— არ ვიცი.

— იერარქია რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი: „ამან განაწყო ენა ქართული და შექმნა მნიგნობრობა ქართული“?

— ფარნავაზზე.

— რა ეწოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებითაა აღჭურვილი?

— ვერ გიპასუხებ.

— დიქტატორი. რა არის გულანშარო „ვეფხისტყაოსანში“ — ქაჯეთის, ზღვათა სამეფოს თუ ხატაელთა დედაქალაქი?

— ხატაელთა, არა?

— ცდებო, გულანშარო ზღვათა სამეფოს დედაქალაქია. რომელი ზღვების აუზებს განეკუთვნება საქართველოს მდინარეები?

— შავი ზღვის.

— მხოლოდ შავი ზღვის?

— კასპიის ზღვაც უნდა მეთქვა.

— ვინ ასრულებს მთავარ როლს „მაია წყნეთელში“?

— ლეილა აბაშიძე.

— რამდენი ფეხი აქვს რვაფეხას?

— (იციინის) რას მეკითხები, რამდენი უნდა ჰქონდეს?

— ეს თავად უნდა მითხრა.

— მგონია, რომ მ ფეხი აქვს. გინდა, შეცდომაში შემიყვანო?

— რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს აქვს, მათ შორის — რვაფეხასაც?

— რატომ მაბნევე?

— არ გაბნევი, მხოლოდ კითხვას გისვამ.

— (ფიქრობს) არ ვიცი.

— სახელი. იტალიის რომელ ქალაქში მდებარეობს შუა საუკუნეებში აგებული გვერდზე გადახრილი კოშკი?

— პიზაში.

— „რა დამაინყებს შენს ლამაზ თვალებს/ რამ დამაინყოს ეს ალუბლები/ (იყოფი, როცა სხვას შევიყვარებ/ ამ სიყვარულზე ვესაუბრები“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ლადო ასათიანი.

— რომელია უფრო მეტი: 20-ის 25% თუ 25-ის 20%?

— 20-ის 25%.

— დარწმუნებული ხარ?

— არა (ფიქრობს). მგონი, თანაბარი უნდა იყოს.

— ნამდვილად ასეა? არისტოტელემ მას სურვილების შესრულების გარანტი უწოდა, ლორდ ბაირონმა — ალადინის ლამაზი, ჰენრი ფორდმა კიდურებს შეადარა, ბერნარდ შოუ კი მიიჩნევდა, რომ ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ამ ქვეყანაზე. რაზეა ლაპარაკი?

— გულზე.

— ლაპარაკია ფულზე. საიდან მოდის გამონათქვამი

— ცოლმა ქმარს რქები დაადგაო?

— ასე მოლაღატე ცოლებზე ამბობენ.

— მართალია. ეს გამონათქვამი ძველი საბერძნეთის ისტორიიდან მოდის.

— მაგდენი არ ვიცოდი...

— იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი ქალების მოყვარული ყოფილა. რომელიმე ქალი თუ მოეწონებოდა, მის ქმარს იმპერატორის მამულში ნადირობის ნებას რთავდა, რაც დიდ პატივად მიიჩნეოდა. ვისაც ეს საპატიო ნება მიეცემოდა, მის ჭიშკარზე ირმის რქებს მიაკრავდნენ, მეფე კი სანადიროდ წასულის ცოლს სტუმრობდა.

— საინტერესო ამბავი ყოფილა.

— რომელ მცენარეს უწოდა ევატერინე I-ემ „მაღალი საზოგადოების ასკილი“?

— არ ვიცი.

— ვარდა „მანავი“, „კახეთი“, „ზამთარი“, „ძველი სამრეკლო“ — რომელი ცნობილი მხატვრის ფუნჯს ეკუთვნის ეს ტილოები?

— ელენე ახვლედიანის.

— რომელმა ცნობილმა მხატვარმა გამოასახა ჯოკონდა ულვაში?

— არ ვიცი.

— სალვადორ დალი.

— ვაიმე! ეგ ვიცოდი და ვეღარ გავიხსენე.

— რა ერქვა მდინარეს კანადაში, სადაც პირველად იპოვეს ოქრო?

— ეს მართლა არ ვიცი.

— კლონდაიკი. ეს პოეტი 5 წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა. მამა ხიდან ჩამოვარდა და დაკოჭლდა. ახალგაზრდა პოეტი ბედის საძიებლად დედაქალაქში ჩამოვიდა. 1924 წელს, მწერალთა კავშირის განკარგულებით, რამდენიმე ხნით სასტუმრო „გლესთა სახლში“ ცხოვრობდა. ეს ფაქტი მის დღიურებშიც არის დადასტურებული. დასასხელე ეს პოეტი.

— იქნებ მისი პოეზიიდან ერთი სტროფი მითხრა, თორემ ვერ ვხვდები, ვისზეა ლაპარაკი.

— „გაზაფხულის საღამოა მშვიდი/ ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტო/ სული საზღვარს გადასცდებო ფრენით/ ახლაც მასსოვს მისამართი შენი“.

— ტერენტი გრანელი.

— მისი გვარი თუ იცი?

— არა.

— კვირკველია. ვინ გახდა 2011 წლის „საბას“ მფლობელი ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის?

— არ ვიცი.

— ვასტანგ ჯავახიძე. ვისი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს მისი „უცნობი“?

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— გალაკტიონის. ფიქრობენ, რომ ეს კულტურა 1493 წელს, ამერიკიდან ესპანეთში ქრისტეფორე კოლუმბმა ჩაიტანა; ესპანეთიდან საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში მოხვდა, მერე — იტალიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, თურქეთში, შემდეგ კი — დასავლეთ საქართველოში.

— ეს დაახლოებით როდის მოხდა?

— XVII საუკუნეში. ამ მცენარეს საკვებად ვიყენებო.

— სიმინდი, არა?

— რა თქმა უნდა! დასასხელე ზღვა, რომელიც ზღვის დონიდან 400 მეტრით დაბლა მდებარეობს.

— მკვდარი ზღვა.

— იტალიაში ზოგიერთი ქუჩის კუთხეში დგას ლეთისმშობლის სკულპტურა. მასზე აბრეზია მიკროული. რა წერია ამ აბრეზზე?

— ქუჩების დასახელებები.

— ვინ წარუძღვა ძღვევამოსილი საქართველოს ლაშქარს ფესშიშველი, ბასიანის ბრძოლის წინ?

— თამარ მეფე.

— დაბოლოს, დაასრულე მარკ ტვენის ცნობილი გამონათქვამი: „ჯოპს, ჩუმად იყო და ვინმეს სულელი ეგონო, ვიდრე რამე თქვა და...“

— დაამტკიცო.

— „ყოველგვარი ეჭვი გაფანტო“.



# მოდა საქმიანი ქალბუნებისთვის

მამაკაცების უმრავლესობას მი-  
აჩნია, რომ საქმიანი ქალის სა-  
მოსი სექსუალური და გამომ-  
წვევი არ უნდა იყოს, მაგრამ  
არის კი ეს ასე?!

■ უმრავლეს შემთხვევაში, საქმი-  
ანი ქალის წარმატების სანინდარი  
ხომ სწორედ მისი მიმზიდველი ჩაც-  
მულობაა.

■ საქმიან სფეროში, უპირატე-  
სობას მაღალი ინტელექტისა და მყარი  
პოზიციის მქონე ქალბატონებს ანი-  
ჭებენ.

■ ყურადღებას აქცევენ ხმას, გამო-  
ხედვას, საუბარს, გადანწყვეტილების  
მიღების სისხარტესა და დახვეწილ  
მანერებს. ყველა ეს კრიტერიუმი ნებ-  
ისმიერი ჩვენგანის წარმატების საწ-  
ინდარია.

■ ზოგ დაწესებულებაში ოფი-



ციალური ჩაცმულობა აუცილებელია.  
თქვენს სერიოზულ იმიჯს ხაზს საქმი-  
ანი პიჯაკი, პერანგი და დახვეწილი  
ქვედაბოლოც გაუსვამს.

■ შეარჩიეთ ოფიციალური, მა-  
გრამ კომფორტული პიჯაკი.

■ პერანგის მასალა სასურველია,  
იყოს ნატურალური და მსუბუქი, შანე-  
ლის სტილში — შავ-თეთრი ტონალო-  
ბისა და გამოყვანილი სილუეტის.

■ აქსესუარად შეგიძლიათ შესა-  
ბამისი ქამარი, ეფექტური ყელსაბამი  
ან ფერადი შარფიც გამოიყენოთ.

■ საქმიანი შეხვედრებისას მო-  
ერიდეთ მკვეთრ ფერებსა და ასიმ-  
ეტრიულად შერჩეულ სამოსს.

■ თუ პიჯაკის უკვეთით ჩანაცვ-  
ლებას გადანწყვეტთ, შეუხამეთ ბუნე-  
ბრივი მასალისგან დამზადებული შე-  
საბამისი ფერის პერანგი ან მაისური.

■ რაც შეეხება ფეხსაცმელს,  
დამეთანხმებით, სასურველი დიზაინ-  
ისა და მაღალი ხარისხის ფეხსაცმ-  
ლის ყიდვა არც ისე იოლია. თუმცა,  
თუ მაინც გაგიმართლათ, გახსოვ-  
დეთ, რომ საქმიანი ქალბატონის  
იმიჯი დღემდე მაღალ ქუსლებთან  
და თავდაჯერებულ სიარულის მან-  
ერასთან ასოცირდება.

■ ცუდ ტონად ითვლება შიშვე-  
ლი ფეხების გამოჩენა, ხმამაღალი,  
ემოციური საუბარი, უხეში მანერე-  
ბი... დაბალი ხარისხის, პლასტმასის,  
მყვირალა ფერის ბიჟუტერიის ტარე-  
ბა.

■ მნიშვნელოვანია სათვალის, ჩან-  
თისა და საათის დიზაინიც.

■ ნებისმიერი აქსესუარის შერ-  
ჩევისას, შეეცადეთ გაითვალისწინოთ,  
რომ ქალის გარეგნობის შემადგენე-  
ლი თითოეული დეტალი ბევრს ამ-  
ბობს მისი პიროვნების, მისწრაფებე-  
ბისა და შესაძლებლობების შესახებ.

■ მოკლედ, შეიძლება ვთქვათ,  
რომ საქმიანი ქალის წარმატებისთვის  
მთავარია: სტაბილური, მტკიცე ხას-  
იათი, ეფექტური, კლასიკური სამოსი,  
მიზანდასახულობა და თავდაჯერებ-  
ულობა.

■ ნუ გამოგრჩებათ ვარცხნილო-  
ბა. ლამაზი და მოვლილი თმა საქმის  
მხოლოდ ნახევარია, სალონის სტუმ-  
რობა ნებისმიერ ქალს, შეძლების-  
დაგვარად, თვეში ერთხელ მაინც  
სჭირდება.

ასე რომ, იყავით ლამაზები, ელე-  
განტურები და წარმატებულები!

## ჯილბუგის გასათეთრებლად ხარგია...

ადამიანის შეგრძნება და განწყობილება ბევრადაა დამოკიდებული  
მისი კბილების მდგომარეობაზე. მოხუციც კი, თუ მას მაგარი,  
ჯანსაღი და თეთრი კბილები აქვს, თავს მხნედ და ახალგაზრდულად  
გრძნობს. დღეს უამრავი კბილის პასტა არსებობს, მაგრამ საინტერე-  
სოა, როგორ ისუფთავებდნენ მათ გარეშე კბილებს ჩვენი წინაპრები?

• კბილების განწმენდის გავრცელებული საშუალება ძველ რუსეთში  
არყის ხის ნახშირის ფხვნილი იყო. ამ ფხვნილით კბილების გახეხვის  
შემდეგ, პირში წყალს საგულდაგულოდ ივლებდნენ;

• სასარგებლოდ მიიჩნეოდა წინვოვანი მცენარეების — ფიჭვის, ნაძვისა  
და ა.შ. სალექი ფისი. ფისს შემოდგომაზე იმარაგებდნენ და ნაჭრის ან ხის  
ქერქის კოლოფებით ინახავდნენ;

• კბილების გასაწმენდად წინვოვანი ხის ტოტიც გამოდგება. ტოტს კანს  
აცლიან, შემდეგ ერთი მხრიდან რაიმე მძიმე საგნით კარგად ჩეჩქვავენ და  
ფუნჯს ამსგავსებენ (მისი დალექვაც შეიძლება). ასეთმა „ფუნჯმა“ თავისუ-  
ფლად შეიძლება შეცვალოს ჯაგრისიც და პასტაც.



• კბილების გასათეთრებლად  
კიდევ სხვა მრავალი ხერხი არ-  
სებობდა. ბევრ ეთნოგრაფს აო-  
ცებდა აფრიკელი ტომის — ბერგ-  
დამების — კბილების თვალის-  
მომჭრელი სიქათქათე. როგორც  
აღმოჩნდა, ისინი გამუდმებით ღე-  
ჭავდნენ ტყავის პატარა ნაჭერს.

• კბილებს ჩაიც ძალიან უხდე-  
ბა. ბოლოდროინდელმა გამოკვ-  
ლევებმა აჩვენა, რომ ეს სასმე-  
ლი კბილის მინანქარს სხვადასხვა  
დაზიანებისგან იცავს. მსგავსი  
ქმედების უნარი აქვს ყურძნისა  
და ალუბლის წვენს, რძეს, ყავასა  
და სხვადასხვა სახის ყველს.





# ერთპირიანი დიეტა სხეულისა და კანის სილამაზისათვის

**დიეტის დაწყებამდე რამდენიმე რჩევა გაითვალისწინეთ:**

დიეტის დაცვისას ორგანიზმი დაგროვილი ტოქსინებისგან თავისუფლდება და მათ მესამედს ოფლის სახით გამოყოფს. ამიტომაც დღეში ორჯერ მიიღეთ შხაპი. რაც შეეხება 24-საათიანი მოქმედების დეზოდორატორებს, ისინი საოფლე ჯირკვლების ფუნქციონირებას ახშობს და უმჯობესია, თუ მათი გამოყენებისგან თავს შეიკავებთ.

ქვემოთ მოყვანილი მარტივი პროცედურები კი სტიმულს მისცემს სისხლის მიმოქცევას და დიეტას უფრო ეფექტიანს გახდის:

შხაპის მიღებისას სხეული უხეში ჯაგრისით დაიზილეთ.

კვირაში ორჯერ ზღვის მარილის აბაზანა მიიღეთ. პროცედურის ხანგრძლივობა 15 წუთია.

დილით საწოლიდან უცბად არ წამოდგეთ, ჯერ კარგად გაიზმორეთ, მიიხედ-მოიხედეთ და სასიამოვნო ამბავი გაიხსენეთ.

**ახლა დიეტის შესახებ:**

**პირველი დღე**

**საუზმე:** ხილი და ნიგოზი (ან თხილი);

**სადილი:** მოშუშული ბოსტნეული და ხაჭო;

**ვახშამი:** ხილის სალათა, იოგურტი და ორცხობილა;

**შუალედებში** — ვაშლი.

**ყურადღება!** დიეტის დაცვისას, ყოველდღიურად, მინიმუმ 2 ლ წყალი, ბალახის ან ხილის ჩაი დალიეთ.

**მეორე-მეოთხე დღე**

**საუზმე:** ბალახის ან ხილის ჩაი, ერთი ჩ/ჭ მწნილის წვენი;

**სადილი:** ბოსტნეულის ბულიონი (აიღეთ 100 გ ნიახურისა და ოხრახუშის ძირები, 50 გ კარტოფილი, 30 გ პრასი და ერთი სტაფილო. ყველაფერი მსხვილად დაჭერით, დაუმატეთ შავი პილპილი, დაფნის ფოთოლი და 1 ლ წყალში 30 წუთი ხარშეთ);

**ვახშამი:** ერთმანეთში გაზავებული ნახევარი ჭიქა ბოსტნეულის წვენი და ნახევარი ჭიქა წყალი.

**მესამე დღე**

**საუზმე:** 4-5 ცალი შავი ქლიავის ჩირი, ბალახის ან ხილის ჩაი;

**სადილი:** ბოსტნეულის ბულიონი კარტოფილით;

თუკი უკმაყოფილო ხართ თქვენი წონით, პრეტენზია გაქვთ კანისა და თმის მდგომარეობის მიმართ, პრობლემების გადაჭრა ორგანიზმის შინაგანი ფუნქციების მონესრიგებით უნდა დაიწყოთ. ამისთვის კი შეგიძლიათ ერთკვირიანი განმტვირთავი დიეტა დაიცვათ. დიეტის ავტორები ირწმუნებიან, რომ უკვე მესამე დღეს კანი სასიამოვნო ვარდისფერს მიიღებს, თვალებს ბრწყინვალეობა დაუბრუნდება და რაც მთავარია, მთელ სხეულში უჩვეულო სიმსუბუქეს იგრძნობთ.



**შუალედებში:** ვაშლი.

**ვახშამი:** პომიდვრის წვნიანი ორცხობილასთან ერთად; ბალახეული ნაყენი.

**მეექვსე-მეშვიდე დღე**

**საუზმე:** 4-5 ცალი ლელვი ან შავი ქლიავის ჩირი; ბალახის ან ხილის ჩაი;

**სადილი:** მოშუშული ბოსტნეული (უმარილოდ) და კარტოფილის პიურე (რძის გარეშე), ცოტადენი კარაქით და დაჭრილი ოხრახუშით;

**შუალედებში:** ნიგოზი, თხილი ან ნუში;


**ვახშამი:** ორცხობილა, ხაჭო, ასკილის ნაყენი.

ამ დიეტის შემდეგ, საკუთარ თავს სასიკეთო ცვლილებებს თვალნათლივ შეატყობთ. თუმცა კვებისას ზომიერების გამოჩენა არც დიეტის დამთავრების შემდეგ განყენდათ.

## ფლავი კარტოფილითა და კვერცხით

**მასალად საჭიროა:**

- 500 გ ბრინჯი;
- 4 ცალი კარტოფილი;
- 3 სუფრის კოვზე ცხიმი;
- 4 ცალი კვერცხი.



**მომზადების წესი:**

ბრინჯი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, გადაიტანთ თუშფალანგზე და გადაავლეთ წყალი. შეაზავეთ მარილითა და ცხიმით.

ქვების ძირზე დააწყვეთ გათლილი და რგოლებად დაჭრილი კარტოფილი, დააყარეთ მომზადებული ბრინჯი, დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. თავსახური ხშირად მოხადეთ, მასზე წარმოქმნილი წვეთების გადასაწურად. როდესაც ზედმეტი სითხე აღარ წარმოიქმნება, თანაბარ ფენად დაასხით ათქვეფილი კვერცხი და ისევ დაახურეთ თავსახური. 3-5 წუთის შემდეგ კერძი მზად იქნება.

რუბრიკა მოამზადა *ქკა გუნთაიშვილმა*



ანტიდოქსანტი

# გზაში საკითხავი კოლაქი

ქედვერელი თქმის ივანიძე

1. გომლისმალალი მთა არის ხევსურეთის ქედზე.
2. „ხაროში ლევაკ უკრებლიაეტ ბრაკ“, — ამბობენ რუსები.
3. თამბაქოს ლეგალიზაცია ევროპაში პირველად დიდ ბრიტანეთში მოხდა.
4. აპოლონი და არტემიდე, ჰიპნოსი და თანატოსი, რომელუსი და რემი ტყულები იყვნენ.
5. ქალაქი მესხიკო აცტეკთა იმპერიის დედაქალაქის, ტენოტიტლანის ადგილზეა აშენებული.
6. შეერთებულ შტატებში სექსუალური მანიაკები, ტრადიციულად, თეთრკანიანი მამაკაცები არიან.
7. პოლიეთილენის პაკეტების გამო დედამინაზე წელიწადში 5 მილიარდზე მეტი ცხოველი იღუპება.
8. „არის ავადმყოფობა და არის ექიმი. რომლის მხარესაც დაიჭერს ავადმყოფი, ის გაიმარჯვებს“, — უყვართ თქმა ექიმებს.
9. „ერთი მითხარი, რა მორევი ხარ, თუკი მდინარეს ვერ მორევიხარ?!“ — ამბობს კოტე ყუბანეიშვილი.



10. აკვალანგი უაკ ივ კუსტოს გამოგონილია. ყვინთვის დროს ნიღბის შუშა რომ არ დაორთქლილიყო, ფრანგი მკვლევარი მას შიგნითა მხრიდან, ნერწყვით ასველებდა.

11. „გადავილო ფილმი, რომელსაც თავდაცვ სიაოვნებით ვნახავდი, ასეთი გახლავთ ჩემი შემოქმედების პრინციპი“, — ამბობს რეჟისორი გიორგი დანელია.
12. „ამბობენ, ციდან ვარსკვლავის ჩამოვარდნას სიხარული მოაქვსო... განსაკუთრებით კი პორნოვარსკვლავის ჩამოვარდნას!“ — ამბობს მიხაილ ჟვანცკი.
13. „მე ბევრ რამეზე ვწერდი, მათ შორის — სპორტზეც. ტყუილად ჰგონიათ, რომ სპორტზე წერა ცუდი უფერნალისტიკაა. ჰემინგუეი წერდა სპორტზე და არაჩვეულებრივ რეპორტაჟებს აკეთებდა. სპორტული უფერნალისტიკა პატივსაცემზე პატივსაცემი სფეროა“, — ამბობდა თამაზ კვაჭანტირაძე ერთ-ერთ ინტერვიუში.
14. თავის დროზე რომის პაპმა იოანე პავლე II-მ ქალაქ რომის საფეხბურთო კლუბ „ლაციოსგან“ საპატიო საჩუქრის სახის, სპორტული

# ინფექციები და ორსულობა

დღეს ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ქალის დაინფიცირებას ორსულობის დროს. მომავალ ბავშვზე დედის ავადმყოფობის ზეგავლენა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად: ორსულობის ვადაზე, დედის იმუნიტეტსა და დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების თვისებებზე.



მუცლად ყოფნის პერიოდში ბავშვის დაღუპვასა და ნაყოფის სიმახინჯეებს ყველაზე ხშირად ორსულობის ადრეულ ვადაზე (ჩასახვის მე-5-6 დღიდან 12 კვირამდე) დედის ინფიცირება იწვევს, ხოლო ორსულობის უფრო გვიანდელ პერიოდში (12 კვირის შემდეგ) ბავშვის ორგანოები ძირითადად, უკვე ჩამოყალიბებულია, ამიტომ ინფექციურ აგენტს რაიმე სიმახინჯის გამომწვევა არ შეუძლია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ნაყოფის ორგანოების, პლაცენტისა და სანაყოფე გარსების მიკრობული დაზიანება და ანთებითი გადაგვარება. ამ დროს მოსალოდნელია ნაადრევი მშობიარობა და ამ მშობიარობის შედეგად სუსტი, უძლეური ახალშობილის დაბადება.

დედიდან ბავშვს ინფექცია შეიძლება გადაედოს ორი გზით — ჰემატოგენურითა (სისხლის) და ალმავალით (შარდ-სასქესო ორგანოების ინფექციები).

ჰემატოგენური გზით გავრცელებისას, გამომწვევი დედის სისხლთან ერთად ხვდება პლაცენტაში, იქიდან (ჭიპლარის გავლით) კი ნაყოფის ორგანიზმში. აღმავალი გზით გავრცელებისას, გამომწვევი დედის სასქესო გზებიდან საშვილოსნოს ღრუში ადის, აზიანებს სანაყოფე გარსებს, შემდეგ იწყებს გამრავლებას სანაყოფე სითხეში და მისი საშუალებით შეიჭრება ნაყოფის სასუნთქ გზებში ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტში.

## როგორი ინფექციების უნდა უზიაროლოდ ორსულას

ყველაზე გავრცელებული ვირუსული და ბაქტერიული ინფექციებიდან შეიძლება გამოიყოს ორსულობისთვის განსაკუთრებით საშიში რამდენიმე ინფექცია:

### ნითურა

ნითურა ვირუსული ინფექციაა. ადამიანი, რომელმაც ეს დაავადება ბავშვობაში გადაიტანა, მომავალში აღარ დაავადდება. იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ, აქვს თუ არა ქალს ნითურას საწინააღმდეგო იმუნიტეტი, აუცილებელია სისხლის ანალიზის ჩაბარება ნითურას საწინააღმდეგო ანტისხეულებზე. თუ სისხლში ანტისხეულები არის, მაშინ ბავშვი და დედა ამ დაავადებისგან დაცულები არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩასახვამდე რამდენიმე თვით ადრე საჭიროა ნითურის საწინააღმდეგო აცრის გაკეთება. ნითურას ვირუსის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დედიდან ნაყოფს გადაეცემა და მას აზიანებს.

თანდაყოლილმა ნითურამ შეიძლება, ბავშვის ნებისმიერი ორგანო დაზიანოს, მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი ტრიადა — კატარაქტა, სიყრუე და გულის თანდაყოლილი მანკი.

### ციტომეგალოვირუსი

მას მიაკუთვნებენ სასქესო ინფექციების რიცხვს, თუმცა დაინფიცირება შესაძლებელია არა მარტო სქესობრივი, არამედ საყოფაცხოვრებო და ჰაერნვეთოვანი გზითაც. ეს დაავადება საშიშია, თუ დაინფიცირება ხდება ორსულობის დროს. ამ შემთხვევაში ხშირად ვითარდება თავის ტვინისა და ღვიძლის დაზიანება, რის შედეგადაც პატარა შეიძლება დაიღუპოს კიდევ. ციტომეგალოვირუსის ქრონიკული ფორმა საშიში არ არის.

### ჰერპესვირუსი

ჰერპესვირუსით დაინფიცირებამ



(განსაკუთრებით, II ტიპის ვირუსით) შეიძლება გამოიწვიოს ახალშობილის ჰერპესი. განსაკუთრებით საშიშია გენიტალური (სასქესო ორგანოების) ჰერპესის გამწვავება ორსულობის 32 კვირის შემდეგ. თუ მკურნალმა ექიმმა ასეთი გამწვავება ამ ვადის შემდეგ აღმოაჩინა, მაშინ აუცილებელია ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობის ჩატარება. იმ შემთხვევაში, თუ მშობიარობა გამონაყარის გაქრობამდე დაინყო, რეკომენდებულია საკეისრო კვეთა.

ციტომეგალოვირუსისა და მარტივი ჰერპესის ვირუსის სადიაგნოსტიკოდ სისხლში სპეციფიკური ანტისხეულების — IgM და IgG-ის განსაზღვრის მეთოდი გამოიყენება. აღნიშნული ინფექცია შეიძლება იყოს აქტიური და ლატენტური. აქტიური ინფექციის მარკერებია IgM (+), IgG (+) ან (-), ლატენტური ინფექციისა კი IgM (-), IgG (+). აქტიური და ლატენტური ინფექციის მკურნალობა განსხვავებულია. მკურნალობას საჭიროებს მხოლოდ აქტიური ფორმა. დიაგნოზი ისმება ანტისხეულების გამოკვლევისა და სისხლში მათი რაოდენობის განსაზღვრის მიხედვით.

**შიდსი**

შიდსის (ადაამიანის შექნილი იმუნოდეფიციტის სინდრომის) დროს ინფექციის დედიდან ნაყოფზე გადაცემის რისკი მაღალია და შეადგენს 25-30%-ს, ამიტომ შიდსით დაინფიცირებული ორსული მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მას შეიძლება ავადმყოფი ბავშვი შეეძინოს. მიიჩნევა, რომ შიდსის გადაცემა უფრო ხშირად ხდება იმ შემთხვევაში, თუ ქალი დაავადდა ორსულობის დროს ან ორსულობა და მშობიარობა მიმდინარეობს დაავადების ბოლო სტადიაზე.

**B ჰეპატიტი**

დადგენილია, რომ ვირუსული ჰეპატიტი არ ახდენს გავლენას ორსულობის მიმდინარეობაზე, არ ზრდის თვითნებური აბორტისა თუ მკვდრადშობადობის რისკს და არც თანდაყოლილი სიმახინჯეების ალბათობა იზრდება, თუკი არ აღინიშნება ღვიძლის ციროზი, დაავადების აქტიური ფორმა ან ქოლესტაზი. ღვიძლის დაავადების მიმე ფორმების დროს კი მოსალოდნელია პრეეკლამსია (ორსულობის მეორე ნახევარში განვითარებული ტოქსიკოზი) და ნაადრევი მშობიარობა, რაც, თავის მხრივ, ნაყოფის დაღუპვის რისკს ზრდის. მთავარი პრობლემა ვირუსული ჰეპატიტის აქტიური (მწვავე) ფორმაა, რომლის დროსაც იმატებს ბავშვის დასნებოვნების ალბათობა მუცლად ყოფნის, მშობიარობისა და ძუძუთი კვების დროს.

ტიტის აქტიური (მწვავე) ფორმაა, რომლის დროსაც იმატებს ბავშვის დასნებოვნების ალბათობა მუცლად ყოფნის, მშობიარობისა და ძუძუთი კვების დროს.

ქრონიკული ჰეპატიტი ნაყოფს არ უქმნის საფრთხეს და შესაძლებელია ფიზიოლოგიური მშობიარობა. ბავშვის ინფიცირების თავიდან ასაცილებლად კი მას დაბადებისთანავე, ვაქცინაცია უტარდება. თუ მწვავე ჰეპატიტმა ორსულობისას იჩინა თავი, მაშინ აუცილებელია, ორსული ინფექციურ სტაციონარში მოათავსონ. ორსულობის მეორე ნახევარში მწვავე ვირუსული ჰეპატიტი შესაძლოა გართულდეს ღვიძლის მწვავე უკმარისობით, ენცეფალოპათიითა და კომით, ხოლო მესამე ტრიმესტრში სიყვითლისა და ინტოქსიკაციის მატებასთან ერთად, არცთუ იშვიათია ნაადრევი მშობიარობა და ნაყოფის დაღუპვა. გარდა ამისა, მოსალოდნელია ღვიძლის მასიური ნეკროზი და თვით დედის სიკვდილიც კი. ორსულობის შეწყვეტა, განურჩევლად იმისა, როგორ მოხდება ეს — აბორტით, თვითნებითი გამოქვებით, ნაადრევი თუ დროული მშობიარობით, — მწვავე ჰეპატიტის მიმდინარეობას ამძიმებს.

**C ჰეპატიტი**

არ არსებობს მონაცემები, რომლებიც ამტკიცებს, რომ C ვირუსული ჰეპატიტის დროს იმატებს სამეანო გართულებების, მათ შორის — აბორტის, მკვდრადშობადობის, ნაადრევი მშობიარობის ან თანდაყოლილი მანკის ალბათობა, მაგრამ შეძლებს თუ არა ქალი ორსულობის ბოლომდე მიყვანას, ეს ინფექციის ფორმაზე დამოკიდებულია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდი მნიშვნელობა აქვს დედის ვირუსულ დატვირთვას. სახელდობრ:

\*თუ დედას აქვს მხოლოდ C ვირუსის ანტისხეულები, ორსულობა უკუნაჩვენები არ არის. ამ დროს ბავშვის დასნებოვნების რისკი დაახლოებით 1,7%-ია;

\*C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის დროს შესაძლოა შეფერხდეს ნაყოფის ზრდა ან დაიბადოს დღენაკლული ახალშობილი;

\*თუ დედის სისხლში ცირკულირებს თავად ვირუსი, ბავშვის ინფიცირების რისკი 5,6-6%-ს უტოლდება.

C ჰეპატიტის დროს ნაჩვენებია საკეისრო კვეთა.

**ბრიათი**

ორსულობის ადრეულ ვადებზე გრიპის ვირუსმა შეიძლება, თვით-

**ანტილაპარასანი**

**გზაში საკითხავი კოლაჟი**

**ქეძღერელი თუკი იყინიძე**

მაისური მიიღო, რომლის ზურგზეც ნომერი „10“ და მისი გვარი, ვოიტილა იყო ამოქარგული.

15. ნაბლი კვების მნიშვნელოვანი პროდუქტია იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში და განსაკუთრებით, კორსიკაზე. მარსელელები ხუმრობენ: „ბანანი ტროპიკების ბინადართ აზარმაცებს, ნაბლი — კორსიკელებს“.



16. ერთი გადმოცემის თანახმად, მსოფლიოში პირველ ჰალსტუხებს ხორვატები ატარებდნენ. ერთ-ერთ ყურნალში გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით — „ნამება ხორვატულად“. მას თან ახლდა რვა ილუსტრაცია, რომლებზეც ჰალსტუხის შეკვრის სხვადასხვა წესი იყო გამოსახული.

17. ტუბერკულოზი კაცობრიობის მოუშორებელი სენია. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ეგვიპტური მუმია და დაადგინეს, რომ იგი სწორედ ამ დავადებით გარდაიცვალა. მუმის ასაკი 2000 წელს აღემატებოდა და ამ ხნის განმავლობაში, მის ორგანიზმში არსებულ ტუბერკულოზის ჩხირებს სიცოცხლისუნარიანობა შენარჩუნებული ჰქონდა.

18. ერთხელ რომელიმე ნარჩინებულები იმპერატორ ვესპასიანეს ეახლნენ და აუწყეს, — გადავწყვიტეთ გრანდიოზული ქანაქება დაგიდგათ, საზოგადოებრივი ხარჯითო. ვესპასიანემ ხელისგული გაუშვირა: აი, აქ დადგით ეგ თქვენი ძვირად ღირებული ძეგლიო.

19. ფილიპე მაკედონელი სასამართლოზე ვინმე მახეტის საქმეს განიხილავდა. პროცესის დროს მეფეს ჩაეძინა, განსასჯელის გამამართლებელ მტკიცებულებათა მოსმენა ვერ შეძლო და გამოლოვიძებულმა გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. მაშინ მახეტმა ყვირილი ატეხა, იგი მოსამართლეს უხმობდა საშველად. — „ვის უხმობ?“ — გაუკვირდა მეფეს. — „ვის და შენ, რათა გამოფხიზლდე და ყურადღებით განსაჯო!“. ფილიპე მიხვდა, რომ უსამართლო განაჩენი გამოიტანა, დაიბნა, მაგრამ ინტიბარი არ გაიტეხა: — „მახეტს მაინც ეკისრება ჯარიმა 5 ტალანტი, რომელსაც მე, მაკედონის მეფე გადავიხდი!“



ნებური აბორტი გამოიწვიოს, ხოლო გვიანდელ ვადებზე — ნაადრევი მშობიარობა. გარდა ამისა, გრიპით დასუსტებულ ორგანიზმში იოლად იკიდებს ფეხს ბაქტერიები — პნევმოკოკი, სტრეპტოკოკი, ჰემოფილური სტაფილოკოკი... არცთუ იშვიათად, გართულება ქრონიკულ ფორმაში გადაიზრდება — ვითარდება ბრონქული ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი; გარდა ამისა, ავადდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და ყალიბდება თირკმელთა პათოლოგია.

სამწუხაროდ, წინასწარ ვერც ერთი ექიმი ვერ გეტყვით, დაავადება ბავშვის განვითარებაზე გავლენას მოახდენს თუ არა. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გრიპი განსაკუთრებით საშიშია ორსულობის მეტორმეტე კვირამდე — ამ პერიოდში ყალიბდება ბავშვის ორგანოები და ქსოვილები. თუ გრიპი განსაკუთრებით მძიმედ და გართულებების თანხ-

ორიული უნდა იყოს. აუცილებელია რძე და რძის ნაწარმი, ბოსტნეული, დიდი რაოდენობით სითხე — ის ორგანიზმს ვირუსის გამორეცხვაში ეხმარება. განსაკუთრებით სასურველია მომწიკვო და C ვიტამინის შემცველი თბილი სითხე — ხილის წვენი, მოცვის ან ცაცხვის ნაყენი, ლიმონიანი და თაფლიანი ჩაი, სოდიანი ან ბორჯომიანი რძე, ასკილის ნაყენი, ტუტე მინერალური წყალი. თუ ნეფროპათია და შეშუპება არ აღგენიშნებათ, იმდენი სითხე მიიღეთ, რამდენიც გსურთ.

\*ცალკე უნდა მიიღოთ ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი) და B ჯგუფის ვიტამინები.

\*სიცხის დამწვევი საშუალებებიდან, პირველ ყოვლისა, დასაშვებია პარაცეტამოლი. აცეტილსალიცილის მჟავას (ასპირინის) მიღებამ შეიძლება, გვერდითი მოვლენები გამოიწვიოს.

\*რაც შეეხება ანტიბიოტიკებს, მათ

ან გართულებული ფორმით მიმდინარეობს. სხვა შემთხვევაში, ავადმყოფები შინ მკურნალობენ.

**ტოქსოპლაზმოზი**

ტოქსოპლაზმოზი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც ინვეცს ტოქსოპლაზმა გონდი. იგი უჯრედშიგა პარაზიტია, რომელიც უმეტესად, კატებში ცხოვრობს, მაგრამ შუალედური მასპინძლის როლი შეიძლება შეასრულოს სხვა ცხოველმა, ფრინველმა და ადამიანმაც კი. იმისათვის, რომ ორსულებს ტოქსოპლაზმოზი არ დაემართოთ:

\*უნდა მოერიდონ კატებთან კონტაქტს;

\*არ მიირთვან ქუჭყიანი ხილი და ბოსტნეული;

\*არ გასინჯონ თერმულად დაუმუშავებელი ხორცის ფარში;

\*კარგად დაიბანონ ხელები მიწასთან კონტაქტის შემდეგ;

\*თუ სახლში ჰყავთ კატები, მათ მიერ დაბინძურებული ადგილების განმენდა აუცილებელია ხელთათმანით.

ორსულობის ადრეულ ვადებზე ინფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის დაღუპვა ან დათრგუნოს მისი განვითარება. თუ დაინფიცირება მოგვიანებით მოხდა, ახალშობილი იბადება მწვავე თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის სიმპტომებით — ინტოქსიკაციით, ცხელებით, სიყვითლით, ღვიძლის, ელენთის ლიმფური კვანძებისა და ტვინის დაზიანებით. ტოქსოპლაზმოზი ანტიბიოტიკებით იკურნება.

**ათამანგი**

ათამანგი დაავადებულ პაციენტებში დიდია თვითნებური აბორტის საშიშროება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არ განვითარდა, პროგნოზი მაინც ცუდია — ბავშვი შეიძლება დაიბადოს მკვდარი ან უღდეური, თანდაყოლილი ათამანგის ნიშნებით: კანის, ძვლებისა და ნერვული სისტემის დაზიანებით.

**ბონორეა**

უმეტეს შემთხვევაში, ეს დაავადება ინვეცს თვითნებურ აბორტს, თანაც — ორსულობის ადრეულ სტადიებზე.

**B ჯგუფის სტრეპტოკოკი**

B ჯგუფის სტრეპტოკოკურმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს ფილტვების, თავის ტვინის ანთება და სისხლის დაინფიცირება როგორც ორსულებში, ისე მის შთამომავლებში. თუ



ლებით მიმდინარეობს, ბავშვის ინფიცირების საშიშროება მაღალია.

ორსულობისას გრიპის მკურნალობა აუცილებლად, ექიმის მეთვალყურეობით უნდა მიმდინარეობდეს. გასსოვდეთ: ორსულობისას გრიპის მკურნალობას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს და ამ დაავადების საწინააღმდეგო საშუალებათა არსენალიდან ზოგი რამ აკრძალულია. მაგალითად: ასპირინი, ხველის საწინააღმდეგო, სისხლძარღვთა შემავიწროებელი და ზოგიერთი ანტივირუსული პრეპარატი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხალხურ მეთოდებსა და ჰომეოპათიურ საშუალებებს.

გრიპთან დაკავშირებით რამდენიმე საგულისხმო რჩევას მოგცემთ:

\*ავადმყოფობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კვებას. რაციონი კალ-

(და არა მხოლოდ ორსულებს) განსაკუთრებული ჩვენების გარეშე არ უნიშნავენ. ამის განსაზღვრა კი რასაკვირველია, ექიმის კომპეტენციაა.

\*გამოიყენება ხველის დამთრგუნველი ბალახეული პრეპარატები, რომლებიც ნებადართულია ორსულობის დროს. მაგალითად, ალთეს ფესვების ნახარში. კარგია ორთქლის ინჰალაციები გვირილის, კალენდულას, პიტნის, სალბის, ვეკალიპტის, კრაზანას, წყლის იელის, ფიჭვის კვირტების ნაყენით.

ორსულს საავადმყოფოში მხოლოდ მაშინ აწვევენ, როცა გრიპი მძიმედ — ტოქსიკური და ჰიპერტოქსიკური

P.S. პატვიცემულო მკითხველებო, მოგწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენ ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ბავშვი მაინც დაიბადება, ადვილი მოსალოდნელია, რომ მას ნერვული სისტემა ჰქონდეს დაზიანებული. ეს შეიძლება გამოვლინდეს განვითარების შეფერხებით, სიყრუოთ, თავის ტვინის წყალმანკით, მამოძრავებელი სისტემისა და მგრძობელობის მოშლით.

**ქლამიდიოზი**

ქლამიდიოზი ძალიან გავრცელებული დაავადებაა, რომელიც ხშირად, ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს და უმეტეს შემთხვევაში, იწვევს გადახრებს ორსულობისას: ნაყოფი უჩვეულოდ მატულობს წონაში, ირღვევა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობა და შეიძლება, მანკიც გამოვლინდეს. ჩასახვამდე ქალმა აუცილებლად უნდა ჩაიტაროს ანალიზი ქლამიდიოზზე და საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის კურსი მუულუესთან ერთად უნდა გაიაროს.

**ტრიქორონიზი**

ორსულობის დროს მკვეთრად მატულობს თვითნებური აბორტისა და ნაადრევი მშობიარობის რისკი.

**მიკოპლაზმა და ურეაპლაზმა**

ჩვილის მუცლად ყოფნის პერიოდში ურეაპლაზმა საშიში არ არის, რადგანაც ეს მიკრობი პლაცენტაში არ გადის, მაგრამ მშობიარობის დროს პატარების 50% ინფიცირდება.

მიკოპლაზმური ინფექციისთვის პლაცენტა წინააღმდეგობას არ ქმნის. ორსულობის დროს მას შეუძლია, სანაყოფე გარსებისა და ნაყოფის ანთება გამოიწვიოს.

ორსულობის დროს ორივე ინფექცია ჩვეულებრივ, 20 კვირის შემდეგ იკურნება.

**პროფილაქტიკა**

საუკეთესო გზა იმისათვის, რომ ბავშვის ინფიცირება არ დაუშვავთ, რა თქმა უნდა, ინფექციებისგან ქალის დროული (ანუ დაორსულებამდე) განკურნებაა. თუ ორსულობა ან ინფიცირება მოულოდნელად მაინც განვითარდება, რისკის შემცირების მიზნით, დროულად მიმართეთ მეან-გინეკოლოგს და შეასრულეთ მისი მითითებები. გარდა ამისა:

- \*ყურადღება მიაქციეთ საკუთარ გუნება-განწყობილებას;
- \*არ დაუშვავთ ზედმეტი ფიზიკური და ემოციური გადაძაბვა;
- \*დალიეთ დანიშნული ვიტამინური კომპლექსები;
- \*მოერიდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოხვედრას, გრიპისა და სხვა ისეთი ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც ჰაერნეფთოვანი გზით გადადის.

# ცხოვრება ლოგოთან ერთად




ალექსანდრ პილიშენკო უკრაინაში მდებარე ქალაქ ვასილივკაში კერძო ზოოპარკის მფლობელია. მან ლომების ქცევების თავისებურებების შესწავლა გადაწყვიტა და ამ მიზნით, ცხოველებთან ერთად გალიაში 5 კვირას გაატარებს. აღსანიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში ის ყოველგვარი ჰიგიენური ნორმების დაცვაზე იტყვის უარს.

ალექსანდრ პილიშენკო დარწმუნებულია, რომ სახიფათო გამოცდას გაუძლებს. ლომებთან ერთად მის ცხოვრებას 4 ვიდეოკამერა გადაიღებს და მსურველები ყველაფრის ხილვას რეალითიშოუს სახით, ონლაინრეჟიში შეძლებენ.

# ბუზბებით შექმნილი შედეგები

პროფესიით მხატვარმა ლარი მოსმა გადაწყვიტა, ფერადი ბუზბებით მსოფლიოს შედეგებად აღიარებული ტილოების საკუთარი ვერსიები შეექმნა. მხატვარმა ბუზბებით ბოტიჩელის, და ვინჩის, უისტლერის, ვუდსისა და უორჰოლის ნამუშევრების ასლები შექმნა. მისი თქმით, ეს ძალიან სახალისო საქმიანობაა და თურმე, საკუთარი „ტილოებიდან“ ყველაზე მეტად და ვინჩის „მონა ლიზა“ მოსწონს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ნამუშევრებთან შედარებით, სიზუსტე აკლია. ლარი აღიარებს, რომ განსაკუთრებით, ჯოკონდას ხელების გაკეთება გაუჭირდა.



საინტერესოა ბოტიჩელის „ვენერას დაბადებაც“, რომელიც წვრილ დეტალებს შეიცავს. გარდა ნახატებისა, ლარი მოსის კოლექციაში ბუზბებისგან შექმნილი საკვები პროდუქტების ქილებსაც ნახავთ.

# ფერადი ძაღვები

20 წლის ამერიკელმა ვიქტორია ბარტერმა გადაწყვიტა, ძაღვებს განსხვავებული იმიჯი შეუქმნას. ის მათ სხვადასხვა ფრად ლებავს და განსხვავებულ აქსესუარებს უკეთებს. თავად ვიქტორიას 2 ძაღლი ჰყავს, რომელთაგან ერთი ვარდისფერია, მეორე — ცისფერი. პატრონმა ძაღვებს ზურგზე ხელნაკეთი ფრთები მიუმაგრა, კისერზე კი თვლებით მოჭედილი ყელსაბამები გაუკეთა. ვიქტორიას ძაღვების მორთვის იდეა ერთ-ერთი პოპულარული ტელეშოუს ხილვის შემდეგ გაუჩნდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ იქ ადამიანებს უცვლიდნენ იმიჯს.





# გიგლუსი

გიგლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია


მზად ვარ  
გისმინო და  
გემსახურო...

მზად ვარ გისმინო და  
გემსახურო.

ქარში იშლება

დეკემბრის თოვლი

და მღერის შენი მძიმე საყურე,  
გაბრუებული დეკემბრის თოვლით.



(მე ალბათ დიდხანს მექნება ვალი,  
მაგრამ ვიქნები სულ მხიარული.  
ეს გაუმარჯოს შენს ეშმაკ თვალებს  
და სარკეებში ნასწავლ სიარულს).

სარკმელში ისევ თოვლი ირევა  
და ჰყვება თავის უბრალო ამბავს.  
და სკამზე, როგორც ნანადირევი,  
ჰყიდია შენი ლამაზი ყაბა.

ოთარ ჯილაძე

## სახსროვარი

### ბოდბეძე როსელი



- ◆ ბავშვები სუფთები იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრება სული.
- ◆ სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი.
- ◆ თანდათან მგლების ხროვას ემსგავსება კაცთა მოდგმა.
- ◆ კაცის ნასახლარს ნუ მანახებ და ნუ გახდება საქართველო ნახევრის — ნახევარი. და შენ, კუ-ზიანო დედამიწავ, რამდენიც გენებოს, იტრიალე!

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია  
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით  
1982 წელს გამოცემული  
ქართული ენის  
განმარტავითი ლექსიკონის  
ერთტომეულის მიხედვით  
შემდგენელი თამარ ივანიძე

## ლ

დასაწყისი იხ. „გზა“,  
№2-52, 2010 — №1-31, 2011

**მაამო!** — შეძახილი ხარების გასარეკად (ან დასამშვიდებლად).

**მაზზაკუნა** — იგივეა, რაც ბოლო-ქანქარა (პატარა ჩიტი).

**მაჯანი** — ესა და ეს (ამა და ამ). ხმარობენ, როდესაც არ უნდათ, ვისიმე ან რისამე დასახელება.

**მაგზოლეუმი** ლათ. — დიდი არქიტექტურული ნაგებობა საფლავზე.

**მაზა** სპ. (ძვ.) — 1. სანუკვარი საჭმელი; 2. რისამე მშვენება, შნოსა და ლაზათის მიმცემი;

**მაზა-მაზა** (საუბ.) — ნაირ-ნაირი (საჭმელები).

**მაზანდა** (ძვ.) — რისამე ფასი კერძო ბაზარში (ამა თუ იმ დროს).

**მაზარა** — სამხედრო ფორმის პალტო — ფარაჯა.

**მაზღანობა** სპ. — იგივეა, რაც ცეცხლთაყვანისმცემლობა.

**მაზრა** (ძვ.) — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მეფის რუსეთში.

**მათუთა** — ერთწლოვანი ბალახი.

**მაიმასი** (საუბ.) — მახინჯი, უშნო ადამიანი.

**მაკვილაკი** (საუბ.) — ენამწარე, ავენა.

**მაკიდო** (კუთხ.) — იგივეა, რაც ოხრახუში.

**მალი** — ხიდის ბურჯებს, საყრდენებს შორის მოქცეული არე.

**მაღალი** — რაც ადვილად ტყდება, სუსტი, ნაზი, სათუთი.

**მაღაყი** — თავდაყირა, ყირამალა დგომა.

**მალიათი** (საუბ.) — ქონება, სიმდიდრე, შეძლება, ბარაქა.

აონსტანბინეა გამსახურდია

# როგორ ვნერ?

(ფრაგმენტები)


ჰმ!

ძნელია ამის ანერა, თუ როგორ ვნერ. შემოქმედების ამბავი ჯერაც უალრესის იდუმალებითაა მოცული, მეცნიერება დიდ მუშაობას ეწევა შემოქმედების პროცესის შესაცნობად. თეორიები მრავალია, მაგრამ რა?..

ამ ამბის გაცხადება რომ შეიძლებაო, მაშინ ყოველი მკითხველი ნერას ისწავლიდა (და შეუძლებელი საქმე შეიქნებოდა ყოველივე ხელოვნება). მე არ მინდა იმ ევროპულ მოგვებს დამადარონ, მნიგნობრობას კასტის საუფლოდ რომ აცხადებენ. მნიგნობრობა, ლიტერატურა სხვაა, პოეზია კიდევ სულ სხვა. სამწუხაროა, დარვინისებური სელექციის კანონი ადამიანს რომ ვერ მიუყენეს. ვეცდები, ნაწილობრივად მაინც გიპასუხოთ. მე შემიძლია, შემოქმედებითი მუშაობის გარეგნულ ვითარებათა გამო მოგიხსნათ ზოგი რამ (ვინ იცის, ეგებ ვინმეს გამოადგეს ჩემი დაკვირვებანი). თუ ის ბალები, ახლა რომ ქართველი დედების კალთაში, ან აკვნებში წვანან, ჩემზე უკეთ დაუფლებიან ქართულ სიტყვას, ეს ფრიადაც გამეხარდება.

საერთოდ, ქვეშეცნულად ვნერ. მეტწილად სათაურიდან გამოვიდვიარ: ვერ გეტყვით, თუ როგორ ხდება ეს, როგორ გამოუდგება ერთს ან ორ სიტყვას, სათაურში გახმარებულს, ათასი და ათი ათასი (როგორც ახლად გაჩენილ დედას — ნაყარი ფუტკარი). სათაურის დაწერიდან უკანასკნელი წერტილის დასამადის შემდეგი პროცესებიც უნდა ვიგულისხმოთ. სამჯერ, ოთხჯერ, ხან მეათეჯერაც გადაწერა, მერმე მანქანაზე გადაბეჭდვა, გადანაბეჭდვის კორექტურა, შემდეგ ანაწყობის მრავალკუთხედი შესწორება და შემოწმება. ჩემი ნაწერების კორექტურა უდიდეს

ბანი ყელმოღერებულ ქართულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს. განი ლაგვინებს და ქვევრებს ჰგავს. კბილიანი ასოები ლ, ყ, ლ, დ, რაღაც ქვეწარმავალს მაგონებს, ზოგიც ხერხებს, სათელელ, სახლურ ან სატეხ ხელსაწყობს.



ძალიან მახარებენ ღერიანი ასოები, ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით წამოვლენ. განების, ყარების, დონების, ენების, ვინების ფეხები ხრმლებს, წერაქცულებს და ნათებს მიაგვანან. ინები ცხენების ნალებს. ვინ იცის, ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიის ხრიოკებიდან ომითა და ზათქით წამოსულს. ყოველი ქართული ასო რაღაც უცნაური სიმბოლიკის აღმძვრელია ჩემს წარმოდგენაში. მე დიდის სიამოვნებით დავსწერდი ანბანთქებას. როცა წერით დავილლები, თვალს შევავლებ ხოლმე ასოებს, გაცოცხლებული შევცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარილოდ წარმოშობილ ფანტასტიკურ იეროგლიფებს. თანაც, მოშიარესავით მიხარია, რომ ლინგვისტიკა და ფილოლოგია ვერაუჟამს ჩასწვდებიან მათთვის ჩათქმულ საიდუმლოებას.

\*\*\*

წუხვარ: მწერლობა პროფესიად რომ გადაქცევა. ერთადერთ კარიერაზე ვოცნებობდი მთელი ჩემი სიტყბუკის მანძილზე, ეს იყო სამხედრო. 1918-1919



წლებში უნივერსიტეტი მინდოდა, დამეგლო და, პრუსიის გენშტაბის აკადემია მინდოდა დამესრულებინა, მაგრამ, ეს მაგრამ ძალიან ძლიერი იყო — რომანოვების არმიამი ხომ არ შევიდოდი? ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მე უკვე საკმაოდ მოწიფული ვიყავი და შევიდოდა ვეღარ შევლებდი. 1923 წ. ისევ მომიარა სიტყბუკის ოცნებამ პარიზში, და ლამის იყო სანსირის სამხედრო აკადემიაში არ შევედი, მაგრამ ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა... სამხედრო კარიერისადმი სიყვარული არც ბარათაშვილს ჩაუნერგია ჩემთვის და არც ბაირონს, ოდითგანვე ცხენის კულტი იყო ოდიშის მხარეში. ექვსი წლის ბავშვს განსვენებული მამაჩემი უბელო ცხენზე შემადებდა და მათარას გადაუჭერდა ცხენს. ბოლოს შევეთვისე ცხენს. მერე ის იყო, ისევ მწერლობას დავუბრუნდი. „დიონისოს ლიმილის“ ტიპები, სახეები და პასაჟები მრავალი წლის განმავლობაში თან მიტარებია. ცალკეული ფრაგმენტები სხვადასხვა დროს დამინერია, მაგრამ ჩემი აბო-

**წუხვარ: მწერლობა პროფესიად რომ გადაქცევა. ერთადერთ კარიერაზე ვოცნებობდი მთელი ჩემი სიტყბუკის მანძილზე, ეს იყო სამხედრო.**

**ჩემი ნაწერების კორექტურა უდიდეს სიხარულს მგვრის. წერისა და გადაწერის დროს მე დიდის სიყვარულით ვითამაშები ქართულ ასოებს, გაცოცხლებული შევცქერი მათ. ანი ნამგლისათვის მიუშმგავსებია ქართველ ხალხს,**

ბოქრებული ახალგაზრდული ცხოვრების კორიანტელში დავკარგე. 1924 წელს ძლიერ მომანვა შემოქმედების დარდი. ერთი თავი ჟურნალ „კავკასიონში“ გამოვაქვეყნე. იმავე თვეში ჟურნალი შესწყდა. არც გამოცემული მყავდა, არცა მქონდა ფული. „საქართველოს პოლიგრაფტრესტი“ მენდა. მთელი რომანი 9 თვის განმავლობაში ვუკარნახე სტამბას. ხანდახან სადილის ფულიც არ მქონდა. ლამეებს ვათევდი, ზოგიერთი თავი მონოლითურად ჩამოისხმებოდა ხოლმე, ამან გამათამაშა. როცა პირველი ხალისი მომექანცა, შევედრე, მომ-



ვარდებოდა სტამბის გამგე მანასე გოგვაძე: — მოიტა გაგრძელება, თორემ ანანყობს დავშლი, ასონინებები მჭირია. ისევ ჩავიკეტებოდი, დავწერდი, გადავწერდი, კიდევ გადავწერდი, კიდევ და კიდევ... ხან რომელიმე თავი არ მომეწონებოდა, ერთ ორ დღეს ისევ

**ეს მე შამოვილე პირად 1917 წელს (ჟურნ. „პრომეთეი“) სტამბის მუშავის სახელისა და გვარის წიგნს ბარაკანა მოსახივბა. წიგნს რომ დავაკაძვავ, უთუოდ პური უნდა ვჭამო ბათთან.**

დავემალებოდი მანასეს, ერთ ორჯერ ისევ გადავწერდი სტერლინგისებურ ტვიცინა ქალაღდზე. იოსებ ნიკოლაძემ მითხრა ერთხელ: ეჰ, რა გიშავთ პოეტებს, არც ატელიე გჭირდებათ, არც მოღებურტი, ფანქარი და ქალაღდი თუ გექნათ, ხეზეც რომ ჩამოჯღდეთ, კარგად დასწერთო.

საქმე არც ისე მარტივია. მე შუშის ნატებით ნანათალი ფანქრითაც მიწერიია, მაგრამ კომფორტი ადვილებს შრომას. წერის დროს უთუოდ კარგი თუთუნი უნდა მექნეს (განუზომლად ბევრსა ვწევ). კარგ სავარძელში, ჩემს სავარძელში უნდა ვიჯდე. ფანქრით მოკითხვის ბარათსაც ვერ დავწერ.

რამდენიმე ავტოკალამი მაქვს საუკეთესო ფირმისა. ესენია ჩემი მეწინავე ალამდარები. ფოლადის კალმების მთელი ლამქარი მაქვს სამარქაფოდ შემონახული. ისეთი მაგარი ხელი მაქვს, ფოლადის კალმები სულ იოლად შემომაკვდებიან ხოლმე. ზოგი უცებ დაკოჭლდება, ზოგიერთი კარგად მომერგება ხელზე, ზოგიც რეგვენია, წრიპინა, ჩხიკინა, ჯიუტი და გაურანდავი. ზოგიც გამაგულისებს და მივლენავ. სხვამ თუ ჩემი სამუშაო კალამი იხმარა, მე იმას ხელს არ ვახლებ. ქალაღდიდან ამდგარი ბუნვი თუ მოადგა კალამს, მომკალით. ცუდი ქალაღდი ხელშესახებადაც მძაგს. ამიტომ წიგნების და გაზეთების ხელით ტარება არ შემეძლია, გადანანერს კონტროლს ვუკეთებ მრავალგზის. თუ ხელს ლაღლად უნავარდნია და ასოებიც ვაჟკაცურად მოჯარულან, კარგია. კიდევ ერთი დეტალიც: ნანერი, გადანანერი, გადანაბექდი სხვადასხვა რიგად მეწვენება. ამიტომაც, როცა რომელიმე სტამბაში ჩემი ინყობა ან იბექდება, იქ ყოფნას არაფერი მიჩვენია. პოლიგრაფიული ნამლების სუნი განუზომლად მიყვარს. ასოთამწყოებში ძველი ძმაკაცები მყავს. რაც 16 წლის გავხდი, სულ სტამბებში დავდივარ.

კორექტურაში ძლიერ ვჭირვეულობ. ახლები ხანდახან ამეშლებიან, ძველებმა იციან „ცოდვილი კაცი“ ვარ და მუდამ ამხანაგურის თავაზით მშველიან. მე მუდამ ვაფასებდი ასოთამწყოებისა და სტამბის სხვა მუშაკის ამავს, ამიტომაც, ეს მე შემოვიღე პირველად 1917 წელს (ჟურნ. „პრომეთეი“) სტამბის მუშების სახელისა და გვარის წიგნის გარეკანზე მოსხენიება. წიგნს რომ დავბექდავ, უთუოდ პური უნდა ვჭამო მათთან. დედანს საშინელი სისწრაფით ვწერ. მე მგონია: როცა ჩვენი მკითხველები კითხვასა და ნანერის გაგებაში უკეთ გაინაფებიან, სასვენი ნიშნები უნდა გავაძევოთ. ეს დიდ დროს გვართმევს.

ძველებს ხომ ჩვენბური სასვენი ნიშნები არ ჰქონიათ, მაინც კარგად წერდნენ. პირაღად მე არა მგონია, ასეთ რამეს რომ მოვესწრო. არც ერთ ჩემს ნოველას მეორე ვარიანტი არ ჰქონია. სწრაფად ვწერ, მაგრამ დიდხანს ვინახავ ხელნანერს, გამოხდება ხანი, წავიკითხავ, გავქლიბავ და ისევ შევინახავ.

მე უმეტესად ნამუშაღმევე ვწერ, ნანერს დიღაობით გადავიკითხავ ხოლმე. ხანდახან ფული მჭირია, მაგრამ ნაადრევედ დაბექდავს თარგმანს ვარჩევ, თუმცა თარგმნამ თავი მომაბეზრა. დიდი პოეტური შედეგების ფრაგმენტების თარგმნა დიღაც სასარგებლოა, მაგრამ დიდი ქმნილების მთლიანად თარგმნა ერთგვარი თვითმკვლელობაა მწერლისათვის.

უამრავი ახალი სიტყვა იხარჯება, მაგრამ რას იზამ, ნყალწყალა ხალტურის ბექდავს შედეგების თარგმნა სჯობია. მე ადრე დავწერწმუნდი: ვერავითარი პირობები ვერ შეისყიდის იმ დროს,

**პირადი უბედურების გამო იზვიათად ვჭირი, მაგრამ ჩამივე გირავის უბედურებას ავშირავიპირ (ძოტა არ იქოს, მიწოთიკაბა კიღვავც ანის ბახალა, რაღბან გულწვილი ვაჟკაცი არ მოგონს).**

რომელიც დიდის გემოვნებით შესრულებულს ნანარმოებს დასჭირდება. ვინც სისტემბტიურად კითხულობს, იგი სულ მალე წერას იწყებს და მერე არც მკითხველად ვარგა და არც — მწერლად. გუტენბერგის გენიოსურმა გამოგონებამ, ერთის მხრივ, ავნი კიდევაც ნამდვილ კულტურას, ხელნანერების იოლმა მულტიპლიკაციამ წიგნი კომერციულ ნანარმოებად აქცია და ფულისთვის ალტკინებულ სამუშაღბას კალამი ააღებინა ხელში. გონებაღაღლუნგულ, უგემურ ბურჟუაზიას ევროპისას იოლად

გასაგები და მისი უხამსი გემოვნებისათვის ხელმისანვდომი წიგნი მოუნდა და აქ კი ბულვარის მწერლები დაფაცურდნენ.

ამიტომაც ზეიმობს ამჟამად ევროპაში ხალტურა და ბულვარის მწერლობა. ეს ასეა, მაგრამ ნამდვილი ხელოვნება თავის საკუთარ ეტლს უნდა მიჰყვებოდეს. ამითვე აიხსნება, დღეს ევროპაში უდიდესი სიტყვის ოსტატები უღარეს მატერიალურ გაჭირვებას რომ განიცდიან, ხოლო ზუდერმანის ტიპის ბულვარის მწერლები საკუთარ ვილებში ნეტარობენ... როცა შემოქმედებითი მუშაობით გართული ვარ, ქალთა სიახლოეს გავურბივარ (გავოცდი, როცა სვანმა მონადირეებმა მიამბეს ერთხელ: ჯიხზე სანადიროდ წასვლის წინ მთელი კვირა ქალს არ მივევარებოთო). ამ დროს ვცდილობ, საზოგადოებაში ყოფნას და ღვინის სმას თავი ავარიღო. ახალგაზრდებს ვურჩევ; კალამსა და ჭკუას ძალას ნუ დაატანენ მაინცდამაინც. თამაშით სწერონ, თამაშითა და ბრძოლით. ეს ნათქვამი ირიბულად უნდა გაიგონ. ამქვეყნად არავის ისე არ ესაჭიროება სრულყოფისათვის ბრძოლა და შრომა, როგორც მწერალს. ამიტომაც ადრე ილუპებიან სიტყვის დიდოსტატები. კამეჩის ენერგია სჭირდება მწერალს. ამ სათუთ კალმიდან ქალაღდზე მოხდენილი წნევის გაზომვა რომ მოხერხდეს, ალბათ, რამდენიმე ათასი ცხენის ძალა გამოვა. ლევ ტოლსტოი და ფლობერი, ვაჟა და ჰიუგო, რუსთაველი და გოეთე, ალბათ, სატანური ნების კაცები უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენს საუკუნეში ისეთი ძლიერი დოლია გამართული, თუ მთელი შენი ენერგია და მოცალეობა არ შეაღლე მწერლობას, არარა შეგრჩება ხელში. ის ქმნილება, რომელიც შესს სისხლსა და ხორცს ვერ შეისხამს, უთუოდ ნამოდგება ქალაღდიდან. პირად მაგალითს უნდა დავუბრუნდე. 1914-1923 წლებში საგანგებოდ მიმოგზაურია საფრანგეთსა, იტალიასა და გერმანიაში, რადგანაც ისეთი რომანი მინდოდა დამეწერა, რომლის არენად, საქართველოს გარდა, ეს სამი დიდი კულტურის ქვეყანა უნდა ყოფილიყო.

მე არა მწამს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფანტაზიისაგან გამოკვებილი ხელოვნება. ან ისეთი, მარტოოდენ იმაჟინირებულ ტიპაჟს რომ ეყარება. მუდამ სინამდვილისაგან ამიღია ჩემი შემოქმედების პოეტური ანდაზა. არც ერთი ლანდშაფტი, არც ერთი ტიპი, არც ერთი სახე მხოლოდ ფანტაზიით არ მომიგონია. პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მინიერების ნელსურნელება არ გადაჰკრავს (მხოლოდ ესაა: ქვესკნელში ჯერაც არ ვყოფიღვარ,





თუმცა სავარსამისძის ჯოჯოხეთად ჩასვლა მანაც აღვნიშნე...

ენისა და სტილის ამბავიც ერთგვარი ალქიმიაა, აქაც დიდი შრომის განევა დამჭირვებია. მას შემდეგ, რაც განსწავლისა და მოგზაურობის წლები მოვათავა, მთელი ჩემი ენერჯია ძველი და ხალხური ქართულის შესწავლისაკენ მივმართე. ცხადია, რომ არც ერთ დიდოსტატს ენისას ჩვეულებრივი მოქალაქისა და თუნდაც ლიტერატორის ლექსიკა, არც უკვე ცნობილი სიტყვების მარაგი არ ეყოფა. ამ შეგნებამ ძველქართულსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გადამაგდო. ამის შემდეგ საჭიროდ დავიჩინე, ქართული ენის ალოგიური ბუნებიდანაც ამელო ხარკი. ბუნებრივად ძველი კარაბადინებისა და შელოცვების შესწავლა დამჭირდა (ზოგიერთებს ეგონათ, მე თავათ მწამდა თითქოს ეს შელოცვები).

სიტყვებიც ისევე სცვდებიან, როგორც ფოლადის რელსები, მანქანების ფირფიტები, მაქოები და რიკები. სცვდებიან პოეტური სახეებიც, ამიტომაც, მუდამ ვერიდები ათაგზის ნახმარ სიტყვათა კომბინაციებისა და სახეების გამოყენებას.

ცხოველთა სამეფოდან მე ორი სუელიერი მყავს სიმბოლოდ აღებული — მიმინო და გველი (არც ერთი მათგანი შინ არა მყავს). მაგრამ პირველი აღმაფრენის ფარეშია ჩემი, ხოლო მეორე — სიბრძნისა. სად არის აქ ქრისტიანობა ან კლერიკალიზმი? ქრისტეს არასოდეს დაუსვამს ხელზე მიმინო და ქრისტიანობას მუდამ სძაგდა გველი. ვისაც „დიონისოს ღიმილი“ ყურადღებით წაუკითხავს, მას ეცოდინება, რომ ჩემს კოსმოსოფიას ქრისტიანობისთან არაფერი აქვს საერთო. ხელს რა მიშლიდა? უმეცართა სულმოკლეობა და მეშურნეთა სისინი. ზოგიერთ მწერლებსა და ლამაზ ქალებს ერთნაირი უბედურება სჭირთ: ვინც მათ ვერ მისწვდება, ყველა აგინებს. ერთმა გონებასაზვილმა ფრანგმა კარგად იხუმრა: როცა ადამიანი რაიმე დიდსა და შესანიშნავს შექმნის, სხვანი უთუოდ ეცდებიან, მან ეს „მზაკვრული საქციელი“ არასოდეს გაიმეოროსო. ცუდმა შეიკავებმა მომიშნამეს სიცოცხლე და შემოქმედების ისედაც მიმიე ტვირთი გამაიათვეცეს. ამ ამბებმა დიდი მწუხარება შემავდერა, მაგრამ მტრებიც საჭირო ყოფილან თურმე. მწუხარებამაც ბევრჯერ ამაღლებინა ხელში კალამი.

დედაჩემის გარდაცვალებამ „დამსხვრეული ჩონგური“ დამანერინა. 1924 წელს ჩემი საყვარელი ძმა — ალექსანდრე მიკვდებოდა, საავადმყოფოში ვუთევდი ლამებს. ერთხელ მომიწყინა,

დარდი შემომენტო გულზე. სწორედ იმ საშინელ ღამეს დავეწერე „ზარები გრიგალში“. ვწერდი და ვტიროდი. ჩვენში ბევრს ჰგონია: პატარა ნოველა ადვილი დასაწერიაო, რადგან ზოგიერთმა ლიტერატორმაც არ იცის, რომ

**ზოგიერთ მწერლებსა და ლამაზ ქალებს ერთნაირი უბედურება სჭირთ: ვინც მათ ვერ მისწვდება, ყველა აგინებს.**

ნოველა პროზაში იგივეა, რაც ლექსთა შორის სონეტი. აქ თავად თემა მოითხოვს ინტიმობის გამოძლავლებას. პირადი უბედურების გამო იშვიათად ვტირი, მაგრამ ჩემივე გმირების უბედურებას ავუტირებებივარ (ცოტა არ იყოს, მეწოთირება კიდევაც ამის გამხელა, რადგან გულჩვილი ვაჟკაცი არ მომწონს).



ოპოზიციაში ჩაუდგა ბოლშევიკებს თავის ჭკუაში და მენშევიკობა დაიწყო. ასეთივე იდეოფიქსიც ჰქონდა აჩემებულ: თითქოს ის სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობდი იმ დროს, მისთვის ეწუქნოს საბჭოთა მთავრობას.

\*\*\*  
...მარტოდენ ენის შესწავლას არ ჰყოფნის ერთი სიცოცხლე. აქ ისევე ალქიმია იწყება და მე მეშინია სიტყვა გამიგრძელდეს. ახლა ცოტა რამ სიტყვიერი მასალის მოხვეჭისათვის. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, მრავალგზის შევადარე ქართული ბიბლია, ოთხივე სახარება და ფსალმუნთა გერმანულს, ინგლისურსა და ფრანგულს გამოცემებს. ეს შრომა განუწყვეტილი მაქვს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი მასალის ძებნაში. პარალელურად ვმგზავრობდი მთელს საქართველოში, ვნადირობდი და ვთევზაობდი, რათა უშუალოდ გავცნობოდი ხალხის მეტყველებას. ამგვარად შედგენილი მაქვს საკუთარი იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი. დიალექტებიდან ნასესხებ სიტყვის ხმარებას ვერიდები (თუ გმირს არ ვალაპარაკებ), ვიდრე რომელიმე სარწმუნო ძეგლთან შევანამებ. ცუდი ქართულით მოუბართ შეძლებისამებრ ყურს ვარიდებ. ცუდი ქართულით დაწერილ ლიტერატურას არ ან ვერ კვითხულობ. როგორც უცხო ენებზე, ისე ქართულ დიალექტებზე ხანგრძლი-


**ცუდი ქართულით მოუბართ შეძლებისამებრ ყურს ვარიდებ. ცუდი ქართულით დაწერილ ლიტერატურას არ ან ვერ კვითხულობ**

თითქმის ორი წლის განმავლობაში ვწერდი ნოველას „დიდი იოსები“. პროტოტიპად მყავდა ჩვენს ეზოში მცხოვრები მეკურტნე, შემდეგ კი მეგზოვე — იოსებ სხირტლაძე. ეს მოხუცი ფრიად გულალალი, უთვისტომო და ლოთობისაგან სრულიად დაავადებული კაცი იყო. ლაპარაკში არ ბოროტიკობდა, მაგრამ ენაარეულად მეტყველებდა. ხანდახან ჰალუციაციებიცა ჰქონდა. ელანდებოდა: თითქოს ვილაცები ხმაღში შემოაკვდა. სადღაც დიდი განძი იპოვა, ხანაც ბოლშევიკობდა. როცა დარწმუნდა, რომ ბოლშევიკობა სახელმწიფო ქონების დატაცებას არ ნიშნავს,

ვად ლაპარაკს გაფურბივარ, რადგანაც ვიცი: ეს ქართულ აქცენტს შემირყვნის უთუოდ. მარტობის ჟამს ხმამალა კვითხულობ რომელიმე შერჩეულ ძეგლს ძველი ქართული მწერლობისას. დაძინებისას ძველ ქართულ შედევრებს ვათვალისწინებ, რათა ქვევცენებაში განმიმკვიდრდეს თავისთავად ენის კულტურის ნელსურნელება.

ასე და ამგვარად დღე და ღამ ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს.

1933 წელი



ნანარბიუბზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

**ურჯუპი** — ურნმუნო, უღმერთო, დაუნდობელი, შეუბრალებელი

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

დსანჯყისი იხ. „ზზა“ №31

**რუსუდან გერიძე**

პოლიციელებმა მოკლულთა ცხედრები ექსპერტიზისთვის ქალაქის პროზექტურაში გადაიტანეს.

ილურიძეების მკვლელობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომლის წარმოებაც პროკურატურის გამომძიებელ რევაზ რიკაძეს დაევალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ცოლქმრის სიკვდილი ცეცხლსასროლი იარაღით თავში მიყენებულმა ჭრილობებმა გამოიწვია. იარაღი მოკლულ ვახტანგ ილურიძეს ეკუთვნოდა.

რიკაძემ რატი ილურიძე დავითსა. მანაც სამართალდამცველებისთვის წინა დღეებში მიცემული ჩვენება დანვრიდებით გაიმეორა და ისიც დასძინა, — ჩვენს ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიაში თვითონაც გარკვეულწილად დამნაშავე ვარო.

— რას ნიშნავს გარკვეულწილად? — დაინტერესდა რიკაძე.

— გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე მაკას და მამაჩემს შელაპარაკება მოუხდათ.

— რატომ?

— ყველაფერი ბოროტი ადამიანების ბრალი იყო. ხომ იცით, მოაგარაკები როგორი უსაქმური ხალხია? ჰოდა, გაავრცელეს ჭორი, რომ თითქოს, ვილაცამ ჩემი და მასზე უფროსი მამა-

კაცის გვერდით ნახა... მამამ მაკა გააფრთხილა, ამქვეყნად ბევრი ცუდი ადამიანი და პირველი შემხედრისთვის გულის გადაშლა არ ღირსო. დედამაც მამაჩემს დაუჭირა მხარი. მაკამ მშობლების შენიშვნა იუკადრისა და ორივეს გაეზუტა. მაშინ მამამ მთხოვა, — დაელაპარაკე, იქნებ შენი მაინც შეისმინოსო. მაკამ ყურადღებით მომისმინა, მაგრამ მერე ასლუკუნდა და მითხრა: — რაკი დედიკოსა და მამიკოს ჩემი აღარ ესმით და არც მენდობიან, სახლიდან ნავალ და გადავიკარგებო. მისი ნათქვამისთვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, მაგრამ როცა ის მართლა დაიკარგა, მამას ყველაფერს მოვუყევი. ახლა კი ვხვდები, რომ არ ღირდა ამის გაკეთება, მაგრამ უკვე გვიანია. მამა შეწუხდა, მთელი დღე ოხ-

რავდა და შემდეგ მითხრა: — თუ მაკუნა არ გამოჩნდა, ამას საკუთარ თავს არ ვაპატიებო, და აკი არც აპატიია...

— ეს საუბარი როდის შედგა?

— თუ არ ვცდები, მაკას დაკარგვიდან მეორე დღეს. მამამ მიიჩნია, რომ შვილმა შენიშვნა არ აპატია და სახლიდან წავიდა. მე და დედა მის გადარწმუნებას ვცდილობდით, მაგრამ როცა ადამიანს ავადმყოფური წარმოსახვები აქვს... — სათქმელი აღარ დაასრულა რატიმ.

— რას გულისხმობთ? — დაინტერესდა რიკაძე.

— იმას, რომ მამაჩემი სულით ავადმყოფი იყო.

— ???

— დიახ, სამწუხაროდ, ასე იყო... თუმცა ადრე მის უცნაურობებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. ვფიქრობდი, რომ ყველა ადამიანი თავისებურად „გიჟობს“: ზოგი ზედმეტად მხიარულია, ზოგიც — პირქუში და გულჩათხრობილი. მაგრამ როცა დედა გამომიტიყდა იმაში, რომ ახალგაზრდობაში მამას ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა, მართლა შევშინდი.

— თუ ასე იყო, რატომ არაფერი იღონეთ? — გაუკვირდა გამომძიებელს. — რატომ არ აიძულეთ, რომ ემკურნალა?

— ეს არც ისე ადვილი გასაკეთებელი იყო, — ამოიოხრა რატიმ, — ჯერ ერთი, ფსიქიატრია მედიცინის ერთ-ერთი ურთულესი სფეროა და ადამიანის ფსიქიკური გადახრის უცბად ამოცნობა ჭირს. მეორეც, საქმე ხომ უახლოეს ადამიანს ეხებოდა. ალბათ

დამეთანხმებით, ძნელია იმასთან შეგუება, რომ მამა შიზოფრენიკი გყავს. თანაც, მამაჩემის ავადმყოფობას ბოლო დრომდე გულმოდგინედ მიმალავდნენ და არც იმას მიმხედდნენ, რომ ძმაც შიზოფრენიით ჰყავდა დაავადებული.

— ძმაც?

— დიახ, ვანო ბიძია. მანაც თავი მოიკლა.

— როდის?

— დიდი ხნის წინ. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. ბიძაჩემმაც მამაჩემივით ტყვია დაიხალა. ისე, მთლად ნორმალური არც მამაჩემის მამა ყოფილა. ერთხელ თურმე ნაჯახი აუღია, ქუჩაში გაგარდნილა და ხის განათების ბოძის ჩეხა დაუწყია.

— მდაა, — თავი გადააქნია გაკვირვებულმა რაჭველიშვილმა, — მძიმე მემკვიდრეობა გრგებიათ...

— და მერე როგორი?! — კიდევ ერთხელ ამოიოხრა რატიმ. — სხვათა შორის, ჩემი მშობლების დაღუპვის შემდეგ მამიდაჩემიც უცნაურად იქცევა.

— რას გულისხმობთ?

— გასვენებაში არ მოვიდა. არადა, ჩვენს ოჯახს მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მამაჩემს და მამიდაჩემს კი ერთმანეთი განსაკუთრებულად უყვარდათ.

— არ გიკითხავთ, ასე რატომ მოიქცა?

— არა, ამისთვის ჯერ ვერ მოვიცალე.

— თქვენი აზრით, მამათქვენის უცნაური საქციელი მაინც რაში გამოიხატებოდა?

— არაადეკვატურ რეაქციაში... წამდაუნუმე ეცვლებოდა განწყობილება და თან, ისე, რომ ამის არანაირი ხილული მიზეზი არ არსებობდა. თვითმკვლელობამდე მცირე ხნით ადრე ფულის, სხვადასხვა ნივთის, სასმელით სავსე ბოთლების გადამაღვის მანია დასჩემდა. ბოლოს კი რალაც უსაგნო რიტუალურობაც შევამჩნიე...

— რა შეამჩნიეთ? — ჩაეკითხა ახალგაზრდას გამომძიებელი.

— უსაგნო რიტუალურობა ანუ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ რომელი ნივთი სად იდო. მაგალითად, ბაბუაჩემის ფოტო აუცილებლად მისი საწერი მაგიდის მარჯვენა უჯრაში უნდა ყოფილიყო, ხოლო ვანო ბიძიას ფოტო — მარცხენაში. ერთხელ დედამ ორივე ფოტო შემთხვევით ერთ უჯრაში ჩადო და ამის გამო მამამ ისეთი სკანდალი მოუწყო, რომ ძლივს დავანყნარეთ... იარაღი კედელზე ისე უნდა ჩამოეკიდა, რომ ლულა კონდახ-



ზე ოდნავ მაღლა მოქცეულიყო. ძილის წინ აუცილებლად უნდა შეხებოდა ვერცხლულს: დანა-ჩანგალს, კოვზებს... მოკლედ, ყველაფერს, რაც იმ წუთში ხელში მოხვდებოდა. ეს ყველაფერი კი უკვე ავადმყოფური ფსიქიკის აშკარა ნიშნებია... იცით, მამაჩემის უცნაური საქციელის შემყურემ იმაზე ფიქრიც კი დავიწყე, ნეტავ, ეს ყველაფერი მისგან მეც ხომ არ გადმომეცა-მეთქი? — სევდიანად გაელიმა რატის და შემდეგ დასძინა: — ისე, ყველა დაავადების სიმპტომის საკუთარ თავში ძებნა ჩემი პროფესიის ერთ-ერთი უარყოფითი შტრიხიცაა... მაგრამ მგონი, ლმერთმა არ გამწირა და ჩემში დედაჩემის გენეზმა იმძლავრა... დედას კი ჯანსაღი ფსიქიკა ჰქონდა...

— თქვენი დის შემთხვევაში როგორ იყო საქმე? — დაინტერესდა რიკაძე.

— მაკუნა პატარა იყო საიმისოდ, რომ რალაც დასკვნები გამომეტანა. შიზოფრენია ხომ, ჩვეულებრივ, სქესობრივი მომნიშვნის პერიოდში მულავენდება.

რაკი მაკა ახსენეს, გამომძიებელმა გოგონას გაუჩინარების შესახებაც დაწვრილებით გამოჰკითხა.

— იცით, — რატიმ ბოლოს სევდიანად დასძინა, — მაკაზე გავრცელებული ბოროტი ჭორის ოდნავადაც არ მჯერა. სულ ვფიქრობ და ვერაფრით მივმხვდარვარ, მაინც ვის დასჭირდა ჩვენი ოჯახის სახელის ლაფში ამოსვრა?..

მოგვიანებით, რიკაძემ რატი ილუზიის საცოლვე — მაია მოსიძეც დაკითხა. მისი თქმით, მაკას გაუჩინარების შემდეგ, რატი წუხდა მამის უცნაური ქცევის გამო. შიშობდა, თავს არაფერი აუტყვოსო და, ამიტომაც, საავადმყოფოში მის დაწვენაზე ფიქრობდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. გოგონამ ისიც დაადასტურა, რომ სროლის დროს ის რატის გვერდით იმყოფებოდა.

ამასობაში მაკა ილუზიის ძებნა ისევ გრძელდებოდა, თუმცა ჯერჯერობით — კვლავაც უშედეგოდ.

ოქტომბრის დასაწყისში რატიმ მაია ცოლად შეირთო. მიუხედავად იმისა, რომ მშობლების გარდაცვალებიდან თვეზე ოდნავ მეტი იყო გასული, ვაჟი მაინც არავის გაუკიცხავს. ახლობლებიცა და მეგობრებიც ხვდებოდნენ, რა ძნელი იყო ამხელა უბედურების მარტო გადატანა. თანაც,

მშობლების დაღუპვის შემდეგ რატის თბილისის ბნისა და სააგარაკო სახლის მოვლის მთელი სიმძიმეც მარტოს დაანვა მხრებზე და უამრავი დამატებითი საქმე და საზრუნავი გაუჩნდა. თავის მხრივ, სამედიცინო უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე სწავლაც დიდ ენერგიას მოითხოვდა...

ახალდაქორწინებულები თბილისში, რატის მშობლების ბინაში დასახლდნენ და ერთხელაც, რატის მშობლების შემდეგ დარჩენილ დოკუმენტებს რომ ახარისხებდნენ, ერთ გაყვითლებულ ფურცელს წააწყდნენ. ეს იყო ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან, რომელშიც ეწერა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ვახტანგ ამირანის ძე ილუზიძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შიზოფრენიის დიაგნოზით მკურნალობდა.

ილუზიძე-უმცროსმა დოკუმენტი გამომძიებელ რიკაძეს წარუდგინა.

— ადრე თუ გინახავთ ეს დოკუმენტი? — დაინტერესდა გამომძიებელი.

— არასდროს. როგორც უკვე გითხარით, მშობლებს არ უნდოდათ, რომ მამაჩემის ავადმყოფობის ამბავი გამეგო, — უპასუხა რატიმ.

რიკაძემ დოკუმენტი საქმეს დაურთო და ისიც ჩათვალა, რომ ამით ვახტანგ ილუზიძის ფსიქიკური ავადმყოფობის შესახებ არსებული სიტყვიერი ინფორმაცია უკვე დოკუმენტურადაც დადასტურდა. გამომძიებელმა ასევე მხედველობაში მიიღო სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ვახტანგ ილუზიძეს შესაძლოა, ჯერ ცოლი მოეკლა და შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა, და სისხლის სამართლის საქმის დახურვის გადაწყვეტილება გამოიტანა.

საქმის დახურვის შესახებ რატის ოფიციალური წერილით შეატყობინეს. როცა ამ წერილს ცოლს უკითხავდა, ილუზიძემ ირონიულად შენიშნა:


— ამათ უნდა ერქვათ იურისტები?... ნახე ერთი, რა უნიგნურად დაუწერიათ: „თქვენი მშობლების თვითმკვლელობის საქმე შეწყვეტილია...“

— აბა, როგორ უნდა დაენერათ? — ძლივს გასაგონად იკითხა ქმრის უადგილო ირონიით შემცბარმა მაიამ.

— როგორ და აი, ასე: „მეუღლის მკვლელობისა და თვითმკვლელობის...“ — მშვიდად განუმარტა ცოლს რატიმ...

საქმის დახურვის მიუხედავად, ილუზიძეების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიისადმი ინტერესი კიდევ დიდხანს არ განელეზულა. უფრო მეტიც, იმ ადამიანების დიდი ნაწილი, ვინც ვახტანგ ილუზიძეს ახლოს იცნობდა, ვერაფრით იჯერებდა, რომ მას ცოლის და, განსაკუთრებით, თავის მოკვლა შეეძლო. ერთხელ კი ქალაქის პროკურორის მოადგილის კაბინეტში სატელეფონო ზარი გაისმა. ვილაც ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, კბილებში ავად გამოცრა: — „ილუზიძეები დახოცეს. ეძებთ მკვლელს!“ — და ყურმილი დაკიდა.

პროკურორის მოადგილე ამ პოსტზე ახალი დანიშნული იყო და თავიდან ილუზიძეების საქმე არქივიდან თავის გამოჩენის მიზნით გამოითხოვა, მაგრამ მისი ერთი გადახედვითაც კი იმდენი შეუსაბამობა აღმოაჩინა, რომ ამის შემდეგ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტი სულ ფურცელ-ფურცელ შეისწავლა და, ხელმძღვანელობასთან მოთათბირების შემდეგ, გამომძიებლის განახლების გადაწყვეტილება



მიიღო. შეიქმნა სპეციალური საგამომძიებო ჯგუფი, რომელსაც უფროსი გამომძიებელი მიხეილ ამირეჯიბი ჩაუდგა სათავეში.

თავისი წინამორბედის — გამომ-



ძიებელ რიკაძისგან მიღებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ამირეჯიბი დარწმუნდა, რომ საქმეში არაერთი „თეთრი ლაქა“ იყო. კერძოდ, გვამების აღმოჩენის შემდეგ, დანაშაულის ადგილის დათვალიერება ზედაპირულად იყო ჩატარებული და მონუმენტის ჩვენებებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. თუმცა მთავარი ის იყო, რომ რიკაძე თავიდან ერთი — ილურიძის მიერ ცოლის მოკვლისა და თვითმკვლელობის ვერსიის განხილვა-დამუშავებით შემოიფარგლა.

„რატომ მაინცდამაინც თვითმკვლელობა? — თავიდანვე ასე დასვა საკითხი ამირეჯიბმა. — იქნებ ეს მკვლელობა იყო? არადა, არც პოლიციას და არც პროკურატურას ეს ვერსია არ დაუშუშავებიათ. თანაც, მკვლელობის მოტივიც არაერთი მოიძებნებოდა და პირველი შეიძლება, სულაც ძარცვა ყოფილიყო. ილურიძეები შეძლებულადამიანებად მიიჩნეოდნენ. მათ აგარაკზე არაერთი ძვირფასი ნივთი და შესაძლოა, დიდალი თანხაც ინახებოდა. სანადირო თოფი ყოველთვის იმ ოთახში ეკიდა, სადაც ცოლ-ქმარს ეძინა. მათ საძინებელში შეღწევა კი ადვილი იყო. შესაძლოა, დამნაშავემ არ იცოდა, რომ იმ ღამეს, უფროსი ილურიძეების გარდა, აგარაკზე რატი და მისი საცოლვეც იმყოფებოდნენ და ძარცვა ამიტომაც ჩაეშალა ანუ ცოლ-ქმარის მოკვლის შემდეგ, გვედითა ოთახიდან ხმაური შემოესმა და თავს ფანჯრიდან გადახტომით უშველა. ფანჯრის რაფაზე თითის ანაბეჭები კი, ისევე, როგორც ოთახში დარჩენილი სხვა კვალი, არავის უძებნია.“

მიხეილ ამირეჯიბი არც იმას გამოორიციხავდა, რომ ილურიძეები გაძარცვის კი არა, სულ სხვა, მაგალითად, შურისძიების მიზნით მოეკლათ. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ვახტანგ ილურიძეს უამრავ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ რომელიმე მათგანი იმდენად გაენაწყენებინა, რომ მასთან ანგარიშის გასწორება გადაეწყვიტა. ისედაც ჩახლართულ სიტუაციას ილურიძეების დაღუპვამდე მათი გოგონას, მაკას გაუჩინარებაც ართულებდა. „იქნებ ეს სულაც ერთი მზაკვრული გემის 2 ნაწილი იყო? — ფიქრობდა გამომძიებელი. — ჯერ მაკა უნდა მოეშორებინათ, შემდეგ კი — მისი მშობლები. ანდა, ასეთი ვარიანტიც ყოფილიყო: ადამიანს, ვინც მაკა ილურიძე გააუბატიურა და მოკლა, შეეშინდა, რომ გოგონას მშობლები მასზე მიიტანდნენ ეჭვს და ამიტომაც დახოცა ისინი. დაბოლოს: იქ-

ნებ ვახტანგ ილურიძემ საკუთარი ქალიშვილი, განზრახ ან შემთხვევით, თვითონვე მოკლა და გვამი გადამალა, შემდეგ კი მომხდარის გამო სინანულმა ცოლის მკვლელობასა და თვითმკვლელობამდე მიიყვანა?.. ამ შემთხვევაში შვილის დაკარგვის შემდეგ ვახტანგ ილურიძის უცნაური საქციელიც მეტ-ნაკლებად გასაგები ხდება. თუმცა ბოლომდე არც შიზოფრენიის გამოორიციხვა შეიძლება“.

შიზოფრენიას რაც შეეხება, ამირეჯიბს ვერაფრით აქვსნა, როგორ უნდა მოეხერხებინა ცნობილ ბიზნესმენ ილურიძეს ამდენი წლის მანძილზე ასეთი სერიოზული ავადმყოფობის დამალვა. „ნუთუ ამას ვერც მისი ხელქვეითები და ვერც ბიზნესპარტნიორები ვერ ამჩნევდნენ?“ — ვინ იცის, მერამდენედ ევითებოდა გამომძიებელი საკუთარ თავს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ცოლ-ქმარ ილურიძეების საქმესთან დაკავშირებით უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა იყო დარჩენილი, ამირეჯიბსა და მის გუნდს კი მათზე პასუხი რაც შეიძლება, ოპერატიულად უნდა გაეცათ.

რატი ილურიძის დაკითხვისას მიხეილ ამირეჯიბმა მას, პირველ რიგში, დის დაკარგვის ამბის გახსენება სთხოვა და ვაჟმაც დაწვრილებით გადმოულაგა ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა: იქნებოდა ეს გოგონას მოულოდნელი გაუჩინარება, ოჯახისა და მეზობლების თუ შემდგომში უკვე პოლიციის ძალებით მისი ძებნა... უმცროსმა ილურიძემ ასევე დაწვრილებით გაიხსენა დედ-მამის დაღუპვის ამბავიც. გამომძიებელმა შენიშნა, რომ რატი დინჯად და გამართულად საუბრობდა და ნაკითხი და კარგად აღზრდილი ახალგაზრდის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— მამათქვენს მაკასთან როგორი დამოკიდებულება ჰქონდა? — დაინტერესდა შემდეგ გამომძიებელი.

— ძალიან უყვარდა, — მოკლედ უპასუხა რატიმ და, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დასძინა: — თუმცა მაკა ურჩი ბავშვი იყო. განსაკუთრებით ბოლო ხანებში აურია, მაგრამ მამა მაინც ყველაფერს პატიობდა.

— ყველაფერს? — ჩაეძია გამომძიებელი.

— დიას, ყველაფერს. მაკას დაკარგვამდე ორიოდე დღით ადრე მასა და მამას შორის მომხდარი კამათი კი გაუგებრობა იყო სხვა არაფერი.

— მამათქვენს მაკა არასდროს გაუღიანებდა?

— რას ბრძანებთ?! — შეიცხადა რატი. — მამაჩემი და შვილის ცემა? კი, მკაცრი მამა იყო და მაკას დასჯაც შეეძლო...

— როგორ?

— როგორ და მაგალითად, კინოში ან დაქალთან არ გაუშვებდა, მაგრამ თითი არასდროს დაუჯარებია. სამაგიეროდ, მე და მაკას გვერდით გაუთავებელი დაკა-დაკა...

— ???

— ხომ იცით, ბავშვების ამბავი?.. ზოგჯერ ისე გამაცოცხლებდა ხოლმე, რომ ერთი კარგადაც მოვცხებდი, მაგრამ როგორც კი ტირილს მორთავდა, მაშინვე გულში ვიხუტებდი. პატარა იყო და იმიტომ... — უცბად ისე მძიმედ ამოოხრა რატიმ, თითქოს გულიც თან ამოაყოლო და შემდეგ დასძინა: — რას არ მივეცემდი, თუნდაც ერთხელ მაინც რომ შემიძლოს მაკუნასთვის თავზე ხელის გადასმა და მისი გულში ჩაკვრა...

— კარგად მესმის თქვენი... — თანაგრძნობით შეხედა უმცროს ილურიძეს გამომძიებელმა. — მამათქვენს მტრები თუ ჰყავდა?

— მტრები?.. — დაიბნა რატი, რომლისთვისაც ეს კითხვა მოულოდნელი აღმოჩნდა. — არ ვიცი... არა მკონია...

— იქნებ, ვინმეს მისი შურა ანდა, რალაცის გამო იყო მასზე დაბოლმინი? — კითხვა კიდევ უფრო დააკონკრეტა გამომძიებელმა.

— არა!.. — ახლა კი უკვე მტკიცედ უპასუხა მას რატიმ. — ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები არ არსებობდნენ. მამა უპატიოსნესი, უნდვიერესი და მშრომელი ადამიანი იყო. ყველა პატივს სცემდა და უყვარდათ კიდევ.

— მის სამსახურში როგორ იყო საქმე? იქაც ყველას უყვარდა?

— ალბათ... თუმცა დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვი... მამას ჩემთან თავის ბიზნესზე ლაპარაკი დიდად არ უყვარდა... აი, პოლიტიკაზე, საყვარელ წიგნებზე ანდა, კინოფილმებზე კი დიდი სიამოვნებით ვსაუბრობდით.

— სანამ მშობლების საძინებელში საბედისწერო გასროლა მოხდებოდა, რაიმე საეჭვო ხმაური ხომ არ გაგიგონიათ?

— სამწუხაროდ, არა, იმიტომ, რომ პირველი გასროლის შემდეგ გამეღვიძა.

— ოთახში შესვლისას შემთხვევით ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება, ფანჯარა ღია იყო თუ ჩაკეტილი? ან ფარდა ხომ არ იყო გადაწეული?

— არ დავეკვირვებოვარ... — აღიარა რატიმ. — იმ წუთებში ამის შემჩნევის თავი არ მქონდა. მარტო ის



მასსოვს, რომ როცა საძინებლის კარი შევალე, მშობლების ბალიშებზე, თავების ირგვლივ, მუქი ლაქები დავინახე...

— ამის დანახვა, როგორ შეძელით? — გაუკვირდა გამომძიებელს. — ავი ოთახში ბნელოდაო?

— ნამდვილად ბნელოდა... იმიტომ, რომ სინათლის ანთება ვერ გავბედე... მაგრამ ქუჩაში, ელექტროგანათების ბოძზე ენთო ნათურა და ფანჯრიდან შემომავალი მუქი პირდაპირ საწოლზე ეცემოდა.

— როგორ ფიქრობთ, ცოლის მოკვლისა და თვითმკვლელობისკენ მამათქვენს მაინც რამ უბიძგა?

— მაკას დაკარგავი. ამ უბედურების შემდეგ მამაჩემი ისე შეიცვალა, რომ ვეღარ ვცნობდით...

რატის დაკითხვის შემდეგ ილურიძეების მეზობლების — ანიკო და ილო ივანიშვილების ჯერი დადგა. სხვა მოაგარაკებისგან განსხვავებით, ეს ცოლქმარი დასახლებაში მუდმივად ცხოვრობდა და ილურიძეებსაც ყველაზე ახლოს იცნობდა, რადგან ზაფხულობით ანიკო მათ აგარაკს უღაგებდა, ზამთრობით კი უკვე დაცარიელებულ სახლს ილო აქცევდა ყურადღებას.

ანიკო სიტყვაძუნნი და ცოტა უკმეხი ადამიანიც აღმოჩნდა და, ამიტომაც, გამომძიებლის შეკითხვებზე პასუხის გაცემა დიდად როდი ეპიტნავა.

— ვახტანგი კარგი მეოჯახე, მაგრამ ხელმომჭირნე კაცი იყო, — მოკვლევ მოუჭრა გამომძიებელს.

— ხელმომჭირნეობაში რას გულისხმობთ? — ჩაეძია ქალს ამირეჯიბი.

— ოჯახში მკაცრი წესრიგი ჰქონდა დამყარებული. ყველა იმას იღებდა, რასაც იმსახურებდა.

— უფრო კონკრეტულად?

— თუ მაგალითად, ღობე იყო შესალები, მღებავს კი არ დაიქირავებდა, რატის ეტყობა: „ფულის შოვნა გინდა, ხომ?... მამინე ჰა, შენ ფუნჯი და საღებავი!.. შეღებვას მორჩები, ფულს მიიღებ...“

— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ რატი ოჯახის საქმის გაკეთებაში მამისგან ფულს იღებდა?

— რა თქმა უნდა. მამა-შვილი ყველაფერს ფულით ზომავდა.

— თინა ილურიძეზე რას იტყვით?

— თინა ქმარზე უარესი იყო. ერთხელ ამის გამო კარგად დავცხეთ ერთმანეთს.

— რა მოხდა?

— ისეთი არაფერი... — ხელი ჩა-

იქნია ანიკომ. — აღარ ღირს იმ ამბის გახსენება...

— და მაინც? — ისევ არ მოეშვა ამირეჯიბი.

— თინამ სიკეთის დანახვა არ იცოდა. მისი ოჯახის სამსახურში ლამის კუზი ამოივიდა, ის კი... მასსოვს, ერთხელ დამიძახა და ერთი თვის გასამრჯელო მომცა. ფული არ დამითვლია, ჯიბეში ისე ჩავიდე და წამოვედი. სახლში რომ მოვედი, დავთვალე და 5 ლარი აკლდა. ვიფიქრე, ალბათ, შეეშალა-მეთქი. გადავედი და ვუბნები, ქალბატონო თინა, მგონი, ფული

კარგად ვერ დაითვალეთ და 5 ლარი დამაკვლით-მეთქი. მან კი მშვიდად მიპასუხა: არაფერიც არ დამიკვლია, შენს შვილიშვილს მაკას ნაქონი კაბა რომ ვაჩუქე, 5 ლარი იმაში გამოგიკვირეთო. ყურებს არ დავუჯერე: თან, გაჩუქე და თან, ფული გამოგიკვირეთო. ჰოდა, ავდექი და მეც პირში მივასხალე: ის კაბა არ მითხოვია, თვითონ შემომტენით-მეთქი. ვალში არც თინა დამჩნა: თუ ჩვენთან მუშაობა აღარ გინდა, პირდაპირ მითხარი და წადი, არავინ გიჭერსო. გული მეტკინა და ამის შემდეგ ილურიძეებთან მუშაობას აღარ ვაპირებდი, მაგრამ 3 დღის შემდეგ ვახტანგი ჩვენთან გადმოვიდა: ბუტიანობას მორჩი და დაბრუნდი, თორემ თინა საქმეს ვეღარ აუღდისო...

— ეს ამბავი როდის მოხდა?

— 2 წლის წინ... ამ ზაფხულს კი ეზოში საუნის მშენებლობა წამოიწყეს. ერთ დღესაც მუშებმა აგურის ნამტკრევეები გამოიტანეს და მათი სახლის წინ დაყარეს: ნავის მანქანა ჩამოვიღის და გავატანთო. ეს რომ გავიგე, მივედი ვახტანგთან და ვუბნები, მაინც გადასაყრელი ყოფილა ეს აგურები და მოდი, მე და ჩემი ქმარი წავიღებთ და რალაცაში მაინც გამოვიყენებთ-მეთქი. თუ გჭირდებათ, წაიღეთო, მითხრა. ჰოდა, ჩვენც წამოვიღეთ. რამდენიმე დღეში ჩემთვის ფულის გადახდის დროც დადგა. იმ დღეს თინა სადღაც იყო წასული და ფული ვახტანგმა მომცა. შინ რომ მოვედი, დავთვალე და ახლა უკვე 10 ლარი აკლდა. უკან დავბრუნდი და ვუთხარი, — ბატონო ვახტანგ, ამ ფულს 10 ლარი აკლია-მეთქი. მან კი თინასავით მშვიდად მიპასუხა, რომ არაფერიც არ აკლია, აგურები რომ წაიღეთ ჩვენ-

გან, იმის ფული გამოგიკვირეთო. კი, მაგრამ ის აგურები ხომ მაინც არ გჭირდებათ-მეთქი? შეიძლება, არ გჭირდებათ, მაგრამ თქვენ ხომ დაგ-



ჭირდათ და კიდევ გამოიყენეთო... რალა უნდა მეთქვა? ახია ჩემზე-მეთქი, გავიფიქრე და წამოვედი. შინ მოსულს წყნა გულში აღარ დამეგია და ყველაფერს ქმარს მოვუყვიე. ილოც უცბად „აფეთქა“, ვახტანგს გაუვარდა და საქმე კინალამ ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა... იმ დროს რატი სახლში იყო და მანაც მამის მხარე დაიჭირა: რით ვერ გაიგეთ, რომ ყველაფერს თავისი ფასი და დანიშნულება აქვსო? ამის შემდეგ ილურიძეებთან მართლა აღარ დამიდგამს ფეხი.

— ეს ამბავი მაკას დაკარგავამდე მოხდა?

— ჰო, — ამოიხრია ანიკომ, — ერთი კვირით ადრე... ახლა ვზივარ და სულ იმაზე ვფიქრობ, რატომ არ ვუფროსილდებით ადამიანები ერთმანეთს? ის 5 და თუნდაც 10 ან 15 ლარი ხომ არც მე ამაშენებდა და არც ილურიძეებს დააქცევდა, მაგრამ მაინც კინალამ ერთმანეთი დავხოცეთ ამის გამო. ახლა კი არც ერთი აღარ არის ცოცხალი და მეც სინდისის ქენჯნით ვკვდები... თუმცა კი ჩემი ბრალი არაფერი ყოფილა... ისე, ცუდია, რომ რატიც მშობლებს ჰგავს, თავისნაირი გაზარდეს...

— მაკაც?

— არა, მაკა ნამდვილი ანგელოზი იყო, — ცრემლი მოერია ანიკოს, — ალერსიანი, თბილი, სუფთა სულის პატრონი. ჩემს შვილიშვილთან და კიდევ ერთ მეზობლის გოგოსთან მეგობრობდა. ხან ნამცხვარს გამოუტანდა შინიდან, ხან — შოკოლადს. არავისთვის არაფერი ენანებოდა. ამის გამო თინა ხშირად ტუქსავდა: სხვები ყველაფერს შინ ეზიდებიან, შენ კი სახლი გამიცალეო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სვეტა კვარაცხელია  
ნაწარმოებზე თქვენი  
შთაბეჭდილება შეგიძლიათ  
გაგვიზიაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

# ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-31

პირველი კვირა გაგიჭირდება, ანა, მერე ყველაფერი კარგად იქნება, — ვანუგებები ჩემს თავს. დავდიოდი და ჩემთვის ვბუტბუტებდი. მგონი, შევიშალე, ჩემთვის ლაპარაკი დამჩემდა ბოლო ხანებში. ყველა უბედურებასთან ერთად, ხელეხსაც ვიშველიებ თურმე, როგორც აღმოვაჩინე. რა სასაცილო ვარ! სადამდე მივდი!

როგორც ვვარაუდობდი, ზუსტად ისე მოხდა. ორმაბათიდან შევუდექი მუშაობას. ორი დღე სრული სიმშვიდე სუფევდა, ლადოსთვის თვალის კი არ მომიკრავეს, თუმცა მე მაინც ველავი. წარამარა აქეთ-იქით ვიყურებოდი, სადმე არ გადავყარო-მეთქი. რატომ მძაბავდა ამ კაცის გამოჩენა ასე, არ ვიცი. ალბათ პირველი შთაბეჭდილება მაინც ყველაზე ძლიერი იყო და იმიტომ. ცუდად დამამასოვრა თავი. მიუხედავად ამისა, ძალისხმევას არ ვიშურებდი, რომ „კარგად შემუშავა“. ენერგია ერთიორად მომიზღვავდა, რაც ვასიკოს სიახლოვით იყო გამოწვეული. ახლა მხოლოდ მისი ყურება და მის გვერდით ყოფნა მამშვიდებდა. საშკასთან ურთიერთობასაც კი ვერ მოჰქონდა ჩემთვის შვება. სულ მეჩხუბებოდა, ჭკუას მარიგებდა, შენიშვნებს მაძლევდა... დამალა... არადა, მის გარეშეც მიჭირდა. ვერ მივხვდი, ეს სიყვარული იყო თუ მხოლოდ მიჩვევა. მას შემდეგ, რაც ცოლმა ბავშვების ნახვა აუკრძალა, ცოტა არ იყოს, შეეცვალა ხასიათი, ვგრძობდი, რომ მეუხეშებოდა. გაღიზიანებული მეჩვენებოდა, აღარც მირეკავდა, ერთხელაც არ მომიკითხა. არ დაინტერესებულა, რო-

გორ მოვეწყვე, შევეგუე თუ არა ახალ გარემოს. არც მე მომიკითხავს. უბრალოდ, გულის სიღრმეში სიმძიმეს ვგრძობდი, გულგრილობას რომ იჩენდა ჩემდამი. ყოველამე ველოდებოდი, — აი, ახლა დარეკავს, აი, ახლა მოვა-მეთქი... არა, არ გამოჩენილა... მეც ჯიუტად ვდუმდი და მის გულგრილობას გულგრილობით ვპასუხობდი.

ორი დღის შემდეგ გადავწყვიტე, გარკვეული გეგმა შემედგინა ვასიკოს ყოველდღიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად. პირველ რიგში, მას კომფორტული ფსიქოლოგიური გარემო შექმნებოდა. მოზარდის ორგანიზმს გაუჭირებოდა ასეთ დაძაბულ სიტუაციაში განვითარება. ამისთვის თავად მე უნდა ვყოფილიყავი მხიარული და მას წამითაც არ უნდა ეგრძნო, რომ რამის მეშინოდა ან ვინმეს გაეუბოდი. არადა, რამდენჯერ დავიჭირე საკუთარი თავი, დაფეთებული რომ ვაცეცებდი თვალებს, ვაითუ, სადმე „დემონს“ გადავყარო-მეთქი. საათობით ვეთამაშებოდი ბავშვს, როცა გაკვთილების მომზადებას მოვრჩებოდი. ისიც ხითხითებდა და ხითხითებდა, მთელ სახლს ავსებდა მისი ბავშვური სიცილი. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მაშინ, როცა ოჯახის უფროსი შინ არ იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი კი სულ დადიოდა... ალბათ თავის ბიზნესს აკონტროლებდა. თუმცა არც ვიცოდი, რას საქმიანობდა და ვერც ვერავის ვკითხებოდი. მქონდა კი ამის უფლება? არც ეს ვიცოდი...

ჩემი მისვლის დღიდან თითქოს რაღაც შეიცვალა ამ ოჯახში. მომეჩვენა, რომ როზაც კი გაახალგაზრდავდა. ისე კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს, ჩემს და-

ნახვაზე თვალები გაუცისკროვნებოდა ხოლმე. ლადოზე არაფერს მიყვებოდა, ჯერ ასე არ დავახლოებულვართ, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ ამის დროც მოვიდოდა. ჯერ ჩემთვის მთავარი ის იყო, ბავშვისთვის ისე მიმეხედა, სასაყვედურო არავის არაფერი ჰქონოდა. მართალია, ლადომ სრული თავისუფლება მომცა ამ მხრივ, მაგრამ იყო რამდენიმე საკითხი, რომელსაც მისი ნებართვის გარეშე ვერ გადავწყვეტიდი.

გვიანობამდე ვრჩებოდი მათთან, ამიტომ იშვიათად მიწევდა „ნენდერტალესის“ ნახვა. მე რომ მივდიოდი, ის უკვე წასული მხვდებოდა. მხოლოდ საღამოს თუ შევაგლებდი თვალს, როცა შინ ნასასვლელად გავეშადებოდი. მისალმების ნიშნად თავს დამიჩენვდა მხოლოდ, ეგ იყო და ეგ.

ადამიანი-კლდე — აქ გადმოსვლის შემდეგ ახლა ასე შევარქვი ლადოს, აღარ მომწონდა მისი დემონობა და ნენდერტალელობა. ეს სახელი ზედგამოჭრილი იყო მისთვის, სალ კლდესავით მიუხვდომელი და პირქუში გახლდათ.

რამდენიმე დღე კიდევ ვითრევდი ფეხს, მიჭირდა მასთან დიალოგის გაბმა. ისეთი მომენტები არ ჩამივარდა ხელთ, რომ გამოვლაპარაკებოდი ან თვითონ წამოენყო საუბარი. ძალიან ცივად მხვდებოდა ხოლმე, მაგრამ მეტის გაჭიანურებაც არ გამოდიოდა. ამიტომაც, კვირის ბოლოს გადანყვებილება მივიღე, შტურმით დამელაშქრა ადამიანი-კლდე!

პარასევ საღამოს „დავუდარაჯდი“ და მანქანიდან რომ გადმოვიდა, სწორედ იმ დროს გამოვედი მეც ეზოში, ვითომ შემთხვევით. თუმცა, მომეჩვენა, რომ ის მიმხვდა ჩემს პატარა, უწყინარ ეშმაკობას.

— ბატონო ლადო... — რაც შეიძლება, მშვიდად დაფიქვე. — რალაცების შეთანხმება მინდოდა თქვენთან, თუ გცალიათ...

— გისმენ, მცალია, — ორი სიტყვა მესროლა და გამოცდელად ჩამათვალეერა ზემოდან ქვემოთ.

— იცით, ვასიკოს სათამაშოები სჭირდება, ნიგნები, ფანქრები, ფლომასტერები... თან მინდა, ცოტათი შევცვალო მისი ოთახის ინტერიერი, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

კი მისმენდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ რალაცნიარად დაბნეული იყო და მისი გონება სულ სხვაგან ქროდა. მე აწერეული, ერთხანს ხელეხს ვიფუნტებდი, მერე ტკაცატკუცი ავუტყე თითებს, საწამ არ მივხვდი, რომ ჩემი მხრიდან ასეთი საქციელი სხვა არაფერი იყო, თუ არა უზრდველობა. არადა, მინდოდა, დამაჯერებელი ყოფილიყო ჩემი არაუმეტესები, რისთვის მჭირდებოდა ასეთი „მოთხოვნების“ წამოყენება.



— მოვიფიქრებ, — კუმტად მესროლა და გვერდი ავიარა.

გაემრი. ჩემი „ელვისებური“ გეგმა პიტლერივით ჩამეფუშა. იქნებ არ უნდა მეთქვა? იქნებ კიდევ დამეცადა ცოტა ხანს? ვეღარ ვსაზღვრავდი, სწორად მოვიქეცი თუ არა. ის იყო, გულგატეხილი ჭიშკრისკენ გავემართე, რომ უეცრად ზურგს უკან მომესმა.

— შაბათ-კვირას ქალაქიდან გავდივარ!

სწრაფად შემოვბრუნდი, რომ რამე მეთქვა, მაგრამ საოცრად უცნაური მზერა მესროლა და გაუჩინარდა.

რალას გავანყობდი, ნირნახდარი გავედი ეზოდან და დაღმართზე დავეშვი. ცოტა რომ გავიარე, მობილურმა დარეკა. გამიკვირდა, ლევანის ზარი იყო.

— გისმენ, ლევან!

— შეგიძლია დაბრუნდე ცოტა ხნით?

— რაშია საქმე?

— უნდა მოხვიდე, მამატიე.

გული ამიჩქარდა. ვიფიქრე, ახლა თავზე დამამხოვს ყველაფერს-მეთქი, მაგრამ შევეცდი. როზამ თვალთ მანიშნა, ვასიკოს ოთახშიაო. შევედი და რას ვხედავ? ლევანი ავეჯს ადგილს უცვლიდა! გული მომეცა. როგორც ჩანს, „სალმა კლდე“ რალაცის ნება მანაც დაგვართო.

— ეს საქმეს არ უშველის, — გავბედე ხმის ამოღება.

— ვიცი, — მშრალად მომიგო ოფლით შუბლდაცვარულმა ლევანმა, ეტყობოდა, არ სიამოვნებდა ასეთი სამუშაო, — ორშაბათს მალაზიაში წავალთ და რაც საჭიროა, ვიყიდით.

— აბა, რისთვის მომბრუნე?

— იმისთვის, რომ ეს მეთქვა.

— ტელეფონში ვერ მეტყვოდი?

— გეტყვოდი, მაგრამ ახლა ის მირჩიე, აქ რა როგორ გადავადგილო. დედობილი შენ ხარ, — გამიღიმა, — თან ისიც მითხარი, რისი ყიდვა დაგვჭირდება, ფული რამდენი იქნება საჭირო.

უკმაყოფილოდ ამოვიოსრე. სკამზე ჩამოვჯექი და განკარგულებების გაცემა დავიწყე. ეს აქ დადგი, ის იქ მიდგი, ეგ მანდ დაკიდე, ის იქიდან ჩამოსხენი... როცა ყველაფერს მოვრჩით, დავსხედით და ჩამოვწერეთ, რა გვჭირდებოდა. პირველ რიგში, წიგნის თაროები მოვიტოხვე.

— ორშაბათს ცოტა ადრე მოდი და გავიდე, — მითხრა ბოლოს, როცა დაანგარიშებას მოვრჩით.

— კარგი, მოვალ, — გახარებულმა თავი დაუქუნიე და დავეშვიდობე.

არასდროს დამავიწყდება ის დღე, საგაჭირად რომ წავედი. ვასიკო ისე

თი დაბნეული ჩანდა, თითქოს სათამაშო არასდროს ენახა ცხოვრებაში. თვალს ვერ ამორებდა თაროებზე ჩამწერივებულ ფერად-ფერად, დიდ-პატარა პლასტმასის ავტომობილებს, თოფებს, სახიდერმენებსა და ბურთებს. გული მომეწურა. ბავშვი მხოლოდ ათვლიერებდა და ვერ ბედავდა ხელით შეხებოდა რომელიმე სათამაშოს. განსაკუთრებით სათამაშო რკინიგზას დაასვა ხარბად თვალი, აი, ისეთს, ჩემს ბავშვობაში რომ იშვიათობა იყო.

— რამდენ ლარში უნდა ჩავეტიოთ? — მივმართე ლევანს.

— რამდენშიც გაგიხარდება. თანხაში შეზღუდული არ ვართ, — მხრები აიჩქრა ლევანმა, — ვასიკოს შეუძლია, რაც გაუხარდება, ის იყიდოს.

— მართლა? რასთან დავაპირებთ გახდა შენი უფროსი ასეთი ხელგამოილი, აქამდე თვალის დასანახავად რომ არ უნდოდა ეს ბავშვი? — გაოცება ვერ დავმალე.

— გეჩვენება, სულაც არ არის ასე, — დაიცვა ლადო ლევანმა.

— ღმერთმა ქნას, — ტუჩი ავიბოზე და სათამაშოების არჩევას შევეუდევი ვასიკოსთან ერთად.

რა თქმა უნდა, ზომიერება დავიცავი, რომ მერე საყვედურები არ მიმელო. ვასიკოს სურვილიც გავითვალისწინე და როცა ვაჭრობას მოვრჩით, მეც და ბავშვიც შევბამოგვრჩილ დავბრუნდით შინ.

— შენ არ იცი, რა დაემართათ ვასიკოს მშობლებს? — შევაპარე გზაში ლევანს, თან რომელიღაც სათამაშოს მუყაოს უზარმაზარი ყუთი მედო კალთაში და ზედ ვეხუტებოდი. როცა ვლაპარაკობდი, ნიკაპით ვეხებოდი კიდევ, იმხელა იყო.



— მე არაფერი ვიცი. ეგენი როზას ჰკითხე, დიდი ხანია, მასთან მუშაობს, — თავი აარიდა პასუხს მამაკაცმა, — როგორც ვიცი, როზა, მგონი, ლადოს ძიძაც კი იყო.

— ლადოს ძიძა? — სიცილი ამიტყდა. — ნუთუ ეგეც იყო ოდესღაც ბავშვი? — ირონიულად ავზიდე წარბები და უკან სავარძელზე მოთავსებულ ვასიკოს თვალი ჩაუფუკარი.

— იყო, კი, — მთელი სერიოზულობით მომიგო ლევანმა.

— განა რამდენი წლისაა როზა? მეგონა, ორმოცდაათის ზემოთ არ იქნებოდა, — გაგავრძელე „სახალისო“ თქმა.

— ნ-ისაა.

შინ ისე მოვედით, მეტი არ გვილაპარაკია. ვასიკო ასეთი ბედნიერი ჯერ არ მინახავს. ყუთები რომ გადმოგვქონდა მანქანიდან, ხან მე მეცემოდა ხელეში, ხან ლევანს, უნდოდა, ყველა ერთად მას დაეჭირა ხელში. მერე კი დაიწყო ყველაფრის ამოლაგება და ხან ერთ სათამაშოს მიურბენინებდა როზას სიხარულისგან აუტირებული, ხან მეორეს... ყველაზე უცნაური ამ ყველაფერში ის იყო, რომ ქალს თვალეში ცრემლი აუკიაფდა... ის თბილად ეპყრობოდა ვასიკოს... ლევანიც... მხოლოდ ბიძამისი არ იჩენდა ბავშვის მიმართ მზრუნველობას... იქნებ მხოლოდ თავს გვაჩვენებდა ასე და სინამდვილეში სულ სხვა რამ იმალებოდა მისი გულგრილობის მიღმა?

ლევანმა ისეთი გულმოდგინებით აუწყო ვასიკოს სათამაშო რკინიგზა და თვითონაც ისე გაერთო, თავი ვერ შევიკავე.

— შენც პატარა ბავშვივით ყოფილხარ, ლევან! მშვენიერად ერთობი!

— ჰო. თავის დროზე მეც ვოცნებობდი ასეთ მატარებელზე, მაგრამ სად იყო მამინ ეგეთი ფუფუნება! ახლა ყველაფერი ყრია, თუ ფული გაქვს.

სანამ ისინი ერთობოდნენ, მე ნაციდი წიგნების თაროებზე დალაგებას შევეუდევი. სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში ლადო, რომელმაც შაბათ-კვირა საღვალტ ქალაქგარეთ გაატარა და ცოტათი გარუჯულიყო კიდევ. უხდებოდა, ვალიარებ. ახლა უფრო სიმათიური მეჩვენა. მან არაფრისმთქმელი მზერა ესროლა ვასიკოს და მერე მე მომაჩერდა. მივესალმე. თავი დამიქინა მხოლოდ.

არა უშავს, ოდესმე მის საიდუმლოებასაც აქედება ფარდა. მოვა დრო და ყველაფერს გავიგებ. ადრე თუ გვიან, ვილაც მანაც ალაპარაკდება ამაზე. ნეტავ რა იმალება ამ ამბის მიღმა? ცნობისმოყვარეობა მკლავდა.

— მოგწონთ, ბატონო ლადო? — ვერ მოვიტონინე და შევედი „სალკლდე“.



მამაკაცს უფრო მოელოება სახე.  
— არ მინდა, ხმაურმა შემანახოს, როცა ვეშაობ. ეს გაითვალისწინეთ ყველამ, — ცივად გვესროლა და ოთახიდან გავიდა.

უკან გავევიდე.  
— მამატივით, თქვენი შეწუხება არ გვიწოდოდა. არც კი ვიცოდი, შინ თუ იყავით, — თავის მართლებას დავინწყე, — არ იხმაურებს, ამის პირობას გაძლევთ.

— იმედია, — მუქარის ტონით მიპასუხა და ნაბიჯს აუჩქარა.

მინდოდა, როგორღაც შექმერბილებინა ბიძისა და ძმისშვილის ურთიერთობა, ცოტათი მაინც დამეთბო მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება, ამიტომაც ჩემდა უნებურად წამოვიროვი.

— იცით? ვასილი ძალიან გგავთ თქვენ, ტუჩები, სახის ოვალი, ხელის თითები... განსაკუთრებით თვალები.

ამასობაში ლადო თავის კაბინეტში შევიდა. მეც შევეყვი. თან ჯიუტად ვაგრძელებდი რატრატს. მოულოდნელად მამაკაცი შემობრუნდა და ისეთი მრისხანე მზერით შემომხედა, ადგილზე გავცვავდი.

— გიკრძალავ ამ თემანზე ჩემთან საუბარს, — კუმტად მითხრა.

შევცბი, მაგრამ მხოლოდ წაბით. მის ტონს არ შევუბუე და ვგრევე მივახალე.

— რა საშინელი კაცი ხართ, რომ იცოდეთ! საერთოდ არ მესმის თქვენი! რატომ უკეთებთ ბავშვს ასეთ იგნორირებას? ვერ ხვდებით, ამით სულიერ ტრავმას რომ აყენებთ მას?

ლადო გაშეშდა, თვალები ბოროტად აწვია, შემდეგ კი ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ნადი... საქმეს მისხდე!

ნიკაბი ამაყად ავწიე, ჯიქურ შევაჩერედი თვალებში და... გამოვბრუნდი.

კაბინეტიდან რომ გამოვედი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როგორ მიცახცახებდა მთელი სხეული... მემინოდა მისი, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდი.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ვასიკოს გაკვეთილების მომზადება გაუჭირდა. მთელი გულისყური სათამაშოებისკენ ჰქონდა. ბოლოს იძულებული გავხდი, დამეტუქსა და ვუთხარი, თუ გულისყურით არ წაიკითხავ, არ გათამაშებ-მეთქი. ამან იმოქმედა. ცოტა არ იყოს, შეეშინდა, საერთოდ არ წამართვან ჩემი სათამაშოები და შეფუცხუნდა.

როცა დავალბების დაწერასაც მოვრჩით, ვგრევე წამოხტა და მატარებელს ეცა. მთელი საღამო თამაშობდა... როგორც იქნა, მოპებურდა... უფრო სწორად, დილადა და თვალები აწმდვრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი ძილის დრო მოვიდა. ასე დიდხანს არ ვრჩებოდი ხოლმე, მაგრამ დღეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო, ამიტომ არ ვიჩქარე შინ წასვლა.

როზას ვუთხარი, მე დავაძინებ-მეთქი, ვაბანავ და თავის ოთახში შევიყვანე პირსახოცში გახვეული. თმა გავუმშრალე, პიუპა ჩავაცვი და სანოლში ჩავანვინე. საბანი ორივე მხრიდან საგულდაგულოდ ამოვუკვეცი, შუბლზე ვაკოცე, ძილი ნებისა ვუსურვე და ის იყო, შუქის ჩაქრობას ვაპირებდი, რომ მოულოდნელად მთელი ხმით იყვირა:

— არ ჩააქრო!

შემეშინდა, ისეთი განწირული ხმა ჰქონდა.

— რატომ? აბა, განათებულ ოთახში როგორ დაიძინებ?

— არ მიყვარს, როცა ბნელა. გვხვევები, სანამ არ დავიძინებ, არ წახვიდე, რა! და არც შუქი გამოიმართო, კარგი?

— კარგი, აქ ვიქნები, არ წავალ, — ხმადაბლა ვთქვი და სანოლზე ჩამოვჯექი.

ორი წუთიც არ გასულა, რომ ჩაქვინა. შუქი ჩავაქრე და ფხაკრეფით გამოვედი ოთახიდან.

ჩაფიქრებული მივბიჯებდი დერეფანში, რომ უცერად კარი გაიღო და ოთახიდან გამოსული ლადო დამეჯახა. მოულოდნელობისგან შევიკვლე, წავიბოროდი და... მის მკლავებში ამოვჯავი თავი.

— ხომ არაფერი იტკინე? — ცივად იკითხა ადამიანმა-კლდემ, თან ხელს არ მიშვებდა.

— არა, არაფერი, ყველაფერი რიგზეა, — დაბნეულმა მივყარე სიტყვები ერთმანეთს და ფრთხილად შევეცადე, მისი ხელებისგან გაეთავისუფლებულიყავი. ჩემდა გასაკვირად, იგი სულ უფრო და უფრო ძლიერად მიჭერდა თითებს.

— ანა, არ გეჩვენება, რომ შენს საქციელზე პასუხი უნდა აგო? — შეცვლილი ხმით მკითხა.

— რ...რომ...მელ საქციელზე? — მლელვარებისგან ენა დამებდა.

— დაგავინწყდა, დღეს როგორ შემამკე?

— ბატონო ლადო... მე... მე არ მინდოდა თქვენი წყენა...

— არ გინდოდა? — უცნაურად დახშული ხმით შემომბრუნა კითხვა.

შემამცივნა მისმა ხმამ. თავი ავწიე და შევხედე... ღმერთო!.. შევაშინე, რომ მისი მზერა პირდაპირ ჩემს ტუჩებზე იყო „მოხვენილი“. გაუზარებლად გავილოკე ტუჩები, თითქოს მათი დაცვა მინდოდა და როცა კვლავ ფრთხილად დავაპირე გაბრძოლება, მორიგი უცნაურობა დაიწყო — მამაკაცი მძლავრად მიხუტებდა მკერდზე, მთელი სხეული დასჭიმოდა, თვალები კი... ისე ხარბად მიყურებდა, შიშისგან გული ფეხისგულელებში გამეპარა... მისმა მზერამ იმდენად შემიკრა სუნთქვა, თითქოს ჟანგბადი გადამიკეტესო, ლამის ხველება ამიტყდა და ფეხები ამიკანკალ-

და. გარსევა ვცადე. ლადომ ადგილი მოინაცვლა და უფრო მჭიდროდ მიმიკრა.

— ბატონო ლადო, — სასონარკვეთილი აწურჩულდი, — არ შეგიძლიათ, ხელი გამიშვათ?

— რომ არ გაგიშვა? — თითქოს კატათავგობანას მეთამაშებოდა.

მისმა შეკითხვამ თავზარი დამცა, თუმცა მაშინვე გავიზრე, რომ ამ მართლა დემონმა დამინების მისულ ტაქტიკას მიმართა. ნეტავ, რაში სჭირდება ეს? რატომ სიამოვნებს ადამიანების ასე დამინება? — გამიელვა გონებაში.

— მე ისეთი არაფერი მითქვამს თქვენთვის, — თავის მართლებას გაუბედავად ვცადე.

— ვითომ? არც იმაში გრძნობ თავს დამნაშავედ, მთელი მალაზია რომ გამოიზიდე? ასე უფრთხილდები სხვის ფულს?

— ვიცი, რომ ვერ მოვიქეცი მთლად რიგანად... — ისევ ავლულულდი. — მაგრამ ლევანმა მითხრა, თანხაში შეზღუდული არ ვართო და...

— აბა, რას ვიფიქრებდი, ეს ლანირაკი მთელ სახლს თუ გააქსებდა სათამაშოებით! თუ ეს შენი გავლენის შედეგია? იქნებ შენ გაათამაშე?

— ჩვენ მხოლოდ სათამაშოები არ გვიყვია. თაროები ვიყიდეთ წიგნებისთვის, წიგნებიც, რვეულებიც, ფლომ...

— ვიცი, რაც იყიდეთ, ვნახე უკვე! — უხეშად გამანყვეტინა.

სახე გამიხურდა, ისე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. მის მახვილ მზერას ეს არ გამოჰპარია.

— მე ისეთი რამეები ავარჩევინე, რაც მისი გონების გასავითარებლად აუცილებელია. ამ ასაკში მას სწორედ ასეთი რამეები სჭირდება. შეიძლება ბევრი მოგვივიდა, მაგრამ ვიფიქრე...

— რა იფიქრე?

— რომ ბავშვისთვის აუცილებელია რალაცხარი კომპენსაცია თქვენი გულგრილობის სანაცვლოდ. მამატივით, ეს აღარ განმეორდება, — თითქოს ვინანობდი, ისე ამოვთქვი ბოლო სიტყვები და სანყლად მივაჩქარედი.

ისე აწვია თვალები, მიხვდი, ეს კარგს არაფერს მიქვადდა.

— როგორ უცებ მოინანიე, — ირონიულად გამოცრა კბილებშუა და ხელი შემიშვა.

ოდნავ მოვეშვი. მამაკაცი შებრუნდა და დერეფანს დაუყვა. თითქოს რალაც ჩამწყდა სულში, თითქოს არ მინდოდა წასულიყო... ან, იქნებ, დანაშაული მინდოდა გამოემსყიდა... რატომღაც, მომინდა, რალაც სასიამოვნო მეთქვა მისთვის, ამიტომ მივაძახე:

— ბატონო ლადო! დიდი მადლობა ყველაფრისთვის... ვასიკოც ძალიან მადლიერია თქვენი, — და ნერვიულობის



დასაფარავად, ჩემი კაბის საყელო მოვ-  
ჭმუჭნე აკანკალებული თითებით.

მის სახეზე არც ერთი ნაკვთი არ  
შერხეულა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა  
და თავის კაბინეტში შევიდა.

ძლივს შევალნივე სამზარეულოში, რომ  
როზას დავემზიდო ბუბოლი, მაგრამ ქალს  
სკამზე ჩამოსძინებოდა და ფხაკრუფით  
უკან გამოვბრუნდი. ჩემი ჩანთა მოვძებნე  
და გზას გაფუდექი. სანამ ჭიშკარში გავი-  
დოდი, უკან მოვიხედე და მეორე სართუ-  
ლის ფანჯრებს ავხედე... იქ, კაბინეტში  
შუქი ენთო... ლადო ფანჯარასთან იდგა  
ჩაფიქრებული... უული... მარტოსული... თავი  
გავაქნიე და ნაბიჯს ავუქქარე. რა სასწა-  
ული აზრები მომდის თავში! ეგ რამ  
მავიქრებინა?..

არ ვიცი, რამ... ალბათ მისმა ღრმად  
ჩაფიქრებულმა სახემ... ნუთუ შენეცოდა?  
ვერ გეტყვით, შენეცოდა თუ არა, მაგრამ  
ფაქტი იყო, რომ ლოგინში ჩანოლილიც  
კი მასზე ვფიქრობდი. ვერა და ვერ მო-  
ვახერხე დაძინება. საზიზღარი კაცი! სა-  
კუთარ სახლშიც კი არ მანებებს თავს! არ  
მაძლევს საშუალებას, მშვიდად ვიძინო!  
გულაღმა დავნექი და ჭერს მივამტვრედი.  
არ მინდოდა მეფიქრა მის მზერაზე, რო-  
მელშიც საოცარი ტკივილი და სევდა  
მოჩანდა... რა სისულელეა... მას არ გააჩ-  
ნია ასეთი გრძობები. არც სევდა იცის,  
რა ხილია და არც ტკივილი... უგრძობე-  
ლია თავიდან ბოლომდე... მაგრამ თუკი  
იცის, მაშინ? იქნებ მისი ასეთი პირქუში  
გამოხედვა მხოლოდ ნიღაბია და მეტი  
არაფერი? იქნებ ამით თავს იცავს? მა-  
გრამ ვისგან ან რისგან? არა, აბსურდია ეს  
ყველაფერი. იცავს კი არადა... მოგცლია,  
ანა! ისეთ დევგენერატ კაცზე, როგორიც  
ლადოა, არ ღირს ამდენი ფიქრი და  
თავის მტვრევა.

მეორე დღეს ცოტა შემაგვიანდა. მა-  
ლაზიაში გავიარე და ბრა ვიყიდე ვასი-  
კოსთვის. კიდევ კარგი, ლადო შინ არ  
დაშხვდა, თორემ მის რისხვას ვერ ავცდე-  
ბოდი. როზა შემფოთებული შემომეგება.

— კიდევ კარგი, მოხვედი. ეს ნუთია,  
დარეკა, სამლიტრიანი ღვინო გამომზა-  
დე, უნდა წავილოო. სადაცაა, მოვა. არ  
უთხრა, რომ დაგაგვიანდა.

— მერე რა მოხდა? ადამიანები ვართ,  
ხანდახან შეიძლება დაგვაგვიანდეს კი-  
დეც, — არ შევიმჩნიე, რომ მეც შემინო-  
და.

— მაგას ეგეთი რამეები არ უყვარს.  
ასეთ დროს უნდა დაურეკო და გააფ-  
რთხილო. არ იცი შენ მაგის ამბავი.  
შეიძლება უცებ ისეთი შეურაცხყოფა მო-  
გაყენოს, რომ...

— ვიცი, როზა დეიდა, მაგის მეტი რა  
ვიცი, — მწარედ გავიღიმე და ჩემკენ  
გამოქცეული ვასიკო ჩავიხუტე, — მე შენ

საჩუქარი მოგიტანე, — ფურჩულე და  
ყურის ძირში ვაკოცე.

— საჩუქარი? აბა, რა? — თვალები  
გაუფართოვდა.

— ნამო შენს ოთახში  
და იქ გავსნათ, — ხელი  
ჩავვიდე და გავიქეცი.

ერთი სული ჰქონდა, სა-  
ნამ ყუთს გახსნიდა. უეც-  
რად სახე გაეზადრა.

— ანააა! — იყვირა  
მთელი ხმით.

— ჩუუუ! — ტუჩებზე  
საჩვენებელი თითი მივიდე.  
— ბიძაშენი მოვა ახლა და  
არ იხმაურო. მოგნონს?

— ძალიან! რა მაგარი!  
— ჰოდა, ლევანს ვთხო-  
ვით ახლა, შენს საწოლთან,  
კედელზე დაამაგროს. ხედავ,  
როგორია? ვარკვლავს ჰგავს.

როცა დანვები, შეგიძლია  
ანთო. შენი საკუთარი ვარს-  
კვლავი გეცნება და სიბნე-  
ლის არ შეგეშინდება ანი.  
ხელები გაშალა და ჩა-  
მეხუტა. როგორი სითბო ვიგრძენი... ამის  
გადმოცემა გამიჭირდებოდა. მოგვიანებით,  
როცა ლევანმა ბრა კედელზე მიამაგრა,  
ბავშვმა რამდენჯერმე ანთო და ჩააქრო  
იგი, თან ყურებამდე ილიმოდა.

— კარგი, გყვოფა თამაში, ახლა დროა,  
გაკვეთილებს მივხედოთ, — საქინანი და-  
ვიჭირე ბოლოს.

— როგორი განვითარებული გაქვს დე-  
დობრივი ინსტინქტი, — მომეძმა მოუ-  
ლოდნულად, — მიკვირს, აქამდე გაუთხო-  
ვარი რომ ხარ, — ზღურბლზე ლადო  
იდგა და გაქვავებული სახით გვიყურებდა.

— გასათხოვარი, — ჯიბრიანად შე-  
ვუსწორე და თვალი თვალში გავუყარე,  
თუმცა დიდხანს ვერ გავუძელი მის მზე-  
რას და განზე გავიხედე.

— ამას არსებითი მნიშვნელობა არა  
აქვს.

— დიდი მადლობა, მაგრამ კომპლი-  
მენტ არ იყო საჭირო.

— მე იმას ვამბობ, რასაც ვხედავ.

— აჭარბებთ, ბატონო ლადო. უბრა-  
ლოდ, თვითონ ვასიკოა განსაკუთრებუ-  
ლი ბავშვი. არც კი ვიცი, რატომ მომეჩ-  
ვია ასე, — თავმდაბლობა გამოვიჩინე.


— არ მსურს, გაანებოვრო! გასაგებია?  
ამას მკაცრად მოვითხოვ! — ორივე ნარ-  
ბი გამომწვევად აზიდა მამაკაცმა და  
პასუხს არ დალოდებია, ისე გავიდა.

მე და ვასიკომ ერთმანეთს შევხედეთ.  
ბიჭუნამ მხრები აინურა და ილეუმალი  
ლიმილი მესროლა. მერე კვლავ ბრას  
მოუახლოვდა, სახე მოედუნა და ხმადაბ-  
ლა დაინყო:

— ისინი სულ დამცინოდნენ...

— ისინი სულ დამცინოდნენ...

ამის გაგონებაზე სუნთქვა შემეკრა.  
მიუახლოვდი და გვერდით ამოვუდექი.  
— მეუბნებოდნენ, ქალოია ხარო, სიბ-  
ნელის გემინიაო. რა ჩემი ბრალი იყო...



მემინოდა... სიბნელეში მეჩვენებოდა, რომ  
ჩემს საწოლზე ვილაც იყო ჩამოშვდარი.  
შიშით საბნიდან თავს ვერ ვყოფდი, რომ  
მენახა, მართლა იყო ვინმე თუ არა. მე-  
გონა, იქ კუდიანი დედაბერი იჯდა, გრძელ-  
ცხვირა და ბოროტთვალბიანი, უგრძესი  
ფრჩხილებით და როგორც კი გამოვიხე-  
დავდი, ეგრევე ხელს მტაცებდა და ნა-  
მათრევედა. მერე შემაშინეს. გაგამ შეწარი  
შემოიხვია და ისე შემოვიდა ოთახში.  
ვიყვირე. კიდევ კარგი, მასწავლებელმა  
გაიგონა და გაუწყნარა გაგას. მაგრამ და-  
საჯა მეორე დღეს. იმის შემდეგ ხშირად  
მეღვიძება ღამე... სულ გაოფლილი ვარ.  
დაძინების მემინია ხოლმე.

გული შემეკუმშა. ბავშვი ჩემკენ შემო-  
ვატრიალე... ისეთი შიში დავინახე მის  
თვალეში, ისეთი სასონარკვეთა, ცრემ-  
ლები მომერია. მივხვდი, რის ფსად და-  
უჯდა მას ჩემთვის ამის მოყოლა.

— ცუდი ბავშვები ყველგან არიან,  
ვასიკო. დაივინე ისინი. შენ კარგი ბიჭი  
ხარ, ძალიან კარგი და მე ისეთი მიყვარ-  
ხარ, როგორიც ხარ. გასაგებია?

მომეხუტა და ხელები წელზე მომხვია.

— ყველაფერი კარგად იქნება. აქ შენ  
ყველას უყვარხარ...

სწორედ ამ დროს ჩემი მობილურის  
ზარი გაისმა. ვასიკოს ხელი ვუშვი და  
ჩანთას ვეცი, საშუა მეგონა. ევრანს დაჭე-  
დე თუ არა, მიტკალივით გავფიქრედი...  
ჩემი ნახევარდა, ნანა მირეკავდა... აი, ახლა  
იქნება კონცერტი, — გავიფიქრე არეულ-  
მა და ტელეფონი ყურთან მივიტანე.

— გისმენთ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გზის გზნიღლები

## ყველაზე დიდი უსინდისობა

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ყველას მოგესალმებით. როგორ ხართ? ალბათ მკითხველთა უმეტესობა მიმოფანტული ხართ, სხვადასხვა კურორტსა თუ რაიონში და ისვენებთ. დარწმუნებული ვარ, კარგ და „გემრიელ“ ამბებსაც აგროვებთ, რომ სექტემბრიდან აქტიურად გამოიგზავნოთ. თუმცა არც ამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გამოგზავნილი მესიჯებით ვარ უკმაყოფილო. ამ კვირაშიც, საკუთარ თუ სხვის უსინდისობაზე მშვენიერი ამბები მივიღე და ახლა თქვენც გაგაცნობთ.

### უმსგავსი მამა

„გამარჯობა, ყველას მოგესალმებით, პირველად გწერთ. დავინწყებ იმიტომ, რომ სკოლა წარმატებით და-



ნიკა დიდი კაცი გაიზრდება და მამამისი ინანებს თავის საქციელს

ხალხი ათას რამეს იტყვისო, მითხრეს და დავრჩი, — შევეგუები-მეთქი, ვფიქრობდი და მანდ შევცდი ზუსტად, პირველივე პრობლემამ თავი იჩინა თუ არა, მაშინვე აგვერია ურთიერთობა და 1 წლისა და 8 თვის ბავშვთან ერთად მშობლებთან დავბრუნდი. 2 კვირის მერე მომავითხა ქმარმა ტირილით, მუხლებში ჩამივარდა, ოღონდ ჩემთან დაბრუნდი და შევიცვლები, ყველაფერი კარგად იქნებო (სვამდა უზომოდ და სიტყვიერ შეურაცხყოფას მალე ფიზიკურიც დამემატა). დავბრუნდი, მაგრამ ერთი დღეც არ გამიხარია. რა თქმა უნდა, დაპირება სულ ტყუილი აღმოჩნდა. მერე მეორე ბიჭიც შემეძინა და სულ აიღო ოჯახზე ხელი. არ ანადვლებდა, რას ვჭამდი და საერთოდ, თუ ვჭამდი რამეს. ძალიან ბევრი ვითმინე და საბოლოოდ გავწყვიტე მას-

თან ურთიერთობა. პრობლემა ისაა, რომ მეორე შვილზე უარს ამბობს და არც კი კითხულობს. ბავშვი ულამაზესია, ჩემი ნიკოლოზი ავ თვალს არ დაენახვება. ასე აღმოვჩნდი 2 შვილით, მარტო. მადლობა ღმერთს, მშობლები და ძმა გვერდში მიდგანან. მე დიდი იმედი მაქვს, ნიკა დიდი კაცი გაიზრდება და მამამისი ინანებს თავის საქციელს, მოუნდება მიახლოება, მაგრამ ძალიან გვიან იქნება. მე ეს მიმანია ყველაზე უსინდისო საქციელად. წინასწარ დიდი მადლობა. დაველოდები შემდეგ ნომერს, მოუთმენლად. მარი, 26 წლის. გმადლობ“.

### „უშნო ბეტი“, ოღონდ — ლამაზი

„მარი, არა მგონია, დღევანდელ თემასთან დაკავშირებით, ვინმემ საკუთარ უსინდისო საქციელზე გამბოს (მსხვერპლის როლის თამაში ბევრად კომფორტულია). ალბათ განონაკლისი ვიქნები. ამასთანავე, ჩემი ამბავი სევდიანი სულაც არ არის,

ვამთავრე. მასწავლებლებმა საქვეყნოდ მადლობები მომიხადეს კარგი სწავლისთვის. უნივერსიტეტში თავისუფალი თემა რომ დავწერე, რექტორი ნიმუშად დაატარებდა, ასე იწერება ნამდვილი თემაო. 3 კურსი დავამთავრე და გადასახადის გამო სწავლის გაგრძელება ვეღარ შევძელი. მყავდა შეყვარებული, რომელიც ისე მიყვარდა, მეგონა დავფრინავდი, მაგრამ ვინ გაცადა რამე? ახალგაჯნობილმა ბიჭმა, მეორე ნახვაზე მოტყუებით წამიყვანა, ოჯახი უნდა გაგაცნო, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ მესამე სართულზე რკინის კარი გარედან ჩაგვიკეტეს და იქ დამტოვეს.



მუდნიერებას, მოცა მენი სოქვილიშ  
მენივე მესაქლოშლოშების  
გამო მოყში ამის.



პირიქით, ძალიან მეცინება, რომ ვის-სენებ. ანა შარშან, აბიტურიენტობისას გავიცანი, ქართულზე დადიოდა ჩემთან და კიდევ ერთ ბიჭთან ერთად. ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. თუმცა, თავიდან ყველაფერი სხვანაირად დაიწყო. მე და ნიკა გამუდმებით დავცინოდით იმის გამო, რომ მარად შენუხებული იყო, უამრავ კითხვას სვამდა, მასწავლებლის ნათქვამ თითოეულ სიტყვას გულმოდგინედ ინერდა, ყველა დავალებას ზედმინეწით, ბოლო წერტილ-მძიმემდე აკეთებდა და იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ ყველანაირი სისულელის სჯეროდა. მოკლედ, მასთან ხუმრობა დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა. ალბათ, „უშნო ბეტი“ წარმოიდგინეთ, დიდი მხედველობის სათვალთა და კბილებზე რკინებით. არა, ის იყო „უშნო ბეტი“, ოღონდ კარგი გარეგნობით. ნიკა ხშირად მეუბნებოდა, ანას მოსწონხარ და როცა ქართულს აცდენ, სულ დაღვრემილი ზისო. რა თქმა უნდა, ამ სიტყვებს ყურადღებას არ ვაქცევდი და რიგით ხუმრობად აღვიქვამდი. საბოლოოდ, მანაც დავახლოვდით, თან იმდენად, რომ ერთი და იგივე უნივერსიტეტები ჩავწერეთ იმ იმედით, რომ ერთად მოვხვდებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩაბარების შემდეგ, ანასთან „ფეისბუქით“ გავაგრძელე ურთიერთობა. ამ ზაფხულს ერთმანეთს ხშირად ვწერდით, რაზე არ ვსაუბრობდით და ამ ლაპარაკ-ლაპარაკში აღმოვაჩინე, რომ მინდოდა, დროებით ამ გოგოთი გამერთო თავი. თან, ნიკას სიტყვებიც გამახსენდა და მეგონა, მის შებმაზე მარტივი არაფერი იქნებოდა. მოკლედ, გემის განხორციელებას შევუდექი. ჩემი მცდელობების მიუხედავად, არაფერი გამომოვიდა. უფრო მეტიც — ანამ სხვა ბიჭზე დამინყო საუბარი. მითხრა,

რომ შეყვარებული იყო. ღირსება შემელახა, ჩემი ყოველთვის გამაქვს და ყველაფერს ისე ვერ დავტოვებდი, როგორც იყო. ავდექი და გეგმა „ბ“ ავამუშავე, რაც ამ გამოტვივნიებული



ჩემი ალვირახსნილი სექსუალური ცხოვრების შესახებ მოვუყევი

გოგოსთვის ჭკუის სწავლას ითვალისწინებდა. აგრესიული, გარყვნილი, სასტიკი და ყველაფერზე ნამსვლეელი ადამიანის იმიჯი მოვირგე, ჩემი ალვირახსნილი სექსუალური ცხოვრების შესახებ მოვუყევი (რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა). ვუთხარი, ხანდახან არც ნარკოტიკებზე ვამბობ უარს, ამ ცხოვრებაში მთავარი ვნება და ჟინია და არაფერი დაშავდება, თუ შენს ტრფობის ობიექტთან დაწვები; არ მითხრა, რომ პირველი იქნება შენთვის-მეთქი. — გული მტკივა, ასე რომ მელაპარაკებო, მეუბნებოდა. თბილისში როგორც კი ჩამოვედი, ერთმანეთს შევხვდით. ნანემსარები (ვითომ) ვაჩვენე მკლავებზე და ათასი სისაძაგლე ვუთხარი, თან დაუინებით ვუყურებდი გარკვეულ, „საინტერესო“ ადგილებზე. გოგოს სახზე ფერი აღარ ედო და უკვე აშკარად შევატყვე, რომ ეშინოდა. ნამომყევი სახლში, ველურ სექსს გასწავლი და თან წამალსაც გაგასინჯებ-მეთქი, ვუთხარი თუ არა, წამოს-

ტა, ცრემლები წასკდა; მე ასეთ ლაშას არ ვიცნობდიო, — თქვა და გაიქცა. ყველგან დამბლოკა, სადაც კი შესაძლებელი იყო და ტელეფონის ნომერიც გამოცვალა. არ ვარ ახლა უსინდისო? რას ვერჩოდი ამ საწყალ არსებას? არა უშავს, სამაგიეროდ, აღმოვაჩინე, რომ მშვენიერი მსახიობური მონაცემები მქონია, „ფეისბუქზე“ კი ერთით ნაკლები მეგობრით გავაგრძელებ ცხოვრებას. ნიკოლო“.

**შურიანი და უნამუსო**

„შურით დაბრმავებული ადამიანი ყველანაირ სიმდაბლეს იკადრებს... ნინო დედი-სერთაა. კარგი ცხოვრებით გაყოყონებულმა, ბევრს ატკინა გული. მიუხედავად იმისა, რომ არაფერი აკლდა, ამასთანავე, არც ფიზიკურად იყო დასაუნთი, მაინც შურიანი გოგო გახლავთ და თუ ვინმეს ბედნიერს დაინახავს, ყველა ხერხს გამოიყენებს, რომ ყველაფერი გააფუჭოს. განსაკუთრებულად, ერთი მეზობელი გოგოსი, სალომესი შურდა. სიმართლე რომ ვთქვა, ამის არანაირი საბაბი არ ჰქონდა, მაგრამ კაცია და გუნებაო... სალომე ერთი უბრალო გოგოა, იღბლიანობითაც არ გამოირჩევა. 20 წელს ისე მიაღწია, სიყვარული არ უგემია. როგორც იქნა, ბედის ბორობალი მისთვისაც წაღმა დატრიალდა და ერთ ბიჭს მოეწონა, რომელიც გარეგნულადაც (ღიძს ვგულისხმობ) და აზროვნებითაც, ნამდვილი ქართველი მამაკაცი იყო. ლადომ აღარ გაუშვა სალომე ხელიდან, შენაირი პატიოსანი გოგონები სანთლით საქებნელი არიანო და... ასე დაიწყო მათი ურთიერთობა. მაგრამ სალომეს ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. ერთ დაწყვეტილ დღეს, სალომეს და მის სატროფოს შემთხვევით ნინო გადაეყარა. რა თქმა უნდა, ნინომ დაუინებული მზერა მიაპყრო სალომეს გვერდით მყოფ ყმანვილს და შურით გაბერილი, სწრაფი ნაბიჯით გაეცალა წყვილს. მეორე დღესვე ინტერნეტში განათავსა სალომეს ნომერი და ბუნებრივია, ისეთი ქვეტექსტი დაურთო, ბიჭები რომ დაინტერესებულიყვნენ და სალომეს ტელეფონიც ლამის აფეთქდა. ლადოსთან ერთად ყოფნის დროსაც უამრავი მესიჯი მიუვიდა, რაზეც ბიჭი გაბრაზდა და მისი ტელეფონის შემოწმება განიზრახა. ასეც მოიქცა და როცა უამრავი ბიჭის მესიჯს წააწყდა, სადაც მის შეყვარებულს შესვედრას



თუ მცნების ჭაბი უყვე იპოვე,  
დაწამჩენ მცნებებს შეგიძლია,  
დაეძმეღმამო.



სთხოვდნენ, ნამდვილი ქართველი მამაკაცით მოიქცა (ანუ, არაფრის ახსნა არ მოინდომა) და სალომე უკან



არ გაგიკვირდებთ, ნინომ ლადოსთან გააბა რომანი


მოუხედავად მიატოვა. არ გაგიკვირდებთ, ნინომ ლადოსთან გააბა რომანი, მაგრამ ვერაფერს გახდა და კუდამოქუებული დარჩა. ორი წლის შემდეგ სალოს ისევ ეწვია ბედი, მასზე დაინიშნა კიდევ. ბედმა კვლავ დასცინა და მეგობრის იუბილეზე მისულს, იქ ნინო დახვდა. ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა, მაგრამ მეორე დღეს ნინომ ხმა დაარხია, სალომეს საქმრო მეპრანჭებოდა, თვალებს მიუყუყუნებდაო, თუმცა ეს „ნომერი“ აღარ გამოუვიდა და დარჩა „გალიმებული“. უსინდისო საქციელი ნინოსნაირი გოგობისგან გასაკვირი არაა, მაგრამ საკითხავი ისაა, ამდენ ბოროტებას როგორ ინელებენ? ლუნა“.

**ცრუმამაო და მორწმუნენი**

„ზაფხულის ერთ საღამოს, მე და ჩემი 3 მეგობარი, ჩემი მანქანით ქალაქგარეთ მივდიოდით. ერთ-ერთი ეკლესიის წინ მღვდელი შევნიშნეთ, ხელში ხატი ეჭირა. ვინაიდან უკვე ბნელდებოდა, ვიფიქრე, შესაძლოა, ტრანსპორტი ვეღარ იმოვოს-მეთქი და მანქანა გაუჩერე. ხატი გამომიწოდა საკოცნელად და ვემთხვიე. შემდეგ ადგილი წინა სავარძელზე დაუთმეს და დავიძარი. საუბარი იმით დაიწყო, რომ თურმე ჩვენი შეხვედრა ღვთის

ნება ყოფილა. — თქვენამდე სხვა მანქანამ გამიჩერა, მაგრამ არ ჩავჯექი, იმიტომ, რომ თქვენთან შეხვედრა მენერაო. ჩვენც ღვთის საჩუქრად მივიჩნიეთ და დაუუდასტურეთ. შემდეგ შემოგვთავაზა, მცხეთაში, ამაა გაბრიელის საფლავზე წავიდეთ, რადგან უფალმა ჩვენი შეხვედრა ინება, ვინოცოთო. მონასტერი უკვე დაკეტილი იყო და ვერ შევედით. — აქვე, ახლოს, პატარა ეკლესიაა და იქ მივიდეთო, გვითხრა და მიმითითა, საით უნდა წავსულიყავი. ამასობაში გვარიანად ჩამოხუნდა, ჩვენ კი სადღაც, ტყე-ღრეში მივდიოდით და გზასაც კი ვერ ვხედავდით ნორმალურად. კარგა ხნის შემდეგ, უღრან ტყეში აშენებულ, პატარა ეკლესიას მივადექით, რომელსაც კარიც კი არ ჰქონდა და შორიდანვე ეტყობოდა, რომ უმოქმედო იყო. მამაოს თან ერთი სანთელი ჰქონდა, ანთო, მუხლებზე დაემხო და ლოცვა დაიწყო. ჩვენ ხელს არ ვუშლიდით. მთელი ღამე ლოცულობდა. ყველა ლოცვა ზეპირად იცოდა — წიგნსაც კი არ იშველიებდა. იქიდან რომ წამოვედით, უკვე თენდებოდა. გზაში, საუბრისას აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ჩემი მეგობრის შვილი მოუნათლავი იყო. ამის გამო მამაომ უკმაყოფილება გამოთქვა და — აუცილებლად, დღესვე უნდა მოუნათლოთო, გამოაცხადა. ძალიან დაღლილები ვიყავით, მაგრამ თავიდან ვერ მოვიშორეთ ეს კაცი და რა უნდა გვექნა? თავისი გავლენის ქვეშ იოლად მოგვაქცია და ყველანი ვემორჩილებოდით. ჩამოვედით თბილისში, დილის 7 საათზე გავალვიძეთ სანყალი ბავშვი, მანქანაში ჩავისვით და მცხეთაში დავბრუნდით. იქ ერთ სახლთან მიგვიყვანა, სხვა მოძღვარი გააღვიძა და თან წამოიყვანა. ტყეში, იმ ეკლესიასთან დავბრუნდით, სადაც მთელი ღამე გავატარეთ. ტაძრის ახლოს წყარო ჩამოდიოდა და იმ წყალში მონათლა ბავშვი მეორე მამაომ. თბილისში დაბ-

რუნებულებს არაფრის თავი აღარ გვექონდა. მეგობრები სახლებში ჩამოვარიგე, მამაოსაც ვკითხე, სად მიგიყვანო-მეთქი? — და — „მე და შენ ახლა წავალთ...“ — დაიწყო ლაპარაკი და იქვე გაუწყვეტინე. — არსად არ წავალთ, ჩადი, მამაო და თავი დამანებე-მეთქი, ვუთხარი და იქვე გაუჩერე. ვერ ვიშორებდი, სხვა გზა არ მქონდა, ლამის ჭკუიდან გადამიყვანა. უკვე გაუსაძლისი იყო მის გვერდით ყოფნა. ენერგია გამომაცალა და გამომფიტა. ჩავიდა, რაღას იზამდა?! ლამის 2 დღე და ღამე მეძინა, ვიდრე აზრზე მოვიდოდი. შემდეგ ყველაფერი ჩემს მოძღვარს ვუამბე და ვკითხე, ეს კაცი ვინაა, ხომ არ იცი-მეთქი? მისგან მოვისმინე, რომ ეს კაცი წინათ მღვდელი ყოფილა, შემდეგ ეკლესიიდან განუკვეთათ და მინც ანაფორით დადისო. როგორც ჩანს, ნათლობა თავად სწორედ იმიტომ არ



ხშირად ვფიქრობ, უნამუსოდ მოვექეცი, მანქანიდან რომ ჩავაგდე-მეთქი

ჩაატარა და სხვა, ნამდვილი მღვდელი დაინმარა. ხშირად ვფიქრობ, უნამუსოდ მოვექეცი, მანქანიდან რომ ჩავაგდე-მეთქი, მაგრამ სხვა გზა მართლა არ მქონდა. ასე რომ არ მოვექცეულიყავი, შესაძლოა, დღესაც მასთან ერთად მეხეტიალა ტყე-ღრეში“.



თუ ჩამოვივლი მამაყვამა გდასწყვიტა, ამოვიღე გაყვითლს, მისი მკერძს შეუძლია!



### თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„3 წლის წინ გავიცანი გოგონა, რომელსაც დაუშვებობდი. უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით. მას კი უყვარდა ბიჭი, რომელთან ერთადაც გაიპარა, თავისმა ოჯახმა კი უკან დააბრუნა, რადგან სულ რაღაც 15 წლის იყო. ოჯახში დაბრუნებულმა კი განაცხადა, ჩემმა მეგობარმა გამაპარაო. როცა ეს გავიგე, საშინელი რაღაცები ვუთხარი და არც ვნანობ, რადგან წარმოუდგენელი ამბები დამაბრალა. ერთმანეთს ბევრ საიდუმლოს ვუმტკიცებდით, ის კი ჩამშვები აღმოჩნდა და ყველასთან ჰყვებოდა ჩემს საიდუმლოებებს. ვერ ვიტან მოლაღატე ადამიანებს. მართალია, მას მერე პატიება მიხვდა, მაგრამ ვერ ვაპატიე დაშვებული შეცდომები. ყველას ვურჩევ, რომ კარგად დაფიქრდნენ, ვიდრე ვინმეს დაუშვებობდებიან. უკვე ორმა მეგობარმა მილაღატა და ვეღარავის ვენდობი. ვერ ვხვდები, ასე რატომ მოექცნენ“.

„ტრადიციულად, პარასკევს (ხუთშაბათს ვერ ვიცლი) ჟურნალი „გზავნილები“ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმ გვერდებზე გადავშალე, „გზავნილები“ რომ იყრის თავს. ჩავიკითხე და ბოლოში მომდევნო ნომრის თემას წავანყდი. გადაწყვიტე, თქვენთვის ჩემი ამბავი მომეყოლა. მე ერთი დაქალი მყავდა, თითქმის დებივით ვიყავით. რაღაც დროის შემდეგ იმ ადგილს მოვშორდი, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა, მაგრამ კონტაქტი ერთმანეთთან მაინც გვქონდა. მისი დაბადების დღე ასლოვდებოდა. მუდამ დავდიოდით ერთმანეთის სახლებში, დაბადების დღეებზე. არ მეგონა, თუ ეს შემთხვევა გამონაკლისი იქნებოდა. მან ჩემთან კონტაქტი განწყვიტა, აღარც დამპატიჟა, აღარც დამირეკა, ჩემს ზარებს კი რატომღაც არ პასუხობდა. ბოლოს ჩვენმა საერთო მეგობარმა მითხრა, თავს რატომ ისულელებ, მაგ გოგოს სხვა მეგობარი ჰყავსო. საინტერესო ის არის, რომ მისი ახალი მეგობარი ჩვენს საუბრებში მუდამ ილანძღებოდა, მისივე მხრიდან.

ალბათ დღეს უკვე მე მლანძღავს. მე მას ძალიან ვფასებდი, ახლა კი ის უბრალოდ მოლაღატე მეგობრის გაფიქრებაზე მახსენდება. გულნატკენი არსება“.

„უსინდისო საქციელი? რომელი ერთი ჩამოვთვალო? აგერ ახლა, ერთ-ერთ ჩათში ვბრძანდებოდი შესული და ვილატ გამწარებული, მესიჯს მესიჯზე წერდა სახალხოდ, რომ ჟურნალისტი იყო და მასალად პორნოისტორია სჭირდებოდა. ჰმ, დავინტერესდი, რომელი ჟურნალიდან იყო და როცა პასუხად „გზავნილები“ მივიღე, გაოცებისგან პირი დავადე. ჩავეძიე და მითხრა, რომ თურმე დამწეები ჟურნალისტი ყოფილა. აქეთური, იქითური და მაინც ვერ გავარკვეე, რა ჯანდაბად უნდოდა ის არგასაგონი, არდასაწერი და არდასაბეჭდი პორნოისტორია. აბა, უსინდისობა არაა ახლა ეს? როდის აქეთაა, „გზავნილები“ პორნომბები იბეჭდება? გვეითებით და მიპასუხეთ. ლუნა“.

„მაშინ პატარები ვიყავით, მე ელიკო და ნატო ვმეგობრობდით. ხშირად ვჩხუბობდით, ნატომ გაბუტვა იცოდა და მეორე დღეს სკოლაში რომ მივიდოდით, იმას დაეღაპარაკებოდა, ვისაც „პონჩიკის“ ფული ჰქონდა, რადგან ძალიან ღორმუცელა იყო. ასეთი მოლაღატე მეგობარი მყავდა ბავშვობაში, რომელიც ერთ „პონჩიკში“ უყოყმანოდ გაგცვლიდა. შემდეგ ის სხვა სკოლაში გადავიდა და მე და ელიკო აღარ ვჩხუბობდით, რადგან მესამე და მოლაღატე არ გვყავდა. გერასიმე“.

„ჯერ 18 წლის ვარ და უკვე იმდენი უსინდისობა მაქვს ნანახი, ვერ განვსაზღვრე, რომელი უფრო დიდია. დავინყოთ იქიდან, რომ მეგობარი, რომელთანაც უკვე წლებია, ვახლოვლობ და საერთო, ახლო მეგობრებიც გვყავს, ჭორიკანა და უსულგულო აღმოჩნდა! გაითვალისწინეთ, რომ ლაპარაკია ბიჭზე. პირველად ის შევამჩნიე, რომ სამეგობროდან რომელიმე თუ გაგვიჭირდებოდა, რჩევის მოცემისა და დამშვიდების მაგივრად, ყოველთვის მწარედ გვკბენდა და უფრო გვანერვიულებდა. არადა, რომ გვეითხათ, უბრალოდ ასეთი

ვარ, სიმართლის პირში მიხლა მიყვარსო, ამბობდა. მისი ნათქვამი კი ხშირად გიჟის ნაბოღვარს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე მწარე სიმართლეს. მერე ჭორაობაში დავიჭირე! თან, როგორ მწარე ჭორაობაში?! რომელიმე რამეს თუ მოვუყვებოდით, მთელ სამეგობროს მოსდებდა, ოღონდ შეტრიალებულად. ნუ, კარგი! ესეც ჩაველაპეთ, მერე ცილისწამებას მიპყრო ხელი და პირადად მე, ისეთი რაღაცები დამაბრალა, მესიჯს რომ ვკითხულობდი, იმის მაგივრად, რომ მეტირა, ვიცინოდი. შიგადაშიგ წყველასაც ურთავდა: „რატომ მიწა არ გაგისკდება?... მსგავსი მარგალიტები არ დაუშურებია, უხვად მომიყარა. დაბოლოს, ყველაზე დიდი მისი ვაჟკაცობა იყო ის, რომ ბავშვობის მეგობარს საკმაოდ სოლიდური თანხა „დაანერა“. როგორ და რანაირად, აქ ვერ მოგიტხრობთ, რადგან ასეთი შემთხვევები არც ისე ხშირია და არ მინდა, ვინმეს ეცნოს ეს ყველაფერი. ნევროზიანი“.

„უსინდისობაა, ადამიანს ბავშვს რომ გაუზრდი, სახლს დაუღაგებ, საჭმელს გაუკეთებ და მაინც ვერ დაინახავს, თანაც გასაყვედურობს და ვალდებულად გთვლის, მისი გასაკეთებელი საქმე გააკეთო? უსინდისობა არაა, როცა სხვისგან ყველაფერი გინდა და შენ თვითონ ხელიდან ვერაფერს გაგაგდებინებენ?! უსინდისობა არაა, როცა მეგობრები მხოლოდ იმის გამო მიგატოვებენ, რომ შენი აზრი გამოთქვი და მათ დაკრულზე არ იცუკვი? უსინდისობა არაა, როცა ადამიანი სიყვარულს გეფიცება, მეორე წუთში კი ნიკს შეიცვლის და უშვერი სიტყვებით გაგლანძღავს?! დაბოლოს, გვეითებით, უსინდისობა არაა, როცა „გზავნილებში“ ან „მობილი-ზაციაში“ შენთვის ხარ წყნარად, ნერ, არავის ეხები და ამ დროს ცდილობენ, ცილი დაგნამონ?! მოკლედ, მე თუ მკითხავთ, უსინდისო ქცევების მოყვარულნი უპასუხოდ უნდა გავისტუმროთ. თუ მაინც ვერ ისვენებენ, საკუთარი თავი დაგესლონ და ჩვენ თავი დაგვანებონ! ლუნა“.

**ყურადღება!** თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ფრცვლი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „როგორ დავამარცხე მონინალმდეგე“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com



# „ქართველა კაცა მხოლოდ ქალი უნდა შეიყვაროს“

„გზის“ №30-ში დაიბეჭდა ბიჭი 18-ის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ორივე სქესის ადამიანები მოსწონს. „ბევრჯერ მქონია ბიჭთან ურთიერთობა, მაგრამ აღარ მსურს, ეს გავაკეთო. გულწრფელად ვამბობ, — მინდა, გოგო შემიყვარდეს! ერთი გოგო კი მომწონს, მაგრამ ჯერ ვერ ვაქტიურობ. მეშინია, ჩემი ბისექსუალობით გული არ ვატყინო. დარწმუნებული ვარ, მას არასდროს ვუღალატებ, მაგრამ არა მგონია, ჩემს ორიენტაციას გაგებით მოეკიდოს“. როგორც მგზავნელი გვწერს, მას ძმაკაცი ურჩევს ისეთად დარჩეს, როგორცაა: „მეუბნება: ამაში დასაძრახი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთო. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცე?“

## „სიყვარულო, ძალსა უნდა, რომ ვერ არჩევ ზოგჯერ სქესსა...“

### შორანა:

„XXI საუკუნე გარყვნილების საუკუნედ რატომ აქციეთ? რადგანაც ღმერთმა მამაკაცად შეგქმნა, ე.ი. კაცი უნდა იყო! გიჯობს, შენი შეცდომა მოინანიო და წესიერ გზას დაადგე. ნარმატებებს გისურვებ, იმ გოგოსთან ერთად!“

### შამანა:

„ვიდრე ქალები საპროტესტო აქციებს არ მოაწყობენ — თავიანთი საკუთრების ხელყოფისთვის, მანამდე არაფერი გეშველებათ. თუ იმ გოგოსთან ურთიერთობა მართლა გინდა, აჯობებს, შენი ბისექსუალობის შესახებ არაფერი უთხრა, თორემ ნამდვილად გაგექცევა. სიყვარულო, ძალსა უნდა, რომ ვერ არჩევ ზოგჯერ სქესსა. რა ჯანდაბამ გადაგრიათ, ჰა?..“

### რუისპირი (GREEN):

„პიროვნებას, რომელსაც ორივე სქესის ადამიანები მოსწონს, ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს“, — დაახლოებით ასეთი შინაარსის მოსაზრება გამოაქვეყნეს ე.წ. ბისექსუალების შესახებ ფსიქოლოგებმა. პირადად მე, შენს მდგომარეობაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. თუ გოგონებისა და ბიჭების მიმართ ერთნაირი ინტერესი გამოძრავებს, პრობლემაც არაფერია. შენი ნათქვამის, — „ბევრჯერ ბიჭთან მქონია ურთიერთობა და გოგოსთან აქტიურობა მიჭირს“ — გათვალისწინების შემთხვევაში კი ნათელი ხდება: მამრობითი სქესი პრივილეგიებით სარგებლობს. თუ იმ გოგომ მამაკაცური ჰორმონები გაგიღვიძა, საკუთარი გრძნობების

შესახებ აუცილებლად დაელაპარაკე. როცა გრძნობა წრფელი და ორმხრივია, მაშინ ყველაფერი გამოვა. P.S. ისე კი ვეთანხმები შენს ძმაკაცს: ყველაფერს სჯობია იყო ის, ვინც რეალურად ხარ. საკუთარი თავი ისეთი თუ არ შეიყვარე, როგორც ხარ, სხვის სიყვარულსაც ვერ ეღირსები. ნარმატებებს გისურვებ!“

### ლუნა:


„ჩემო კარგო, რატომ ღელავ ან ასე მიიმედ რატომ აღიქვამ ყველაფერს? თუ ადამიანს რალაცის სურვილი აქვს, ის ყველაფრის გაკეთებას შეძლებს. ბიჭი რომ ვიყო, ერთ ლამაზ გოგოსაც არ გავეუშვებდი ხელიდან. შენ ღმერთმა კაცად გაგანიანა და უნდა გიხაროდეს, ქალების გულის დაპყრობისა და მათი სითბოს შეგრძნების შანსი რომ გაქვს. იმ გოგოს ნურაფერს ეტყვი, მისთვის იბრძოლე! სიყვარულის მოსაპოვებლად უწყინარი ტყუილიც გამართლებულია. გულით თუ მოინდომებ, ყველაფერი გამოგივა. არ დაგავინწყდეს, რომ შენ ხარ ქართველი კაცი და მხოლოდ და მხოლოდ ქალი უნდა შეიყვარო. აბა, შენ იცი, გაკოცე!“

### რიტუა (მცხეთიდან):

„არავითარ შემთხვევაში არ დარჩე ისეთად, როგორც ხარ. შეეცადე, მამაკაცების მიმართ ვნებები დაძლიო. აუცილებლად მიდი ეკლესიაში და რჩევა მამაოს ჰკითხე, ის აუცილებლად დაგეხმარება... უფალი გფარავდეს.“

### ატარამსია:

„ბუნების შეცდომა ხარ და როგორც დიდმა კონფუციმ თქვა: „ნამ-



დვილი შეცდომები ის შეცდომებია, რომლებიც არ გამოსწორდება“. და მაინც, უფალი იყოს შენი შემწე“.

### ბია 35:

„შენი ნათქვამიდან ჩანს, რომ გინდა, სწორ გზას დაადგე, მაგრამ ის აზრი, რომ ამ ამბავს XXI საუკუნეში ჩვეულებრივად მიიღებენ, რომ ამაში დასაძრახი არაფერია, მცდარია. შეეცადე, კაცთან ურთიერთობის სურვილი თავიდან ამოიგდო. ეკლესიაში მიდი, მოძღვარს დაელაპარაკე და ნახავ, როგორ კარგად წავა შენი საქმეები. თუ ჩემთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდება, ნომერს „გზაში“ მოგცემენ“.

### ნიკოლო:

„დარწმუნებული ვერ იქნები იმაში, რომ არ უღალატებ. მივესალმები იმ ფაქტს, რომ გაქვს სურვილი, შეიცვალო. მოდი, ჯერ შეიცვალე (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია) და სერიოზული ურთიერთობები შემდეგ დაიწყე. ზუსტად უნდა იცოდე, რა გინდა, თორემ იმ სუფთა და სათუთ გოგოსაც საშინლად ატყენ გულს. მართალია, XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ არ დაგავინწყდეს, რომ აქ საქართველო, მეგობარო!“

### მისტარ:

„ევროპის სექსოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელმა — სამანტა შვანიშვიტიმ დაადგინა, რომ ბისექსუალი მამაკაცების 10%-დან ოთხს სათამაშოფილისა და ზოოფილი-



ის ფარული მიდრეკილებებიც აქვს. ვიმედოვნებ, შენ იმ 6%-ში მაინც შედიხარ. გირჩევ, ან შენს ნამდვილ და კუდგამოშუმელ ძმაკაცს დაუჯერო და ისევ იმას მიაწვე, რასაც დიდი ფრედი მერკური აწვებოდა, ან კიდევ, დახმარებისთვის ფსიქოლოგს, სექსოლოგს მიმართე და დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ ისინი აუცილებლად გაგარკვევენ „კაცის“ მნიშვნელობაში.

**ლეკო 27:**

„ჩემი აზრით, სიმართლის დამალვას აზრი არა აქვს, რადგანაც შენნაირი ორიენტაციის ადამიანები ადრე თუ გვიან, შეცდომას მაინც დაუშვებენ. მერწმუნე, ქალისთვის რთულია, ცხოვრება ისეთ კაცს დაუკავშიროს, როგორც შენ ხარ. თუ ურთიერთობა მდებარეობით სქესთან გინდა, მაშინ მამაკაც-

ცებისკენ აღარ უნდა გაიხედო. საკუთარ თავს ძალა დაატანე, თორემ სხვა ვერაფერს გიშველის. წარმატებები!“

**SAILORBEE:**

„ისე, შენც კაი „დაკონსერვებული“ ხარ. როგორც მე ვერ „გამაციხფრე“, ისე ვერც შენ შეიცვლი ორიენტაციას. ამბობ: ის გოგო სუფთა, სათუთი პიროვნებააო. მასეთმა უნდა გაგიგოს და გვერდით დაგიდგეს. ნუ, ეს საქართველოა და ალბათ, დაგცინებს, ყველაფერს „გაგიბაზრებს“, სახალხო მასხარად გაქცევს და მერე სიკვდილიც მოგენატრება. ასე რომ, მოდი, სიმართლეს ნუ ეტყვი. ჩვეულებრივი ბიჭი რომ ეგონო, არ სჯობია?“

**ზურა:**

„კარგია, ორიენტაციას თუ შე-

იცვლი. იმ გოგოს უთხარი, როგორიც ხარ, მის მიმართ რასაც გრძნობ და ვინ იცის, იქნებ გაგიგოს კიდევ. სიძნელეებს არ შეუშინდე, ხელი არ ჩაიქნო...“

**ცირა ტ:**

„ყველაფერს აჯობებს, რჩევებისთვის სპეციალისტს მიმართო. მგონი, ხვდები, რომ შენი არეული ორიენტაცია ნორმალური არ არის, ამას გაგებით არც ერთი ქალი არ მოეკიდება. საკუთარ თავში გაერკვიე და იმ გოგოს ამ გაუგებრობაში ნუ გარევე.“

**როპერა ეპა:**

„ძმამ ძალიან ცუდი რჩევა მოგცა, ასე მიზანს ვერასდროს მიაღწევ. ჯობია, იმ გოგოს დაუახლოვდე და წარსული „დაიკიდო“. მოდი, უბრალოდ, გამოსწორდი.“

**„ადამიანს თვალზე თუ არ ჩახედე, რა სიყვარულზეა ლაპარაკი?“**

„გზის“ №30-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა: „შემიყვარდა ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობის აწყობა შეეძელი (მას ვემესიჯებოდი კიდევ), მაგრამ მერე ყველაფერი თავადვე გავაფუჭე: რატომღაც ვუთხარი, — აღარ მინდა, რომ ვიმესიჯოთ-მეთქი. ახლა ვხვდები, რომ სისულელე გავაკეთე, მაგრამ სინანული გვიანია; როგორც გავიგე, ჩემს „ლოვეს“ უკვე ახალი შეყვარებული ჰყავს. მიჩივით, როგორ დავიბრუნო ჩემი რჩეული?..“

**„მას ველარ დაიბრუნებ...“**

**ანრდილთა დედოფალი:**

„ის შენი ღირსი არაა, დაივიწყე. და საერთოდაც, ეცადე, აღარ დაინტერესდე იმ ადამიანებით, რომლებსაც არ აინტერესებ!“

**ნიკოლო:**

„თავში გიქრის და ცხოვრებისეული სიტუაციებისადმი არაადეკვატური ხარ. შეწყვიტე თვითგვემა და ახალ შანსს დაელოდე! როგორც ჩანს, „ლოვეს“ (მეზიზღება ეს სიტყვა) შენთვის კაბის კალთები არ დაუხვია, — დამიბრუნდიო. ეს მესიჯობით სიყვარული რალა უბედურებაა, ვერ ვხვდები. ადამიანს თვალზე თუ არ ჩახედე და მისი მაჯისცემა არ იგრძენი, რა სიყვარულზეა ლაპარაკი?“

**ატარამია:**

„მოდი, ლოგიკური კითხვა დავსვათ: რატომ უნდა დაიბრუნო ადამიანი, რომელმაც ასე ადვილად მოგინელა და დაგთმო? პასუხი: ასეთ ადამიანს, უბრალოდ, ველარ დაიბრუნებ და ნესით, ამის სურვილი არც უნდა გქონდეს. დაბოლოს, მერწმუნე, ცხოვრების გზაზე აუცილებლად შემოგვეყრება ისეთი ღირსეული ადამიანი, რომელიც დაგაფასებს. ნუ, შეიძ-

ლება, თეთრ რაშზე არ იჯდეს და „პეშკომ“ მოდიოდეს, მაგრამ ყველაფერი გამოსწორებადია.“

**ლუნა:**

„ძნელია, როცა ადამიანი, რომელიც მოგწონს, არაფრად გაგდებს. ცალმხრივი გრძნობა საშინელებაა, ამის გამოცდას მტერს არ ვუსურვებ. უნდა დაგეთანხმო, სულელურად მოქცეულხარ, მაგრამ ყველაფერში საკუთარ თავს ნუ დაადანაშაულებ. რომ ჰყვარებოდი, თავს არ დაგანებებდა,

მან კი ისიც არ გთხოვა, აგეხსნა, თუ რატომ აღარ გასურდა მასთან მესიჯობა. შენს ადგილას, ამ ყველაფერს „ლაითად“ შეგხედავდი. როცა მიდიან, კი არ უნდა გავეტიროთ, არამედ გზა უნდა დავულოცოთ და ახალ, ნამდვილ სიყვარულს დაველოდოთ. ცხოვრება გრძელდება!“

**რუსიკი (GREEN):**

„საუკეთესო მაგალითი ხარ იმისა, თუ რა ემართებათ უტვინო გოგონებს იდიოტურად გადადგმული ნაბიჯის შემდეგ. არ გინდოდა? — ჰოდა, ნავიდა! თუ თავადაც ხვდები, რომ სინანული გვიანია, მის პირად ცხოვრებაში აღარ ჩაერიო. გოგო, რომელიც თავად გამოიჩინს დაშორების ინიციატივას და მერე აქტიურობას დაიწყებს, მარტივად რომ გითხრა, ბანძია და სხვა არაფერი. დაივიწყე და შეეცადე, მომავალში მსგავსი რამ აღარ გაიმეორო.“





# მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენ მესიჯი „მოხილი-ზასიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ გრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მისიზის ფასი 50 თეთრი

## ქალები



1. ვებმაურები 21-ე ნომრის მე-7 სმს-ის ავტორს, ლექსოს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი.
2. ვებმაურები 21-ე ნომრის მე-7 სმს-ის ავტორს, ლექსოს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი.
3. ვარ 35 წლის, უმაღლესი განათლებით, სიმპათიური. მყავს 5 წლის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-50 წლის, სერიოზულ, დამოუკიდებელ მამაკაცს, რომელიც მამობას გაუნევეს ჩემს შვილს.
4. ვარ 38 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-45 წლამდე მამაკაცს.
5. ვარ თელავის რაიონიდან, 30 წლის, ქმარს გაცილებული, მყავს 5 წლის გოგო. გავიცნობ შესაფერის მამაკაცს, 38 წლამდე, ვისაც ნამდვილად ოჯახი უნდა და არა — გართობა.
6. ვარ ლამაზი, ცისფერთვალება, მაღალი, 23 წლის. მაქვს ბინა თბილისში და აგარაკი რაჭაში.
7. ვარ 20 წლის, გავიცნობ 25 წლამდე ბიჭს სამეგობროდ. ლიკა.



## მამაკაცები

8. გთხოვთ, მომცეთ 30-ე ნომრის მე-17 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

9. გთხოვთ, მომცეთ 29-ე ნომრის 24-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
10. გთხოვთ, მომცეთ 29-ე ნომრის მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
11. გთხოვთ, მომცეთ 29-ე ნომრის მე-10 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
12. გთხოვთ, მომცეთ 29-ე ნომრის მე-8 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
13. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი 31-ე ნომრის მე-2 სმს-ის ავტორს. დათო.
14. ვებმაურები „გზა“ №31, მე-6 სმს-ის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი, ვარ 23 წლის, თბილისელი, დათო; ან მისი ნომერი მომცეთ.
15. გამარჯობა ყველას. ვარ სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ სიმპათიურ გოგონას. მოწყენილობით ნუ კვდებით. ახალგაზრდებო, უბრალოთ გაერთეთ. 59.
16. ვებმაურები „გზა“ №28-ში დაბეჭდილ, მე-3 სმს-ის ავტორს. ვარ 23 წლის, სახელად გიორგი. თუ შეგიძლიათ, ჩემი ნომერი მიეცით ან მე მომეცით მისი ნომერი.
17. ვარ 46 წლის. ვებმაურები 28-ე ნომრის 1-ელი სმს-ის ავტორ ქალბატონს. თუ სურვილი აქვს, დამიკავშირდეს ამ ნომერზე. ზაზა.
18. გავიცნობ ლამაზ მანდილოსანს, 20-დან 40 წლამდე. ვარ 32 წლის. ვცხოვრობ თბილისში, მარტო.
19. ვარ 30 წლის, მაღალი, უცოლო, თბილისელი ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ 19-დან 25 წლამდე გოგოს. ვარ კარგი ხასიათის.
20. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ქართველ, მართლმადიდებელ გოგონას. ვარ 46/165/75, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი, თბილისელი მამაკაცი.
21. გთხოვთ, მომცეთ 29-ე ნომრის მე-5 სმს-ის ავტორის ნომერი. ნინასწარ გიხდით მადლობას.

22. გთხოვთ, „გზა“ ნომერი 31-ის მე-4 სმს-ის ავტორს მისწეროთ ჩემი ნომერი ან მე მომწეროთ მისი.
23. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №26, მე-6 სმს-ის ავტორის ნომერი. გმადლობ.
24. ვარ 23 წლის, სიმპათიური ბიჭი, საკმაოდ მიმზიდველი და დადებითი. სერიოზული მეგობრობისთვის გავიცნობ სასიამოვნო მანდილოსანს. მსურველებს მიეცით ჩემი ნომერი. თევზი.
25. გავიცნობ 14-17 წლამდე ასაკის გოგოს სამეგობროდ. ვარ 16 წლის. ლუკა.
26. ვარ 20 წლის ბიჭი, მაღალი, ცისფერთვალება, ქერათმიანი. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის 19-20 წლის, ქერათმიან გოგოს.
27. გავიცნობ 18 წლის გოგონას. ვარ 185 სმ სიმაღლის, 18 წლის. ბექა.
28. გავიცნობ მარტო მცხოვრებ ქალბატონს. ცუდი ტიპი არ ვარ. უბრალოდ, მარტო ვარ. დათა.
29. გთხოვთ, გამომეხმაუროს „გზის“ 30-ე ნომერში არსებული, მე-8 მესიჯის ავტორი.

**ყურადღება! გათავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზასიისთვის“ გამოსავლენი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავენებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბილი, არ გამოქვეყნდება!**

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h





# სხვალსხვა

• პატარავ, დედას სიხარული, როგორ ხარ? როგორ იქნები, არა? ვიცი, ვიცი, როგორც იქნები და შენც იცი, ჩვენ როგორ ვართ შენსა და ბადრის გარეშე. მაგრამ ყველანი კარგად უნდა ვიყოთ, რომ ამ დროებით გასაჭირსა და განმორებას გაუძლოთ და მერე ერთად ვიყოთ. ამას წინათ რა გამახსენდა, იცი? საბას ნათლობის მეორე დღეს, მთვრალი რომ დავეყვი საჭესთან და შენ და ნინო მანქანაში რომ ჩამისტი, არ გაგიშვებო. შენ ფიზიკური იყავი და მე გითხარი, სულ მე დავდივარ და ქუჩა-ქუჩა დაგეძებ, ახლა შენ მეძებე და ნახავ, როგორიამეთქი. :) სახიზლეში რომ ვიყავით, შენს მხაკაცებთან ერთად, იქიდან რომ წამოვდივით და ბალახებში იკოტრივალე, ის გახსოვს? ახლა ამას ვწერ და სიცილით ვიგუდები, თან გული ყელში მეზვიენება... შენი მხაკაცები და მათი ცოლები რომ ჩატყნეთ ჩემს მანქანაში, ის თუ გახსოვს? ათნი იყავით, მგონი... ვუპ... კიდევ მოვა მაგაზე უკეთესი დრო, დედი... ისე, მანქანამ გამანვალა ამ ბოლო დროს... კარლო დამათრევს ბუქსირით, აქამდე არ ვუნწავლებივარ და ახლა გამაგიჟა. 1 თვე, პროფილაქტიკას ვერ მოვმორდი. აკუმულატორიც ვუყიდე, ძველმა მოჭაბა თავისი დრო. დილით გია, მერაბა, გონა და ეზოს ბიჭები მანვებოდნენ და ისე მაქოქინებდნენ, მერე მერაბა შემოსტობდა გაქცულ მანქანაში და თან მომეყვებოდა. დიდი ვნისი იყო 2 დღე ეზოში... ამ რამდენიმე დღის წინ კი ლამით ხვედელიანმა გამაღვიბა — ტელეფონზე დამირეკა, დაბლა ჩამოდიო. ეგ და ლაცაბიძე იყვნენ მოსული, ლუდი დაველიოთო. ჩვენს ბესედაში ხათო, ლელა, ირმა (ბინკინა, აპერიკიდან ჩამოვიდა), მე და ბიჭები ვისხედით. გამთენიისას პატრული გამოიძახა ვილაცამ და მოგვადგინა... მერე ბოდინი მოგვისადგეს, ჩვენ გვითხრეს, რომ ჩხუბი იყო და იმიტომ მოვედით; თურმე სერიოზული ხალხი მსხდარხართ და უკაცრავად, რომ შეგანუსეთო. ხომ იცი, ვინც გამოიძახებდა პატრულს? ვერ აიტანა ვილაცამ ჩვენი იქ ყოფნა... მოკლედ ასე, დე... დღეს სამშაბათია, ხვალ ბადრის ვნახავთ და იმ კვირაში მოვწერ, რასაც გვტყვის. გადაყვანაზე რალაც იმედი მომეცა. ვნახოთ, რა გამოვა მიყვარს, ღმერთი გვარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლე? წარმომიდგინა, ამ სიცხეში მანდ როგორ იქნები. ვერ მხოლოდ 7 თვე და ცოტა მეტი გავიდა. როგორ ნელა გადის დრო, ვგაიჟები. განახე და ვერ მოვიკალი შენი მონატრება. შემდეგ შეხვედრას ველოდები მოუთმენლად. სურაფერზე იდარდებ და თავს გაუფრთხილდი. ალბათ მალე გვემელება და ყველაფერი კარ-

გად იქნება. ძალიან მაკლიხარ და მინდა, ჩვენთან მალე დაბრუნდე, მერე ძალიან ბედნიერად ვიცხოვრებო. მიყვარხარ და მენატრები უზომოდ. გკოცნი ბევრს და გელოდებით ყველა. მალე მოდი, მაგრამ ისე კი არა, შენ რომ იცი ხოლმე, 5 წუთში მოვალე და 1 საათის მერე რომ მოხვიდოდი, აი, უკვე სადარბაზოში ვარო და ვინ იცის, სად იყავი მაგ დროს. ასე კი არა, მართლა მალე დაგვიბრუნდი. ჭკუით იყავი და დროებით. ნინო.

• 3.198 ძალიან მომნატრე, გი, მიხელოდებ უშენოდ. როგორ მინდა უკვე განხო. რა რთულია ამ ტკივილით ცხოვრება. ძალიან მჭირდება ჩემ გვერდით. უზომოდ მიყვარხარ. თე.

• 3.198 გი, თავს გაუფრთხილდი. გვეროდეს, რომ რალაც გამოსწორდება. იცოდე, რომ მუდამ შენზე ვლოცულობ და იმედი გქონდეს, რომ უშენობის პერიოდს ღირსეულად გადავიტან. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება იყოს შავი ხანა, მაგრამ მთავარი ისაა, რამდენად სწორად იცხოვრებს და რა ღირსეულად დასძლევს განსაცდელს. მიყვარხარ. თე.

• თე... ვფიქრობ და ფიქრში რას არ გადარებ... ვფიქრობ და სისხლზე მეტი ხარ გულში... ჩემო მონატრება, მიყვარხარ, ხომ იცი როგორ, არ დამეღალაო... შენი ბუტია.

• თე... ვიცი, როგორ ძალიან გიჭირს, ვიცი, როგორ გენატრება ყველა და ყველაფერი, ვიცი რა ძნელია, უნდა გაუძლო, ჩემო იმედო, მე შენ მიყვარხარ. დილა მშვიდობისა. ბუტია.

• თე, მალე დამთავრდება ეს ზაფხული. იქნებ ღმერთმა ინებოს და ყველაფერი უფრო მალე დამთავრდეს... ჩემო ყველაზე საყვარელო, გვერები ასე შორიდან. მიყვარხარ, ბუტია.

• მია, მიყვარხარ, მენატრები და გელოდებით მე, დედა და ყველა ერთად. ძალიან მიყვარხარ, ჩვენ კარგად ვართ. მია, ყველაზე კარგო, ყველაზე, ყველაზე... გკოცნი, შენი სანდრი.

• თე... მშვიდი ძილი გისურვო მინდა, ლამაზი სიზმარი და დილით ღიმილიანი განთიადი... როცა გაგახსენდები, იცოდე, რომ იმ წუთში მეც ვფიქრობ შენზე. არ დამეღალაო. ბუტია.

• თე... ჩემო საოცრება, ჩემო ყველაზე ერთგული და კარგო ადამიანო, ღმერთმა მაჩუქა მე შენი თავი და ღმერთი დამიბრუნებს ჩემს ბედნიერებას. ეს დამთავრდება. ბუტია.

• თე... მე ყოველდღე გელოდები. ვიცი არ მოხვალ, მაგრამ მაინც ველოდები, იმედი მაქვს, ყველაფერი დამთავრდება და მალე გათენდება დღე ყველაზე ბედნიერი. მიყვარხარ. ბუტია.

• თე, კიდევ ერთი კვირა მიილია. ხომ კარგად მყავხარ? ყველაფერი შენს თავს მახსენებს, ჩემო ცხოვრება, ყველა დილა შენით იწყება, ფიქრი ვერ დამიღლის. გკოცნი. ბუტია.

• თე, დღეს შენი დაიკოები იყვნენ ჩემთან. 2 დღეში ნავლენ გურიანში. ყველა კარგად

ვართ, თეო და ლია ბახმაროში არიან. ყველას ენატრები ძალიან. აბა, შენ იცი, ბუტია.

• თე, ჩემო საყვარელო, რა გითხრა, აბა... ყველა სიტყვა „გადაზვიად“; სიტყვებს ყოველთვის არ შეუძლია გადმოგვეცეს, რასაც განვიცდით. მარტივად გეტყვი, მიყვარხარ, ბუტია.

• თე, ისევე თავიდან ვინც ყოველდღე შენს მონატრებას, იმ ოთახის ჰაერი მინდა, სადაც შენ ხარ, შენთან მინდა, ჩემო... მალე დამთავრდება, არ დამეღალაო. შენი ბუტია.

• თე, შენ უნდა მყავდე, რომ შევძლო ცხოვრება, შენ უნდა მყავდე, თუნდაც ასე შორს, მთავარია, ვიცოდე, რომ კარგად მყავხარ... ბუტია.

• თე, ბედნიერია ის, ვინც ვინმეს ან რამეს ელოდება. უბედურება ის არის, როცა არავის და აღარაფერს ელი ამ ცხოვრებისგან. მე მარტო არ ვარ, შენ სულ ჩემთან ხარ. ბუტია.

• ზეცაკი, დედას სიხარული, როგორ ხარ? დღე და ღამე შენზე ვლოცულობ. ჩვენთან ახალი არაფერია. შიო 2 დღეში ევროპაში მიდის. ყველა მოკითხვას გითვლის. უფალი გვფარავდეს.

• ზეცაკი, ბარო, ბრატ, ზაურიან ვარ. მაგრამ მომნატრე. ჩვენ ძველებურად ვართ. ამ თვის ათიდან მამა ცხდები. შენები კარგად არიან. ნუ იდარდებ. ღვთის ძალი და მაღლი გვფარავდეს.

• ძამი, ძალიან გვენატრები ყველას. უკვე დედიკოსთან ვარ, კარგადაა ძალიან. ჩემმა ბიჭებმა მოგიკითხეს. მთავარია, შენ იყო ძლიერად. ყოველი დღე იწყება იმედით, რომ მალე ერთად ვიქნებით. თათულიკა.

• ჯოტი, როგორ ხარ? შენ დამშვიდდი და არაფერზე ინერვიულო. ხომ იცი, შენით ვსუნთქვით და ვარსებობთ. ჩვენ კარგად ვართ. დარდი არ გქონდეს. მოგიკითხა ყველა. ყუნა.

• ბუძა, როგორ ხარ? არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება მარტო შენს ოჯახზე იფიქრე, ხომ იცი, ისინი შენით ცოცხლობენ. ყველა შენზე ფიქრში ვართ, გვინდა კარგად იყო.

• თე, როგორ ხარ ნეტავ, ასე უწემოდ, ასე დაღლილი ამ ყველაფერისგან? როგორ ხარ, ნეტავ, სიცოცხლე ჩემო... სიმშვიდე მინდა გისურვო, დიდი მოთმინება და გამძლეობა. ბუტია.

• თე, როგორ მომნატრე ყველაფერი, რაც იყო... შენთან მინდა, ჩემო, მენატრები. იმედია, მალე დამთავრდება ეს გაუგებრობა, სიცოცხლე ჩემო, იმედო ჩემო. გკოცნის ბუტია.

• თე, კორპუსა ვარ, ძალიან მოგვენატრე, ნუ ინერვიულებ, ღმერთი მოწყალეა და შენაირ კეთილ ადამიანს არ განირაგებს. შენ დაგვიბრუნდები, უბრალოდ, მშვიდად იყავი.

• ზეპ, როგორ ხარ? ჩვენ ზღვაზე ვართ უკვე, 3 დღეა. უშენოდ არაფერის მუღამი არ არის. აქ ბიჭებმა მოგიკითხეს. ნეტავ ერთად ვიყოთ მალე. გვიყვარხარ.

• თე, მალე ვიქნებით ისევ ერთად, ამის იმედით ველოდები ყველა განთიადს, შენ ჩემი სიმშვიდე ხარ, ჩემი ხარ, ჩემი... მზეს ველოდე-



ბი, უნდა დამთავრდეს. შენი ბუტია.

•3.198 გი, უზომოდ მენატრები, უშენობა სამინლად მთრგუნავს. განვიციდი ყოველ წუთს და ყოველ წამს, უშენოდ გატარებულს. თავს გაუფრთხილდი, ბუუს. მიყვარხარ. შენი თვე.

•3.198 ნეტავ როგორ ხარ, გი, რა ნელა მიიზღაზნება დღეები თვიდან თვემდე. მინდა მალე გნახო. საბამ და ნიამ მოგიკითხეს. იკო ჩამოვიდა, ნიკუმაც ახლავს. გოცნი ბევრს. თვე.

•3.198 ბუუს, იცი, რა დამემართა? მანქანამ მიმიყვანა სამსახურამდე, მერე კი აღარ დაიპოქა და იქ დავტოვე და დიმიტრის მოვუხმე გაჭირვების ტალკვესად. სად მყავხარ, ექვ... თე.

•იკა, დე, როგორ ხარ? რომ გნახე, ახლაც არ ვარ გამოსული მდგომარეობიდან. ძალიან მიჭირს უშენობა. შენ მასეთი სასონარკვეთილი რომ გნახე, მას მერე ცრემლი არ შემშრობია თვალებზე.

•იკა, შენ მანდდან სტიმული უნდა მომცე, რომ ვიბრძოლო და დავგებარო. არ უნდა გატყდე. დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება. გქონდეს ჩემი იმედი. ლუკა, ეთერი და გო გურიამი ნაყიდენე.

•თვე, მიყვარხარ მთელი გრძნობით, მთელი გულით, ყველაზე მეტად, უსიტყვოდ, ყველასთვის დაუნახავად, ჩემთვის, ჩუმად, წყნარად, მე ვგრძნობ შენს სუნთქვას, შენს გულისცემას, შენს ტკვიილსაც ვგრძნობ, შენი სიყვარულით ვთბები, ასეთი კარგი რომ მყავხარ შორს და ყველაზე ახლოს გულში... შენ მარტო ჩემი დედამინა ხარ... შენ სინათლე ხარ ამ სამყაროში... მე გელოდები, ამ ლოდინში კი უსასრულოდ ვფურცლავ ლამეებს, მადლობელი ვარ, რომ არსებობ, მადლობელი ვარ, არ დამეღალაო... ძილი ნებისა... შენი ბუტია.

•თვე, ჩემო ერთადერთო იმედო და სიყვარული, რა ლამაზი ოცნება მასწავლე, იცი? ვნატრობ მხოლოდ შენს დაბრუნებას, ჩვენს ერთად ყოფნას, სხვა დანარჩენი ისეთი სისულელეა... მხოლოდ ეს მინდა და ამ ვედრებას აუცილებლად შეისმენს ღმერთი, ვოცნებობ ჩვენს შეხვედრასზე... ფიქრებში გხატავ, გიხუტებ გულში, როდის მეტყევი, მიყვარხარო... ველოდები, ველოდები... თურმე იმისთვის, რომ ცაზე დაინახო ცისარტყელა, უნდა იწვიოს, არ დამეღალაო, დამიბრუნდი, უნდა გაჩუქო ჩემი ცხოვრება... ბუტია.

•თვე, კუნია ვარ. თურმე ძალიან, ძალიან გყვარებხარ. შენი ბუტია დაკო და ჩვენ ვამაყობთ შენით. ყველაფერი კარგად იქნება. ისევ ამოვა მზე და გაფანტავს სევდას.

•იკას. მენატრები, ჩემო სუნთქვავე, ჩემო სიცოცხლევე. შენზე ფიქრი წამით არ მშორდება. გამაგრდი, იკა. ჩვენ ერთად დაუმარცხებლები ვართ, ხომ გახსოვს? მე ახლა უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე ოდესმე. არც შენ დამივიწყო, რა. მალე ერთად ვიქნებით და იმაზე ბედნიერები, ვიდრე ოდესმე. მე შენთვის ვლოცულობ, შენც ილოცე ჩვენთვის, გთხოვ. ტომირანდა.

•იკას. გამაგრდი, ჩვენს სიყვარულს გაფიცებ, იმედს ნურასდროს დაკარგავ. ღმერთი არ გაგვწირავს. შენ თუ დროებით ნახვედი

ჩემგან, მე საუკუნოდ დავგელოდები. ტომირანდა.

•ჩემო ლამაზებო, მომენატრეთ ძან. ინტერნეტი გამითიშეს და ვზივარ ასე მოწყენილი. :( SWEET-GIRL, ძალიან საყვარელი ჩანხარ.

